


პ/ქ – 1537

საქართველო და უახლესი ისტორიის საკითხები



1(5) 2009

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ISSN 1512-3154

Studies in Modern and Contemporary History

I (5)

„UNIVERSAL“

Tbilisi 2009

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

I (5)

ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2009

53068-6389 31/1-15-37

სარედაქციო კოლაბია:

EDITORIAL BOARD:

- | | |
|---------------------------------------|------------------------------------|
| ალექსანდრე ბენდიანიშვილი | Aleksandre Bendianishvili |
| გია გელაშვილი | Gia Gelashvili |
| შოთა ვადაჭკორია | Shota Vadackoria |
| ვაჟა კიკნაძე | Vazha Kiknadze |
| ვოიტეხ მატერსკი | Woitsekh Materski |
| (პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია); | (Academy of sciences of Poland) |
| გელა საითიძე | Gela Saitidze |
| (რედაქტორის მოადგილე) | (Deputy editor) |
| მალხაზ სიორიძე | Malkhaz Sioridze |
| ავთანდილ სონღულაშვილი | Avtandil Songulashvili |
| (რედაქტორი; | (Editor) |
| ხათუნა ქოქრაშვილი | Khatuna Kokrashvili |
| (პასუხისმგებელი მდივანი) | (Executive secretary) |
| დოდო ჭუმბურიძე | Dodo Chumburidze |
| (რედაქტორის მოადგილე) | (Deputy editor) |
| ნიკო ჯავახიშვილი | Niko Javakhishvili |

და ამიერიდან მუდმივად
პიტაგორას მივუძღვით
ბ. გ. თ. ი. უ. შ. ი. შ.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

შინაარსი

საქანთეკლის ისტორია

- ნიკო ჯავახიშვილი11
ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან
- ნუნუ მიქელაძე27
ბანათლების საკითხი ბაზეთ „ისარში“
- ალექსანდრე მოსიაშვილი34
ბაზეთში „ხმა კახეთისა“ გამოქვეყნებული
პუბლიკაციების ავტორთა ბიოგრაფიისათვის
- ალექსანდრე მოსიაშვილი40
ბაზეთი „ხმა კახეთისა“ თერგდალეულთა
თვალსაზრისით წარმომადგენლების შესახებ
- შოთა ვადაჭკორია49
ტრაპიზონის საზავო კონფერენცია და ქართული
პოლიტიკური აზრი 1918 წელს
- ოთარ გოგოლიშვილი78
ახალი საარქივო მასალები ბათუმის
წყალმომარაგებისა და საეკლესიო მშენებლობის
შესახებ XX საუკუნის პირველ მეოთხედში
- დალი ზერავია85
ეროვნული პრობლემის შალვა წუტუბიძისეული
ხედვა
- მაკა შავგულიძე91
თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრა-
ფიული მუზეუმის ისტორია და მისი განვითარების
პერსპექტივები

ისტორიული ბიბლიოტეკები

დოდო ქუმბურიძე104
„უჩინარი, მაგრამ დიადი“ – ალექსანდრა
ბარსევიანიშვილი (1864-1936)

ცაცა ჩხარტიშვილი..... 125
იოსებ ჩიჯავაძის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

იგორ კვესელავა135
სტალინიზმი, სტალინის პიროვნულ-პოლიტიკური
შტრიხები

ქართული ემიგრაციის ისტორიდან

ნიკო ჯავახიშვილი153
ქართული ლეგიონის ბონები (1916-1917 წწ.)

მზია ტყავაშვილი.....160
ქართული დიასპორა და 1917 წლის რევოლუციური
პროცესები რუსეთის იმპერიაში (პრესის მასალების
მიხედვით)

ლელა სარალიძე..... 186
საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მოღვაწეო-
ბის ისტორიიდან (1921-1922 წწ.)

რუსუდან დაუშვილი209
ქართული ემიგრაციის კავკასიური პოლიტიკა
(1920-1930-იან წლები)

ბიბლიოგრაფია

ჯემალ ვახოკიძე227
რუსეთ-საქართველოს ომის პოლიტიკური ფაქტორები

ვაჟა შუბითიძე, რეზო რუხაძე.....238
საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია

თენგიზ გრიგოლია, მაია ამირგულაშვილი.....249
საქართველოს ინტეგრაციის მიმზიდველი და
რისკ-ფაქტორები ბისეკისა და სუამის ფარგლებში

მაია ამირგულაშვილი.....258
გლობალიზაცია და საქართველოს სამომავლო
ბანკოთმართვის პერსპექტივები

ედიშერ გვენეტაძე.....264
ბალკანეთის კრიზისიდან – კოსოვოს დამოუკიდებ-
ლობამდე

სულიკო გრიგალაშვილი.....273
არქტიკა - ახალი გეოპოლიტიკური არენა

ბიბლიოგრაფია. ექვთიმის ისტორიიდან

ავთანდილ სონღულაშვილი.....281
ქართველი ებრაელების რელიგია და ყოფა-ცხოვრება

ქეთევან პავლიაშვილი.....295
ქართული მართლმადიდებლობის დენაციონალიზა-
ციის პროცესი და რუსული ბიზანტიზმის შედეგები
საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკ-
ლესიაში (XIX-XXს-ის დასაწყისი)

ელდარ ბუბულაშვილი.....311
იმერეთის ეპარქია ებზარქოსობის პერიოდში

ირინა არაბიძე322
მისიონერი იბნათავი საქართველოს
ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ

სოფიო ანდლულაძე343
სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მართლმადიდებელი კრება (1927 წლის 21-27 ივნისი) და ეპისკოპოსის სტეფანე ბოდბეის (ვასილ კარბელაშვილი)

წყაზთაძე თეოდორე

მზია მგალობლიშვილი, ლელა მიქიაშვილი354
შაკ ფრანსუა გამბა ჭარ-ბელაქელი ლეკებისა და ინგილოების შესახებ

გია გელაშვილი368
ჰაქსტჰაუზანის ცნობები ოსების შესახებ

გოჩა საითიძე406
ახალი მასალები წმინდა გიორგიმონაზონის არქივანდრიტ გრიგოლ ფარაბის ცნობებზე-მომკვლევების ისტორიიდან

ისტორიული დეტალები

დავით ჯავახიშვილი419
ქართლ-კახეთის უფლისწულთა შთამომავლობა (XVIII-XXI საუკუნეები)

ქიტიკა და ბიბლიოთეკა

გელა საითიძე427
მნიშვნელოვანი ღირებულების წიგნი

ჯონი კვიციანი, სალომე ბახია-ოქრუაშვილი433
ისტორიის ბაკვეთილები (დაკვირვება ზაურ მარგიევის წიგნზე „Батум во времена Османской империи“, ბათუმი, 2008 წ.)

გ ა ს ს ე ნ ე ბ ა

თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე439
წოდარ კიკვაძე – ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნება

ინფორმაცია447

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან

ქართულ-ლატვიურ ურთიერთობებს დაახლოებით ორსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. იგი სათავეს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო-სამთავროები თანდათან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ცოტა ხნით ადრე, რუსეთმა შეიერთა ბალტიისპირეთი და მათ შორის ლატვიის ისტორიული მხარეებიც – ლატგალია, კურლანდიის საჰერცოგო და პილტენეს ოლქი.

მიუხედავად ამისა, ქართველ და ლატვიელ ხალხებს შორის არსებული ურთიერთობების ისტორია დღემდე არავის გამოუკვლევია. წინამდებარე გამოკვლევა აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველი ცდაა.

ქართულ ლიტერატურაში ლატვიის რეგიონები და ქალაქები პირველად იხსენიება ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ვაჟის, სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, უფლისწულ იოანე ბაგრატიონის (1768-1830) ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაში „კალმასობა“, რომელიც დაწერილია 1813-1828 წლებში. ამ თხზულების ერთ-ერთ ნაწილში „ლეოლრაფიისა ანუ აღწერისათვის ქუეყანისა“ ავტორი წერს, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ცალკეულ რეგიონთა შორის ასევე იყო გუბერნიები: „რიუსკიისა, ლუბერნიის ქალაქით რილით“ და „კურლანდიის, რომლისაცა პირველი ქალაქი არს მიტავა“ [2, 92-93].

რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბში, იმპერიაში შემავალ სხვა ქვეყნების გერბებთან ერთად, გვხვდება აგრეთვე „საქართველოს სამეფოს“ და „ლიტვის დიდი სამთავროს“, ასევე „ესტლანდიის, ლიფლანდიის, კურლანდიისა და სემიგალის“ გერბები. პირველი გამოსახული იყო მეექვსე ადგილას, ხოლო მეორე – მეცხრე ადგილას [9, 37-39].

აქვე დავსძენთ, რომ საიმპერიო დიდ სახელმწიფო გერბში შეტანილ „საქართველოს სამეფოს გერბს“ საფუძვლად მეფე ერეკლე II-ის მეფობის პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი დაედო.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული
ტელეფონი: 93 41 37

რუსეთის იმპერატორთა ოფიციალურ ტიტულატურაში ჩამოთვლილ ტიტულთა შორის აღნიშნული იყო, რომ იგი იმავდროულად იყო „Царь Грузинский“, ასევე „Великий Князь Литовский“ და „Князь Эстляндский, Лифляндский, Курляндский и Семигальский“ და ა. შ. [13, 7].

საყურადღებოა, რომ ჩამონათვალში „მეფე საქართველოსი“ უფრო წინ იხსენიებოდა, ვიდრე ზემოხსენებული ტიტულები, რომლებიც ადასტურებს ბალტიისპირეთის ფლობას. ეს კიდევ ერთხელ ნათელს ხდის იმ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას, რასაც რუსეთის იმპერიაში საქართველო ასრულებდა.

1834-1837 წლებში ბალტიისპირეთში დისლოცირებულ რუსულ ჯარში მსახურობდა მომავალში გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1804-1883). ერთხანს მისი სამხედრო ნაწილი ლიფლანდიაში, კერძოდ რიგაში იდგა.

სწორედ ლატვიაში შექმნა გ. ორბელიანმა თავისი რამდენიმე ლექსი, რომლებსაც ქვეშ მიწერილი აქვს „რილა“ ანუ რიგა. მათ შორისაა 1835 წლით დათარიღებული ლექსები: „ჩემს დას ეფემიას“, „მუხამბაზი“, „ნ...“ [6, 44-52] და სხვ.

გ. ორბელიანის მიერ ბალტიისპირეთის ქალაქებიდან საქართველოში გამოგზავნილი წერილები ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავენ აღნიშნული რეგიონის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ. ირკვევა, რომ მათი ავტორს სხვადასხვა დროს უმსახურია ლიფლანდიის გუბერნიის ქალაქებში: რიგაში, ვენდენში, ვალკაში, ვილნოს გუბერნიის ქალაქებში: ვილნოში (ვილნიუსი), კოვნოში (კაუნასი), ბაუსკში, ბირჟიში და სხვ.

1834 წლის 2 აპრილს, ბალტიისპირეთში მიმავალი გ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარია ორბელიანს (1806-1847) წერდა: „მომწერე პირდაპირ ლიფლანდიაში ქალაქს ვენდენს, ნევსკის მორსკის პოლკში“ [5, 11].

იმავე წლის 22 მაისს ქ. ვალკადან გამოგზავნილ წერილში გ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას წერდა: „პოლკის კამანდირმა მიძილო კარგად და მაძლევს როტას. საზოგადოება აფიცრებისა დიან კარგია ამ პოლკში და უმეტესი ნაწილი ნემენცები არიან, სულ აქაური მცხოვრებნი. ვნახე ვენდენის ჩინებული ციხეცა (замок), რომელიც ან ეკუთვნის ღრაფ სივერსსა. ვენდენი ძალიან პატარა ქალაქია და შორიდამ სამაჟურია სანახავად. დაძველებულნი და ჩამონგრეულნი ციხის კოშკები მრისხანედ დაჰყურებენ ლამაზთა ფაქიზთა ახალთა ქალაქის შენობათა... ყოველს სალამოს ავდიოდი ერთს ჯერ აქამდის მთელად დაშთომილს კოშკზე, რომლიდამაც ჰსჩანდა შორს გარეშე მშვენიერი მდებარეობა...“

ვენდენში კვარტირა მქონდა ბარონ შტორხის სახლში. ჩემს გვერდით იდგა იმათი ნათესავი ერთი ლამაზი ქალი. ახ! ზაქარიავე, იმისი ფორტეპიანოს დაკვრა და სიმღერა გამაგიჟებდა აქამდის...

აქაურს გლვხკაცებს ჩვენებური ქალამნები აცვიათ. მიკვირს ესრეთი მიმზავსება ესრეთს დაშორებულთ ადგილთ ურთიერთისაგან. საყდრებზე ჯუარის მაგიერ მამალი ზის. ვერავინ ვერ ამიხსნა აქამდის იგავი ესე; მაგრამა მგონია, რომ პეტრე მოციქულმა რომ ქრისტე უარსჳყო სამჯერ მამლის ყვივლამდის, ეს ის იყოს“ [5, 15-16].

1835 წლის 23 მარტს სალომე ჭავჭავაძისადმი მიწერილ წერილში გ. ორბელიანი აღნიშნავდა: „მოველ ლიფლანდიაში, რომელიცა ძალიან ჰგავს მდებარეობითა საქართველოს; ვიხილე ჩინებული ციხე ფალავნებისა დანგრეული – ვენდენში, ვნახე რილა – ჩინებული ქალაქი... აქ არის რამდენიმე კლუბები, რომელთა უპირველესნი არიან სახელად მუსი და ეფონი და არის თეატრიცა...“

აქაური მცხოვრებნი არიან ნემენცნი; მაშასადამე განათლება, სიფაქიზე და ანგარიში შეადგენს მათსა თვისებასა; და ამისათვის რალა თქმა უნდა, რომ აქაურნი ქალები თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ჩუენს ქალებს, მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ოხ, რა შორსა ჰსდგანან მათგან; თქუენს ქალებს გარდა, რომელნიცა არ არიან მათ რიცხვში.

მშვენიერია სანახავად რილა ზაფხულის სალამოზე, როდესაც მზისა სხივნი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად და მასზედა მიმოჰსცურავენ ხომალდნი და ათაგუარნი ნავნი ქალებით, კაცებით, სიმღერით აქა-იქ“ [5, 24].

იმავე წლის 25 ივლისს რიგის ჰოსპიტალში მყოფი გ. ორბელიანი სალომე ჭავჭავაძეს წერდა: „რილის ქალაქით ჩვიდმეტ ვერსზე არის სოფელი, ესე იგი ერთადერთი სახლი სახელად სკრონდებუდე, სადაც არის კვარტირა ჩემი...“

მშვიდობით გახლავარ, დილით უჩენიე, სალამოს უჩენიე და როცა მოცლილი ვარ ხანდახან მივაჭენებ რილისკენ ჩემს ნაცნობებთან ნემენცებთან...“

ამას წინათ ჩვენმა პოლკოვნიკმა ბალი გააკეთა ბაღში, სახეულად – ვეიზინლობს, სადაცა იყვნენ მიწვეულნი პატივცემულნი ჩინებულნი რილის მცხოვრებთაგანი, რომელთა შორის იყო აქაური პირველი კრასავიცა რილის კამენდანტის ლენერალ დრიზენის ქალი, რომლის მშვენიერება არის განთქმული“ [5, 32-33].

1870-1876 წლებში ლიფლანდიის, ესტლანდიისა და კურლანდიის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა გენერალ-ლეიტენანტი პეტრე რომანის (რევაზის) ძე ბაგრატიონი (1818-1876). იგი იყო პირდაპირი შთამომავალი ქართლის მეფის იესესი, რომელიც 1714-1716 და 1724-1727 წლებში მეფობდა [14, 619] და ძმისწული სახელგანთქმული სარდლისა, ინფანტერიის გენერლისა პეტრე ივანეს

ძე ბაგრატიონისა (1765-1812), რომელიც ბოროდინოს ბრძოლაში (1812 წ.) მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა [10, 50-51].

პ. ბაგრატიონი დაახლოებული იყო რუსეთის საიმპერატორო კართან. კერძოდ იგი სხვადასხვა დროს იყო: იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სიძის, პერცოვ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტი (1845-1852), იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1852 წლიდან), საიმპერატორო სასახლის კომენდანტი და დაცვის უფროსი (1854 წლიდან), იმპერატორის პირადი ამალის უფროსი (1857 წლიდან).

სამხედრო სამსახურის პარალელურად, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან ფიზიკასა და ქიმიაში უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევები შექმნა, რითაც საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების აღიარება და მრავალი საპატიო ჯილდო მოიპოვა [11, 18-19].

გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში პ. ბაგრატიონი ენერგიულად ებრძოდა ბალტიისპირეთში არსებულ გერმანულ გავლენას. მისი ინიციატივით გაუმჯობესდა და გაფართოვდა რიგის პოლიტიკური სასწავლებელი. ამიერიდან, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთ სამხედრო სამსახურში გზა ხსნილი ჰქონდათ. მანქანათმშენებლობის ფაკულტეტების წარჩინებული სტუდენტებისათვის მისი სახელობის სტიპენდია დაწესდა.

ბალტიისპირეთში მოღვაწეობის პერიოდში პ. ბაგრატიონმა იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ამ მხარის შინაგან საქმეებში თვით რუსეთის იმპერატორიც კი აღარ ერეოდა.

1876 წლის 17 იანვარს პ. ბაგრატიონი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ დაკავებული თანამდებობა გაუქმდა.

განსვენების შესახებ იმდროინდელ პრესაში მრავალი სტატია გამოქვეყნდა. ერთ-ერთ ნერილში ვკითხულობთ: „პ. ბაგრატიონის ექვსწლიანმა მმართველობამ ბალტიისპირეთის ისტორიაში მრავალმხრივ აღსანიშნავი პერიოდი შექმნა. სამოციანი წლების დასასრულს ბალტიისპირეთის გუბერნიებში გაბატონებული კლასები რეფორმის მომხრე არ იყვნენ არც სახელმწიფოებრივი და არც ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისით. იმ დროს განსაკუთრებით გამაღიზიანებელი საგაზეთო პოლემიკა, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანოფილები, რუსეთის საწინააღმდეგო იყო. ამიტომაც, თავად ბაგრატიონის მიერ დაკავებული თანამდებობა მრავალი წინააღმდეგობით იყო აღვსილი.“

ბალტიისპირეთის მმართველს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებოდა შემრიგებლის როლის შესრულება, გერმანული გავლენის შესუსტება და სახელმწიფოებრივი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადანყვება. ყოველივე ამას სჭირდებოდა დრო. პ. ბაგრატიონისათვის საკმარისი აღმოჩნდა ექვსი წელი. ამ პერიოდში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მხარის ადგილობრივ ცხოვრებაში და, საერ-

თოდ, სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრაში. მისი მმართველობის პერიოდში მომზადდა ნიადაგი მთელი რიგი რეფორმების გატარებისათვის და ადგილობრივმა ხალხებმა რუსეთისაკენ სამეგობროდ იბრუნეს პირი“ [4, 169-170].

გენეალოგ სტანისლავ დუმინის შეფასებით, პ. ბაგრატიონი ცდილობდა ბალტიისპირეთის ადაპტაციას რუსეთის იმპერიის დახარჩენ ნაწილებთან [9, 52].

XIX საუკუნის მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იღვწოდა, თავის მოკავშირედ მიიჩნევდა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებს: ლატვიელებს, ფინელებს, პოლონელებს, ლიტველებს, უკრაინელებს, ესტონელებს და სხვ.

იმავე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ქართული პრესა დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართველებივით მცირერიცხოვანი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხების იმდროინდელი ყოფით და მათ ზედს ერთმანეთს ადარებდა. ქართველი ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ ამ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე და მკითხველს მდიდარ ინფორმაციას აწოდებდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.

იმავე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც ცხოვრობდა ლატვიელი მწერალი ე. ბირზნიექს-უპიტისი, რომლის მოთხრობებშიც აშკარად იგრძნობა ავტორის სიყვარული საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

I მსოფლიო ომის (1914-1918) პერიოდში საქართველოს თავი შეაფარა არაერთმა ევროპელმა ლტოლვილმა და მათ შორის ლატვიელებმაც. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა რუსეთოსმალეთის ფრონტის რღვევის პერიოდში.

რუსეთის საიმპერიო არმიიდან გამოქცეული ლატვიელი სამხედრო პირები ძირითადად დასახლდნენ თბილისში, დიდუბეში არსებულ გერმანელთა დასახლებაში, ბალის ქუჩაზე («Садовая улица»), რომელიც ამჟამად აღარ არსებობს.

რუსეთის იმპერიის დანგრევამ (1917 წ.) ქართველ და ლატვიელ ხალხებს შესაძლებლობა მისცა, რომ თავისუფლება მოეპოვებინათ.

საგულისხმოა, რომ საქართველომაც და ლატვიამაც, რომლებიც თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ცარიზმის დამხობის შემდეგ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი თითქმის ერთდროულად აღიდგინეს. ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდა.

საქართველოში დამკვიდრებულმა ლატვიელებმა დააფუძნეს თავიანთი სათვისტომო, რომელიც იურიდიულად რეგისტრირებულ

იქნა თბილისში, მიხეილის პროსპექტის (თანამედროვე დავიტი აღმაშენებლის გამზირი) № 180-ში.

მალე, მიხეილის პროსპექტის № 171-ში დაფუძნდა ლატვიის საკონსულო, რომელსაც სათავეში ცნობილი ლატვიელი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე იული სტრაუმე ჩაუდგა.

სტრაუმე საქართველოში 16 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. მან გარკვეული კვალი დააჩნია სამხრეთ კავკასიის კულტურულ ცხოვრებას. ის სწავლობდა სანკტ-პეტერბურგსა და პარიზში. 1908 წელს იგი მხატვრად მოავლინეს თბილისში მოქმედ კავკასიის შინამრეწველობის (კუსტარულ) კომიტეტში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დაფუძნებაში. თანამედროვე მუზეუმში მისი 500-მდე მხატვრული ნამუშევარი შემორჩა. მან პოლონელ მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკისთან ერთად მოხატა სათავადაზნაურო ბანკი (თანამედროვე ეროვნული ბიბლიოთეკა). მანვე შექმნა პირველი კარადები სამუზეუმო ექსპონატებისათვის [8, 270-272].

სამწუხაროდ, 1921 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს უმოკავშირეოდ დარჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, რასაც ანექსია მოჰყვა. ასეთივე საფრთხე ემუქრებოდა ლატვიასაც, რომელმაც ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება და თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით 1940 წლის ზაფხულამდე მოახერხა.

1923 წელს, სსრ კავშირში მიიღეს კანონი უცხოელთა შესახებ, რომლის თანახმადაც, მის ტერიტორიაზე მცხოვრები ლატვიელები ფაქტობრივად გამოცხადდნენ მტრული სახელმწიფოს მოქალაქეებად, ვინაიდან ლატვია იმხანად ჯერ არ შედიოდა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის (ანუ სსრკ-ის) შემადგენლობაში. ბუნებრივია, ეს კანონი საქართველოში მცხოვრებ ლატვიელებსაც შეეხებოდა.

თბილისში სულ ცოტა ხნის წინათ დაფუძნებული ლატვიის საკონსულო იძულებული გახდა, რომ თავისი მოქალაქეების სამშობლოში დეპორტაციაზე ეზრუნა. ყველაზე ბოლოს, ლატვიაში გაემგზავრა კონსული ი. სტრაუმე, რომელიც თავის მოვალეობას საზოგადოებრივ სანყისებზე ასრულებდა.

საბჭოური ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიან დედატეში სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ საქართველოში მოავლინა ცნობილი ლატვიელი ინჟინრები დულკისი და ურკევიცი, რომელიც ამიერკავკასიის სფსრ-ის საჰაერო ტრანსპორტის პირველი მინისტრი იყო. ამ ლატვიური საგვარეულოების წარმომადგენლები საქართველოში დღესაც ცხოვრობენ [8, 271].

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და რეპ-

რესიების დანყების შემდეგ, ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში წასულიყო. საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის, იტალიის და სხვა ევროპული ქვეყნების გარდა, ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი ჯგუფი ლატვიაშიც ჩავიდა.

XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ლატვიაში თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი შალვა მალლაკელიძე (1894-1976). II მსოფლიო ომის პერიოდში იგი იყო გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველი (მილიტერბერატერი), ვერმახტის გენერალ-მაიორი (1944 წლის მაისიდან).

შ. მალლაკელიძეს ცოლად ჰყავდა რიგელი გერმანელი, კათოლიკე ასული მარია, რომლის წინაპრებიც ლატვიაში ბავარიიდან გადასახლდნენ. 1914 წელს იგი სამოგზაუროდ ჩამოვიდა საქართველოში და I მსოფლიო ომის დანყების გამო, იძულებული გახდა, რომ აქვე დარჩენილიყო. მომავალმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი 1918 წელს, ახალციხეში გაიცნო და იმავე ქალაქში არსებულ კათოლიკურ ეკლესიაში იქორწინა. კათოლიკური აღმსარებლობისა იყო მათ ვაჟიც – გაიოზ შალვას ძე მალლაკელიძე (1920-1989).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი შ. მალლაკელიძეც დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მოგვიანებით, მას საზღვარგარეთ ემიგრირების ნება დართეს. ამის შემდეგ, იგი თავის ცოლ-შვილთან და მოსკოვში მყოფ ცოლისდასთან ერთად წავიდა მეუღლის სამშობლოში – ლატვიაში.

თავის მემუარებში შ. მალლაკელიძე ასე იგონებდა ლატვიაში წასვლის შესახებ: "მოსკოვში 6-7 თვე ვიყავი... პეშკოვა იყო ლენინის პირადი რწმუნებული, გორკის პირველი ცოლი და მას აკისრია, რომ გაისტუმროს გავლენიანი მენშევიკები აქედან..."

პეშკოვამ წამიყვანა ლატვიის საელჩოში. ფელდმანი იყო ელჩი. მომცა ფელდმანმა ვიზა და მკითხა:

– რიგაში რატომ მიდიხარ?

მე ვუთხარი:

– ცოლი გერმანელი მყავს და რიგის გუბერნიაში მამული აქვს – შერბერგში... ავიღე ვიზები... ნავედით დემოკრატიულ ლატვიაში" [3, 125-126].

რიგაში ჩასული შ. მალლაკელიძე თავდაპირველად თავისი ცოლისძმის სახლში, ოჯახთან ერთად დაბინავდა. ერთ დროს შეძლებული მისი ცოლისძმის საკუთრებაში დარჩენილი იყო მხოლოდ ლუდხანა და წისქვილი, რადგან მამულები მას აგრარული რეფორმის შედეგად ჩამოართვეს.

ახლა გავარდა ხმა და მაგას ამას ვუზამთო და იმასაო, უნდა გავასახლოთ, პოლიტიკური კაცია, ასეთ-ისეთია, რატომ ითვლება ჩვენს ჯარშიო („დვინსკი“ კავალერიის პოლკში ვითვლებოდი და მთელი რიგი პოლიტიკური ამოცანები მიქონდა დასახული, საბჭოების წინააღმდეგ მიმართული).

ახლა მე გამოვიწვიე დუელში მათი ყველა სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი და დავუნიშნე ის „ცარსკი ლესში“ – რიგის გადაღმა დიდი ტყეა. დავნიშნე სეკუნდანტები და თვითონ ბალოდისიც დავასახელე, მათი სამხედრო მინისტრი, ჩემთან სწავლობდა. იარაღის არჩევანი თქვენზე მომინდვია-თქო. მაგრამ არცერთი ლატვიელი არ გამოცხადდა დუელზე. საქმე ისე ახსნეს, თითქოს ბალოდისმა გასცა განკარგულება, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დუელი აიკრძალა და დემოკრატიულ ლატვიაში არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ მასო.

ეს ამბავი ადგილობრივმა გაზეთებმაც აღნიშნეს. გაზეთი იყო იქ „ზა კულისამი“, გამოდიოდა რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-ლატვიურ ენებზე და არისტოკრატიულ ცხოვრებას ასახავდა, იქ ინერებოდა ამისთანა ამბები“ [3, 32].

1933 წელს ლატვიაში ჩამოყალიბდა ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება, რომელსაც საკუთარი ოფისი ქვეყნის დედაქალაქში – რიგაში ჰქონდა [1, 27].

საზოგადოების გამგეობა საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა. იგი საზოგადოების წევრებს უფასო იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას უწევდა. საზოგადოებასთან დაარსდა საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი კურსებიც. ხუთშაბათობით იკითხებოდა მოხსენებები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკითხების შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზემოხსენებული რეჟისორი იური იუროვსკი, წევრებად: ალექსანდრე და ნინო შვანგირაძეები (ზემოხსენებული გიორგი შვანგირაძის შვილები), მარია მალლაკელიძე (შ. მალლაკელიძის მეუღლე), კ. ცინცაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ავთანდილ ჩიკაშუა, კ. ავსაძე, თ. ხმალაძე და ს. ტერ-ხაჩატუროვი.

ამ საზოგადოებას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ადმირალ სპადეს მეუღლე ნადეჟდა სპადე (ქალიშვილობის გვარი – მეტრეველი).

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერი სპადე მსახურობდა ადმირალ ჭავჭავაძის სამხედრო შენაერთში და ქართველების მიმართ პატივისცემით გამოირჩეოდა. აქვე დავსძენთ, რომ წარჩინებული თავადების – ჭავჭავაძეების საგვარეულოდან რუსეთის საიმპერიო არმიის მრავალი სახელოვანი გენერალი და ოფიცერი გამოვიდა [12, 234-246].

1934 წლის მინურულს, ჟურნალ „ორნატის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის („რიგელის“ ფსევდონიმით) სტატია „ქართველთა საზოგადოება ლატვიაში“, რომელშიც ეკითხულობთ: „მართალია, მთელი შემადგენლობა საზოგადოებისა ლატვიის მოქალაქეთაგან შესდგება და ბევრი მათგანი თვით ლატვიაშია დაბადებული, მაგრამ მათი ინტერესი და სიყვარული დაშორებულ საქართველოსადმი ფრიად დიდია“ [7, 31].

1939 წლის შემოდგომაზე გერმანიამ და სსრ კავშირმა მათ მიერვე ოკუპირებული პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორია შუაზე გაიყვეს.

საგულისხმოა, რომ მათ შორის საზღვრების გამიჯვნის ხელშეკრულებას, სხვებთან ერთად ხელი მოაწერა შალვა მალლაკელიძე-მაც, ოლონდ – ლატვიური გვარით – „Ozols“ (ოზოლს), რაც ამ ენაზე მუხას ნიშნავს.

შ. მალლაკელიძე იგონებდა: „ომი უკვე დამთავრებულია და ვარ ვარშავაში... ერთ მშვენიერ დილას, რიცხვი არ მახსოვს, სასწრაფოდ მიბარებენ შტაბში და მთხოვენ, როგორც რუსულის მცოდნეს, მივყვე გერმანელ ოფიცრებს იმ ხიდან – თურმე რუსული არმია შემოვიდა იქ და ხიდან დგას. მივედით იქ და ვხედავთ ახალგაზრდა რუსი მაიორი რუკით ხელში და ორი ჯარისკაცის თანხლებით შუა ხიდზე დგანან და ჩვენ გველოდებიან. მე ცივილური ტანისამოსი მაცვია და რუს გერმანელი ვგონივარ.

– გუტენ ტაგ! – მომესალმა.

პატარა ხანში შევატყვე, რომ გერმანული არ იცის კარგად და ისედაც ელავს. ამიტომ რუსულად მივმართე. გამოირკვა, რომ ესენი შემოსულან „პო დოგოვორუ“, რომ სტალინსა და ჰიტლერს შორის მოლაპარაკება ყოფილა პოლონეთის გაყოფაზე და ახლა მეკითხება, რომ ჩვენ, ე. ი. რუსული არმია სად გავჩერდეთო, ვარშავის ეს ნაწილი ჩვენიო და სხვა...

მე ვუთხარი, რომ ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ ვარშავის სამხედრო კომენდანტს, თუ არ ვცდები, კიზინგერს. მართლაც იქ წავიდნენ გერმანელი ოფიცრები... დაბრუნდნენ და თქვეს:

– ფიურერის ბრძანებაა, რომ რუსებმა უკან უნდა დაიხიონო!

ამ დროს მთელ ვარშავაში სადღესასწაულო განწყობაა გერმანულ ჯარებში, მღერიან ლილი მარლენის სიმღერებს, მღერიან ჰოლივუდის ფილმებიდან და ერთი სიტყვით საბრძოლო სულისკვეთება მაღალ დონეზეა... ჰიტლერმა იცის ეს და გერმანელების შეტევა რუსებზე ადვილად განხორციელდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იცოდა სტალინმაც და ამიტომ რუსის ჯარმა უყოყმანოდ დაიწყო უკან დახევა. ეს დიდი სიბრძნე იყო სტალინის მხრიდან, რადგან არ მეგულებოდა ჯარი, რომელიც ასე თავლაფდასხმული დაიხევდა იქ უკან...

დაიწყო ამ ჯარმა ზედ ამ ხიდიდან უკან დახევა. ჩვენ მივყვე-
ბით მათ ფეხდაფეხ (მე ცხენით) და, ერთი სიტყვით, სულ დატოვეს
პოლონეთი და მივადექით სასაზღვრო ტყეს, რომლის განაპირას რა-
ღაცა „ბუდკა“ იდგა. შევედით შიგ და რუსის გენერლებია... იმ „ბუდ-
კაში“ ხელი მოვანერეთ ამ ახალ სასაზღვრო ხელშეკრულებას – მე
ლატვიურად... ვითომც ლატვიელი ვარ“ [3, 157-158].

ქართველთა საზოგადოება ლატვიაში მოღვაწეობას განაგ-
რძობდა სსრკ-ის შეიარაღებული ძალების მიერ ამ დამოუკიდებელი
ქვეყნის ოკუპაციამდე და იძულებით გასაბჭოებამდე, რაც 1940
წლის ივნისში მოხდა.

საგულისხმოა, რომ შ. მალლაკელიძე თავისუფლად ფლობდა
ლატვიურ ენას, რაც მას ლატვიიდან გადასახლების შემდეგაც არა-
ერთხელ გამოადგა. ამის დამადასტურებელ ფაქტებს ქვემოთ მოვი-
ტანთ.

1942 წლის ზაფხულში გერმანულმა არმიამ კავკასიის ჩრდი-
ლო-დასავლეთი ნაწილი დაიკავა. მის შემადგენლობაში შედიოდა
ქართული შეიარაღებული ნაწილიც – ლეგიონი, რომელიც ემიგრან-
ტებისა და საბჭოთა არმიის ყოფილი მოსამსახურეთაგან შედგებო-
და. მას სათავეში შ. მალლაკელიძე ედგა.

მის მოგონებებში ვკითხულობთ: „პიატიგორსკში შემემთხვა
ასეთი ამბავი: ჩვენი შესვლა იყო იქ და შემატყობინეს – გერმანელთა
სამხედრო-საველე სასამართლო კინოთეატრის შენობაში ასამარ-
თლებს ტყვე საბჭოთა ოფიცრებს, რომლებიც ქართველები არიანო.
მაშინვე გავეშურე იქით. შევედი და მესამის:

– „ფერუტაილე ცუმ ტოდე!“ (ე. ი. სიკვდილით დაისაჯოს).

ამ თეატრის სცენაზე ზის სამი გერმანელი პოლკოვნიკი და
ასამართლებენ 9 ოფიცერს, ცხრავე ქართველს! რომ გამოაცხადეს
განაჩენი, ერთი ქართველი წაიქცა, ეტყობა კი იცოდა იმდენი გერმა-
ნული. მე მივედი, მეორე აყენებს ფეხზე. წაქცეულის გვარი აღმოჩ-
ნდა გაჩეჩილაძე, შავთმიანი ბიჭი იყო. ახლა მე შემრცხვა – რაღა მა-
ინცდამაინც ამ ქართველებს ასამართლებენ. ამასობაში, ის პოლკო-
ვნიკი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეობდა, უეცრად წა-
მოდგა და მოვიდა ჩემთან.

„ენტშულდიგენ ზი ბიტტი!“ – ბოდიში მომიხადა. თურმე ეს
არის ლატვიელი გერმანელი, რომელსაც მე რიგიდან ვახსოვარ.

ახლა მე მივმართავ მას ლატვიურად: „მე „მილიტერბერატე-
რი“ ვარ, ოკვ-ს წევრი და გადმომეცით ეს პატიმრები თავიანთი საქ-
მეებიანად-მეთქი.

– ესენი მზვერავებად იყვნენ აქ შემოგზავნილიო – მიპასუხა,
მაგრამ საბოლოოდ დამთანხმდა. დააბრუნეს ისინი ციხეში. კარგად
ეპრობოდნენ, ე. ი. ისინი უკვე მე დამანერეს“ [3, 188].

1943 წლის დასაწყისში, როდესაც ჩრდილო კავკასიაში დაბა-

საკებულმა გერმანულმა არმიამ უკან დაიხია (დასავლეთის მიმარ-
თულებით), პიატიგორსკში ჩასულ შ. მალლაკელიძეს მის მიერ გა-
დარჩენილი ქართველები ციხიდან განთავისუფლებულნი დახვდნენ
და თან გააყვინენ.

II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისა და კაპიტულაციის
სიმენტში, შ. მალლაკელიძე – ბავარიაში, რუპოლდინგში იმყოფებო-
და. იგი იკონებდა: „ქალაქ ტრაუნშტაინში, ამ რაიონის ცენტრში, მე
წარვუდექი ამერიკელ გენერალს, რომელიც გუბერნატორის როლს
ასრულებდა, რეგისტრაციაში გასატარებლად – ყველა ოფიცერი
ცალდებული იყო, რომ გაველო რეგისტრაცია... მე გენერალს ვუთ-
ხარი, რომ გადმოსული ვარ ფრანგული ზონიდან და ახლა მასთან
ცტარდები რეგისტრაციაში. ამ გენერალს ადიუტანტი ლატვიელი
კეხავდა და ძალზე გაუხარდა, რომ ლატვიური ვიცოდი. ძალზე კარ-
გად შემხვდნენ და მეც კარგად ვიყავი რუპოლდინგში“ [3, 208].

1945 წლის ნოემბერამდე შ. მალლაკელიძემ რუპოლდინგში
დაჰყო, რის შემდეგაც იგი თავისი ვაჟის გაიოზ მალლაკელიძის დახ-
მარებით იტალიაში გადავიდა.

II მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს ლატვიელთა ახა-
ლი ნაკადი ეწვია. მათ უმეტესობას წარმოადგენდნენ ქალები, რომ-
ლებმაც ომის მძიმე წლები თავიანთ ქართველ ქმრებთან განვლეს.
მათ შორის იყვნენ ალევტინა კრუზმან-ბერუაშვილი, აუსტრა ტაუ-
რინა-მელიქიშვილი და სხვები.

XX საუკუნის მეორე ნახევარში სსრ კავშირის ცალკეულ ქალა-
ქებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში ერთად სწავლობდნენ
ქართველი და ლატვიელი ახალგაზრდები, რომელთაგანაც არაერთი
მერეული, ქართულ-ლატვიური ოჯახი შეიქმნა. რამდენიმე ასეთი
ოჯახი – საქართველოში, ხოლო რამდენიმე – ლატვიაში ცხოვრობს.

ხსენებულ პერიოდში ლატვიურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა
შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ქართველ
კლასიკოსთა და თანამედროვე ნაწარმოებები, ხოლო ქართულად
ითარგმნა ლატვიელ შემოქმედთა – ი. ლანისის, ა. უპატისის, ვ. ლა-
ცისისა და სხვათა თხზულებანი.

ლატვიას მიუძღვნეს ლექსები იოსებ ნონეშვილმა და თამაზ
ჭილაძემ, ხოლო ე. კემპემ დაწერა ლექსები საქართველოზე.

სსრ კავშირის დაშლის (1991 წ.) შემდეგ, საქართველოში
მცხოვრებმა ლატვიელებმა გადაწყვიტეს, რომ თავიანთი სათვის-
ტომო ჩამოეყალიბებინათ.

1994 წელს თბილისში ოფიციალურად მოქმედ ლატვიელთა
სათვისტომოში „Ave Sol“ – 50-მდე ლატვიელი ირიცხებოდა. მას სა-
თავეში ჩაუდგა ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში, ქარ-
თველების რძალი, პროფესორი რეგინა იაკობიძე. ის სათვისტომოს

უნარიანად ხელმძღვანელობს.

1999 წლის ივლისში, საქართველოში ლატვიელთა სათვისტომოსა და პირადად კონსულ რ. იაკობიძის თაოსნობით, ლატვიის არქივისა და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მხარდაჭერით, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ი. სტრაუმეს დაბადების 125 წლისთავს მიეძღვნა. დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე იმ შენობის კედელზე, სადაც XX საუკუნის ოციან წლებში ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო მდებარეობდა, სათანადო მემორიალური დაფა გაკეთდა.

თბილისში მოქმედ ლატვიელთა სათვისტომოში, ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად, ახალგაზრდებიც არიან გაერთიანებულნი. მათი ლატვიურ ენასთან და კულტურასთან დაახლოებისათვის სათვისტომოსთან არსებული საკვირაო სკოლა იღვწის. სათვისტომოს ძირითადი ამოცანას იდენტობისა და წინაპრების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენს. ამ მიზნით, ლატვიიდან სისტემატურად ჩამოდის ლიტერატურა, პრესა, ვიდეოკასეტები, ეწყობა შეხვედრები ლატვიიდან ჩამოსულ თანამემამულეებთან.

ზემოთქმულის პარალელურად, საქართველოში მცხოვრები ლატვიელები მონდომებით ცდილობენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში ინტეგრაციას, ეუფლებიან ქართულ ენას და სხვ. [8, 270-272].

ამჟამად, საქართველოს და ლატვიას შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს.

ამრიგად, ქართულ-ლატვიურ ურთიერთობებს დაახლოებით ორსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. იგი სათავეს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოც და ლატვიაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

ამ ურთიერთობამ შედარებით ინტენსიური ხასიათი შეიძინა XX საუკუნის დასაწყისიდან. კერძოდ, 20-იან წლებში თბილისში მოქმედებდა ლატვიის სათვისტომო და საკონსულო, ხოლო 20-40-იან წლებში ლატვიაში არსებობდა ჯერ კავკასიური, ხოლო შემდეგ ქართული საზოგადოებები.

სსრ კავშირის დაშლის (1991 წ.) შემდეგ, ქართულ-ლატვიური ურთიერთობები საქართველო-ლატვიის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში გადაიზარდა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დაუშვილი რუსუდან, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.
2. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსნავლა კალმასობა, წიგნი II, თბ., 1991.
3. მალლაკელიძე შალვა, მოგონებანი, წგნ.: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში“, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბ., 1994.
4. მეგრელიძე შამშუ, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.
5. ორბელიანი გრიგოლ, წერილები (1832-1850 წლები), ტ. I, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1936.
6. ორბელიანი გრიგოლ, თხზულებათა სრული კრებული, აკაკი განწერელიას და ჯუმბერ ჭუმბურიძის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1959.
7. რიგელი, ქართველთა საზოგადოება ლატვიაში, ჟურნალი „ორნატი“, პარიზი, 1934, №6.
8. ჩიქოვანი გულდამ, ლატვიელები, წგნ.: „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის მიერ, თბ., 2008.
9. Дворянские роды Российской империи. т. I, Князья. Руководитель авторского коллектива П. Гребельский, под редакцией С. Думина, СПб., 1993.
10. Дворянские роды Российской империи. III, Князья, под редакцией С. Думина, Москва, 1996.
11. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003.
12. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998.
13. Мурашев Г., Титулы, чины, награды, СПб., 2002.
14. Сычев Н., Книга династий, Москва, 2006.

განათლების საკითხი გაზეთ „ისარში“

გაზეთი „ისარი“ 1907 წლის დასაწყისში დახურულ სოციალისტ-ფედერალისტური „მეგობრის“ ნაცვლად გამოვიდა. იგი წარმოადგენდა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთს, რომლის გამომცემელი იყო ესტატე ავალიშვილი. გაზეთი გამოდიოდა 1907-1908 წლებში. მისი დახურვის მიზეზი გახდა პირდაპირობა, ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება. გაზეთს ჰქონდა თავისი გამოკვეთილი ეროვნული პროგრამა, რომელიც ილია ჭავჭავაძის „ივერიიდან“ მოდიოდა და თუმცა ეროვნული პრობლემა კვლავ აკრძალულ თემად რჩებოდა, გაზეთი მაინც არ ელეოდა მას, პირდაპირ და მწვავედ აყენებდა ჩვენი ერის გადარჩენისათვის საჭირო საკითხებს. გაზეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო განათლების საკითხებზე მსჯელობა და მისგან გამომდინარე მთელ რიგ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს ქართულმა განათლებამ დიდი ზიანი განიცადა. რევოლუციის ჩასახშობად რუსული ჯარის მიერ წარმოებულმა სამხედრო ოპერაციებმა უშუალო ზეგავლენა იქონიეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაზე: იხურებოდა გაზეთები, ინგრეოდა შენობები, სიახლეები კულტურულ ცხოვრებაში თითქმის აღარ იყო. გაზეთი „ისარი“ ობიექტურად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებული გულისტკივილით აღწერდა იმ პოლიტიკურ ტერორს, რაც რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში ასე მასშტაბური გახდა ქვეყანაში. გამოჩენილი ქართველი პედაგოგის და პატრიოტის შიო ჩიტაძის მკვლელობის დეტალებს მიეძღვნა გაზეთის რამდენიმე ნომერი, სადაც ავტორები თავიანთ აღშფოთებას ვერ მალავდნენ ამ ბარბაროსული აქტის გამო. შიო ჩიტაძის გარდა, ბევრი სხვა ცნობილი პედაგოგიც შეენირო პოლიტიკურ რეაქციებს და ტერორს.

გაზეთი „ისარი“ წერდა იმ ზარალზე, რაც ქართულმა განათლებამ რუსეთის I რევოლუციის წლებში განიცადა, „ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ ერთი საოცარი თვისება ქართველი ერისა, რომელიც მან გამოიჩინა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს. იმ დროს, როცა ყველა ეროვნებამ, ვისაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი ჰქონდა შერჩენილი, ფართოდ ისარგებლა რუსეთის მდგომარეობით

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

„უჩინარი, მაგრამ დიადი“

ალექსანდრე გარსევანიშვილი

1864-1936

გაზეთ „სამშობლოს“ თანამშრომელი – „ირდი“-ს ფსევდონიმით, 1916 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციას, ალექსანდრე გარსევანიშვილს რომ ეძღვნებოდა, ასე ასათაურებდა: „უჩინარი, მაგრამ დიადი“. სათაურშივე პუბლიცისტი იმ აზრს დებდა, რაც ყველაზე მეტად ასახავდა ამ მოღვაწის პიროვნულ და საზოგადოებრივ პორტრეტს. არაფერი თავისთვის, ყველაფერი სამშობლოსა და ქართულ საზოგადოებას, – ასეთი იყო ამ კარგი მამულიშვილის ცხოვრების დევიზი.

შესაძლოა დღევანდელი ქართული საზოგადოებისთვის ეს გვარ-სახელი ბევრს აღარაფერს ამბობდეს, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე გარსევანიშვილის სახელი მთელი ქართული საზოგადოებისთვის ნაცნობი და დაფასებული იყო. მისი წვლილი ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს მრავალმხრივი და დაულალავი მოღვაწე ნამდვილად იმსახურებს შთამომავლობისაგან გახსენებას...

ალექსანდრე გარსევანიშვილის პიროვნება ძალზე საინტერესოა. მისი პირადი არქივი, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული, ცხრაასზე მეტ დოკუმენტს მოიცავს. გარსევანიშვილის არქივის ნაწილი გორის მუზეუმშია, ნაწილი კი – მისმა დამ გადასცა პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ფონდს. ამ საარქივო დოკუმენტებში არეკლილია თითქმის მთლიანი სახე მაშინდელი საქართველოს კულტურული ცხოვრებისა, კარგად ჩანს გარსევანიშვილის – როგორც ბრწყინვალე პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი ლიტერატორის, თეატრის დიდი გულშემატკივრისა და მეცენატის სახე. ეს ხომ ის პერიოდია იყო, როდესაც ლეთის განგებით, თითქოს მაშინდელი საქართველოს მდგომარეობას ითვალისწინებდნენ, ადამიანებში მრავალმხრივი ნიჭი იდო და, ასეთი ნიჭით დაჯილდოებულნი, მრავალნიერ ტვირთს იკიდებდნენ მამულის სამსახურში. როდესაც საქართველოს მეორე

საგუბერნიო ქალაქ ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტი დაარსდა 1910 წელს, ეს არ იყო მარტოოდენ ერთი დაწესებულების შექმნა, ეს იყო ერის სულიერ ცხოვრებაში, რუსეთის დამპყრობლურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში წინგადადგმული ერთი ნაბიჯი. იმ დროისათვის სახალხო უნივერსიტეტის დაარსება ძალზე ძნელი იყო, იდეა მისი შექმნის შესახებ ქართული გიმნაზიის მასწავლებლებში გაჩნდა და მისი პრაქტიკული განხორციელება ალექსანდრე გარსევანიშვილმა შეძლო. აი რას წერს დიდი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი ამ ფაქტზე: ... „გვყავდა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის ინიციატორი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ქართული გიმნაზია თავისი გამგედან, დაუვინყარი იოსებ ოცხელიდან, უკანასკნელ მასწავლებლამდის – შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსების, ერთგვარი იდეით გატაცებულების, რომელნიც განსხვავებული გატაცებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად. ერთი ამათგანი იყო გარსევანიშვილი. მან თავდადებით განიზრახა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. ვინც გაითვალისწინებს იმ დროს, გაკვირვებას მიეცემა უნებლიედ, თუ როგორ, რა შეუდრეკელი დაუინებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ამის შემსრულებელი ადამიანი. მე დღესაც მიკვირს, როგორ გამოსტყუა გარსევანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა, როგორ მოიპოვა საშუალება ფართე მასასთან მისასვლელად. მთავრობა თუ ფიქრობდა არაფერი გამოვყო და ნებასაც იმიტომ რთავდა. თუ ასე იყო, შეცთა კი ძალზე მეტად“ [7, 293-294].

გარსევანიშვილი წარმოშობით გორიდან იყო, მისი გვარის წარმომადგენლები უძველეს ისტორიულ წყაროებში არიან მოხსენიებულნი, როგორც ქართველ მეფეთა კარზე დაახლოებული პირნი, ამიტომაც, საზოგადოებაში ყოველთვის დიდი გავლენით სარგებლობდნენ. პლატონ იოსელიანი ასახელებს რამდენიმე გარსევანიშვილს შრომაში – „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, როგორც „მასწავლებელს მრავალთა თავადთა და აზნაურთა“ [5, 35-43].

გარსევანიშვილის გვარის წარმოშობაზე საუბრობს ზაქარია კიკნაძე წიგნში, რომელიც ამ მოღვაწის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეძღვნება. მისი აზრით, ეს გვარი XI საუკუნიდან იღებს სათავეს და უკავშირდება ცნობილ ოქონის ხატს. გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის მეუღლეს – ბიზანტიის იმპერატორის ასულ ელენეს მზითვეში მოჰყვა ოქონის ხატი, რომელსაც გამოჰყვა ამ ხატის დეკანოზი, ვინმე ფილიმონი. ფილიმონის შთამომავლები დეკანოზები და ამ ხატის მსახურნი იყვნენ. ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს ხატი თან წაუღია რუსეთში, ხატს თან გაჰყოლია დეკანოზი იესე. შემდეგში ხატი ისევ გორში ჩამოუტანიათ და მისი სახელობის ეკლესიაში დაუბრძანებიათ. ზ. კიკნაძის აზრით,

1187 წელს ფილიმონის შთამომავალს—გარსევანს თამარ მეფემ მისცა სიგელი და მამულები გადასცა ქართლში. ვახტანგ VI-მ ეს სიგელი განუახლა იესეს და თამარის სიგელში ნახსენები მამულები — ხიდისთავში, ბერბუკში, სარბევში, რეხაში და გარეჯვარში ხელახლა დაუმტკიცა.

იესეს მამასაც გარსევანი რქმევია, რომელიც თეიმურაზისა და როსტომ მეფის დროს ყოფილა დეკანოზად, გარსევანის მამა მარკოზი კი დეკანოზი ყოფილა სვიმონის მეფობაში,

ოქონის ხატის დეკანოზი იესე ვახტანგ VI-ის შვილის— ვახუშტის აღმზრდელი ყოფილა ძმასთან, გიორგისთან ერთად. ვახუშტისა და მისი ვაჟის — იოანეს გარსევანიშვილებისთვის მიცემულ სიგელში საუბარია ამ ღვანლზე. ვახტანგ VI-საც აქვს გარსევანიშვილების ამბავზე საუბარი იმ სიგელში, რომელიც მან დეკანოზ იესეს მისცა [6, 7].

ვახტანგ VI-ის დროს მცხოვრები იესეს ხაზით ასე წამოვიდა გარსევანიშვილების გვარი: იესეს შვილი ივანე ერისკაცი იყო, ივანეს შვილი იაკობი — დეკანოზი, იაკობის შვილი — სიმონი — ერისკაცი, სიმონის შვილი — ალექსანდრე იყო მამა ჩვენი ალექსანდრე გარსევანიშვილისა. ალექსანდრე სიმონის—ძე დაბადებულა 1831 წელს. მისი შვილები იყვნენ: ნიკოლოზი, ვასილი, მიხეილი, ალექსანდრე, ანასტასია და სოფიო. ვაჟები ადრე გარდაცვლილან, სოფიოც ახალგაზრდობაში, გათხოვებამდე მომკვდარა. რაც შეეხება ანასტასიას, მან უპატრონა არა მარტო ძმის სახლს, არამედ მის სულიერ მემკვიდრეობასაც: მუზეუმებსა და არქივებს გადასცა მისი ნაწერები. ანასტასია იყო სახელმძღვანელოების ავტორის, ალექსანდრესთან დაახლოებული და ქუთაისში მოღვაწე პედაგოგის — სერგო რობაქიძის მეუღლე.

გარსევანიშვილების გვარს ვხვდებით ზაქარია ჭიჭინაძის მიერ აღწერილ იმ ფაქტობრივ მასალებშიც, ბატონყმობას რომ შეეხება. ის იხსენებს შავშეთის სოფელ ოქრობაგეში მცხოვრებ ივანე გარსევანიშვილს, რომელიც ვენეციაში აღზრდილა, დაბრუნების შემდეგ კი ოქრობაგეში მოღვაწეობდა. 1760 წელს შავშეთში ლეკებს გზად გაუტარებიათ დიდძალი ქართველი ტყვე, რომელთაგან ზოგი მოტაცებული იყო, ზოგიც ნაყიდი... ივანე გარსევანიშვილი ამ ამბავს ალუმფოთებია, დახვედრია ლეკებს, ფულით დაუხსნია მოძმენი და გაუთავისუფლებია, იგი მოუწამლავეთ 1779 წლის 5 თებერვალს [4, 4].

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ეს ივანე თუ იოანე გარსევანიშვილი კათოლიკე იყო, წიგნში— „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწენი“ — ის საუბრობს იმ ქართველებზე, რომლებიც ოსმალური აგრესიის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კათოლიკენი გახდნენ. ალექსანდრე გარსევანიშვილის მამა და თავად ისიც, წინაპართა დიდი მართლმადიდებლური ტრადიციების მიუხედავად, კათოლიკეები იყვნენ [9, 17-18]. ალბათ, კათოლიკე იყო ვინმე იესე გარსევანიშვი-

ლიც, რომელიც არ ჩანს ზაქარია კიკნაძისეულ გარსევანიშვილების გენეალოგიაში, მაგრამ ექვს გარეშეა, ისიც ჩვენი გარსევანიშვილის წინაპარია (დიდი წინაპრის, ვახტანგ VI-ის დროინდელი დეკანოზის— იესეს მოსახელე). მკვლევარი ლევან ასათიანი მას ვოლტერიანელად და მის მთარგმნელად ასახელებს. 1838 წელს, იესე გარსევანიშვილს ქართულად უთარგმნია ვოლტერის „ლუდოვიკო XIV-ისა და ლუდოვიკო XV-ის მეფობის ისტორია“. ასათიანის ვარაუდით, ეს თარგმანი მოსკოვის 1809 წლის გამოცემიდან უნდა შესრულებულიყო. რა ენაზე გამოიცა მოსკოვში ვოლტერი, ნათქვამი არაა, თუმცა ეს შეიძლება ფრანგული ტექსტი ყოფილიყო. კათოლიკე გარსევანიშვილს ფრანგული ენა, შესაძლოა, ცოდნოდა [1, 15].

ალექსანდრე გარსევანიშვილის მამა— ალექსანდრე სიმონის ძე— განათლებული კაცი ყოფილა, დაუმთავრებია თბილისის გიმნაზია, შესანიშნავად ცოდნია რუსული და უცხოური ენები, ჟურნალ „ცისკარში“ ათავსებდა საინტერესო სტატიებს ქართველი ერის წარსულზე, ისტორიული შინაარსის მოთხრობებს, ეწეოდა ლექსიკოლოგიურსა და მთარგმნელობით მუშაობას. ცოლად ჰყოლია ფრიად განათლებული ქალი— ანა ელიზბარის ასული თუსაშვილი, რომელიც 1924 წელს გარდაიცვალა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი დაიბადა ქალაქ გორში, 1864 წელს. პირველდაწყებითი განათლება აქვე მიიღო, მისთვის წერა—კითხვა უსწავლებია დიდედას — ზედგენიძის ქალს, რომელსაც ზეპირად ცოდნია „ვეფხისტყაოსანი“. თორმეტი წლიდან სწავლა გააგრძელა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა გორის საოსტატო სემინარიის მონაფებთან, სემინარიის დირექტორ — დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვთან. ეს უკანასკნელი, მართალია, რუსი იყო და შოვინისტური საგანმანათლებლო პოლიტიკისა და რეაქციის ხანაში მოუწია მოღვაწეობამ, მაინც ცდილობდა ჰუმანური პედაგოგიური მეთოდებით ეღვანა და პატივი ეცა ქართული ტრადიციებისათვის. ამან მის აღსაზრდელეებში განსაკუთრებული ავტორიტეტი მოუპოვა. ალექსანდრე მის ვაჟს ამზადებდა ლათინურში.

ალექსანდრე გარსევანიშვილის მოგონებები ძალზე ძვირფასია საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის შესასწავლად, იმ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გასაცნობად, რასაც ამ დროის გორსა და ქუთაისში ჰქონდა ადგილი. იგი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებს ცნობილ პედაგოგსა და ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ— ერთ ხელმძღვანელს— მიხეილ ყიფიანს, მის დამოკიდებულებას ვაჟა—ფშაველასა და გოლა ჩიტაძესთან.

ალექსანდრე გარსევანიშვილი არდადეგების დროს ჩადიოდა გორში. „მე, პანსიონში მომწყვდეულ მონაფეს,—წერდა იგი,— არ მქონდა საშუალება ტფილისელ მონაფეთა არალეგალურ კრებებს

სისტემატურად დავსწრებოდი... ჩემთან ერთად გორში ხშირად მოდიოდა ჩემი ამხანაგი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (შემდეგ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი). ნამდვილი ამხანაგები ჩვენ ორივეს აქა გვყავდა". ისინი ესწრებოდნენ ლიტერატურულ შეკრებებს, არალეგალურ კრებებს, რომელიც ალექსანდრე გარსევანიშვილის ბინაში იმართებოდა, კითხულობდნენ რევოლუციური შინაარსის წიგნებს. გარსევანიშვილის სახლი მოწინავე აზრების გამავრცელებელ კერად ითვლებოდა. აქ იკრიბებოდნენ ხალხოსანი მწერლები, პროგრესული იდეებით შთაგონებული ადამიანები. 1881 წელს სწორედ აქ გაიცნო ალექსანდრემ სემინარიელი ვაჟაფშაველა. „ლიტერატურული განვითარების მხრივ იგი ყველა ჩვენგანზე მაღლა იდგა“ - წერს გარსევანიშვილი და უმატებს: „მხარბუჭიანი, შუათანა ტანის... გარეგნობა მეტად სიმპატიური ჰქონდა, განსაკუთრებით მისმა ჭკვიანმა და ბრწყინვალე თვალებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება“. ამის შემდეგ ვაჟა და ალექსანდრე გარსევანიშვილი დამეგობრდნენ. მათ შეხვედრებზეა ლაპარაკი ალ. გარსევანიშვილის „მოგონებებში“.

1881 წელსვე ალ. გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით გორში დაარსდა მოწაფეთა დრამატული წრე, რომლის სპექტაკლებში, საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებთან ერთად, მონაწილეობდა ვაჟაფშაველა, თეატრის იდეური ხელმძღვანელი კი იყო მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი [8, 110-111].

გორში ალექსანდრე გარსევანიშვილი ხვდებოდა და დაუმეგობრდა ხალხოსან მწერლებსა და მოღვაწეებს: მიხეილ ყიფიანს (1846-1916), გორის საოსტატო სემინარიის მასწავლებელს - სოფრომ მგალობლიშვილს (1851-1925), შიო დავითაშვილს, ვასილ დეკანოზიშვილს, ნიკო ლომოურს, ანტონ ფურცელაძეს, ნიკო ხიზანიშვილს (ურბნელს), ალექსანდრე ხახანაშვილს და სხვებს. გარსევანიშვილის ინიციატივით, წრეში ჩატარდა პოეტ იოსებ დავითაშვილის საღამო, სადაც შეგროვდა ფული ღარიბი პოეტის დასახმარებლად [6, 13].

1884 წელს გარსევანიშვილი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქ მან დაიწყო მთარგმნელობითი მუშაობა, საზოგადოებრივი საქმიანობა. მის არქივში დაცულია მასალები მოსკოვში სწავლის პერიოდზე. მოგონებებში ვკითხულობთ, რომ მოსკოვში ბევრი მეგობარი შეიძინა, ახალგაზრდულ რევოლუციურ წრეებსაც დაუახლოვდა, დიდი ნაცნობების წრე გაიჩინა. უნივერსიტეტთან არსებობდა სტუდენტების სასაბჭო, სადაც სადილი შედარებით იაფი ჯდებოდა. პური ამ სასაბჭოში უფასო იყო, სადილი ღირდა 30-40 კაპიკი. ზედამხედველნი და მეკარენი იყვნენ სტუდენტები, დანარჩენი მოსამსახურეები - მზარეულები, მიმტანები, ჭურჭლის მრეცხავნი, დარაჯები, კურიერები - მუ-

შათა წრიდან გამოსულები იყვნენ და სტუდენტთა სოციალურ პრობლემებს გაგებით ეკიდებოდნენ. მათი რიცხვი 80-მდე აღიწოდა, რაც რევოლუციური იდეების გავრცელების და პროპაგანდის ადგილად აქცევდა ამ სასაბჭოს. მაღე სასაბჭოსთან გაიხსნა სკოლა, სადაც სწავლა საღამოს საათებში მიმდინარეობდა. გარდა საგანმანათლებლო დანიშნულებისა, აქ იმართებოდა მეცნიერული თუ პოლიტიკური საუბრებიც სხვადასხვა საკითხებზე. იმ დროს მოსკოვის ქართველ სტუდენტთა შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი გრიგოლ ვოლსკის, ჩვენს ლიტერატურაში უმნიშვარიძის სახელით ცნობილ მწერალს. რუსი სტუდენტებიც ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. სწორედ ამ პიროვნების რეკომენდაციით იქნა მიწვეული ამ სკოლაში მასწავლებლად ალექსანდრე გარსევანიშვილი. სკოლის მუშაობა მანამ გაგრძელდა, სანამ პოლიციამ არ დახურა სასაბჭო. მთავრობა მანამდეც ეჭვის თვლით უყურებდა ამ ადგილს, რევოლუციონერთა ბუნაგად თვლიდა მას და მართალიც იყო: აქ მუდმივად იმართებოდა არალეგალური კრებები, იგეგმებოდა მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებები და ასეთი რამ დიდად აღაშფოთებდა პოლიციას.

ქუთაისში ალექსანდრე გარსევანიშვილი ოცდაათი წელი მოღვაწეობდა. 1888 წლიდან ის ასწავლიდა ქუთაისის ქართულ ოთხკლასიან პროგიმნაზიაში რუსულ ენასა და ლიტერატურას და თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა პედაგოგმა.

1892 წელს მან დროებით დატოვა ქუთაისი და მუშაობა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში სიტყვიერების მასწავლებლად. პედაგოგი თავის აღსაზრდელებში ნერგავდა ხელოვნების სიყვარულს, ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით შექმნილ სიმებიან ორკესტრს, თვითონაც შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე, ასწავლიდა საკვირაო სკოლაში, მისი ინიციატივით დაარსდა „მოზრდილ მოწაფე ქალთა წრე“ და სხვა... ამ წრის შეკრებებსა და მუსიკალურ საღამოებში მონაწილეობდნენ ლადო მესხიშვილი და ვასო აბაშიძე. სასწავლებლის ორკესტრში, ვიოლონჩელოზე უკრავდა ვანო სარაჯიშვილი...

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მან ხუთი წელი იმუშავა, დაარსა საკვირაო სკოლები, რომელთაგან ერთს თავად ხელმძღვანელობდა.

1897 წელს ალ. გარსევანიშვილი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ისევ დააბრუნა ქუთაისში, სათავადაზნაურო პროგიმნაზიის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, მუშაობდა ამ სასწავლებლის გამგედ მანამ, სანამ სასწავლებლის ხელმძღვანელად არ მოიწვიეს სახელგანთქმული პედაგოგი იოსებ ოცხელი. გიმნაზია მალე გადაკეთდა ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიად, აქ ალექსანდრე გარსევანიშვილი ჰუმან-

ნიტარულ საგნებს ასწავლიდა. მის გვერდით მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები: სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, გერასიმე ცაგარეიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, მიხეილ ჩინჩაღაძე, დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი), სიმონ დათეშიძე, სერგო რობაქიძე, თომა მთავრიშვილი, ვუკოლ ბერიძე, სოლომონ მიქელაძე, დავით ქუთათელაძე, პეტრე ყიფიანი, სოლომონ წერეთელი, ტრიფონ ჯაფარიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, ივანე პაევსკი, ია ეკალაძე, ვარვარა ვოლსკაია, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ნათაძე და სხვები...

უშუალოდ ალ. გარსევანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისში „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ ჩამოყალიბება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ეწეოდა ქართული წიგნის პროპაგანდას, მანვე გამოსცა ლიტერატურული კრებული, შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის, ასწავლიდა საკვირაო სკოლაში, რომელიც 1891 წელს შეიქმნა ქუთაისში ცნობილი პედაგოგის-მარიამ ვარდოსანიძის თაოსნობით. საკვირაო სკოლასთან გახსნილი იყო საღამოს კურსები, რომელსაც ალ. გარსევანიშვილი და ელენე ხელთუფლიშვილი ხელმძღვანელობდნენ. ყოველ კვირა-ოთხშაბათობით იკრიბებოდნენ მასწავლებლები, მსჯელობდნენ პედაგოგიურ საკითხებზე და საზოგადოებრივ პრობლემებზე, არჩევდნენ ახალ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს.

მისი ინიციატივით დაარსდა ქალ-ვაჟთა წრე, რომლის მიზანი იყო ქართული ლიტერატურის შესწავლა და პროპაგანდა. წრის მუშაობაში მონაწილეობდა აკაკი წერეთელიც. პოლიციას არ მოსწონდა წრის თამაში მუშაობის სტილი, აკაკის, კონსპირაციის მიზნით, მისთვის ურჩევია სხვა ბინაში მოეწყო შეხვედრები, მაგრამ, როდესაც პოლიციის თვალთვალში დარწმუნებულა, გარსევანიშვილს თავად დაუშლია წრე. იგი რამდენჯერმე დასაჯეს ეროვნულ თემაზე აქტიური მსჯელობის გამო, ციხეშიც ჩასვეს გაბედული აზრებისათვის...

ქართული სკოლის პედაგოგთა შორის დაარსდა ლიტერატურული წრეც, რომელმაც სამი კრებული გამოსცა სახელწოდებით „ცდა“. რედაქტორი ამ კრებულისა იყო ალექსანდრე გარსევანიშვილი. წერილები მასში აკაკის რჩევით იყო შეტანილი. წრეს მუდმივად ესწრებოდა გიორგი წერეთელი, პოეტი მამია გურიელი, სოციალ-ფედერალისტი პუბლიცისტი-გიორგი ლასხიშვილი. წრის მდივანი იყო „თავისუფალი სვანი“ (ბესარიონ ნიჟარაძე).

ქუთაისის საკვირაო სკოლის გამგეობას შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა ხარკოვის ამავე ტიპის სკოლასთან, რომელსაც ალჩევესკაია ხელმძღვანელობდა, ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, თბილისის საკვირაო სკოლასთან. ივანე პურადაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ხარკოველი და თბილისელი პედაგოგები გამოცდილების გაზიარების მიზნით სწვევიან ქუთაისს, დაწვრილებით გა-

უცნობიად ადგილზე სკვირაო სკოლის მუშაობა და კმაყოფილი დარჩენილან.

ალექსანდრე გარსევანიშვილი აქტიურად მონაწილეობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილების მუშაობაში. მისი კულტურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მრავალმხრივია, თუმცა, გამორჩეული წვლილი მან ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსებაში შეიტანა. როდესაც ამ დაწესებულების გახსნის მოთხოვნას ასაბუთებდა, იგი წერდა: „სახალხო უნივერსიტეტის გახსნა ჩვენში არის ერთგვარი დღესასწაული უკიდავების წყაროთი ზიარებისა. შეიძლება ვინმემ სთქვას, ან გაიფიქროს: ეე ბიჭო, და რა საჭიროა ეს რაღაც სახალხო უნივერსიტეტი? განა არ კმარა ის სახალხო სკოლები, რომლებსაც ასე უხვად და მრავლად ხსნის ჩვენი მთავრობა? მაგრამ ამის მთქმელი თუ გაითვალისწინებს ერთი წამით მაინც დიდ უმრავლესობას იმ დიდი მასისას, რომელიც რჩება სკოლის გარეშე და იმავდ დროს იტანჯება სწავლა-განათლებლის წყურვილით, ამას არ იტყვის და არც გაითვალისწინებს. და აი, სწორედ სახალხო უნივერსიტეტის დიდ მიზანს შეადგენს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ეგრეთწოდებული პოპულარიზაცია, ე. ი. მეცნიერების მთავარი დებულებების ხალხის სიღრმეში გადატანა“.

იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთის კოლონია იყო და მეფის ხელისუფლებას გაგონებაც კი არ უნდოდა ქართველებისათვის უნივერსიტეტის მიცემაზე, სახალხო უნივერსიტეტის გახსნა მართლაც რომ დიდი მიღწევა და ერის ცხოვრებაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამას გარდა, ამ სასწავლო-კულტურულ ცენტრში ხდებოდა ლიტერატურის, მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე მიღწევების პროპაგანდა, ეროვნული იდეოლოგიის გაღრმავება.

სახალხო უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო აუცილებელი საფეხური იმათთვის, ვისაც საშუალო სკოლა არ დაემთავრებია და უნივერსიტეტში სურდა შესვლა. უნივერსიტეტის საორგანიზაციო გეგმაში ჩამოთვლილი იყო ის პირობები, რითაც გაუმჯობესდებოდა მისი მუშაობა. ორ წელიწადში რომ შეიძლებოდა უმთავრესი საგნების გავლა, აქ შემსვლელს მოეთხოვებოდა გარკვეული მომზადება, ზოგადი განვითარება, არითმეტიკის კარგად ცოდნა. თუ ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდა მსმენელი, უნდა შესულიყო მოსამზადებელ განყოფილებაში, რომ შემდეგ სახალხო უნივერსიტეტის უმაღლეს განყოფილებაზე მოხვედრილიყო. დაბალი საფეხურის-მოსამზადებელი განყოფილების გახსნა გათვალისწინებული იყო როგორც სახალხო უნივერსიტეტთან, ასევე სხვადასხვა რაიონებში. მეორე-უმაღლესი საფეხურის დამთავრების შემდეგ, მსმენელს უფლება ეძლეოდა-უმაღლესი სასწავლებლის შესაფერის განყოფილებაზე გადასულიყო. სპეციალიზაციის მიზნით სახალხო უნივერსი-

ტეტში გაიხსნებოდა კურსები: 1. სამეურნეო; 2. სამთამადნო; 3. სამანქანო; 4; ქიმიურ-ტექნიკური. ამ კურსების გავლის შემდეგ მსმენელს გზა ეხსნებოდა უმაღლესი სასწავლებლისკენ, შესაბამისი სპეციალობის დასაუფლებლად.

წესდება 1909 წელს დაიბეჭდა ივანე კილაძის სტამბაში. თავდაპირველად განზრახული იყო, რომ უნივერსიტეტის მოქმედების არეალი მთელი ამიერკავკასია ყოფილიყო, მაგრამ სახალხო უნივერსიტეტის შექმნის ორგანიზატორები საბოლოოდ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიით შემოიფარგლენ. წესდებას 1909 წლის 25 აპრილს მოაწერა ხელი ქუთაისის გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა სლავოჩინსკიმ. საზოგადოების ნევრობა შეეძლო როგორც პიროვნებებს (18 წლამდე), ასევე დაწესებულებებს: ერობებს, ქალაქებს, ამხანაგობებს და სხვა. განევრინებდას ორი ადამიანის რეკომენდაცია ჭირდებოდა, უარის შემთხვევაში, უნივერსიტეტში შესვლის მსურველი თუ გაასაჩივრებდა, საკითხს ფარული კენჭისყრით გადაწყვეტდა საზოგადოების კრება. წლიური გადასახადი თითოეულ პირზე 25 მანეთს შეადგენდა. საზოგადოების საქმეებს განაგებდა საერთო კრებები, გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის ადგილსამყოფელი იყო ქალაქი ქუთაისი. შენიშვნაში ეწერა: „თუ რაიმე მიზეზით საზოგადოებამ შეწყვიტა არსებობა, მთელი ქონება გადაეცემა გორის სამაზრო ერობას“-ო. ამ უფლებას გარსევანიშვილი ალბათ მაშინ გამოიყენებდა, თუკი ქუთაისის დატოვება და მშობლიურ ქალაქში დაბრუნება მოუწევდა. ეს უფლება მან მართლაც გამოიყენა გორში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ.

1909 წლის 24 ნოემბერს გაიმართა სახალხო უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების პირველი კრება. წესდების თანახმად, კრებამ აირჩია 15 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე ათი წლის განმავლობაში იყო ალექსანდრე გარსევანიშვილი, მოადგილე კი- მწერალი დავით კლდიაშვილი. კრებაზე დასახელდა სარევიზიო კომისიის 5 წევრი. დეკემბერში გამგეობამ შექმნა პრეზიდიუმი და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. 1910 წლის 31 იანვარს, ქალაქის თეატრში გაიმართა ლექციების პირველი კითხვა.

სახალხო უნივერსიტეტი მოთავსებული იყო კინოთეატრის შენობაში, სადაც მექანიკოსად მუშაობდა პირველი ქართველი კინოოპერატორი- ვასილ ამაშუკელი, აკაკის რაჭა- ლეჩხუმში მოგზაურობის ფირზე გადამტანი 1912 წელს. ის მეგობრობდა ალექსანდრე გარსევანიშვილთან, ყოველთვის ესწრებოდა სახალხო უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ ლექცია- მოხსენებებს. კინოს ადმინისტრაციატინონ ასათიანი და პავლე მეფისაშვილი დარბაზსა და სცენას კვირაობით უფასოდ უთმობდა უნივერსიტეტს ღონისძიებების ჩასატარებლად. გარსევანიშვილი ახსნა- განმარტებით მუშაობას ატარებ-

და ხალხში, მოუწოდებდა მათ- არ დაკლებოდნენ საკვირაო ლექციებს, მიელოთ ცოდნა ამ შესანიშნავი დაწესებულების საშუალებით. სწორედ მისი დაულალავი მუშაობის შედეგად სახალხო უნივერსიტეტის დარბაზი ყოველთვის სავსე იყო ხალხით.

დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს, როგორ ვერ დაუტევია მოზღვავებული ხალხი უნივერსიტეტის გახსნის დღეს ქალაქის თეატრის შენობას. უნივერსიტეტის მუშაობის დიდ მასშტაბზე წერს გარსევანიშვილის ახლო მეგობარი- ილია ბახტაძეც. უნივერსიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აკაკი წერეთელი, თედო ჟორდანიანი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, კიკია აბაშიძე, გრიგოლ რობაქიძე, ტრიფონ ჯაფარიძე და სხვები. ლექციები იკითხებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან: ლიტერატურიდან, ფილოსოფიიდან, ისტორიიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, კულტურის ისტორიიდან, კანონმდებლობიდან, ბუნებისმეტყველებიდან და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ლექციები იკითხებოდა ქართულ ენაზე. სამწუხაროდ, ინტელიგენციის ერთ ნაწილს მაშინ შეუძლებლად მიაჩნდა ლექციების ქართულად წაკითხვა. უსაზღვრო იყო ხალხის სიხარული- მშობლიური დედა- ენა დაკარგულ, გათელილ ღირსებას იბრუნებდა, ეროვნული თვითშეგნების დანგრეული კედელი კვლავ შენდებოდა...

მწერალი დავით კლდიაშვილი „მოგონებებში“ დიდ ადგილს უთმობს სახალხო უნივერსიტეტში წაკითხულ გრიგოლ რობაქიძის ლექციებს. მწერალი მას რ. გ.-ს ინიციალით მოიხსენიებს, ალბათ იმიტომ, რომ ამ შესანიშნავ მოაზროვნესა და მოქართულეს თავდაპირველად არ შეეძლო ლექციის მშობლიურ ენაზე წაკითხვა. ხალხი არ იწუნებდა მის რუსულად გამოსვლებს, ბუნებრივადაც თვლიდა ამას, რადგან აღარავის ეგონა მეცნიერული აზროვნება ქართულად თულა შეიძლებოდა, ესაა, ნატვრით მაინც ნატვრობდა თავის ენაზე საუბრის საჯაროდ მოსმენას. ქართული ენა ლამის ეთნოგრაფიული კუთვნილების, საშინაო მოხმარების საგნად ქცეულიყო. თუ რა დიდი როლი ითამაშა გარსევანიშვილის მცდელობით დაარსებულმა საზოგადოებამ ამ ნიშნით და მის გარშემო შემოკრებილმა მოღვაწეებმა როგორ დაიხსნეს ქართული ენა ტყვეობიდან, კარგად ჩანს დავით კლდიაშვილის შემდეგ მოგონებაში: „ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით რ. გ.-ის. იგი ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე, ხალხი უზომოდ ესწრებოდა. დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ვერ იდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატვრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზე წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა ლექტორს, ქართულად არ შეიძლება ამის გადმოცემაო. ასე ვუცხოვებოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერ-

თი თუ გაბედავდა გამოსვლას. ჩვეულებად იყო ხოლმე ბოდის მოხდა—ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოძეთ რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელიო.

ამგვარი იყო მდგომარეობა, როცა რ. გ.-მ იწყო გამოსვლა საჯარო ლექციებით. როგორც ვთქვი, თავდაპირველად იგი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა. გულდანყვეტილებმა ვარლამ ბურჯანაძისა და გიორგი თუთბერიძის პირით(რომლებთან იდგა რ. გ.) შევუთვალეთ—ლექციები ქართულად ეკითხნა. მე მაშინ რ. გ.-ს არ ვიცნობდი პირადად. მან შემოგვითვალა, რომ მალე ქართულად ვინცებ ლექციებსო, და მოკლე ხანში კიდევ აასრულა თავისი დანაპირები. მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად ნაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე.

საზოგადოება განსხვავებულ ალტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში დიდი ქებით იხსენებდნენ ამ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს. ბარათაშვილზე ლექციას მოჰყვა ლექცია ვაჟაფშაველას „გველის მჭამელზე“, შემდეგ აკაკიზე. საზოგადოების ალტაცება თანდათან მატულობდა, ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონე მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა.

ქუთაისში ცხოვრობდა იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პავლე თუმანიშვილი, კაცი ფრიად განათლებული, ქართულის კარგი მცოდნე, მოხუცი უსაზღვრო ალტაცებით მელაპარაკებოდა და გადმომცემდა იმ შთაბეჭდილებას, ლექციებმა მასზე რომ მოახდინეს. მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით.

—აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ,— გატაცებით ამბობდა მოხუცი. ასეთ ალტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

—სად ისწავლა ამ ოჯახდაქვეულმა ასეთი ქართული?!—გაიძახოდა ალტაცებული კოტე ბაქრაძე, ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე... თამამად ვამბობ, რომ რ. გ.-მ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა მშვენივით სავსეა, რომ მისით მშვენივრად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე, დაანახა და გაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართვე-

ლი საზოგადოება, მას ვერ დაუვინყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწეს...“ [7, 291].

უნივერსიტეტის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქუთაისში მოღვაწე ქალები: ეკატერინე ნიკოლაძე, ელენე ხელთუფლიშვილი, მარიამ ვარდოსანიძე, ელენე მეფისაშვილი, დები- ანეტა და ლიზა მეძმარიაშვილები, მალაშა გველესიანი და სხვ. ქუთაისელ ქალთა შორის გამოირჩეოდა ექიმ ჩარკვიანის მეუღლე, ეროვნებით პოლონელი ქალი,—იადვივა კონსტანტინეს ასული ჩარკვიანისა, რომელიც მუსიკოსი იყო. საჭირო რჩევა- დარიგებით და ფულით უნივერსიტეტს მუდამ ეხმარებოდნენ: ცნობილი მოღვაწე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე- გიორგი ზდანოვიჩი, სათავე დაზნაურო გიმნაზიის დირექტორი-იოსებ ოცხელი, მასწავლებლები: სილოვან ხუნდაძე, პეტრე და სიმონ ყიფიანები, თომა მთავრიშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, შალვა სანიკიძე, მწერალი შალვა დადიანი, უალკოჰოლო სასმელების ცნობილი ოსტატი-მიტროფანე ლალიძე და სხვები...

გარდა ლექცია-მოხსენებებისა, უნივერსიტეტში ტარდებოდა ლიტერატურული დილა-სალამოები, დისპუტები, ლიტერატურული გასამართლებანი სათანადო მუსიკალური განყოფილებით, რომელსაც ყოველთვის გარსევანიშვილი ხელმძღვანელობდა. იმართებოდა სიმებიანი ორკესტრის კონცერტები კვაჭანტირაძის ლოტბარობით, მანდოლინა- გიტარისტების ხოროს გამოსვლა, დროგამოშვებით კონცერტს მართავდა ცნობილ მომღერალთა გუნდი შარაშიძის ხელმძღვანელობით. 1911 წელს ნაკითხული ლექციებიდან აღსანიშნავია ლექციების ციკლი ტარას შევჩენკოსა და ბესარიონ ბელინსკის შემოქმედებაზე. უნივერსიტეტი მუშაობის სხვადასხვა გზას ირჩევდა და ყველა გზას ხალხის განათლების მიზანს უსახავდა. უნივერსიტეტის როლს გარსევანიშვილი ასე განსაზღვრავდა: „ამ გზით ჩვენ მოვამზადებთ მომავალ თაობებს, რომლებიც ჩვენზე უფრო კარგად და ღირსეულად გაუძღვებიან ქვეყნის აღორძინებას. დროა დავანებოთ თავი მაღალ ფრაზებს და ცარიელ ლაპარაკს, სიტყვების რაბა- რუხს, დადგა ისეთი ნამი, როცა საქმეს უნდა შევუდგეთ. დიახ, საქმეს საშვილიშვილოს. და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი პარტია და ჯგუფი ამ დიად საქმეში შეთანხმებით იმოქმედებს და ამგვარად მივალწევთ ჩვენს უმაღლეს მისწრაფებას. აი, მაშინ მოხდება ჭეშმარიტად სასწაულებრივი მოვლენა, ჩვენ არცერთი ქართველი არ დაგვრჩება უსწავლელი, ეს უეჭველად უნდა მოხდეს და მხოლოდ მაშინ ექნება ქართველ ხალხს უფლება, თამამად ჩადგეს სხვა კულტუროსან ერთა კრებულში- ვითარცა თანასწორუფლებიანი ერი.მამ, ჩვენთვის უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ცოდნა როგორც ნაყოფი ნამდვილი სწავლა- განათლებისა და ერთობა, როგორც შედეგი დისციპლინის შეთვისებისა. ცოდნა და ერთობა!.. დი-

ახ, ვიტყვი დ. გურამიშვილის სიტყვებით: „სავარ გონია მგონია, ეს კაი გასაგონია“ ... მაშ, განვხორციელოთ ეს აზრი, თუ კაი გასაგონია და სავარგონია, ვეცადოთ მომავალში მაინც არ ჩავიდინოთ „საქმენი ურიგონია“.

სახალხო უნივერსიტეტის სალამოს კურსებზე ისწავლებოდა შემდეგი საგნები: არითმეტიკა, ქართული და რუსული ენები, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, რუსული და ქართული ლიტერატურა, მსოფლიოს ლიტერატურა, საქართველოს, რუსეთისა და მსოფლიოს ისტორია, გეოგრაფია, კანონმდებლობა და გალობა. მეცადინეობა კვირაში ორჯერ წარმოებდა. სწავლის ფასი თვეში ათი შაური იყო, მაგრამ მსმენელთა 10% გათავისუფლებული იყო გადასახადისაგან. მასწავლებლებს გაკვეთილში მანეთი ეძლეოდათ, თუმცა მათი დიდი ხანის უფასოდაც მუშაობდა. მონაფეები ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი მათი ცოდნისა და მომზადების მიხედვით. გამგეობამ საჭიროდ ცნო, პირველი გამოცდისა და ჯგუფებად დაყოფის შემდეგ, მსმენელებისათვის დაერიგებინა ანკეტა იმის გამოსარკვევად, თუ რომელი საგნის სწავლება უფრო აუცილებლად და საინტერესოდ მიაჩნდა მათ უმრავლესობას. ამის მიხედვით შეუდგებოდნენ სწავლას.

ყოველწლიურად უნივერსიტეტში 60-მდე ლექცია იკითხებოდა, თითოეულ ლექციას 300-დან 600 კაცი მაინც ესწრებოდა. 1911-1912 წლებში უნივერსიტეტმა მეორე ადგილი დაიჭირა რუსეთის იმპერიაში სამარის უნივერსიტეტის შემდეგ.

მოკლე ხანში საგრძობლად გაფართოვდა უნივერსიტეტის მოქმედების ასპარეზი, ლექციები და მოხსენებები იმართებოდა დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონში. ხალხი შეუნელებელ ინტერესს იჩენდა უნივერსიტეტისადმი და მის ხელმძღვანელს განუზომელი სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ. განუელი მუშაობისათვის ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა რუსეთის იმპერიაში მეორე ადგილი დაიჭირა.

უნივერსიტეტის მოღვაწეობის ხანა პოლიტიკურად რთული პერიოდი იყო. პირველი მსოფლიო ომი, რუსული კოლონიური რეჟიმი მძიმე ფონს ჰქმნიდა, რასაც ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალპარტიული, სოციალურ-კლასობრივი დაპირისპირებაც ემატებოდა. მართალია, წესდებაში ხაზგასმული იყო „ამ დაწესებულებების უპარტიობა, მაგრამ, თავისი შინაარსით უნივერსიტეტი მაინც ეროვნული და დემოკრატიული ორგანიზაცია იყო. თავად გარსევანიშვილი მსახიობ ნუცა ჩხეიძეს, სასცენო მოღვაწეობის 25-ე წლისთავზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით მიესალმა. ამ სახელწოდების პარტია ჯერ შექმნილი არ იყო, მაგრამ ამგვარი იდეოლოგია ჩვენს საზოგადოებაში არსებობდა, მათ თავიანთი პრესაც ჰქონდათ, გარსევანიშვილიც ამ ჯგუფს ეკუთვნოდა. გარსევანიშვი-

ლის არქივში დაცული მოხსენებების სათაურები, უნივერსიტეტში ნაკითხული მოხსენებების თემატიკაც მოწმობს ამას. გახდა თუ არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან, საამისო დოკუმენტი ჩვენ არ გვინახავს, თუმცა ეჭვი არაა, რომ იგი ამ პარტიაში განვერდიანდებოდა.

უნივერსიტეტში აკაკის ნაუკითხავს მოხსენება ხალხურ პოეზიაზე, რასაც დიდი ოვაციები მოჰყოლია. „მგოსანი კი, - იგონებდა გარსევანიშვილი, - ეს ჭეშმარიტად საქართველოს უგვირგვინო სულიერი მეფე, ბავშვივით ღელავდა“ [6, 23]. აკაკის ის ქუთაისში გაუცენია, პოეტს მისი „ივერიაში“ დაბეჭდილი ისტორიული წერილიც გაუხსენებია ასპინძის ომზე, შეუქცია და ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელებაც ურჩევია.

სახალხო უნივერსიტეტის არსებობის მანძილზე (1909-1915) აქ უამრავი ლექცია იქნა ნაკითხული. პირველივე წელს მსმენელთა წინაშე 56 სალექციო თემა იქნა გამოტანილი.

ხალხს ხიბლავდა კიტა აბაშიძის, დიმიტრი უზნაძის, გრიგოლ რობაქიძის, სერგო ქავთარაძის, თედო ჟორდანიას, ალექსანდრე ჯანელიძის, ვარლამ ბურჯანაძის, ლეო ნათაძის, ვლადიმერ ლორთქიფანიძის და სხვათა ლექციები... სახალხო უნივერსიტეტის ყველა შეკრებას ესწრებოდა აკაკი ხორავა, რომელიც აქ განათლების მისაღებად დადიოდა. აკაკი ხორავას დამოკიდებულებას ამ კულტურულ-საგანმანათლებლო კერისადმი აღწერს სერგი გერსამია ნიგნში - „აკაკი ხორავა“ [3, 5].

უნივერსიტეტში ნაკითხული გარსევანიშვილის ლექციები მსმენელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ეს ლექციები ასეთი შინაარსის იყო: ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II, რუსის ჯარის შემოსვლა საქართველოში, რუსეთის მმართველობა, იმერ-ამერთა მოლაპარაკება შეერთებაზე, ბატონყმობის ისტორიიდან მე-18 საუკუნის საქართველოში, სახალხო სკოლა და სახალხო უნივერსიტეტი შვეიცარიაში, თბილისის აოხრება სპარსელების მიერ მე-18 საუკუნეში, ილიას პოეზია, შილერი, იაკობ გოგებაშვილი, სახელმწიფო საბჭო, ეკატერინე გაბაშვილი და სხვა თემები მის მიერ ღრმად და მეცნიერულად იყო გაანალიზებული. გაზეთი „სამშობლო“ 1916 წელს (№207) მის შესახებ წერდა, რომ გარსევანიშვილს აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი, ხიბლავდა მათ, სიამოვნებით, სულგანაბულნი უსმენენ მის ლექციებსო. კითხულობს სადა, მარტივი და გასაგები ენით და ამიტომ მსმენელიც არ ელევა, დამსწრენი ყოველთვის მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებენო...

უნივერსიტეტს საკმაო შემოსავალი ჰქონდა. ყველაზე მეტი თანხა შემოდოდა ლექციებიდან, შემდეგ მოდიოდა სანევრო გადასახადები, სეირნობიდან შემოსავალი, პიროვნებათა მიერ ნაანდერძევი და შემონირული თანხები, სხვადასხვა წიგნების გამოცემიდან

შემოსული ფული, საკუთარი თანხების სარგებელი და სხვა... 1913 წელს შემოსული თანხით გახსნილა საღამოს კურსები, გაკეთებულა ბევრი კარგი საქმე.

სახალხო უნივერსიტეტის შესახებ ქართულ პრესაში ბევრი წერილი იბეჭდებოდა, სადაც ავტორები მალალ შეფასებას აძლევდნენ მის საქმიანობას. ასე მაგალითად, გაზეთ „სამშობლოში“ (1913 წლის №321) დაიბეჭდა ვრცელი სტატია „სადაც განხილული იყო 1913-1914 წლების ანგარიში. სტატიაში საუბარი იყო უნივერსიტეტის საერთო კრებაზე გამოსულ მომხსენებლებზე: ალ. გარსევანიშვილს, დიტო უზნაძეს, კიტა აბაშიძეს, ია ეკალაძეს, აკაკი ფალავას, ტრიფონ ჯაფარიძეს და სხვებს უსაუბრიათ მსოფლიო ომით გამოსვულ სიმწიფეებზე, ამასთან, აღუნიშნავთ უნივერსიტეტისა და საღამოს კურსების მიერ განხორციელებული ღონისძიებების დიდი მნიშვნელობა.

როგორც სახალხო უნივერსიტეტის არქივიდან ჩანს, ამ ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული დანახებულების მუშაობაში აქტიურად იყო ჩაბმული დიდი ქართველი მწერალი - დავით კლდიაშვილი. როდესაც მწერალს მოღვაწეობის 30 წლისთავი გადაუხადეს ქუთაისში, სახალხო უნივერსიტეტის სახელით მას მიესალმა გარსევანიშვილი. „დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ აღვნიშნოთ შენი 30 წლის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე და წრფელი მადლობა გადაგიხადოთ იმ ხანგრძლივი ღვაწლისათვის, - თქვა მან. - დღევანდელი იობილე არის ამავე დროს ჩვენი კულტურული დღესასწაულიც, ვინაიდან იგი მაჩვენებელია ქართველი ერის გონებრივი წინსვლისა და განვითარებისა.

მხატვრულ ნაწარმოებებში შენ ნათლად გადაშალე ქართველი ხალხის ფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი გააშუქე დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა სულისკვეთება. სოლომონ მორბელაძეს ცნობილი მაჭანკალი, რომლის ერთადერთი მიზანია „ოხერი გრომების მოპოვება“, აჩქარებული და ცრუთავმოყვარე ფილიპე თავისი უბედური ირინეთი, ოტია ქამუშაძე, ეს გაღარიბებული შემოდგომის აზნაური, სიძეების მაძიებელი დარისპანი და მისი უენო, ბუზიკაზე დამკვრელი ქალიშვილი - კაროჟნა და ბევრი კიდევ სხვა ტიპები უკვდავნი დარჩებიან ქართველ მკითხველთა ხსოვნაში.

ჩვენი ინტელიგენცია მუდამ აფასებდა შენს ლიტერატურულ ღვაწლს, სამწუხაროდ მხოლოდ ის იყო, რომ მდაბიო ხალხი შენ არ გიცნობდა ღირსეულად, განსაკუთრებით არ გიცნობენ ქართლ-კახეთში. მაგრამ საერთო ძალით, ჩვენ, თავისუფალი საქართველოს შვილინი, ამ ნაკლს მალე შევავსებთ. ჩვენ ღრმად გვნამს, რომ ახლო მომავალში დადგება ის ნეტარი ჟამიც, როცა შენს ნაწარმოებებს ხალხი ისეთივე გატაცებით ნაიკითხავს, როგორითაც ვკითხულობთ ჩვენ, ნასწავლი ქართველობა

უნივერსიტეტის სახელით, სადაც შენც მოღვაწეობ ჩემთან ერთად, მოგილოცავ ამ დღესასწაულს და გიძღვნი ამ საღამს.

რწმენით სავსე განაგრძე შენი მოღვაწეობა და გაამდიდრე მომთაბერი ლიტერატურა ახალ-ახალი ნაწარმოებებით“ [2, 674].

ალექსანდრე გარსევანიშვილს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართული თეატრის განვითარების საქმეში. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის თეატრის მსახიობებთან. არქივში დაცულია მისი მიმოწერა ლადო მესხიშვილთან, იუზა ზარდალიშვილთან და სხვა მრავალ მსახიობთან. ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დროს ის ეკონომიკურად ეხმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ქუთაისის თეატრს. სხვა მოღვაწეებთან ერთად, მას 1905 წელს უტვირთია ქუთაისის თეატრის ხარჯები. აი, ამის ერთი საბუთი: „1905 წლის ენკენისთვის 15-სა დღესა, რადგან ბ. ალექსი-მესხიშვილმა უარჰყო ქუთაისის თეატრის ანტერარენიორობა და ჩვენი საზოგადოება წელს უთეატროდ რჩებოდა, ჩვენ, ქვემოთე ამის ხელისმომწერებმა, როგორც უფრო ახლო მდგომმა და თეატრის ყოველგვარი წარმატებების მსურველებმა, მივიღეთ ჩვენს თავზედ წლევანდელი სეზონის ქუთაისის თეატრის საქმის ხელმძღვანელობა და შევკარით ურთიერთშორის ეს ხელწერილი: ა. თვითეული ჩვენგანი შეიტანს გადასახადს 25-100 მანეთამდე, რისთვისაც თვითეულს 25 მანეთის შემომტანს, ერთ მანეთზედ არანაკლებ ბილეთების ყიდვის დროს დაეთმობა 50კაპ. 50 მანეთის შემომტანს- 75კაპ. და 100 მანეთისას კი-1მანეთი...

ბ. მთელი სეზონის განმავლობაში შემოსავალ-გასავალი ჩვენს ხელში იყოს;

გ. შეკრებილი ფული მთლიანად უნდა ინახებოდეს ჩვენს მიერ ამორჩეულ პირთან;

დ. ვირჩევთ გამგეობას, რომელიც შედგება 5 ან 6 კაცისაგან;

ე. თუ ვინიცობაა დღევანდელმა მოძრაობამ ისე შეგვიშალა ხელი, რომ სეზონის გათავებას ვერ შევძლებთ, იმ შემთხვევაში ნება გვაქვს დასი გავუშვათ და დათხოვის დღემდის რაც ერგებათ, მივცეთ. ესაა ქალაქის საზოგადოების ერთი ნაწილი: ივანე გომართელი- 150 მანეთი; ალ. გარსევანიშვილი- 100 მანეთი; თეოფილე ხუსკივაძე, ზაქარია კოკოჩაშვილი- 50- 50 მანეთი; თომა მთავრიშვილი- 25 მანეთი; იოსებ ოცხელი- 100 მანეთი; გიორგი გოკიელი- 50 მანეთი; კონსტანტინე ერისთავი- 25 მანეთი და სხვა...”

გარსევანიშვილს თეატრისადმი დამოკიდებულება არც მაშინ შეუცვლია, როდესაც სახალხო უნივერსიტეტს ჩაუდგა სათავეში. მისი პიესები ხშირად იდგმებოდა ქუთაისის თეატრის სცენაზე. ერთი ასეთი პიესა იყო - „განთიადისას“, რომელშიც ქუთაისის ცხოვრება იყო ასახული და წარმატებით სარგებლობდა მაყურებელთა შორის. მას ქალაქის თვითმმართველობაში კატეგორიულად მოუთხო-

ვია თეატრის განთავისუფლება საიჯარო ქირისაგან. ქალაქის თავს-
ი. ჩიქოვანს მოაწვევინა ხმოსნების კრება ამ საკითხის გადასაწყვე-
ტად, მაგრამ მარტო ამან ვერ უშველა საქმეს. დასი დაშლამდე იყო
მისული. გარსევანიშვილს დახმარებისათვის მიუმართავს ჭიათურის
შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების გამგეობისადმი, რომლის თავ-
მჯდომარე იყო გიორგი ზდანოვიჩი, ნათლად დაუხატავს თეატრის
კრიზისული მდგომარეობა, მიმართვა ასე დაუმთავრებია: „შავი ქვის
მრეწველებო! გაიღეთ წვლილი საამაყო თეატრის გადასარჩენად,
ამით სირცხვილსაც ავიშორებთ...“ ამ ღონისძიებას სასურველი შე-
დეგი მოჰყოლია: გამგეობას დოტაციის სახით საკმაო თანხა გაუღია
და 1913-1914 წლების სეზონი თეატრს შესანიშნავად ჩაუტარებია.

გარსევანიშვილი თეატრისთვის თარგმნიდა პიესებს, წერდა
წერილებს უცხოური ლიტერატურის შესახებ, საქართველოსთვის
უცნობ იაპონურ და ფინურ მწერლობაზე კითხულობდა ლექციებს.
მის არქივში საინტერესო ლიტერატურული და ისტორიოგრაფიული
მასალაა დაცული [2, 126-156].

საკუთარი ინიციატივით მან შემოიღო მუსიკის სწავლება ქუ-
თაისის ქართულ გიმნაზიაში. სპეციალისტის მოწვევამდე სრულიად
უსასყიდლოდ თვითონ ასწავლიდა, წერგავდა მოსწავლეებში მუსი-
კის სიყვარულს. ვანო სარაჯიშვილს, რომელიც თბილისის სათავა-
დაზნაურო გიმნაზიის სიმებიან ორკესტრში ვიოლონჩელოზე უკ-
რავდა, სანოტო ნიშნები პირველად მისგან უსწავლია.

ქუთაისში ალექსანდრე გარსევანიშვილი ორ ათეულ წელზე
მეტ ხანს ცხოვრობდა ზაქარია ფალიაშვილის დეიდაშვილის- ექიმ
მირაქოვის სახლში. აქ გაიცნეს მათ ერთმანეთი. ალექსანდრე ვიო-
ლონჩელოზე უკრავდა თურმე, ფალიაშვილი კი მას აკომპანიატო-
რობას უწევდა ფორტეპიანოზე. ასე იმართებოდა შინაური კონცერ-
ტები [4, 4]...

1916 წელს ქუთაისში დაარსდა ქართული ფილარმონიული სა-
ზოგადოება 8 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარედ გარსევანიშ-
ვილი აირჩიეს, მოადგილეებად ცნობილი ლოტბარები- კ. მალრაძე
და ნ. შარაბიძე. საზოგადოების შექმნას გამოეხმაურა ჟურნალი „
თეატრი და ცხოვრება“. საზოგადოების გახსნაში მონაწილეობა მიი-
ღო ზაქარია ფალიაშვილმა. ამ საზოგადოების ინიციატივით შედგა
ეროვნული გუნდი, დაიწყო ძველი სიმღერების შეკრება, კონცერტე-
ბის ჩატარება რაიონებში, ხოლო 1919 წლის 2 თებერვალს საზოგა-
დოების ხელმძღვანელობითა და კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩი-
ვაძის ინიციატივით შეიქმნა მუსიკალური სკოლა. სკოლის გახსნაზე
შესავალი სიტყვა ალ. გარსევანიშვილს წარმოუთქვამს [2, 513].

დაულალავი მოღვაწე ყველა საქმეში ერეოდა, სადაც ეროვ-
ნულ-საზოგადოებრივი ინტერესები იდო. ქუთაისში ღარიბი ბავშვე-
ბისათვის დაარსებულ პროფესიულ სკოლას მუდმივად ეხმარებოდა.

სკოლაში წერა- კითხვასთან ერთად ასწავლიდნენ ხელსაქმეს, ჭრა-
კერვას, ქარგვას, ხატვას. სკოლის ხელმძღვანელს- მინადორა დონ-
დუას გარსევანიშვილი აძლევდა რჩევა- დარიგებებს, იყო სკოლის
საგამოცდო კომისიის წევრი. ის ყველაფერს აკეთებდა არა მარტო
სახალხო განათლების ახალ საფუძველზე დაყენების, არამედ მომა-
ცილი თაობის ესთეტიკური აღზრდისთვისაც. არ ერიდებოდა მის-
თვის სათაყვანო ავტორიტეტებს და თუ მათი ნაწარმოებები არ მი-
ჩნდა ყმანვილთათვის შესაფერის აღმზრდელობით მასალად, წერ-
და ამის შესახებ თვით ავტორს, გამომცემელს- რედაქტორებს... საყ-
მანვილო ლიტერატურის ბედზე წუხილმა მიაწვინა მას ვრცელი
წერილი „ჯეჯილის“ რედაქტორისადმი. აქ იგი დაუნდობლად აკრი-
ტიკებდა ჟურნალის ბოლო წლის ნომრებს, აქ დაბეჭდილ საბავშვო
ლექსებს. მისი აზრით, მცირე ასაკიდან უცხო ენაზე სწავლის დაწყე-
ბა, რაც მთელი სკოლის პერიოდში გრძელდებოდა, ხელს უშლიდა
ბავშვებს ქართულ ენაზე აზრის გამოთქმაში. ამ ნაკლის აღმოსაფ-
ხვრელად ის აუცილებლობად თვლიდა მშობლიური ენის კარგად
შესწავლას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ლიტერატურას
შეეძლო, ის უნდა ქცეულიყო „ჩვენი გონების მამრუნებელ ღერ-
ძად“. გზის მაჩვენებელი ამ დროს, - წერდა ალ. გარსევანიშვილი,-
„უნდა იყოს პერიოდული გამოცემა, რადგანაც იმას აქვს შეძლება,
სისტემაში მოიყვანოს ცოდნა“. ის თვლიდა, რომ პრიმიტიულ, ნახევ-
რად სენტიმენტალურ ამბებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა საყმანვი-
ლო ჟურნალში, მდარე ლიტერატურულ თხზულებებს აჯობებდა
ხალხში გაგონილი გმირული ამბებისა და არაკების დაბეჭდვა, რაც
ყმანვილებს პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდიდა. თუკი სარ-
წმუნოებრივი გრძნობების განმტკიცება გვსურსო,- მიჯვებოდა ავ-
ტორი,- ნუ მივმართავთ ყალბ ამბებს, ისევე სახარება და საღმრთო
სჯულის სხვა წიგნები გამოვიყენოთ [2, 348].

ალექსანდრე გარსევანიშვილი არ იყო ეროვნულ ნაჭუჭში ჩა-
კეტილი კაცი, თუმცა დიდი პატრიოტი და გულშემმატკივარი იყო სა-
კუთარი ქვეყნისა და ხალხისა. მან კარგად იცოდა, რომ ერის წინ-
სვლას მუდმივად განახლება, მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო გა-
მოცდილების განიარება ჭირდება. ეს განსაკუთრებით ენება მეცნი-
ერებისა და განათლების სფეროს. ამ მიზნით, ის მოგზაურობდა ევ-
როპის ქვეყნებში, ეცნობოდა იქაურ მიღწევებს. 1904 წელს ოთხი
თვით იმყოფებოდა შვეიცარიაში, გაეცნო სახალხო სკოლების მუშა-
ობის პრინციპებს, ამავე მიზნით, რამდენჯერმე იმოგზაურა ფინეთ-
შიც.

1920 წელს, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის
წლებში, მან დატოვა ქუთაისი და გორში გადავიდა. აქ მას მოხუცი
დედა ჰყავდა. ამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად უმიძმეს პერი-
ოდში, დედას ძალზე გაუჭირდა და შეიღწა თავისთან იხმობდა, ამას

დაემთხვა თავად მისი სურვილიც— ამჯერად გორის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების აღორძინებისათვის ეზრუნა. მართლაც, მან მაშინვე დააფუძნა გორში სახალხო უნივერსიტეტი, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე, რადგან 1921 წელს საქართველოში რუსეთის ბოლშევიკური წითელი არმია შემოიჭრა. მას ხელოვნების მუშაკთა გორის განყოფილება ჩააბარეს, მაგრამ დიხანს ვერ იმუშავა, ცხადია, ამ პოლიტიზირებულ სამუშაოზე გაუჭირდებოდა, ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ მის ადრინდელ წერილებს, მთელი მოღვაწეობის არსს გავიაზრებთ, მანაც უფრო მოკრძალებული სამუშაო აირჩია: პედაგოგობას მიჰყო ხელი, მუშაობდა გორის საოსტატო სემინარიაში, პედაგოგიურ ტექნიკუმში მასწავლებლად, ასწავლიდა რუსულ ენას, პედაგოგიკასა და პედისტორიას. ეროვნულ-დემოკრატიული ტიპის მოაზროვნეს, ალბათ ძალიან გაუჭირდა იმ პოლიტიკური რეპრესიების გადატანა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1921-1937 წლებში, ეროვნულ ფასეულობათა ამ არნახული მსხვერვის ხანაში. სიკვდილამდე მისი საკუთარი ბინა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს უანდერძა. ამ ბინაზე იკრიბებოდნენ ოდესღაც ქართველი ხალხოსნები, აქ გამართულ ფარულ კრებებს ესწრებოდნენ გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

ალექსანდრე გარსევანიშვილი გარდაიცვალა 1936 წელს, დაკრძალულია ქალაქ გორში. ის სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი წავიდა, თუმცა გულმოკლული მისი სამინელი ხვედრით, რის გასაუმჯობესებლადაც მან გასწირა ყველაფერი პირადი, ოჯახიც კი არ შექმნა როგორც მისმა ბევრმა თანამედროვე ქართველმა. მათი თავგანწირვა ქვეყნისთვის ამო არ ყოფილა, თუმცა ქვეყანა ბოლშევიკურმა რეჟიმმა დაიმორჩილა, ეროვნული სული მაინც არ ჩამკვდარა, მის ცხოველმყოფელობას ალექსანდრე გარსევანიშვილისნაირი მამულიშვილების სულიერი ხატებაც განსაზღვრავდა...

ამრიგად, დაიხატა ქართული კულტურის დიდი მოამაგის, სულიერად ამაღლებული და ეროვნული საქმისთვის თავდადებული პიროვნების პორტრეტი.

ის იყო უაღრესად განათლებული, მრავალი ენის მცოდნე, მუსიკალური და თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, კარგი პედაგოგი და ნამდვილი მამულიშვილი. მის არქივში დაცული მიმონერა აკაკისთან, ვაჟასთან, სოფრომ მგალობლიშვილთან, ნიკოლომოურთან, დავით კლდიაშვილთან და სხვა დოკუმენტები ჩვენი ისტორიის საამაყო ფურცლებია.

ასეთი იყო ალექსანდრე გარსევანიშვილი, — უჩინარი, მაგრამ დიადი ადამიანი, როგორც მისი თანამედროვენი წერდნენ, მრავალი კეთილი და დიდი საქმის საფუძველჩამყრელი.

მისი სახელი არ უნდა მიეცეს დავიწყებას, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალი საქართველოს მკვიდრთა ეროვნული ცნობიერება და სულისკვეთება ასეთ ადამიანთა მაგალითებით უნდა იკვებებოდეს, ასეთთა გზას უნდა აგრძელებდნენ და აღრმავებდნენ პატრიოტ მამულიშვილთა ახალგაზრდა თაობები...

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლევან ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბილისი, თბილისი, 1933.
2. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2175, ალექსანდრე გარსევანიშვილის არქივი.
3. სერგი გერსამია, აკაკი ხორავა, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, „ხელოვნება“, 1956.
4. ივანე ვარლამიშვილი, მუდამ თანამედროვე, ქუთაისი, 1991.
5. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი, 1963.
6. ზაქარია კიკნაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1953.
7. დავით კლდიაშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1981.
8. სოლომონ ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1937.
9. ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა მოღვაწენი, ტფილისი, 1904.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Chief Scientific Worker of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Alexandre Garsevanishvili

Summary

Alexandre Garsevanishvili was active public figure of the end of XIX and the beginning of XX centuries. His apprehension was national-democratic; he teaches Georgian language and literature, music at educational establishments in Tbilisi and Kutaisi; he played the violin. Al. Garsevanishvili made a valuable contribution to cultural life of Kutaisi. Philharmonic society of Kutaisi, the first in Georgia and second in Russian em-

pire people's University, Was founded under the guidance of Al. Garsevanishvili. This educational – scientific institution played distinguished role under the circumstances when no other higher educational establishment existed in colonial Georgian. Students of people's University were able to receive information about new scientific, literary and cultural achievements from well – known writers, scientists, workers in the field of art, professionals.

The work tells about working forms and methods of people's University, other aspects of Al. Garsevanishvili's activities which were very important of for development of Georgian culture and national-liberation movement of Georgian people.

ქართული ემიგრაციის ისტორიიდან

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართული ლეგიონის ბონები (1916-1917 წწ.)

მსოფლიო ომის პერიოდში ჩამოყალიბებული გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისა და საჯარისო შენაერთის „ქართული ლეგიონის“ ისტორიის ცალკეული საკითხები შესწავლილია, როგორც ქართულ [3-4; 7-10; 14-15], ასევე უცხოურ ისტორიო-გრაფიაში [16; 19-24]. ამ საკითხის ირგვლივ საყურადღებო ცნობები დაცული ასევე მემუარულ ლიტერატურაშიც [1-2; 5-6; 11-13].

ზემოხსენებულ ალიანსთან არის დაკავშირებული პირველი ქართული ორდენის – „თამარ მეფის ორდენის“ დაწესებისა და არსებობის ისტორია, რომელიც მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი [14].

წინამდებარე სტატიაში, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, შესწავლილია ქართული ლეგიონის სახელით გამოშვებული დროებითი ფულადი ნიშნები – ბონები, რომლებიც 1916-1917 წლებში მიმოიქცეოდა. ამის პარალელურად, მოკლედ არის გადმოცემული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და „ქართული ლეგიონის“ ისტორია, რომლებთანაც ხსენებული ბონების გამოშვება და მიმოქცევა მჭიდროდ არის დაკავშირებული.

1914 წელს შვეიცარიის ქალაქ ფენევამში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის პეტრე სურგულაძის მესვეურობით ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც „განმათავისუფლებელ კომიტეტსაც“ უწოდებდნენ. მისი დამფუძნებელი წევრები გახდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი, ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, შალვა ვარდიძე, ზია ბეგ აბაშიძე, მელიტონ ქარცივაძე და სხვები [6, 17].

ეს კომიტეტი იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმ ჯგუფის საქმიანობის გამგრძელებელი საზღვარგარეთ, რომელიც

საქართველოში 1909-1910 წლებში არსებობდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, სვიმონ ყიფიანი და სხვები. ისინი გამოსცემდნენ ყოველკვირეულ ჟურნალს „ერი“ (რედაქტორი პეტრე სურგულაძე), რომელიც მტკიცედ იცავდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას. ამის გამო, ჟურნალი ცენზურის მიერ იდევნებოდა და სხვადასხვა სახელით გამოდიოდა [13].

1910 წელს ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ეს ჯგუფი რუსეთის ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. ამიტომ, პეტრე სურგულაძე თავის თანამოაზრეებთან ერთად იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. შენევაში მათ შექმნეს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო“ და დაიწყო ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემა. ხსენებული ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ: პ. სურგულაძე, მ. წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვები [4, 5-6].

სწორედ ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო“ წევრებმა შეადგინეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის“ ბირთვი, რომელიც შემდგომ თანდათან ივსებოდა და მთელი ომის განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბერლინსა და ისტანბულში.

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მოვლენათა მსვლელობაში აქტიურად ჩაება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც შენევიდან ბერლინში გადავიდა. კომიტეტმა გერმანიის მმართველ წრეებთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა.

მალე, გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაურის ერის ლუდენდორფის ხელშეწყობით, კაიზერმა ვილჰელმ II-მ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაცია. კომიტეტის შეხედულებებით გერმანია-საქართველოს ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივების თაობაზე დიდად დაინტერესდა კაიზერი, რომელმაც დაავალა თავის შესაბამის დიპლომატიურ უწყებას – სათანადოდ მოემზადებინა „ქართული საკითხი“.

კომიტეტისადმი დახმარების აღმოჩენა შედიოდა თვით გერმანიის ინტერესებში. ამ ქვეყნის ხელისუფალნი სათანადოდ აცნობიერებდნენ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის უნიკალურობას და ცდილობდნენ, რომ გერმანიაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს წარმოქმნით რუსეთისათვის ახალი პრობლემა გაეჩინათ. იმავდროულად, საქართველოში დამკვიდრებით გერმანია აზიაში წინსვლისათვის მნიშვნელოვან პლაცდარმს იქმნი-

და ამდენად, გერმანელთა ინტერესები საქართველოსადმი – მრავალმხრივი, ხოლო მიზნები – შორსმიმავალი იყო [14, 6-7].

1914 წლის შემოდგომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი შეუდგა მუშაობას ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიული ქანეთის ანუ ლაზეთის ტერიტორიაზე (ვიწნეში) ქართული საჯარისო ფორმირების – ლეგიონის ჩამოსაყალიბებლად.

ლეგიონის შექმნის საპასუხისმგებლო საქმე იტვირთეს ლეო კერესელიძემ და გერმანელმა ოფიცერმა კიშკემ. ეს უკანასკნელი ითვლებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ატაშედ, ხოლო პოლიტიკური ატაშეს როლს ასევე გერმანელი – მოზელი ასრულებდა.

ლ. კერესელიძემ ქართველთა და მუსლიმ კავკასიელთაგან შექმნა მომავალი ლეგიონის ბირთვი, რომელიც 70 კაცისაგან შედგებოდა.

ქართული ლაშქრის ეს ჩანასახი თავიდანვე აითვალწუნეს თურქებმა, რომლებიც კავკასიის მიმართ ტრადიციული ექსპანსიონისტური ზრახვებით იყვნენ გამსჭვალულნი და ლეგიონის სახით პოტენციურ მონინაალმდევგეს ხედავდნენ [6, 18].

თურქ ხელისუფალთა ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, ლეგიონის ჩამოყალიბების საშური საქმე კომიტეტმა მაინც დიდი ენთუზიაზმით განაგრძო.

მ. წერეთლის აგიტაციის შედეგად, გერმანიისა და ავსტრიის ტყვეთა ბანაკებში მყოფი რამდენიმე ქართველი ოფიცერი ოსმალეთში ჩავიდა და ლეგიონში ჩაირიცხა [14, 16-17].

ქართულმა ლეგიონმა საბრძოლო ნათლობა 1914 წლის დეკემბერში, არტაანის აღებისათვის ბრძოლაში მიიღო და მონინაალმდევგეს დიდი ზარალი მიაყენა [16, 15].

1916 წლისათვის ლეგიონი უკვე ორი ათას მეომარს ითვლიდა [12].

1915 წლის სექტემბრიდან ლეგიონის ადგილსამყოფელი იყო ქალაქი ტრაპიზონი, 1916 წლის მარტიდან – სამსუნი, აგვისტოდან – კერასუნდი (გირესუნი), აგვისტოს მიწურულიდან – ტირებოლუ, ხოლო 1917 წლის იანვრიდან – კერასუნდი.

ლეგიონს ჰქონდა თავისი სამხედრო ლაზარეთი და სარეკრუტო პუნქტი, აგრეთვე, რეზიდენცია, რომელიც ჯერ ტრაპიზონში მდებარეობდა, შემდეგ სამსუნში, ბოლოს კი კერასუნდში. მას სათავეში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი სამხედრო პირები: ლეო კერესელიძე, ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, ლეიტენანტი შედე, მურად ბეი მაღალოვი (მაღალაშვილი), ინგურიძე და უფროსი ლეიტენანტი გრაფი ვალენი.

ლეგიონი ექვემდებარებოდა ისტანბულში მოქმედ გერმანიის მთავარსარდლობის სამმართველოსთან შექმნილ „კავკასიის ოფიცერთა კავშირს“, რომელსაც ზემოხსენებული გრაფი შულენბურგი ხელმძღვანელობდა.

1915 წლის მიწურულიდან ლეგიონს წრთენიდა ლეიტენანტი ჰორსტ გუსტავ შლიფაკი. მან შეძლო, რომ სამხედრო დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა ამ შენაერთში სათანადო დონეზე მდგარიყო.

ლეგიონმა თავი კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებშიც გამოიჩინა.

1916 წლის ნოემბრის ბოლოს, ექვსი ლეგიონერი საუკეთესო პატრულირებისათვის დააჯილდოვეს ოსმალური რკინის ნახევარმთვარის ორდენით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ოსმალეთის ხელისუფალთა დაყენებული მოთხოვნით, გერმანიის უმაღლესი სამხედრო მესვეურები იძულებულნი გახდნენ, რომ 1917 წლის აპრილში დაეშალათ ქართული ლეგიონი [8].

კომიტეტმა შეძლო ლეგიონის ერთი რაზმის შენარჩუნება, რომელიც 1917 წლის მაისში ოსმალეთიდან რუმინეთში გადაიყვანეს [4, 8]. 100-მდე ქრისტიანი ქართველისაგან შემდგარ ამ ჯგუფს დაევალა ბუქარესტთან მდებარე კოტროცენის ტყვეთა ბანაკის დაცვა [19, 215]. ამასთანავე, ქართული ჯარის გერმანია-ავსტრიაში ჩამოყალიბების მცდელობა „დამკომს“ შემდეგშიც არ შეუწყვეტია.

1918 წლის ივლისში ქართველ ლეგიონერთა ეს ნაწილი, ლეო კერესელიძის მეთაურობით, საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართული არმიის შემადგენლობაში ცალკე შენაერთის სახით შევიდნენ.

ქართულ ლეგიონს გააჩნდა საკუთარი სამხედრო დროშა, ფორმა და ჯილდო, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ [14]. საგულისხმოა, რომ ქართულ ლეგიონს საკუთარი ფულის ნიშნებიც კი ჰქონდა.

საინტერესოა, რამ გამოიწვია მისი გამოშვება?

მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე მეომარ სახელმწიფოებში მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. სხვა პრობლემებთან ერთად, ნაღდი ფულის დეფიციტიც წარმოიქმნა. ეს პროცესი ქართულ ლეგიონსაც შეეხო.

იმისათვის, რომ ქართული ლეგიონის ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისათვის ხელფასების დარიგება არ შეფერხებულყო, გერმანიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ამ სამხედრო შენაერთისათვის საგანგებო ფულადი ნიშნები დაებეჭდა.

1916 წლის მარტიდან – აგვისტომდე ქართული ლეგიონის ადგილსამყოფელი იყო ქალაქი სამსუნი.

სწორედ ამ პერიოდში, ბერლინის სახელმწიფო ზარაფხანაში, ლეგიონის სახელით იქნა გამოშვებული დროებითი ფულადი ნიშნები.

მსგავსი შემთხვევები მრავლად არის ცნობილი მსოფლიოს ყველგან ისტორიიდან. საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ფულადი ნიშნები არაერთი ქვეყნის არმიის, ანდა მისი ცალკეულ შენაერთისათვის იქნა დაბეჭდილი. ამ კატეგორიის ფულის ნიშნებს – „სამხედრო ფული“ ეწოდება.

ცნობილია ქართული ლეგიონის ბონების ორი ნომინალი – 5 და 10 პიასტრის (ოსმალური ფულის ერთეულის სახელწოდება) ღირებულებისა. ისინი დაბეჭდილია მოცისფრო ქაღალდზე.

ბონებზე დაფიქსირებულია შემდეგი წარწერები გერმანულ ენაზე:

„Georgische Legion. Samsun 1916“ („ქართული ლეგიონი. სამსუნი 1916“);

„Gut für 5 Pstr.“ („5 პიასტრი“) ან „Gut für 10 Pstr.“ („10 პიასტრი“);

„Fünf Piaster“ („ხუთი პიასტრი“) ან „Zehn Piaster“ („10 პიასტრი“).

ეს ბონები მიმოიქცეოდა 1917 წლის აპრილამდე, ოსმალეთის ქალაქებში: სამსუნში, კერასუნდსა და ტირებოლუში დაბანაკებულ ქართულ ლეგიონში.

აღსანიშნავია, რომ ქართული ლეგიონის სახელით გამოშვებული ბონები, გერმანიის იმპერიის სახელით გამოშვებულ ქაღალდის ფულის ნიშნებთან ერთად, წარმოდგენილი იყო 2006 წლის აპრილში გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ბონისტიკურ აუქციონზე [25, 7-8].

ამრიგად, ქართული ლეგიონის ბონების გამოშვებისა და ფუნქციონირების ისტორია გადაჯაჭვულია მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მეზობელი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული ქართული ლეგიონის ისტორიასთან. მათგან უმსხვილესი კუპიური – 10-პიასტრიანი გამოსახულია წინამდებარე კრებულის გარეკანის ბოლო გვერდზე.

ვინაიდან ეს ბონები ბერლინში დაიბეჭდა, მათზე მხოლოდ გერმანული წარწერები გვხვდება. მიუხედავად ამისა, ისინი ქართული ლეგიონის სახელითაა გამოშვებული და ამ სამხედრო შენაერთში მიმოიქცეოდა. ამიტომ, ეს ბონები თანაბრად განეკუთვნება როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ბონისტიკასაც (საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, რომელიც შეისწავლის ქაღალდის ფულის ნიშნებს).

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, ნაწილი I, თბ., 1990.
2. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, მრავალტომეული, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. III, თბ., 1992.
3. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942.
4. რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბ., 1995.
5. დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), I, ჟურნ. „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, № 1.
6. კ. სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, № 39-40.
7. მ. სვანიძე, 1914 წელს „ოსმალეთსა და“ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, „ქართული დიპლომატია“, II, თბ., 1995.
8. მ. სვანიძე, ქართული ლეგიონი ოსმალეთში I მსოფლიო ომის დროს, გაზ. „სამშობლო“, თბ., 1992, № 7-10.
9. ა. სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
10. ა. სურგულაძე, კ. სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994.
11. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994.
12. გ. შაორისპირელი (გ. კობახიძე), I მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოკლე ისტორია, გაზ. „საქართველო“, ბერლინი, 1944, № 109-110.
13. მ. წერეთელი, უკანასკნელი ქართული ეპოპეია, გაზ. „ქართველი ერი“, ნიუ-იორკი, 1955-1956, № 1.
14. ნ. ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბ., 1998.
15. ნ. ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995.
16. W. Bihl, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte, Teil I, Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917, Wien, Köln, Graz, 1975.

17. N. Dshawachischwili, Aus der Geschichte der militär-politischen Allianzen zwischen Georgien und Deutschland, Teil I, „Kaukasische Post“, Tb., 1996, N 8.
18. N. Dshawachischwili, Aus der Geschichte der militär-politischen Allianzen zwischen Georgien und Deutschland, Teil II, „Kaukasische Post“, Tb., 1997, N 9.
19. K. G. Klietmann, Das „Abzeichen“ und der „Orden der Königin Thamar“ in Georgien 1916 und 1918, „Ordenstunde“, Verlag „Die Ordenssammlung“, Berlin, 1964, N 23.
20. K. G. Klietmann, The badge and the Order of Queen Tamara, The Medal Collector, Official Publication of the Orders and Medals Society of America, September-October 1957.
21. D. M. Lang, War Medals and Paper-Money of Georgia in Transcaucasia (1915-24), The American Numismatic Society Museum Notes VII, New York, 1957.
22. V. Mericka, Faleristik, ein Buch über Ordenskunde, Prag, Artia, 1976.
23. O. Neubecker, Orden Georgiens und Türkische Kriegsauszeichnungen, Uniformen-Markt, 3. J., Berlin, 15 X. 1936.
24. J. C. Risk, Georgia: Order of Saint Tamara (From the collection of A. A. Miller), The Medal Collector, II, 1952.
25. Frühwald auktion 71 freitag, 7. April, 2006.

Niko Javakhishvili

Doctor of Historical sciences, Professor, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Bonds of Georgian legion

Summary

The research article is about temporary paper money (Bonds), emitted in the name of „Georgian Legion“ which combated for the Germany and its allies during the First World War. These bonds circulated in 1916-1917 in the military camps of Georgian Legion in Turkish towns of Samsun, Kerasund and Tirebolu.

The bonds were printed in Berlin and we can find only German inscriptions on them, but anyway the bonds are emitted in the name of Georgian Legion and circulated in abovementioned military unit. Therefore, those bonds equally belong to German and Georgian bonistics.

მზია ტყევეაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება
ბის მეცნიერ-თანამშრომელი

ქართული დიასპორა და 1917 წლის რევოლუციური პროცესები რუსეთის იმპერიაში (პრესის მასალების მიხედვით)

1917 წლის თებერვლის ბოლოს რუსეთში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ნიკოლოზ II იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. ხელისუფლებას სათავეში დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა ჩაუდგა. დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ისინი მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

რუსეთის მოსახლეობის უმეტესობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ მოვლენას. განსაკუთრებული იმედები იმპერიის სხვადასხვა ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს გაუჩნდათ. მათი ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ახლა მაინც, დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პირობებში, შესაძლებელი გახდებოდა ეროვნული ჩაგვრიდან თავის დაღწევა და თავისუფლების მოპოვება.

რევოლუციამდე ქართულ პოლიტიკურ წრეებში გამუდმებით მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ მიეღწიათ ცარიზმის მიერ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ნაციონალური უფლებების აღიარება – გაფართოვებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. თუმცა მაშინ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისა და თვითმპყრობელობისგან განთავისუფლების საკითხი „თეორიული ხასიათის მსჯელობის ფარგლებს არ სცილდებოდა“ [1, 8].

ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების სხვადასხვა ფენებში გაბატონებული იყო უიმედობა. ეს კარგად ჩანს ქართულ პრესაში დაბეჭდილი პუბლიკაციებიდანაც: „ამ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ არა ვიცოდით რა პეტერბურგში დატრიალებული მოვლენების შესახებ, ვამბობდით: საშინელია რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა – მძარცველები და ყაჩაღები, ყოვლად უნიჭო და უვარგისი მოხელეები დაპატრონებიან სახელმწიფოს, რომლებმაც უფსკრულამდე მიიყვანეს ქვეყანა... მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, რომ ამ უდიდესი განსაცდელის დროს არა სჩანან მამუ-

შეხვედები, არა სჩანს ჯგუფი, დაწესებულება, რომელიც შემოიკრება თავის გარშემო საღ ძალებს და დროზე უშველის სულთმობსა და სახელმწიფოს“ [11, 1].

განთქკის „სახალხო ფურცელის“ 1917 წლის 777-ე ნომერში დატანილი იყო სტატია, საქართველოში გამეფებული რუსიფიკატორული პოლიტიკისა და ქართველი ხალხის უსუსური მდგომარეობის შესახებ წერდა: „ჩვენს ქვეყანაში, საკუთარ სახლში სტუმრები ვართ და მათი გვიხარიათ ხოლმე, ცას ვენევით, თუ რომელიმე ჩვენი ხელი-სუფალი გაპბედავს და იტყვის, ეს სახლი ოდესღაც თქვენ გაკუთვნადითო. ასი წლის ცხოვრებამ ისე დაგვცა, დაგვაძაბუნა სულიერი, რომ გამვლელ – გამომვლელს საშუალება აქვს ყველაფერზე შემოგვედაოს... დაბალი მოხელეებიც კი თავს გვასხდებიან, ჩვენს ძაღვს საუბარ – წერას გვიკრძალავენ და იმდენი ძალა არ შეგვწევს, რომ შესაფერისი ლაგამი ამოვდოთ გათამამებულ ვაჭბატონებს და საკუთარი ბინა მივუჩინოთ“ [12, 1].

ავტორი ასეთი ვითარების გამომწვევ მიზეზებსაც ეხება და ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული ძალების სისუსტესა და არათანამიმდევრულობაზე აკეთებს მინიშნებას: „ეს საერთოდ ჩვენი სისუსტის, ეროვნული თავმოყვარეობის უქონლობის გამო ხდება. ყოველ მოლაღატეს, ჩვენს მგომბელს, მსაძინაღეს აუცილებლად ჩვენშივე ჰყავს მფარველი, არ თაკილობს მასთან ურთიერთობას, დაახლოებას და მეგობრობას. ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს ის სულის ზვიადობა, რომელიც ამბობს: მე იუდეველი ვარ და ფილისტიმელთან ერთად ჯდომა არ შემიძლიანო“ [12, 1].

ავტორის აზრით, აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ თვითმპყრობელობისა და არა მისი რომელიმე გამოვლენის წინააღმდეგ (რასაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში საქართველოში), მიზანმიმართული ბრძოლის აუცილებლობა იყო. სწორედ მთავარი დამნაშავეს, თვითმპყრობელობის, წინააღმდეგ ბრძოლის მონოდებას შეიცავს აღნიშნული პუბლიკაცია: „[ჩვენ] დამცირებულნი, დაკინებულნი ვართ ეროვნულ მდგომარეობით... მოდის ვიღაც უცხო ძალა, რუსეთის სინოდი, გარედან გვინიშნავს რომელიმე „დერჟიმორდას“ და ქართული საზოგადოება იძულებულია მასთან „უნებური ბრძოლა აწარმოოს, რომელიც იმ სისტემასთან ბრძოლის გამოძახილია, ასე ლოდივით რომ აწევს ჩვენს ქვეყანას და სულს გასაძახილია [12, 1-2]... საქმე სისტემა და ჩვენი ფარ-ხმალი სწორედ ამ სისტემასთან, საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა მოვიმარჯვოთ“ [12, 2].

1917 წლამდე ქართულ საზოგადოებაში გამეფებული ასეთი ნიჰილიზმი ბურჟუაზიულ – დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ იმედიანი განწყობილებით შეიცვალა. მეფის ხელისუფლების დამხობის ცნობამ დიდი სიხარული გამოიწვია საქართველოს მოსახლეობაში. თბილისში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, რომელსაც ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობდა. „მალე საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიქმნა საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები. რუსეთის დროებითა მთავრობამ კი მხარის მართვა – გამგეობისთვის შექმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ [2, 316–317]. ცვლილებები მოხდა ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაშიც. 1917 წლის 12 მარტს აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

ასეთ ვითარებაში, როგორც ისტორიკოსი შ. ვადაჭკორია წერს: „საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის იდეამ, ... 1917 წლის თებერვალ – მარტის რევოლუციის შედეგებიდან [გამომდინარე], მისი პრაქტიკული განხორციელების რეალური პერსპექტივები დასახა“ [1, 8]. ქართულ პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ პოპულარული გახდა რუსეთის ფარგლებში საქართველოს ავტონომიური მოწყობის იდეა. „ეროვნულ – დემოკრატიებისა და სოციალისტ – ფედერალისტების მხარდამხარ, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი სოციალ – დემოკრატებიც (მენშევიკები) გააქტიურდნენ“ [1, 8].

მალე საქართველოს ავტონომიისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის მთელი რიგი საკითხების ირგვლივ სხვადასხვა პარტიებს შორის თავი იჩინა დაპირისპირებამ, რაც ამ ეტაპზე კარგს არაფერს უქადდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ისე როგორც არასდროს, სწორედ ახლა იყო საჭირო შეკავშირება, რაც კარგად ესმოდათ პოლიტიკური პარტიების პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლებს. ისინი ქართველებს მოუწოდებდნენ, რომ შეთანხმებულად ემოქმედათ მთავარი პოლიტიკური საკითხების ირგვლივ მაინც. „სხვადასხვა საკითხის შესწავლა – განხილვის დროს სიძულვილს ვიჩინო ... და დაახლოვება – შერიგების მაგიერ, საერთო ხასიათის მოღვაწეობის ნაცვლად, ვიქსაქსებით, შინაურ ბრძოლას ვაჩალებთ და ვასუსტებთ ეროვნულ საქმეს, ერის ინტერესებისთვის მუშაობას“ [13, 1].

გამოცდილი პოლიტიკოსებისთვის ნათელი იყო, რომ ძველი დრომოჭმული ხელისუფლების დამხობა რუსეთში, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ეროვნული საკითხის თავისთავად მოგვარებას. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კი საჭირო იყო შეუნყვეტელი, თანამიმდევრული და დაუღალავი ბრძოლა. „ძველი რეჟიმის გაუქმება და ახლის დანერგვა რუსეთში არ ნიშნავს ჩვენი ბრძოლის შესუსტებას ან შეჩერებას. პირიქით, შესაძლებელია ახალ პირობებში ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდეს. ევროპაში ბევრგანაა თა-

ვისუფალი პარლამენტური მმართველობა, მაგრამ ერების ჩაგვრა და შევიწროება არაა მოსპობილი“ [11, 1].

ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთში მრავალი ერი ცხოვრობდა, რომელთაგან თითოეულს „თავისებური კულტურა და ცხოვრება ჰქონდა. აუცილებლად საჭირო იყო მათი თავისებურებების დაცვა და უზრუნველყოფა, ეს კი შესაძლებელი იყო არა მხოლოდ საზოგადო პოლიტიკური თავისუფლების დამყარებით, არამედ ყოველი ერისთვის თავის შინაურ საქმეებში პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭებით“. მათ ღრმად სწამდათ, რომ ეს ოდნავაც არ შეარყევდა რუსეთის მთლიანობას და სიძლიერეს, პირიქით უფრო შეაკავშირებდა ერებს, განამტკიცებდა სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების ერთობას, სახელმწიფო კი უფრო ერთსულოვანი და ერთხმიანი იქნებოდა“. „ქართველებმა უნდა მოეცაგონათ განთავისუფლებულ რუსეთს ჩვენი ეროვნული არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა. ესაა ჩვენი ქვეყნის ავტონომია, რომელსაც საკმაოდ გამორკვეული სახე აქვს და ურომლისოდაც ჩვენ ერს ვერ წარმოუდგენია თავისი მომავალი“ [11, 1].

სახელმწიფოს ავტონომიური მოწყობა მისაღები იყო საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის. თავის სიმპატიებს ამ იდეის მიმართ ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენები აშკარად გამოხატავდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გამართულ მიტინგებზე და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს [16, 4].

ამ საკითხისადმი თავის დადებით პოზიციას აფიქსირებდა სასულიერო წოდებაც. გორის ოლქის მეცხრე ოლქის სამღვდელოება საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდესადმი გაგზავნილ მილოცვის დეპეშაში, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ 92-ე ნომერში გამოქვეყნდა, წერდა: „ვულოცავთ საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, აგრეთვე, ამ საქმისთვის წამებულ პირთ და ქართველ ერს, ივერიის მრავალტანჯულ ეკლესიის განთავისუფლებას ... თავისუფალ ეკლესიას სჭირია თავისუფალი ერი. ამიტომ ვუერთდებით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს გათელილ ეროვნულ უფლებათა აღდგენას და ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის მინიჭებას“ [16, 3].

1917 წლის 4 პრილს ქ. ქუთაისში გამართულ ქართველ კათოლიკეთა კრებაზე დაიხვა საკითხი ქართულ ტიბიკონზე დაბრუნებისა და თბილისში ქართველ კათოლიკეთა საკუთარი საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის შესახებ [17, 3].

ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი ქართველი სამხედროებიც მიესალმნენ საქართველოს ავტონომიის იდეას. 1917 წლის აპრილის

დასაწყისში გაზ. „საქართველოში“ გამოქვეყნდა ქართველ სამხედროთა შემდეგი შინაარსის წერილი (ხელს აწერდა არჩილ შათირიშვილი): „ჩვენ, ფრონტზე მყოფი ქართველები, სრულიად რუსეთის საერობო კავშირის მოხელენი, ვუძღვნიტ სალამს ჩვენს ოცნება საქართველოს და ამისთვის მებრძოლ მამულიშვილთ. ვწუხვართ, რომ ამ ზეიმს პირადად ვერ ვესწრებით. ის ერი, რომელსაც თავისი ტერიტორია, კულტურა და ლიტერატურა აქვს, არ მოკვდება. საქართველო იყო, არის და იქნება. ვუერთებთ ჩვენს ხმას დემოკრატიულ ავტონომიისთვის მებრძოლთ“. ქართველი ჯარისკაცები უგზავნიდნენ შეგროვილ ფულს „ეროვნულ – დემოკრატიულ პარტიას“ გასაძლიერებლად [49, 4]. ჩრდილოეთის ფრონტიდან, კერძოდ კი კრესტოვიდან, გაზ. „საქართველოს“ მისამართით გამოგზავნილ დეპეშაში კი შემდეგი ეწერა: „ჩვენ, ჩრდილოეთის ფრონტის ორი დივიზიის ქართველები – ექიმები, ოფიცრები და ჯარისკაცები აპრილის 26 – ს შევიკრიბეთ და ერთხმად დავადგინეთ: ჩვენი ხმა იმ მებრძოლთა ხმას შევუერთოთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას მედგრად მოითხოვენ. გაუმარჯოს თავისუფალ ავტონომიურ საქართველოს“ [15, 3].

ამ რთულ სიტუაციაში, თავის მხრივ, ქართველ ჯარისკაცებთან თავისი მოღვაწეობა გაააქტიურა ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელმაც მაგალითად, 1917 წლის ოქტომბერში 30 მანეთის ლირებულების ქართული წიგნები უფასოდ გაუგზავნა ვორონეჟის კადეტთა კორპუსს, სადაც 52 ქართველი სწავლობდა [14, 2].

აქტიურობდა პოლიტიკური ელიტაც. საქართველოს ცენტრალურ რაიონებში თუ პროვინციებში საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან მათმა შეხვედრებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. მათი ლექციების მიზანი იყო: არსებულ სიტუაციაში გაერკვია საქართველოს მოსახლეობა, პოლიტიკურად გაეთვითცნობიერებინა ისინი და საქართველოს ავტონომიზაციის იდეისთვის გაეწია პოპულარიზაცია.

ქვეყნის ავტონომიზაციის მიმართ პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენლებიც. როგორც ყოველთვის, საქართველოს თვითგამორკვევის საკითხშიც შესაშური ერთგულება გამოიჩინეს ქართველმა ებრაელებმა. ქართველი ხალხისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ მათ ეროვნულ ჩაგვრასაც ბოლო მოეღებოდა. 1917 წლის 14 მარტს დაბა ონში ებრაელი ახალგაზრდობის კრებაზე „რაბინმა ბააზოვმა დაასურათა ძველი რეჟიმის უსამართლობა ებრაელებისადმი და მიუთითა იმ ძმურ დამოკიდებულებაზე, რომელიც სუფევდა სა-

ქართველოში ქართველებსა და ებრაელებს შორის. კრებამ მოითხოვა აუცილებლად საქართველოსთვის სრული ავტონომია, სადაც ებრაელთ ექნებათ სრული შვეება და თავისუფლება“. კრებამ ერთხმად დაადგინა: „მიმართოს ქ. პეტროგრადში ებრაელების დეპუტატებს, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ კადეტთა პარტიაში, მედგრად დაუჭირონ მხარი სამართლიან ქართველი ერის მოთხოვნებს, როგორც ტანჯულმა ებრაელის ერის შვილმა თანაუგრძნოს ტანჯულ ქართველ ერის მოთხოვნებს და ამით უფრო გააძლიეროს ჩვენი ძმობა და ამხანაგობა“ [17, 3].

გაზ. „საქართველოს“ 1917 წლის 26 აპრილის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში ონის ებრაელთა რაბინი ბააზოვი აღნიშნავდა, რომ ებრაელებისათვის ერთნაირად მტკივნეული იყო ებრაელებისა და ქართველების ეროვნული ჩაგვრა რუსეთის ბიუროკრატიის ხელში. მისი აზრით, საქართველოში მცხოვრები ებრაელებიც ისევე იყვნენ ებრაელები საქართველოს ავტონომიზაციისათვის მებრძოლთ, როგორც ქართველები. ონის რაბინი სტატიაში წერდა: „ყოველი ადამიანისთვის ნანატრი დრო დადგა... დაეცა რუსეთის ბიუროკრატია და მასთან მოკვდა მისი უსამართლო საქციელიც... აღდგა პროგრესული მთავრობა და მასთან ერთად აღადგინა სამართლიანობაც ... უსამართლოდ იტანჯებოდნენ წვრილი ერები რუსეთში, იჩაგრებოდნენ, იხრჩობოდნენ ბიუროკრატიის ხელით. ამ დაჩაგრულ ერთა შორის ებრაელიც იტანჯებოდა.

ამნაირ უსამართლობაზე დამყარებული მთავრობა სამართლიანობამ დაამხო, ძირს დასცა. აღსდგა ახალი მთავრობა, რომელიც უქადის ტანჯულ ერს თავისუფლებას ... სწორედ ამაში გამოიხატება ებრაელის განუსაზღვრელი სიხარული ... ესეთი იყო საქართველოს ბედიც ... 117 წელიწადია, რაც იგი რუსეთს შეუერთდა ... მას შემდეგ იტანჯება ... ჩვენ, ქართველი ებრაელები, მასთან ერთად ვიტანჯებოდით. ჩვენდა სასიხარულოდ ქართველმა ერმა გამოიღვიძა ... და თავის მამა – პაპის სამკვიდროს ითხოვს ... ყველა ჯგუფის პირით გაიძახის: ავტონომია საქართველოსო! ეს არის სრული სამართლიანი მოთხოვნილება ... და თუკი რუსეთის ახალი მთავრობა სამართლიანობას ემსახურება, მან უნდა შეუსრულოს ქართველ ერს მოთხოვნილება. . ქართველი ერი საკმაოდ მომზადებულია, რომ მან მოაწყოს ... თავისი სამშობლოს საქმეები ... ჩვენ, ქართველი ებრაელები ვალდებულები ვართ ყოველი ღონისძიებით მხარი დავუჭიროთ მას ... ონის ებრაელებმა ებრაელების დეპუტატებს ფრიდმანსა და მის ამხანაგებს ქ. პეტროგრადში დეპუტით მიმართეს და სთხოვეს, რომ როგორც დაჩაგრული ერის შვილთ, ყოველ ღონისძიებით დაიცვან ქართველი ერის მოთხოვნილება, რადგან კადეტთა პარტიაში მათი გავლენა დიდია ... იმედია, რომ ებრაელების დეპუტატები

თავიანთ ვალს მიხვდებიან და ქართველ ერს მხარს დაუჭერენ... ჩვენ დიდი სიხარულით ველით, რომ საქართველომ ავტონომია მიიღოს! ჩვენ მზად ვართ ქართველებთან ერთად თავი ამას შევნიროთ... მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქართველმა ებრაელებმა თავისი ყოველი უფლებები სამოქალაქო და ეროვნულ - რელიგიოზური ახლავე გამოვარკვიოთ და ყველა მოქმედ პარტიებს წარვუდგინოთ. მე იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება არც ერთ პარტიაზე, რომ ყველანი სრული მომხრენი იქნებიან ჩვენი სრულუფლებიანობისა... აუცილებელია შემუშავებულ იქნას ჩვენი განსაკუთრებული საჭიროებანი... სამწუხაროდ, ჩვენ არა გვყავს ამისთანა მოღვაწენი და მეთაურები. არ გვაქვს საერთო წრე, რომ გვინინამძღოლონ... ბევრჯერ ნახდა საქმე უამისოდ და ვაითუ ეხლაც ნახდეს, თუ თვითონ ქართველების მეთაურებმა არ იკისრეს ეს ფრიადი და აუცილებელი საქმე... [18, 3].

ამ პერიოდში ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივად და დროებით ცხოვრობდა რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებისა თუ პერიფერიების მსხვილ სამრეწველო, კულტურულ, სამეცნიერო ცენტრებში და სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში: მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ირკუტსკში, ცარიცინში და ა. შ... განსაკუთრებით მრავალი ქართველი ცხოვრობდა ჩრდილო კავკასიაში. ყიზლარსა და მოზდოკში ქართველები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ. ქართველების აქტიური მიგრაცია ჩრდილო კავკასიაში XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, თავის კულმინაციას კი ამავე საუკუნის ბოლოსთვის მიაღწია. თემირ-ხან-შურაში, პეტროვსკში, დერბენდში, ვლადიკავკაზში, სტავროპოლში და ა. შ. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში უკვე მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ამის მიზეზი რუსეთის ეკონომიკური და მიგრაციული პოლიტიკა იყო, რაც ეკონომიკური მიზნების - სამხრეთის მიწების ათვისების გარდა, პოლიტიკური ამოცანების - უცხო ელემენტის გაძლიერებული ჩასახლებით ადგილზე მოსულების რიცხოვრებით უპირატესობის მიღწევას, ეროვნული და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების შექმნას, ამით ადგილობრივი მოსახლეობის ადვილ და სწრაფ ასიმილაციას და საჭიროების შემთხვევაში მათ გათიშვას და სიტუაციის იოლ და თავისი მიზნების შესაბამისად მართვას გულისხმობდა [7, 3-4]. რუსეთს კავკასიაში თავისი პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება დაუმორჩილებელი კავკასიელების „ენით, გონებით და გრძნობით რუსებად“ ქცევით ჰქონდა განზრახული. უცხო, მოსული ელემენტისთვის მთელი რიგი პრივილეგიებისა და შეღავათების მინიჭებით რუსეთის მეფის კარი, სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მიგრაციას უწყობდა ხელს; ამით ადგილზე რაოდენობრივად მცირდებოდა და სუსტდებოდა ეროვნული

ძალები. პრივილეგიებულ მოსულებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული ადგილობრივი მცხოვრებლები, თავის მხრივ, ახალ, თავიანთის ხელსაყრელ საცხოვრებელს ეძებდნენ და გულისტკივილით, მაგრამ მაინც ტოვებდნენ თავიანთი სამკიდროს, მამაპაპეულ ადგილებს და იძულებულნი ხდებოდნენ უცხო მხარეში ეძიათ ბედი.

რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში გაბნეული ქართული დიასპორის წარმომადგენლები, რომელთა ნაწილს საკმაოდ მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა და თვალსაჩინო როლს ასრულებდა იმპერიის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, კმაყოფილებით შეხვდა მეფის ხელისუფლების გადადგომას და საქართველოს ავტონომიზაციის მოთხოვნას.

სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საკუთარ ქვეყანასთან და კარგად იყენებდნენ ინფორმირებულნი აქ მიმდინარე პროცესების შესახებ, ისინი კარგად იცნობდნენ ქართველი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეების საქმიანობას და ყოველთვის ეხმიანებოდნენ საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. ქართული დიასპორა განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამსჭვალული იმ ქართველი მოღვაწეების მიმართ, რომლებსაც თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოსთვის ბრძოლა ჰქონდათ დასახული.

ეს პატივისცემა მათ გამოხატეს 1917 წლის 30 ივლისს გარდაცვლილი, სოციალისტურ - ფედერაციული პარტიის კომიტეტის ერთ - ერთი თვალსაჩინო წევრის, გიორგი ზდანოვიჩის (გ. მაიაშვილი - 1885 - 1917) მიმართ. ქართული დიასპორა მწუხარებას გამოთქვამდა სახელოვანი ქართველი მოღვაწის სიკვდილის გამო. ეს თანადროულად იყო იმ პოლიტიკური გზისა და იდეების მხარდაჭერა, რასაც ყველასთვის საყვარელი პიროვნება ემსახურებოდა. სამძიმრის დეპეშები მოვიდა თვით ვლადივასტოკში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოდანაც. ქალაქ კავკაზში კი „სოციალისტ - ფედერალისტების კავკავის კომიტეტის თაოსნობით ადგილობრივ ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნა გ. ზდანოვიჩის პანაშვიდი, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. გალობდა ქართველ იუნკერთა გუნდი პრაპორშნიკ ელისაბედოვილის ლოტბარობით. გ. ზდანოვიჩის მოღვაწეობის შესახებ სიტყვით გამოვიდა მღვდელი გ. ნათაძე“ [42, 4; 6, 114 - 153].

ქართულმა დიასპორამ ასეთივე სიყვარული და პატივისცემა გამოხატა 1917 წლის დეკემბერში გარდაცვლილი, სოციალისტ - ფედერალისტური პარტიის წევრის, კიტა აბაშიძის, მიმართ, რომლის დაკრძალვაც „ეროვნულ მოვლენად იქცა“ [6, 104; 43, 4].

ქართული პოლიტიკური მოღვაწეები შეხვედრებსა და გამსვლელ ლექციებს აწყობდნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან. მაგალითად, 1917 წლის 14 სექტემბერს კიევი ქართველ სტუდენტებთან შესახვედრად ჩავიდნენ ი. მაჭავარიანი და ი. ბარათაშვილი. კრება ანატომიურ თეატრის დარბაზში შედგა. მას ასი კაცი დაესწრო. სტუმრებმა სიტყვით მიმართეს დამსწრე საზოგადოებას. კიევის დიასპორის სახელით სტუმრებს მიესალმა გ. დოლაბერიძე [26, 4].

1917 წლის 7 ნოემბერს სამსონ დადიანმა ქ. ბაქოში მცხოვრებ ქართველებს წაუკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „უნიტარული, თუ ფედერაციული რესპუბლიკა“. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საერთო მოძრაობისა, რასაც ამ დროს ჰქონდა ადგილი [50, 3].

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მრავალი ქართველი ნებაყოფლობით ტოვებდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში საპასუხისმგებლო თუ ავტორიტეტულ თანამდებობებს და სამშობლოს უბრუნდებოდა. მაგალითად, 1917 წლის აპრილში პროფესორი ალ. ცაგარელი პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა [20, 2]. 1917 წლის აგვისტოში რუსეთიდან სამშობლოში გამოემგზავრა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლევან მეტრეველიც. იგი გახ „სახალხო საქმის“ რედაქციის საშუალებით მიესალმა მშობლიურ ქვეყანას: „ჰოი, სამშობლოვ! ჩრდილოეთით მომავალი იალბუზის მწვერვალზე დავეძებ შენთვის ანთებულ თავისუფლების კელაპტარს და პირველ საღამოს იმას მოვუძღვნი ... სხვათა მხარეში მრავალი წლის არარაობის შემდეგ, კვლავ გიბრუნდები და პირველყოფლისა მონივნით მოვიყრი მუხლს ამ შენი სულის უკვდავ ნანგრევთა თავყანსაცემად ... თავისუფლების ჭიაკოკონა ელვარებს ჰაერში მზის სხივთა სწორად ... მონობას სტოვებს ტანჯული ქვეყანა – გაუპეთ წინ გზა თავისუფლების!“ [22, 3].

რუსეთში დარჩენილი ქართველები აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას აგრძელებდნენ.

მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა იყო რუსეთის იმპერიის დედაქალაქ პეტერბურგში. მათ თვალწინ მოხდა 1917 წლის რევოლუციები. პეტროგრადის ქართველობა არნახულ პოლიტიკურ სიმნიფესა და პატრიოტობას იჩენდა და ყველა ქართველს მოუწოდებდა გაერთიანებისა და შეკავშირებისკენ. მათ მუდმივი კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან. გამოწერილი ჰქონდათ საქართველოში გამომავალი თითქმის ყველა გაზეთი, რომლის საშუალებითაც სამშობლოში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსში იყვნენ [49, 3]. პეტროგრადის ქართველები აწყობდნენ საქველმოქმედო ღონისძიებებს და შეგროვილ ფულს სამშობლოში გზავ-

ნიდნენ. 1917 წლის 4 აპრილს პეტროგრადის საკრედიტო ამხანაგოების ცენტრში შედგა პეტროგრადის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების კრება. კრების თავმჯდომარე იყო ა. ჩერქეზიშვილი. კრებამ გადაწყვიტა: „მიმართოს ქართველ პარტიულ ორგანიზაციებს, მოსპონ კინკლაობა ამ საპასუხისმგებლო დროში და შეერთებული ძალით იმოქმედონ საქართველოს ნაციონალურ – დემოკრატიული თვითმმართველობის იდეის გარშემო, გამოუცხადოს საღამო ციმბირიდან დაბრუნებულ ი. გ. წერეთელს, ხოლო ნ. ჩხეიძეს თანაგრძნობა შეილის დაკარგვის გამო. გამგეობის წევრებმა ვ. იაშვილმა და ვ. ქორქიამ გააკეთეს მოხსენება წინა წლის სამოქმედო ანგარიშის შესახებ. კრებაზე შედგა ახალ წევრთა არჩევნები. საპატიო წევრებად აირჩიეს: თ. ი. ნაკაშიძე, ცოლ – ქმარი აკ. და მინადორა ხოშტარიები. გამგეობის წევრებად: გენ. ლეიტ. თ. ა. ვანნაძე, მღვდ. იოს. ჩიჯავაძე და ჩერქეზიშვილი. კრებამ დაადგინა: მიანდოს გამგეობას დროის შესაფერისი ახალი წესდების შედგენა. საზოგადოებამ ენერგიული საქმიანობისთვის მაღლობა გამოუცხადა ეკატ. ჩოლოყაშვილს“ [48, 3].

პეტერბურგის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება რაოდენობრივად უფრო და უფრო იზრდებოდა. მარტო 1916 წელს მას 200 ახალი წევრი შეემატა (მარტო ამ ცნობიდანაც აშკარა ხდება რაოდენ მრავალრიცხოვანი იყო პეტროგრადის ქართული სათვისტომო), შემოსავალმა კი 6000 მანეთი შეადგინა. პეტროგრადში „დაარსდა ქართველი მრევლი“; საზოგადოებამ ა. ქორქიას მეთაურობით შემწეობა აღმოუჩინა ქართველ ტყვეებს; დიდი დახმარება გაუწიეს, აგრეთვე, პეტროგრადის ღარიბ მოსწავლეებს და მცხოვრებლებს. საზოგადოება გამუდმებით ზრუნავდა პეტროგრადში ჩასულ ქართველებზე და მათ დაბინავებაში ეხმარებოდა“ [48, 3].

მრავალი ქართველი ცხოვრობდა ქ. მოსკოვშიც. ისინი სიხარულით შეხვდნენ მეფის ხელისუფლების დაშლას და თანაუგრძნობდნენ რუსეთში მცხოვრებ ჩაგრულ ერებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. 1917 წლის აპრილის დასაწყისში მოსკოვის ქართველობამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლვოვს: „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება დიდი სიხარულით ულოცავს მოძმე რუსის ხალხს გამარჯვებას“. მისალოცი დეპეშაში მოსკოვის ქართული დიასპორის წარმომადგენლები დროებით მთავრობას შეახსენებდნენ იმ მიძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელშიც თვითმპყრობელობის დროს რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ერები, მათ შორის ქართველებიც, იმყოფებოდნენ და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ახალი მთავრობა მაინც მიაქცევდა ჯეროვან ყურადღებას ეროვნულ, კონკრეტულად კი საქართველოს ავტონომიზაციის, საკითხს: „რუსეთის საზოგადოებამ იცის, რომ ძველი

მთავრობა სწავრავდა ქართველებს და ეროვნული თვითგამორკვევის საშუალებას უსპობდა. ხელშეკრულებით დაპირებული არა სრულდებოდა რა, აქტებითა და ტრაქტატებით წართმეული იყო [მათი ეროვნული უფლებები]“ [19, 3].

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველებთან და საერთოდ, რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ჩაგრულ ერებთან დამოკიდებულების საკითხში, მოსკოვში მცხოვრები ქართველი საზოგადო მოღვაწენი ერთმანეთისგან მიჯნავენ მეფის რუსეთის ხელისუფლებას და უბრალო რუს ხალხს. „რუსი ხალხი მუდამ დაჩაგრულების მომხრე იყო... საქართველომ იცოდა, რომ სამართლიანი და არანაკლებ დაჩაგრული რუსი ხალხი ძველ მთავრობას მოქმედებას არ უდასტურებდა და სწამდა, რომ ადრე თუ გვიან მისი განთავისუფლების ჟამი დაპკრავდა. დროებითი მთავრობის შემადგენლობა ქართველობას იმედს აძლევს, რომ მცირე ერთა უფლებები თავისუფალ რუსეთში დავინყებულ არ იქნება, რომ საქართველო თავის ისტორიულ და კანონიერ უფლებათა განხორციელების გზას ადგას და რომ ახლოა ის დრო, როდესაც ყოველი ქართველის ოცნება, ავტონომიური საქართველო თავისუფალი რუსეთის დროშის ქვეშ, აღსრულდება. კრების თავმჯდომარე მ. ზანდუკელი.“ [19, 3].

მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაც: „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიესალმება, როგორც დემოკრატიული რუსეთის აზრთა გამომსახველს. ქართველებმა ვიცით, რომ რუსეთის დემოკრატია რუსეთში მცხოვრებ მცირე ერთა ინტერესების დამცველია და რომ დემოკრატიის გამარჯვება საუკეთესო თავდებია საქართველოს ავტონომიურ უფლებათა აღდგენისა“ [19, 3].

მოსკოვის ქართული დიასპორის აღწერით, „დიდებული სანახავი იყო რევოლუციის დროს მოსკოვი (1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაზე ლაპარაკი და ქართველები ალბათ მეფის დამხობის შემდეგ მოსკოვის მოსახლეობის ამაღლებულ განწყობილებაზე და თავისუფლებისთვის ბრძოლაზე მიანიშნებენ - ავტორის შენიშვნა). ის რაც, გუშინ წარმოადგენდა ჩვენთვის თითქმის მიუღწეველ მისწრაფებას, იგი შეიქმნა სიცხადედ, ფაქტად. გაისმა ხმა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხისა, იფრიალა მრავალმა, ზღვა წითელმა დროშამ და დიდებული იყო ძალა, რომელიც წარმოშვა მღელვარე ხალხმა თავისუფლების უფლებათა აღსადგენად. ყველა მზად იყო საბრძოლველად.“ [47, 4].

მოსკოვი საუნივერსიტეტო ქალაქი იყო და აქ ყოველთვის მრავალი ქართველი ახალგაზრდა ცხოვრობდა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის პირველი წუთებიდანვე

ისინი რევოლუციურ მოვლენებში აქტიურად ჩაებნენ. გაზ. საქართველოს 1917 წლის 23 აპრილის ნომერში მოსკოვის სათვისტომოს ერთ - ერთი წარმომადგენელი ლ. ფანიაშვილი წერდა: საამაყო ჩვენთვის, როგორც ქართველებისთვის, ის შრომა, რომელიც მიუძღვის საერთო საქმეში მოსკოვის ქართველ სტუდენტობას. ისინი გაერთიანებულნი იყვნენ „ქართველ სტუდენტთა რაზმში“, იდგნენ მოვლენათა სათავეში და თავგანწირვით იბრძოდნენ თავისუფლებისთვის. „არ ზოგავდნენ არც სიცოცხლეს, არც ჯანს და არც ძალას დიდებულ თავისუფლებისთვის, დიდებულ საქართველოს თავისუფალ მოქალაქის სახელის მოსახვეჭად. პირველ დღიდანვე ამ რაზმმა მიიქცია რევოლუციის მეთაურების ყურადღება და მოსკოვის მილიციის უფროსმა, ნაფიცმა ვეჟილმა ა. ნიკიტინმა, კიდევ მიმართა რაზმის უფროსს ამხ. მიხ. ჩხეიძეს თხოვნით, რომ რაზმს გაენათ მისთვის თანამშრომლობა. ერთი თვის განმავლობაში რაზმმა დაიმსახურა ყველას მაღლობა და პატივისცემა მოსკოვში“ [47, 4]. მოსკოვის რევოლუციაში გამოწვეული ქართველ სტუდენტთა რაზმის ნაწილი აპრილის ბოლოს სამშობლოსკენ გამოემართა. „მოუთმენლად ვესწრაფვით სამშობლოსაკენ, რომ ერთი - ორად მოვახმაროთ ყოველივე ჩვენი ძალა თავისუფლების კეთილდღეობას და აღორძინებას“. რაზმის დანარჩენი ნაწილი საქართველოში გამოემგზავრებას 25 მაისამდე აპირებდა. „მ. ჩხეიძე აწარმოებდა მოლაპარაკებებს მატარებლის თაობაზე, რომლითაც ქართული რაზმი თავისი დროში გამოემგზავრებოდა სამშობლოსკენ“ [47, 4].

6 აპრილს კი პიშკეკეში მცხოვრები ქართველები გაზ. „საქართველოს“ საშუალებით მთელი საქართველოს მოსახლეობას ულოცავდნენ ცარიზმის დამხობას და აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის საკითხის წამოჭრის გამო: „აქ მყოფი ქართველები აღფრთოვანებით მიესალმებიან სოციალ - დემოკრატთა იმ ჯგუფს, რომელმაც ლოზუნგად დაისახა სამშობლოს ტერიტორიული ავტონომია. ამ ნაბიჯში ვხედავთ დასაწყისს იმ საოცარ სწეულების დასასრულისა, რაც ასე მოდებული იყო ქართული ინტელიგენციის ერთ ნაწილში. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ [20, 3].

ქართული დიასპორის წარმომადგენლები მიესალმებოდნენ როგორც საქართველოში, ასევე რუსეთის იმპერიაში მომხდარ ყველა პროგრესულ და მნიშვნელოვან მოვლენას. ისინი მხარში ედგნენ სხვადასხვა ერებს ეროვნული თვითგამორკვევისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში, რადგან იცოდნენ, რომ ამ გზაზე რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ნებისმიერი ერის მიერ მიღებული თუნდაც უმნიშვნელო წარმატებაც კი, ქართული ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის იქნებოდა პრეცედენტიც, მაგალითიც,

გამოცდილება, გზის გაკვალვა, მდგომარეობის შემსუბუქება და თანადგომა.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებით მტკიცე კავშირი ჰქონდათ უკრაინულ პატრიოტებთან. საქართველოში მოღვაწე პოლიტიკოსთა უმეტესობამ კარგად იცოდა უკრაინის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის იმპერიისთვის და დარწმუნებული იყო, რომ უკრაინის რუსეთიდან ჩამოცილება, თუ ავტონომიის მოპოვება ამ უკანასკნელის დაშლას თუ არა, მის დასუსტებას მაინც აუცილებლად გამოიწვევდა. ეს კი ჩაგრულ ერებს თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქების შესაძლებლობას მისცემდა, მათ ეროვნულ – განმათავისუფლებელ ბრძოლას კი ნარმატების რეალურ პერსპექტივას დაუსახავდა. ისინი კარგად იცნობდნენ ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებებს ამ საკითხზე და ცდილობდნენ მათი ნააზრვეი ქართული საზოგადოებისთვისაც გაეცნოთ. შემთხვევითად ნამდვილად არ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ 1918 წლის გაზ „საქართველოს“ 45-ე ნომერში დაბეჭდილი იყო ამონარიდი ამ პერიოდის საკმაოდ ავტორიტეტული გერმანელი მეცნიერის, რუსეთის კოლონიალურ – პოლიტიკურ საკითხებში ღრმად განსწავლული და „რუსეთის საქმეების საუკეთესო მცოდნის“, პაულ რორბახის ნაშრომიდან: „მოსკოვის სახელმწიფოს უკრაინის შეერთებამ მეტი სიძლიერე შესძინა... რუსეთის შესასუსტებლად საჭიროა უკრაინის რუსეთისგან ჩამოშორება. მართალია, უკრაინის შესახებ გამეფებულია აზრი, რომ ვითომც უკრაინა სეპარატიულ მისწრაფებას არ ააშკარავებს, მაგრამ ეს აზრი შემცდარად უნდა ჩაითვალოს... ეს სკეპტიციზმი უნიადაგოა. საქმე იმაში კი არ არის, რომ 30 – 38 მილიონიანი უკრაინა გამოყოფის სურვილს არ ააშკარავებს, საქმე იმაშია, რომ უკრაინა უსათუოდ უნდა გამოეყოს მოსკოვის სახელმწიფოს. უკრაინა არის ბელელი რუსეთის ხორბლისა და უკრაინავე აძლევს რუსეთს თითქმის მთელ ჭარხალს შაქრისთვის და თამბაქოს“ [23, 3].

ამ პერიოდში უკრაინელი ხალხი აქტიურად იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. „1917 წლის 6 აპრილს კიევში სრულიად უკრაინის ეროვნულ კონგრესზე შეიქმნა უკრაინის ცენტრალური რადა. რადას სათავეში ჩაუდგნენ უკრაინის მენშევიკთა (ვინნიჩენკო, პეტლიურა, მაზეუა და სხვ.) და ესერთა (გრუშევსკი, ხრისტიუკი, ზალიზნიაკი და სხვა) ლიდერები. რადის აღმასრულებელი ორგანო იყო გენერალური სამდივნო. 1917 წლის ივნისში უკრაინის ცენტრალურმა რადამ „პირველი უნივერსალი“ გამოაქვეყნა, რომელშიც ზომიერი ფორმით საუბარი იყო უკრაინის ავტონომიზაციაზე. დროებითმა მთავრობამ უარყო იგი [8, 24].

1917 წლის ივლისში კრიზისმა რუსეთში უკიდურეს ზღვარს მიაღწია. დროებითი მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო.

კრიზისით გამოწვეული მასების უკმაყოფილება კარგად გამოიყენა ბოლშევიკურმა პარტიამ. მათი ხელმძღვანელობით მოსკოვში, მინსკში, ხარკოვში, კიევში, ვორონეჟში, ცარიცინში, ნიჟნი – ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში კორნილოველებთან საბრძოლველად შეიქმნა რევოლუციური კომიტეტები [8, 40]. ამან ვითარება უფრო დაძაბა.

გაძლიერდა რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ბრძოლა დროებითი მთავრობის ეროვნული პოლიტიკისა და ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევისთვის. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იყო უკრაინაში. უკრაინელები გაბედულად მოითხოვდნენ დროებითი მთავრობისგან „უკრაინის ავტონომიას, ხოლმის გუბერნიის უკრაინის საზღვრებში დატოვებას (ლაპარაკი იყო ამ ტერიტორიის პოლონეთისთვის გადაცემაზე – ავტორის შენიშვნა) და უკრაინული ენის შემოღებას ყველა სახელმწიფო და საზოგადო სამმართველოებში; რომ სწავლება იქ, სადაც უმეტესად უკრაინელები იყვნენ, უკრაინულ ენაზე ყოფილიყო“ [21, 2].

მათი შეუპოვრობა და უკომპრომისობა ეროვნულ საკითხებში მაგალითის მიმცემი იყო იმპერიის სხვა ერებისთვის, მათ შორის ქართველი პატრიოტებისთვისაც. „უნდა მივბაძოთ უკრაინას, რომელიც უკვე მკვიდრ გზას დასდგომა“ – აცხადებდნენ ქართველი სოციალ – ფედერალისტები.

თუმცა ქართველი პოლიტიკოსებისთვის ნათელი იყო ისიც, რომ უკრაინელთა მსგავსად მოქცევა ქართველებს არ გამოადგებოდათ, რადგანაც საქართველო და უკრაინა სხვადასხვა ისტორიულ და გეოპოლიტიკურ რეალობაში იმყოფებოდნენ და ქართველებისა და უკრაინელების ეროვნულ თავისუფლებამდე მისასვლელი გზები ვერ იქნებოდა ერთგვაროვანი. საქართველო იძულებული იყო კავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესები გაეთვალისწინებინა და თავისი პოლიტიკაც მათ ლიდერებთან შეეთანხმებინა. „ჩვენი მდგომარეობა ცოტა სხვანაირია. ჩვენთვის არ კმარა შინაური შეთანხმება, ჩვენთვის საჭიროა კავკასიაში საერთაშორისო შეთანხმება და თუ მოსახერხებელია, შეთანხმება რუსეთში მოსახლე ყველა ჩაგრულ ერებთან, რათა დამფუძნებელ კრებაზე საერთო ძალ-ღონით მოვითხოვოთ ჩვენი უფლების აღდგენა და განხორციელება“ [27, 1].

ქართული პრესა გამუდმებით და ძირფსვიანად აშუქებდა უკრაინაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, ადარებდა მას საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და გარკვეული დასკვნებიც გამოჰქონდა.

მრავალი ქართველი ცხოვრობდა ქ. კიევში. აქ ბევრი იყო სტუ-
დენტობაც, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ პროცე-
სებში. კიევში მცხოვრები ქართველი სტუდენტები ხშირად მართაე-
დნენ საერთო და პარტიულ კრებებს. ასეთი კრებები და ლექცია -
შეხვედრები, ამალღებდა მსმენელთა პოლიტიკურ და ეროვნულ
თვითშეგნებას. 1917 წლის ოქტომბერში კიეველი სტუდენტები წერ-
დნენ გაზ. „სახალხო საქმის“ რედაქციას: „დღეს, თამამად უნდა
ვთქვათ, რომ აღარ არის ქართველი სტუდენტი, რომ არ დაეძებდეს
ქართულ ორგანიზაციას“ [26, 4].

1917 წლის ოქტომბერში კიევში მცხოვრები ქართველი სტუ-
დენტები (მ. ტყავაძე) სოციალისტ - ფედერალისტების სახელით მი-
ესალმნენ უკრაინის სახალხო უნივერსიტეტის გახსნას [24, 3].

დროებითა მთავრობამ თავი ვერ გაართვა ქვეყანაში შექმნილ
ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს, ქვეყანაში ეკონომიკურმა სი-
დუხჭირემ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მან ვერც ეროვნული სა-
კითხების მოგვარება შეძლო. მალე იმპერიაში ანარქიამ და არეულო-
ბამ დაისადგურა. თავი იჩინა ეთნიკურმა კონფლიქტებმა. უმართავი
ხასიათი მიიღო პარტიებს შორის შეუთანხმებლობამაც. ამან თავისი
კვალი დაატყო ქართულ დიასპორასაც. რუსეთში „ეკონომიკურმა
კრიზისმა უმაღლეს ნერტილს მიაღწია. ისიც საიდუმლო არ არის,
რომ დღეს თუ ხვალ მოსალოდნელია დიდი კატასტროფა ეკონომიურ
ნიდაგზე. აბობოქრებული ტალღები აწეწილი ცხოვრებისა მოედო
მთელ რუსეთის ერებს და დიდ საშინელებას უქადის. ჰაერში დაქრის
სიკვდილის, უბედურების ლანდები და შორს არ არის ის შავი დღეები,
როდესაც ისინი ხორცს შეისხავენ. ამ გარემოებამ გამოუვალ მდგო-
მარეობაში ჩააყენა რუსეთის სტუდენტობა...“ [25, 3].

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, საკუთარი
უნივერსიტეტის უქონლობის გამო, დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებ-
ში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდები. კიევის ქარ-
თველი სტუდენტები წერდნენ: „ჩამოსულები 2 - 3 კვირა დაიარები-
ან დილიდან საღამომდე და ერთი პატარა ბინა ვერ უშოვიათ. ერთი
ოთახი თუ იშოვე ნაცნობობით, 80 - 100 მანეთი ღირს, რომელიც 4
თვის წინ 25 მან. ღირდა. სტუდენტი ყოველთვის ნახევრადმძივრია...
არ არის არც სამსახური ... სტუდენტები ჩამოდიან საუნივერსიტე-
ტო ქალაქში იმ იმედით, რომ სწავლა დაიწყონ ... თუმცა კვირაობით
ღამეებს ცის ქვეშ ათევენ“ [25, 3].

ასეთი სიდუხჭირისა და ეკონომიკური პრობლემების მიუხე-
დავად სტუდენტებისთვის მთავარი პრობლემა მაინც ის უფსკრული
იყო, რაც არსებობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულ
და გათვითცნობიერებულ, პროგრესულად მოაზროვნე, უნივერსი-
ტეტების ავტონომიზაციისა და დემოკრატიზაციის მომხრე სტუ-

დენტებსა და ყოველივე ახლის მოწინააღმდეგე, ძველი ცხოვრების
მოტრფილ, კონსერვატორ პროფესორ - მასწავლებლებს შორის.
მათ შორის მართლაც „ხიდი იყო ჩატეხილი“ და მისი გამთლიანება
შეუძლებელი ჩანდა. „ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სტუდენტობა
მითხოვდა უნივერსიტეტის დემოკრატიზაციას, რაზეც კიევის
უნივერსიტეტის შავრაზმელი პროფესორები არ თანხმდებოდნენ.
ამის გამო შეწყვეტილი იყო სწავლა, ლექციები და გამოცდებიც კი.
როგორც კიევის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები წერდნენ:
„მაშინ როცა რევოლუციამ ყველაფარი შეაზანზარა, გარდაქმნა და
გადააკეთა, მხოლოდ ჩვენი სამეცნიერო ტაძარი დარჩა შეუცვლე-
ლი. თავისუფლებამ უნივერსიტეტს მისცა ავტონომია. პროფესო-
რებმა კი გამოაცხადეს მხოლოდ თავისი ავტონომია და არა უნივერ-
სიტეტის. ჩვენი პროფესორები ყოველთვის ხულიგნები და შავრაზ-
მელები იყვნენ, მაგრამ ჩვენ გვეგონა მაინც ფერს იცვლიდნენ, რა-
შიც მოვტყუვდით. უნივერსიტეტის (კიევის უნივერსიტეტი იგულის-
ხსება - ავტორის შენიშვნა) ჟანდარმად კვლავ ცნობილი ჟანდარმი
პროფესორი ტიტოვი აირჩიეს. მან 1910 წელს უნივერსიტეტში პო-
ლიცია ჩააყენა ... ჩაჰკლა ყოველივე პოლიტიკური იდეა უნივერსი-
ტეტის კედლებში ჟანდარმერიისა და პოლიციის საშუალებით ...
სტუდენტობა ვერ შეურიგდება მის რექტორობას და გაფიცვა გაგ-
რძელდება. ახლა ამ კონფლიქტში უკრაინის რადა ჩაერია“ - წერდა
გიორგი ნათაძე გაზ. „სახალხო საქმის“ რედაქციას 1917 წლის სექ-
ტემბრის დასაწყისში [25, 3].

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა დიდი გავ-
ლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მან თავისი დალი განსაკუთრებით
ახალგაზრდობას დაასვა. გაზ. „სახალხო საქმისადმი“ მოწერილ წე-
რილში კიევის ქართველობა წერდა: „ადვილად შეამჩნევთ, რამდე-
ნად გამოიცვალა თითოეული თავისი შინაგანი არსებით, ფსიხოლო-
გიით და გარეგნობითაც კი. ყველას დაეტყო ცხოვრების ტლანქი კა-
ნონების გავლენა, ყველას გამოუცდია ერთგვარი სულიერი დრამა
სამშობლოს უმწეო მდგომარეობით გამოწვეული“ [26, 4].

მკაცრმა ცხოვრებამ სტუდენტები დროებით მოწყვიტა თავი-
ანთ უპირველეს მოვალეობას - სწავლას და ლუკმა - პურის საშოვ-
ნელად შრომის ბაზარზე გაიყვანა. კიევის ქართველი სტუდენტობა
„დღედაღამ ლუკმა - პურის შოვნისთვის დაიარებოდა, ყველგან სამ-
სახურს დაეძებდა, თუნდა 12 საათიანი სამუშაო დღე ყოფილიყო,
ოღონდ შიმშილისგან თავი დაეხსნა [26, 4]. აღნიშნული ცნობა კიევ-
ში არსებული ცხოვრების პირობების მკვეთრ გაუარესებაზე და
ღრმა ეკონომიკურ კრიზისზე მიანიშნებს.

რუსეთის იმპერიაში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. არასა-
სურველი და საშიში გახდა სამშობლოს გარეთ ცხოვრება. თუ ადრე,

თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში, ქართველები საკუთარი ნებით მოემგზავრებოდნენ მშობლიურ ქვეყანაში, ახლა მათ ამას შექმნილი ვითარება აიძულებდა.

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს უკვე მგზავრობაც სახიფათო გახდა. ქართველების ნაწილი, განსაკუთრებით იმპერიის სხვადასხვა ადგილებში საცხოვრებლად დროებით ჩასული მოსახლეობა, მასიურად ტოვებდა რუსეთს. მათ რიცხვში სტუდენტები სჭარბობდნენ. კიევის ქართველი სტუდენტები იძულებულნი გახდნენ ქალაქი ოქტომბრის ბოლოს დაეტოვებინათ. ჩვეულებრივ შემთხვევაში ამ დროს რუსეთის უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. უკრაინის ცენტრალურმა რადამ გაითვალისწინა გზებზე შექმნილი დაძაბული ვითარება, უსაფრთხოების მიზნით სტუდენტებს ცალკე ვაგონი გამოუყო და შვიდი შეიარაღებული ჯარისკაცი გამოაყოლა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ქართველი და უკრაინელი ეროვნული ლიდერების ურთიერთთანამშრომლობაზე მიუთითებს [44, 3]. მეტად მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ უკრაინელ ჯარისკაცებს თბილისში ჩამოჰყვავა ცენტრალური რადის წარმომადგენელი ოფიცერი, რომელმაც საქართველოში მცხოვრებ უკრაინელებთან მოლაპარაკება გამართა [44, 3].

1917 წელს შედარებით მშვიდი ვითარება იყო ჩრდილო კავკასიაში, სადაც განსაკუთრებით ბევრი ქართველი ცხოვრობდა. საქართველოსთან სიახლოვის გამო ქართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქ. კავკავში იყო თავმოყრილი. ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებასა და თვითმმართველობაში. საქართველოში არსებულ პარტიებს თავიანთი ფილიალები ჰქონდათ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის ქ. კავკავშიც. საკმაოდ გავლენიან და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ქ. კავკავის ქართველ სოციალისტ - ფედერალისტებისა და სოციალ - რევოლუციონერების პარტიები. 1917 წლის აგვისტოში, ქ. კავკავის თვითმმართველობის არჩევნების დროს, მათ ერთიანი ბლოკი შეკრეს. მათ შეუერთად დაშნაკცუთუნის პარტიაც. ამ სამი პარტიის წარმომადგენლებისგან შედგა ერთი სია, რომელსაც ერქვა „სოციალისტების შეერთებული სია“. ამ ბლოკმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა არჩევნებში გამარჯვებისთვის. მათ კადეტების საკმაოდ ძლიერ პარტიასთან უწევდათ მეტოქეობა. თუ როგორ მიმდინარეობდა წინასაარჩევნო სამზადისი ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის „სახალხო საქმის“ ერთ - ერთი კორესპონდენტის („გალას“ ფსევდონიმით) კორესპონდენცია: „კადეტებმა გააჩაღეს მუშაობა, აღარაფერს მოერიდნენ. რა ცილისწამება, რა ჩირქი არ მოსცხეს სოციალისტებს, ენა ვერ გამოსთქვამს. კვირანახვერის წინ გამოუშვეს პლაკატები კადეტებმა, მერე ჩვენებ-

მაც და შეიქმნა და შეიქმნა პლაკატების ხევა. პირველად კადეტების აგენტებმა დაიწყეს ხევა, შემდეგ კი ჯარისკაცებიც ჩაერივნენ საქმეში და ამრიგად, აირია მონასტერი. აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა პატარა რაზმი, რომელსაც დაევალა თვალყურის დევნა, რომ პლაკატები არ აეხიათ. ერთი სიით გამოვიდა სათადარიგო ჯარისკაცთა ცოლ - შვილი და დედები, რამაც დიდად გააკვირვა ყველა სოციალისტი. ამ სიას ხელმძღვანელობდა ქიქოძის ქალი (როგორც ჩანს, ქართველები სხვა პარტიების შემადგენლობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ - ავტორის შენიშვნა)... მეორე სია ეკუთვნოდა კადეტებს, მესამე - შეერთებულ სოციალისტებს, მეოთხე - ხელოსნებს, მეხუთე - სექტანტებს და მეექვსე - დემოკრატ ოსებს. წინა დღეებში გაჩაღდა მიტინგები, ქუჩებში მიტინგებს მხოლოდ სოციალისტები მართავდნენ, დანარჩენები კი უფრო ჩუმად მუშაობდნენ. ამომრჩევლების რიცხვი იყო 22 577 კაცი, სოციალისტებმა მიიღეს - 16 390 ხმა, კადეტებმა - 4789, ოსებმა - 1191, ხელოსნებმა - 185, სექტანტებმა - 252. ქალაქის თვითმმართველობაში ასარჩევი იყო 86 ხმოსანი, ყოველ 262 ამომრჩეველზე ერთი ხმოსანი მოდიოდა. ამრიგად, სოციალისტების ბლოკიდან გავიდა 63 ხმოსანი, კადეტებიდან - 18 და ოსებიდან - 5 ხმოსანი... ქართველებს ამ ხმოსნებში გვყავს ჩვენი ინტერესების დამცველი: ერთი პატივცემული როსტომ ყაზბეგი (სოც. რევოლუციონერი), მეორე - შაქრო აღნიაშვილი (სოც. ფედერალისტი), ქართული სკოლის მასწავლებელი“ [28, 4].

ქ. კავკავის ქართველობა მეფის ხელისუფლების პირობებშიც, დიდი სიძნელეების ფასად, მაგრამ მაინც ახერხებდა ქართულ ენაზე სწავლა - განათლებასა და ღვთისმსახურებას. რა თქმა უნდა, ცარიზმის დამხობის შემდეგ უფრო გაიზარდა მათი იმედები ეროვნული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ამას მყარ საფუძველს უქმნიდა არჩევნების საშუალებით თვითმმართველობაში ქართველი ხმოსნების შესვლა. ამ არჩევნების დროს ქ. კავკავის ქართველებმა გამოამუშავნეს პოლიტიკური ალლო და მომზადება. მათ სწორად შეაფასეს თავიანთი შესაძლებლობები და გაერთიანდნენ ერთ - ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან, ძლიერ და გავლენიან პარტიაში, რომლის მხარდაჭერაც იყო ის მყარი გარანტი, რომელიც მათ კავკავში მცხოვრები ქართველების ეროვნული უფლებების დაცვისა და ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის საშუალებას მისცემდა. იმ პუბლიკაციების საშუალებით, რომელიც ქართულ პერიოდულ გამოცემებში ქვეყნდებოდა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. კავკავის მოსახლეობა, მათ შორის ქართველებიც, 1917 წლის ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა. ქართველებს სექტემბრის დასაწყისში გადაუხდიათ საზეიმო საღამოც [29, 4].

სინყნარე იყო 1917 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქალაქ კისლოვოდსკშიც. აქ მცხოვრები ქართველები აგრძელებდნენ აქტიურ კულტურულ და საქველმოქმედო მოღვაწეობას. 8 ოქტომბერს ქ. კისლოვოდსკის სამოქალაქო თვითმმართველობის შენობაში ამავე ქალაქის ქართველთა „დრამატიულ სცენისმოყვარეთა გუნდის მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქნა დრამა „სოფლის გმირები“ და ვოდვეილი „დუელი“, რომლის შემოსავალიც უნდა გამოეგზავნათ ტფილისის ქართული თეატრის ფონდის გასაძლიერებლად. ქართველობამ, ვინც კი იმყოფებოდა პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში, არ დაიზარა და წარმოდგენას ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. მსურველე მონაწილეობა მიიღეს ვ. ჯაიანმა და გ. შიხაშვილმა. სპექტაკლის შემდეგ გაიმართა ვახშამი... შემოსავალი იყო 800 მანეთი, რომელიც დანიშნულებისამებრ გაიგზავნა“. სტატიის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მსახიობთა „ზემოსხენებული გუნდი შემდგომშიაც გამოიჩენს უფრო მეტ მხნეობა – ენერგიას და ხშირად გამართავს წარმოდგენებს და სხვა, რათა ამით დაეხმარონ სამშობლოს [31, 4].

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სხვადასხვა ეროვნებების, მათ შორის ქართველების, ავტონომიისათვის ბრძოლას, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. „დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. იგი რამოდენიმე თვეს კვლავ იცავდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ დოქტრინას. ამიტომ განაპირა ქვეყნებში ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობა გაფართოვდა, თითქმის ყველგან ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭოები, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისათვის“ [2, 317].

დროებითმა მთავრობამ 1917 წლის ივლისიდან გააძლიერა პოლიტიკური რეაქცია. ამან უფრო გაბედული გახადა ქართული დიასპორა. იმპერიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა ქართველებმა უფრო შეუპოვარი ბრძოლა დაიწყეს ქართული ისტორიის გაყალბების, ეროვნული სინმინდებებისა და კულტურული ფასეულობების მითვისების, ქართველი ხალხის მიმართ რუსული შოვინიზმის სხვადასხვა გამოვლინების, კერძოდ კი მისი კულტურის, ტრადიციების, ენის, თვითმყოფადობის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოსვლებისა და სხვადასხვა დაუმსახურებელი ბრალდებების მიმართ. 1917 წლის სექტემბრის ბოლოს მოსკოვის ქართველთა ეროვნული ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა პროტესტი გაუგზავნა რუსეთის საეკლესიო კრებას საქართველოს ეკლესიის თაობაზე ნაეგზარხოსალ პლატონის გამოსვლის გამო. 1917 წლის 30 სექტემბრის ნომერის, „სახალხო საქმეში“ ვკითხულობთ: „კომიტეტი მტკიცე პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების გამო, თითქოს საქართველოს ეკ-

ლესია მიისწრაფვის გამოეყოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სიონის შესახებ კომიტეტი აღნიშნავს, რომ იგი საუკუნეობით ქართველებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ქართველებმა კი არ წაართვეს სიონი ნაეგზარხოსალ პლატონს, არამედ უნინ პლატონმა წაართვა იგი ქართველებს. პროტესტში ნათქვამია, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა სინოდმა არაკანონიერად გააუქმა და ეხლა, ცხოვრების ახალ პირობებში, ქართველებმა აღადგინეს იგი, როგორც ძველთა ძველი კუთვნილი. ამ პროტესტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საეკლესიო ყრილობაზე“ [26, 3].

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის დედაქალაქში მომხდარმა რევოლუციამ დროებითი მთავრობა დაამხო. ხელისუფლება ბოლშევიკებმა აიღეს ხელში.

1917 წლის მთელ პერიოდში რუსეთში გამოუმძებულ კატაკლიზმებს ჰქონდა ადგილი. თუმცა რუსეთის იმპერიაში მასიური არეულობები და შეიარაღებული შეტაკებები პიკს 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისა და ძალაუფლების ბოლშევიკების ხელში გადასვლის შემდეგ აღწევს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა მ. ამირეჯიბმა ასე შეაფასა 1918 წლის დასაწყისში არსებული მდგომარეობა: „ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ მთავარ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის ხაზი უვე მოდრიკა წელში და სხვა მიმართულება მისცა მას. არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიაში უკვე მოხდა კოლიზია რევოლუციონურ სულისკვეთებისა და დროშა რევოლუციისა ის აღარ არის უკვე, რომელსაც მივდევდით ჩვენ რევოლუციის პირველ ნახევარში. მთელი ტრაგედია ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როცა ქართველი დემოკრატია ისევ სოციალური რეფორმებისა და დემოკრატიზმის ნიადაგზე დგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა, ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ“ [26, 2].

გაზ. „სახალხო საქმის“ 1918 წლის 6 იანვრის ნომერში დაიბეჭდა პუბლიკაცია ქ. კავკავში შექმნილი მდგომარეობის შესახებ: „მეოთხე დღეა, რაც ძარცვა – გლეჯა გრძელდება. განუწყვეტელი სროლა... რკინიგზის მოსამსახურეებმა თავი დაანებეს მუშაობას და ქალაქიდან გარბიან. წმინდა გიორგის კავალრებს იარაღი აპყარეს. ქალაქში დიდი პანიკაა“ [30, 3]. „ცხარე ბრძოლები სწარმოებს. ადგილობრივი ძალებით არეულობის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა, ამიტომ პოლკოვნიკმა ზვოვარიოვმა თხოვნით მიმართა ტფილისში, დახმარება აღმოუჩინონ“ [46, 3].

1918 წლის დასაწყისში ვითარება უკიდურესობამდე გართულდა ქ. კიევშიც, რომელიც შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, თებერ-

ვლის თვეში ბოლშევიკების ხელში გადავიდა [33, 2]. გაზ. „სახალხო საქმის“ 1918 წლის 23 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო კიევის ქართველთა კოლონიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ტყავაძის მოწოდება კიევის ქართველი სტუდენტებისადმი: „ვინც კიევში დაბრუნებას ფიქრობთ არ შეცდეთ! არ ნამოხვიდეთ! კიევში დღეს ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. ყოველივე აფორიაქებულია. ათი დღის საშინელმა ომმა, რომლის მსგავსიც მთელი ამ რევოლუციის განმავლობაში არ უნახავს არც ერთ რუსეთის ქალაქს, ნანგრევებად აქცია უკრაინის დედაქალაქი, ანარქია დღითიდღე მატულობს და კატასტროფულ ხასიათს ღებულობს. სურსათი არ იშოვება. სწავლა შეწყვეტილია. სტუდენტობას მეტად ცუდი თვალთ უცქერიან ქუჩაში მოსიარულე „ბოლშევიკების“ რაზმები. ხმებია, უმაღლესი სასწავლებლები სრულიად დაიხურებიან, როგორც ძველი სახელმწიფო სასწავლებლებიო. არავინ იცის ხვალ რა სახეს მიიღებს იგი. ყველა, თვით ადგილობრივი მკვიდრნიც სტოვებენ ქალაქს. მით უფრო ქართველობა სამშობლოსკენ მოიჩქარის. მას მხოლოდ გზების უქონლობა და გზებზე გამეფებული საშინელი ანარქია აჩერებს. არ შეცდეთ! არ ნამოხვიდეთ!“ [37, 3].

„იმ საშინელი უბედურების დროს, რომელიც კიევს თავს დაატყდა 16 იანვრიდან 26 იანვრამდე, უკრაინელებისა და ბოლშევიკების ომის გამო, ქართველთაგან, გარდა ერთისა, არც არავინ მომკვდარა და არც არავინ დაჭრილა. მსხვერპლი შეიქმნა მხოლოდ ერთი ქართველი – ექიმი გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე (ქუთაისელი). იგი მოკლეს სრულიად უდანაშაულოდ (იმისთვის, რომ მას ჰქონდა მონაწილეობა, რომ იგი იყო უკრაინელი სამხედრო ჰოსპიტლის ექიმი) „ბოლშევიკებმა“, როცა ისინი გამარჯვებით გალაღებულნი, გამხეცებულნი ჯალათებივით დაძრწოდნენ ქუჩებში, ჩხრეკდნენ ყველას და ვისაც რაიმე ოდნავი საბუთი აღმოაჩნდებოდა „უკრაინელობისა“ – ხვრეტდნენ კიდეც. ფურცელაძე აქვე დავასაფლავეთ მთელი ადგილობრივი ქართველობის თანდასწრებით“ [38, 4].

საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობდნენ ციმბირშიც. რევოლუციურმა მოვლენებმა რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების დამაკავშირებელი კვანძი, ირკუტსკიც მოიცვა. ამ ქალაქიდან 1918 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოსული ნაფიცი ვექილი ვ. კ. პოტებნია იმდენად თავზარდაცემული ყოფილა, რომ თავისი თვალთ ნანახი ჯოჯოხეთური ამბების გადმოსაცემად „გონების მოკრებასაც კი ვერ ახერხებდა. მისი სიტყვით, მთელი ქალაქები გადამწვარი და გადაბუგულია. ირკუტსკი, პენზა და სხვა ისეა გადამწვარ – გაოხრებული, რომ ნაქალაქარს მოგაგონებთ. საკუთრივ დიდი მწუხარება მისდგომია ბ – ნს პოტებნიას... ვაგონში

ყოფილ სალდათებს მისი პატარა შვილი ფეხქვეშ გაუსრესიათ და რაც ებადა, ყველაფერი წაურთმევიათ“ [32, 3].

გაზეთ „დელო სიბირიდან“ „სახალხო საქმეში“ გადმობეჭდილ სტატიაში კი ვკითხულობთ: „მერვე დღეა, რაც ირკუტსკში ბრძოლაა გაჩაღებული ბოლშევიკების გამოსვლის გამო, რომლებიც ცდილობენ სახალხო კომისრების დეკრეტები განახორციელონ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ რეგულარული ჯარი და წითელი გვარდია. მონაწილეობას იღებენ იუნკრები, ყაზახები და მოქალაქენი. ქალაქს ანგრევენ არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით. სახელმწიფო ბანკი, ტელეგრაფი გადამწვარია. მთელი უბნები და საწყობები გასადგურებულია, მსხვერპლი უთვალავია. ყოველგვარი რევოლუციური აზრი დაჰკარგა ბრძოლამ, რომელსაც ბოლო არ უჩანს. გამწვარი ხალხი თვითმპყრობელობას ნატრულობს. ხალხი შეშინებული გარბის. სადგურები და ქალაქის გარეთ ნაწილები გამოქცეულეებით სავსეა. მათ არა აქვთ არც ბინა, არც სასმელ – საჭმელი. ქალაქში შიმშილობაა. ბავშვები 40 გრადუსიან ყინვაში იხოცებიან. ფოსტა, ტელეგრაფი, მთავრობის ყველა დაწესებულება დაკეტილია. ნაძირალები, ვითომდა წითელ – გვარდიელები, ძარცვა – რბევას ეწევიან. საფრთხე მოელის საბაჟოს, რკინიგზას, სასურსათო საწყობებს და სხვ.“ [32, 3].

მრავალი ქართველი ცხოვრობდა ქ. ასტახანშიც. 1918 წლის რევოლუციურმა მოვლენებმა ამ ქალაქსაც დაატყო თავისი მსახვერალი ხელი. 1918 წლის ნომერის ამბების შესახებ, ასტახანიდან ქ. თბილისში ჩამოსული ვაჭრის გადმოცემით, ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1918 წლის შემოდგომაზე აქ დატრიალებული მოვლენების შესახებ. „ასტახანში მცხოვრები ქართველები დიდ დევნას განიცდიდნენ ბოლშევიკებისაგან. რამდენიმე დახვრიტეს კიდეც, მათ შორის სამოელ მახარაძე“. ასტახანის ქართველების სახელით შალვა აბდუშელიშვილმა დააბარა ასტახანელ ვაჭარს, რომ საქართველოს მთავრობას აღმოეჩინა რაიმე დახმარება ასტახანიდან დევნილებისთვის. მგზავრობა იყო საშიში მეზღვაურების მხრივ, რის გამოც ისინი სამშობლოში წამოსვლას ვერ ბედავდნენ. ვაჭარი აღნიშნავდა, რომ ქართველები მას წერილებს ატანდნენ, თუმცა ვერ გაბედა იმის გამო, რომ თუ უნახავდნენ, მას ზღვაში გადააგდებდნენ [40, 3].

მეტად გაუსაძლისი გახდა ქართველთა ცხოვრება ქ. ცარიცინშიც 1918 წლის შემოდგომაზე. გაზ. „საქართველოს“ რედაქციამ 1918 წლის 219 ნომერში გამოაქვეყნა კ. ქურდოვანიძის სტატია, რომელშიც ეწერა: „ცარიცინის ბოლშევიკები პირველად კარგად ეკიდებოდნენ ქართველ საზოგადოებას. ჩვენ ხშირად ვმართავდით კრებებს, ვეხმარებოდით გამვლელ ღარიბ ქართველებს, უფრო

ტყვეობიდან განთავისუფლებულებს, იქაურ სოფლების საქონელს, რომელიც მოჰქონდათ ქართველებს, [ცყიდულობდით]... როცა ბოლშევიკები გამაგრდნენ ქ. ცარიცინში, მათ დაკეტეს ყველა ეროვნული საბჭო, უფრო ინგლისელებისა, პოლონელებისა და ქართველებისა, სომხების გარდა. ნაილეს ქართველთა საბჭოს კანცელარიის ქონება. შეიპყრეს ნევრები: კოტე ქურდოვანიძე, ვანო ალაშიძე, ეძებდნენ ქართველ კომისარს კობიძეს, რომელმაც გამოსასწრო წამოსვლა. სხვები: ლავრენტი დუმბაძე, ილიკო და ლევან ყარანაშვილები, ლევან სოსანიძე, ნიკა მაღალაძე და სხვები, რიცხვით 18 კაცი, გაგზავნეს ომში თხრილების სათხრელად; ლ. და მელ. მეტრეველებს (უნერიდან), სპ. მაღიშვილს (დუშეთიდან) მისცეს თოფები და ყაზახების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს. საერთოდ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ცუდად ეკიდებიან: იჭერენ უმიზეზოდ, უდანაშაულოდ, სდევნიან და ძალად მიჰყავთ თავის ჯარში ყაზახების წინააღმდეგ საბრძოლველად. უარეს მდგომარეობაში არიან მოსკოვში, სამარაში, სარატოვში, ასტრახანსა და ა. შ.“ [41, 3].

გაუსაძლისი მდგომარეობის მიუხედავად ამ პერიოდში რუსეთში მყოფი ქართველები არ წყვეტდნენ საქმიანობას. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან და დაულალავად იღწვოდნენ საქართველოს საკეთილდღეოდ. 1918 წლის 21 იანვარს მოსკოვში გაიმართა აქ მცხოვრები ქართველების საერთო კრება, რომელმაც აირჩია საბჭო. მას მიზნად ჰქონდა დასახული ყველა ქართველის შეკავშირება. საბჭო თავისი მოქმედების შესახებ ქართველი ერის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოსგან ელოდა შესაფერის დასტურს. მოსკოვის საბჭო თავის მოქმედებაში არ უნდა გასცილებოდა იმ „საერთო ფარგლებს, რაც საფუძვლად ედო საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავის მოღვაწეობაში“. მოსკოვის საბჭო პირობას დებდა, რომ „ამ უფლებებისა და შეძლების ფარგლებში გულმოდგინედ დაიცავდა ეროვნული საბჭოს ინტერესებს საზოგადოდ ყველასგან“. ამ საბჭომ თავის უპირველეს ამოცანად დაისახა ქართველი ერისთვის დაებრუნებინა მეფის მთავრობის მიერ ქართველი ერისთვის წართმეული ქონება, რომელიც გაფანტული იყო რუსეთის ქალაქების სხვადასხვა მუზეუმებში [45, 3].

რუსეთის იმპერიაში გამეფებულ არასტაბილურ სიტუაციას, გამუდმებულ ომსა და წგრევას მიგრაციული პროცესების გააქტიურება მოჰყვა. რუსეთში მცხოვრები ქართველების უმეტესობა იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. თუმცა უსაფრთხო არც მგზავრობა იყო. გზების გადაკეტვის გამო ათასზე მეტი ქართველი გაჩერებული იყო ქ. ასტრახანში, ასამდე – სვიატოი კრეს-

ტი, მოზდოკში, ნალჩიკში, პროხლადნაიაში და სხვა ადგილებში კი – ორი ათასამდე. „მათი გაჭირვება ენით აუწერელი იყო“ [46, 3].

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ნაკვეთი I, (1917 – 1918 წწ), თბ., 2008.
2. ალ. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006.
3. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.
4. გ. საითიძე, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, თბ., 2005.
5. უ. სიღამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ – დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970.
6. დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008.
7. მ. ტყავაშვილი, ქართველები დაღესტანში, თბ., 2000.
8. ი. ბერხინი, სსრკ ისტორია, ნაწ. I, (1917 – 1937), თბ., 1980.
9. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. II, რედ. ზ. ანჩაბაძე, თბ., 1978.
10. История народов Северного Кавказа (конец XVIII в. – 1917 г.), под редакцией А. Л. Нарочничкой, М., 1988.
11. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, 4 მარტი.
12. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, 22 იანვარი.
13. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, 3 თებერვალი.
14. გაზ. „საქართველო“, 1917, 30 აპრილი.
15. გაზ. „საქართველო“, 1917, 3 მაისი.
16. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, 2 ნოემბერი.
17. გაზ. „საქართველო“, 1917, 11 აპრილი.
18. გაზ. „საქართველო“, 1917, 26 აპრილი.
19. გაზ. „საქართველო“, 1917, 9 აპრილი.
20. გაზ. „საქართველო“, 1917, 6 აპრილი.
21. გაზ. „საქართველო“, 1917, 5 მაისი.
22. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, 4 აგვისტო.
23. გაზ. „საქართველო“, 1918, 1 მარტი.
24. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, 11 ოქტომბერი.

25. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 8 სექტემბერი.
26. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 1 ოქტომბერი.
27. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 16 სექტემბერი.
28. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 10 აგვისტო.
29. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, სექტემბერი.
30. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 6 იანვარი.
31. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 3 ნოემბერი.
32. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 6 თებერვალი.
33. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 9 თებერვალი.
34. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 16 თებერვალი.
35. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 20 თებერვალი.
36. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 22 თებერვალი.
37. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 23 თებერვალი.
38. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 25 თებერვალი.
39. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1819, 8 ივლისი.
40. გაზეთი „საქართველო“, 1918, 7 ნოემბერი.
41. გაზეთი „საქართველო“, 1918, 16 ნოემბერი.
42. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 13 ივლისი.
43. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, იანვარი.
44. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 25 ოქტომბერი.
45. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 11 მარტი.
46. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, 7 იანვარი.
47. გაზეთი „საქართველო“, 1917, 23 აპრილი.
48. გაზეთი „საქართველო“, 1917, 18 აპრილი.
49. გაზეთი „საქართველო“, 1917, 12 აპრილი.
50. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917, 4 ნოემბერი.

Msia Tkavashvili

*Doctor of History, The Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology, scientific
researcher of the Department of Modern and
Contemporary History*

The Georgian Diaspora and Revolutionary Processes of 1917 in Russia (According to the Georgian Press)

Summary

In February 1917 because of straining of situation in Russian Empire to extreme level, Emperor Nikolai II resigned the throne. The government

was headed by Provisional Democratic Government. The Georgian national-democratic forces began fighting for the Georgian autonomy what was supported both by the Georgian population and majority of large Georgian Diaspora living in Russian Empire. Cities were especially active: the Georgians living in Moscow, Petrograd, Kiev, Astrakhan, Tsaritsin and North Caucasia. They were involved in political movement showing their concerns to all important events happening in Georgia and Russia, protesting against the Russian chauvinistic actions against the Georgian nation and offence of the Georgian cultural and sacred objects.

In October 1917 the Bolsheviks gained a victory, in the capital of Russia and started violent fight all over Russia for taking the power. Centers of population in Russia were razed to the ground. The Bolsheviks were merciless towards local population including the Georgians. Living in Russia became impossible. The Georgians set out to their homeland. Travel was dangerous and the migrants' state was extremely heavy.

ავთანდილ სონლულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

**ქართული ებრაელების რელიგია
და ყოფა-ცხოვრება**

მრავალ ობიექტურ გარემოებათა შედეგად, საქართველო და მნიშვნელოვნად ქართლი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან სხვადასხვა მიზეზით მოსული ეთნოსების სამშობლოც გახდა. სწორედ აქ, ქართლში, ჩაეყარა საფუძველი, სახელმწიფოს ძლიერებისათვის ესოდენ მნიშვნელოვან, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფენომენს, რაც ქართულ მიწაზე ჩამოსახლებულებს ყველა პირობას უქმნიდა შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, რელიგია, ტრადიციები და ამასთანავე გაეთავისებინათ ქართველთა კულტურულ-ზნეობრივი ღირებულებები [1, 3].

XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის მიხედვით ქართლში მოსულმა ებრაელებმა მცხეთის მამასახლისისაგან დასახლების ნებართვის საფასურად ხარკის გადახდა იკისრეს [2, 92-93].

ქართულ ნარატიულ წყაროებში აბორიგენი მოსახლეობა, ქართველი ტომების წარმომადგენლები, არაქართველებისაგან განსხვავებით, ტერმინით — „ნათესავით ქართველი“ მოიხსენიებიან. საინტერესოა, რომ ლეონტი მროველი ებრაელებს „ქართველთა ნათესავად“ მოიხსენიებს — „უცხონი იგი ნათესავთაგანი“ განსხვავებით. ვახუშტიც „ნათესავნი ქართლოსიანიში“ გულისხმობს ქართლოსიანებს და ებრაელებს [3, 37].

ებრაელთა გარკვეული ჯგუფის შემოსვლა საქართველოში, მათ შორის შავიზღვისპირა ზოლში, შესაძლებელი იყო ისრაელის სამეფოს განადგურების შემდგომ (ძვ. წ. 722 წ.), ხოლო მძლავრი ებრაული დიასპორის გაჩენის თარიღად უნდა მივიჩნიოთ იერუსალიმის ტაძრის დანგრევის პერიოდი (ძვ. წ. 586 წ.)

უცხო ქვეყნებში მოხვედრილი ებრაელების ეროვნული თვითშეგნება განისაზღვრებოდა არა სახელმწიფოებრიობის, ან ენის ბაზაზე, არამედ რელიგიური პრაქტიკის ფუნდამენტზე [5, 43].

ებრაელთა სამოციქულო სახლი არის სინაგოგა. ებრაელთა თორამი წერია: „და ისინი ამიშენებენ მე სახლს სალოცავს, რომ მე შევძლო ვიყო მათთან ერთად.“ მას სხვაგვარად შეკრების სახლს – ბ ე ი თ ქ ნ ე ს ე თ ს ეძახიან. სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ სინაგოგის ფუნქცია უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ სალოცავი სახლისა. იგი ცენტრია რელიგიური განათლებისა ბ ე ი თ – მ ი დ რ ა შ – სწავლების სახლი. სინაგოგაც და სწავლების სახლიც შეიძლება განლაგებულ იყოს ერთ შენობაში [4, 8].

თითქმის უკანასკნელ დრომდე ებრაელად ყოფნა ნიშნავდა მხოლოდ ერთს – იუდაისტური რელიგიის რწმენას. სასომხდელი მორწმუნე ებრაელთათვის „ბოლშევიკური რევოლუცია“ ახალი საშროება აღმოჩნდა. საბჭოთა მთავრობა ხურავდა სინაგოგებს* და მათ ადგილზე ხსნიდა კლუბებს, აუქმებდა ებრაელთა რელიგიურ, კულტურულ და ფილანტროპიულ ინსტიტუტებს. მიუხედავად შინაარსისა, კრძალავდა ებრაულ წიგნებს. ებრაელი ბოლშევიკები არავითარ სოლიდარობის გრძნობას არ გამოხატავდნენ მორწმუნე თანამოძმეებისადმი. როდესაც ებრაელთა დეპუტაცია ეწვია ტროცკის და შესჩვილა თავისი გასაჭირი, მან უპასუხა: „დაბრუნდით თქვენ ებრაელებთან და გადაეცით, რომ მე – ებრაელი არა ვარ და მიმიფურთხებია ყველაფრისათვის, რაც თქვენ დაგემართებათ“ [6, 90].

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისეთივე მეთოდებით ანადგურებდა ებრაელებს, როგორც ფაშისმის ბატონობის დროს ანადგურებდნენ მათ გერმანიაში. მხოლოდ 1918-1920 წლებში საბჭოთა რუსეთში 100 ათასი ებრაელი ამოხოცეს. დოკუმენტებში ნაჩვენებია ებრაელთა გენოციდის ამსახველი საშინელი ფაქტები. მაგალითად, 1919 წლს კიევთან ახლო დასახლებაში, ბოლშევიკების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ჯარისკაცთა ჯგუფები „არბევდნენ ებრაელთა სახლებს და რაც უნდოდათ იმას უკეთებდნენ. ებრაელებს ქუჩაში აჩერებდნენ, ზოგჯერ უბრალოდ ეკითხებოდნენ: „შენ ჟიდი ხარ?“ და ესროდნენ შუბლში ტყვიას, უფრო ხშირად დამამცილებლად ჩხრეკდნენ, მთლიანად აშიშვლებდნენ და ასეთ მდგომარეობაში პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ“ [6, 93].

ამიტომ მოისწრაფოდნენ ებრაელები საქართველოსაკენ, სადაც ანტისემიტიზმი არ არსებობდა. მათ აქ მეორე სამშობლო პოვნეს. ეს პროცესი, როგორც ფეოდალიზმის დროს, ასევე შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მრავალი ებრაელი ჩამოვიდა სამხრეთ კავკასიაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ

შორის თბილისში ებრაელები კომპაქტურად ცხოვრობდნენ. 1822 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის სურვილის საწინააღმდეგოდ, ებრაელები თბილისიდან გაასახლეს [7, 25, 26].

1830-1831 წლებში ისინი კვლავ ბრუნდებიან თბილისში. 1839 წლიდან ებრაელი ხელოსნები ბრძოლას იწყებენ, რათა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება მიიღონ. ეს საქმე ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ 50-იან წლებში, ვორონცოვის ჩარევით, იგი თითქმის ებრაელთა სასარგებლოდ გადაწყდა [7, 31].

ამავე საუკუნის 30-იან წლებში ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მონაცემებით ახალციხის სანჯაყში ცხოვრობდა 5 000 კომლი, რაც სულადობრივად 40 ათას სულს აღწევდა. აქ ცხოვრობდნენ თურქები, ლაზები, ლეკები, ქართველები, სომხები, ებრაელები, ასევე ქურთები, ყარაყალპაკები და თურქმენები [8, 59].

ახალციხეში ებრაელებს 117 სახლი ჰქონდათ. ისინი სომხებისაგან მხოლოდ გარეგნობით განსხვავდებოდნენ და ეს განსხვავება ძირითადად ჩაცმულობაში გამოიხატებოდა, რაც მათ თავისებურ იერს ანიჭებდა. მათ ჰქონდათ თავიანთი სინაგოგა და ჰყავდათ ხახამი [8, 61].

XIX საუკუნის 20-იან წლებში ქუთაისში მცხოვრები 800 ებრაელი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. ისინი ცალკე უბანში ცხოვრობდნენ და ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ [9, 134].

აჭარაში XIX საუკუნის 80-იან წლებამდეც იყო დასახლებული ებრაელთა მცირეოდენი ჯგუფები, მაგრამ რეგიონში მათი კომპაქტური დიასპორის წარმოქმნა ძირითადად უკავშირდება ამ კუთხის განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობისაგან, რის შემდეგაც აქ ძირითადად ა შ ქ ე ნ ა ზ ი (იგულისხმება ევროპის ებრაელები) და ქართველი ებრაელების სათვისტომოები ჩამოყალიბდა. ებრაელთა გვარებზე დაკვირვებით დადგინდა, რომ აშქენაზი ებრაელები ბევრად ქარბობდა ქართველ ებრაელებს. ებრაელთა აჭარაში დასახლების მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა: ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობა, ქალაქის ეკონომიკური დაწინაურება და შესაბამისი დროის ისტორიული პროცესები. 1878 წლიდან ებრაული მოსახლეობის ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა [4, 6].

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისში 294044 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან ებრაელი იყო 8962 [10, 91]. ამ პერიოდში სინაგოგების რიცხვი საქართველოში 15 უდრიდა [11, ფურც. 14]. სავარაუდოა, რომ თბილისში 2 სინაგოგა მოქმედებდა. ეროვნული თვითშეგნების გადარჩენისათვის რელიგიას, და ამ შემთხვევაში სინაგოგას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „რჯულის დაკარგვა მათთვის ყველაზე დიდ ტრაგედიად მოიაზრებოდა. მამა-პაპათა

* სხვა რელიგიურ სალოცავებსაც

სარწმუნოება ებრაელისათვის სიცოცხლესთან იყო გაიგივებული" [12, 273].

1926 წელს თბილისში ცხოვრობდა 3160 ქართველი ებრაელი, 1930 წელს – 1268, ხოლო 1939 წელს დაახლოებით 1300-მდე.

1926 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 20987 ქართველი ებრაელი. აქედან 72,9% ქალაქებში ცხოვრობდა. 1931 წელს 22 561 ქართველი ებრაელია დაფიქსირებული, ხოლო 1936 წელს ებრაელთა რიცხვმა 30 000 მიაღწია [13, 8].

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში რელიგიური თემები ძირითადი ფუნქციების გარდა მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ღარიბ ებრაელებს. უმთავრესად იმ პირებს ვინც უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ რელიგიურ თემთან და სინაგოგასთან. რადგან ხელისუფლება უძღური იყო ამ ეტაპზე თავად გადაეწყვიტა სოციალური პრობლემები, იძულებული ხდებოდა რეაგირება არ გამოეხატა რელიგიური თემის ქველმოქმედებაზე. თუმცა ამ მისიის შესრულება არც რელიგიურ თემს ევალებოდა.

მოგვიანებით კომუნისტური რეჟიმი ცდილობს სათანადო ზომების გატარებას, რათა მოსახლეობაში კდევ უფრო მეტად არ გაზრდილიყო რელიგიური ორგანიზაციების ავტორიტეტი [14, ფურც. 148].

1923 წლის 10 იანვარს თბილისის მილიციის უფროსის ბრძანებით დალუქული იქნა ებრაელთა პირველი სამლოცველო სახლი, რომელიც აკიმოვის ქუჩაზე №10 მდებარეობდა. შენობა ითვლებოდა რუსი ებრაელების (ყოფილ ჯარისკაცთა) სამხედრო ტიპის სამლოცველოდ.

დახურვის საფუძვლად შინსახკომს მიაჩნდა, რომ დასახლებული სინაგოგა ძირითადად ემსახურებოდა თბილისის გარნიზონს, რის გამოც მემკვიდრეობით უნდა გადასცემოდა თბილისის გარნიზონის წითელ არმიას. წითელი არმიის მებრძოლებს კი სურვილი ჰქონდათ სამლოცველო სახლი კულტურის კლუბად გადაეკეთებინათ [15, ფურც. 78].

1932 წელს ქართველ ებრაელთა სალოცავის შენობა, რომელიც პირველი მაისის ქუჩაზე მდებარეობდა გადაკეთებული იქნა ბერიას სახელობის ებრაელთა კულტურის სახლად [16, ფურც. 4]. 1937 წელს საქართველოს სახკომსაბჭოს 4 იანვრის (№669) დადგენილებით, აღნიშნული კულტურის სახლი საქართველოს „სარენაო კავშირს“ გადაეცა [16, ფურც. 11].

ებრაელებმა კულტურის სახლის დაბრუნების თაობაზე 1938 წელს ორჯერ მიმართეს თხოვნით სტალინს, მაგრამ უშედეგოდ [16, ფურც. 8].

ფოთში ებრაელთა რელიგიური თემი შეიქმნა 1886 წელს. XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს მორწმუნეთა რაოდენობა 136 კაცს უდრიდა [17, ფურც. 13].

რელიგიური თემის ნევრები ერთდროულ ფულად დახმარებას უწევდნენ გაჭირვებულ თანამემამულეებს, ასევე სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ებრაელებს. ასეთ პრაქტიკას კომუნისტური ხელისუფლება „საბჭოთა კანონმდებლობის“ დარღვევად მიიჩნევდა.

1949 წლის 23 ივნისს ორი უცნობი ებრაელი თბილისიდან და აზერბაიჯანიდან ჩავიდა ზუგდიდში მატერიალური დახმარების მისაღებად. ამ ფაქტით გალიზიანებული ხელისუფლება მოითხოვდა თემის დაშლას და რელიგიური რიტუალების აკრძალვას [18, ფურც. 58-59].

ქართველ ებრაელთა IV რელიგიურ თემს საჩხერეში სინაგოგასთან ჰქონდა საკუთარი შენობა; სინაგოგა ემსახურებოდა 27 ოჯახს 40 სულის რაოდენობით. მთლიანობაში საჩხერეში მოქმედებდა 3 რეგისტრირებული სინაგოგა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს სათანადო უწყება მიზანშეწონილად თვლიდა ერთი სინაგოგის დახურვას, რომელშიც მცირე რაოდენობის მორწმუნეები დადიოდნენ. რეალურად კი ხელისუფლებამ 2 სინაგოგა დახურა [18, ფურც. 63].

სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში მოქმედებდა ქართველი ებრაელების 5 რეგისტრირებული სინაგოგა, რის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პარტიული ფუნქციონერები და მორწმუნეებს კანონის დარღვევაში სდებდნენ ბრალს.

ომის დამთავრების შემდეგ რეგისტრირებულმა რელიგიურმა მე-4 თემმა დაიწყო ახალი სინაგოგის მშენებლობა მოქმედი სინაგოგის გარშემო. პროექტის თანახმად ძველი სინაგოგა ახალი შენობის შიგნით უნდა აღმოჩენილიყო. აშენდა 5 მეტრი სიმაღლის ახალი სინაგოგის კედლები. ძველი სინაგოგის მოქმედი შენობა რელიგიური თემის წარმომადგენლებმა 1947 წლის ივნისში გაყიდეს 40 000 მანეთად. შენობა იყიდა ადგილობრივმა არტელმა – „კოლექტიურმა შრომამ“, რომელმაც დაშალა სინაგოგა და სამშენებლო მასალად გამოიყენა.

ახალი სინაგოგის მშენებლობის დასრულებამდე მორწმუნეთა ნაწილი იკრიბებოდა მცირე ზომის შენობაში – „მიკვე“ (აბანო) რელიგიური რიტუალების შესასრულებლად. ხელისუფლება ასევე ბრალს სდებდა კულტის მსახურს ბოთერაშვილს, რომელმაც მოამბეზა მცირეწლოვანი ბავშვების ჯგუფი კულტის მსახურებისათვის, რის გამოც სასამართლომ 1000 მანეთით დააჯარიმა. აღნიშნული ფაქტების საფუძველზე ზემდგომი ორგანოები ცდილობდნენ დაეშა-

ლათ მე-4 რელიგიური თემი და სინაგოგა დაეხურათ [18, ფურც. 103-104].

მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ ომის პერიოდში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო კომუნისტებმა შედარებით შეასუსტეს ანტირელიგიური პროპაგანდა. სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებს შესაძლებლობა მიეცა თავისუფლად აღესრულებინა ღვთისმსახურება და დაეკმაყოფილებინა რელიგიური მოთხოვნები. ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა რეჟიმით თანდათანობით უბრუნდებოდა ათეიზმის მტკიცე პოზიციებს და რელიგიურ აღმსარებლობას აშკარა ბრძოლას უცხადებდა.

ჯერ კიდევ 1922 წელს, ცხინვალელმა ებრაელებმა შეიძინეს თბილისში (50-იან წლებში ლესელიძის ქ. №43) მდებარე შენობა მარიამ სტეფანეს ასულ კაპანოვისაგან. ამ შენობაში მათ მოაწყვეს სინაგოგა, რომელიც 31 წლის მანძილზე მოქმედებდა. 1953 წლის დასაწყისში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სინაგოგები დახურეს. მოგვიანებით აღდგენილი იქნა ყველა სინაგოგა და რელიგიური საზოგადოება თავის უფლებებში. მხოლოდ ზემოაღნიშნული სინაგოგა არ იქნა აღდგენილი, რის გამოც ებრაელები საპროტესტო თხოვნით მიმართავენ ხელისუფლებას მათ სასარგებლოდ გადაენციცა საკითხი [19, ფურც. 34].

პარალელურად ხელისუფლებამ დახურა თბილისში მცხოვრები ახალციხელი ქართველი ებრაელების სინაგოგა (ღვინის ჩიხი №10) და მათი რელიგიური საზოგადოებები დაშლილად გამოაცხადა. შენობები გადაეცა სათანადო უწყებას კულტურულ-საგანმამატლებლო დანიშნულებისათვის [20, ფურც.30].

1921-1922 წლებში სოხუმის მორწმუნე ებრაელთა საბჭომ მიიღო უფლება აეშენებინა სინაგოგის შენობა, რაც განახორციელეს კიდევ. 1932 წელს ებრაელთა სამოციქულო სახლი სადირექტივო ორგანოებმა გადასცეს მესაზღვრეთა რაზმს. სამაგიეროდ, ებრაელებს სხვა შენობა დაუთმეს. 1946 წელს საზოგადოება ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული. 1951 წელს ყოველგვარი კანონიერების გარეშე აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მითითებით სამი საათის განმავლობაში სინაგოგის შენობა საფუძვლიანად დაანგრეს. ასეთმა აქციამ ებრაელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია და ანტისემიტუზმის გამოვლინებად იქნა შეფასებული [20, ფურც. 52].

შემოდგომით, ებრაელთა რელიგიური დღესასწაულების დროს ხელისუფლება აფრთხილებდა ებრაელებს არ დაერღვიათ რიტუალების შესრულებისას კანონით დადგენილი წესები [21, ფურც. 2].

1954 წელს ებრაელთა რელიგიური დღესასწაულის – პასექის მოახლოებასთან დაკავშირებით შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი აქტიურობა. თბილისის მორწმუნე ებრაელებმა „მაცის“ გამოცხობა დაიწყეს ჯერ კიდევ იანვრის თვეში და დაამთავრეს 18 აპრილს. ამ ხნის განმავლობაში მათ გამოაცხვეს 94 ტონა მაცა. აქედან 10 ტონა ე. წ. ევროპელმა ებრაელებმა. ფაქტიურად თბილისში არ დარჩენილა ებრაელთა არცერთი ოჯახი, რომელსაც არ გამოეცხოს მაცა პასექის პერიოდში.

პასექის დღეებში სინაგოგაში 5000-ზე მეტი მორწმუნე მოვიდა, მათ შორის 1500 ქალი. ფულადმა შემოსწავლამ 4475 მანეთი შეადგინა.

ევროპელ ებრაელთა სინაგოგაში რიტუალის შესრულებას 1000-მდე მორწმუნე დაესწრო. სინაგოგის სასარგებლოდ მსხვერპლშენიერვა 1630 მანეთით განისაზღვრა. წინა წლის სტატისტიკური მონაცემების შედარება არ ხერხდება, რადგან 1953 წელს პასექის დღეებში თბილისის სინაგოგები დახურეს [21, ფურც. 5].

ბათუმის სინაგოგის მორწმუნეთა კომიტეტი შედგებოდა 70 კაცისაგან (აქვე იგულისხმება ქალებიც). დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე 100-ზე მეტი მორწმუნე მოდიოდა სინაგოგაში. ბათუმის რელიგიური საზოგადოების წევრები დღეში სამჯერ ლოცულობდნენ. დილის 6 საათზე, საღამოს 5 საათზე და მზის ჩასვლის შემდეგ. როგორც სხვა რეგისტრირებული სინაგოგები ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღნიშნული სინაგოგაც თვითნებურად დახურა. ეს უკანონო აქტი 1953 წლის დასაწყისში განხორციელდა. ექვსი თვის შემდეგ იძულებული გახდნენ გამოენსორებინათ დანაშაულებრივი ქმედება და კვლავ გახსნეს სინაგოგა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ სადაოდ აქცია სინაგოგის კუთვნილების საკითხი. ბათუმის საქალაქო კომიტეტის მონაცემებით შენობა არ იყო არც ნაციონალიზებული და არც მუნიციპალიზირებული. ქალაქკომის ტექნიკური აღრიცხვით სინაგოგის შენობა ვინმე ა. ხუხაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა; ფაქტიურად კი მორწმუნეთა საზოგადოება ფლობდა, რომელიც არ ცნობდა ხუხაშვილის უფლებებს და არ აფორმებდა მასთან საჯარო ხელშეკრულებას. იჯარის გადასახადს რელიგიური საზოგადოება ისტუმრებდა [21, ფურც. 24].

აჭარაში, პოსტსაბჭოურ პერიოდში ჩანს სამი ტიპის ებრაული სალოცავი: 1. ოფიციალურად რეგისტრირებული სინაგოგა; 2. არაოფიციალურად არსებული სალოცავი სახლები, რომლებიც მოქმედებდნენ მანამ, სანამ ხელისუფლება არ დაიწყებდა ანტირელიგიურ კამპანიას; 3. ეგრეთწოდებული „მინიაში“ (კვორუმი), რომელიც კერძო სახლში იხსნებოდა. ჩვეულებრივ მათი არსებობა ხელისუფლებამ იცოდა.

სამივე დასახელებული ტიპი დამახასიათებელი იყო აჭარაში დასახლებულ აშქენაზი და ქართველი ებრაელებისათვის, რომელთაც სინაგოგები, თავის მხრივ ცალკე ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ებრაელების მსგავსად.

ევროპელმა ებრაელებმა ბათუმში დამკვიდრებისთანავე არაღვრულად დააარსეს სალოცავი სახლი. განათლებულმა აშქენაზმა ებრაელებმა სინაგოგის გახსნის თაობაზე მიმართეს ქუთაისის გუბერნატორს. ასევე მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს: „თქვენო აღმატებულებავ – ნათქვამი ყოფილა მიმართვაში – ჩვენ, ბათუმელი ებრაელები გთხოვთ, ნება დაგვართოთ სინაგოგის ასაშენებლად. ეს საჭიროა ერთი ღმერთისათვის სალოცავად, რათა მათ მოგცეთ შთამომავალი – ძე, რამეთუ თქვენ ქალიშვილები გყავთ.“

შინაგან საქმეთა მინისტრმა სინაგოგის გახსნის თაობაზე დაწერა ოფიციალური ბრძანება 1899 წელს, რის შემდეგაც ბათუმის ევროპელმა ებრაელებამ თურქი მოქალაქისაგან 2000 მანეთად შეისყიდა ნაქირავები შენობა. სინაგოგაში პირველი ღოცვა 1904 წელს აღევლინა.

1923 წელს სინაგოგა დაიხურა. წლების მანძილზე ამ შენობაში არსებობდა სპორტული ორგანიზაციები „შეგარდენი“ და „სპარტაკი“. 1998 წლის ნოემბრიდან შენობამ კვლავ დაიბრუნა რელიგიური სტატუსი.

მაშიახ ჯანაშვილმა, აბრამ ხუხაშვილმა, არონ აშურმა მოქალაქე სიმონ ენუქიძისაგან 1920 წელს შეისყიდეს კერძო სახლი, რომელიც საჩუქრად გადასცეს ქართველ ებრაელთა თემს, რათა ამ სახლში სინაგოგა გახსნილიყო. აღნიშნული პერიოდიდან ეს სახლი სინაგოგის ფუნქციას ასრულებდა 2000 წლამდე (ამ წელს ხანძრის გამო შენობა დაზიანდა). ებრაული თემის წევრების თქმით, აქ მოღვაწეობდნენ იაკობ ბაბალიკაშვილი და შალომ ელიგულაშვილი [4, 8].

ებრაელთა რელიგიური დრესასწაულები სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეულწილად განსხვავდებოდა. საქართველოში უმნიშვნელო სხვაობა ღვთისმსახურების წესში კალენდრის უქონლობით იყო გამოწვეული.

ქართველ ებრაელებში, ასევე ქართველებშიც განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბრეთის, ლაილაშის და ჭიანურიშვილების ბიბლია [13, 88].

საქართვეოს ებრაელთა ეკონომიკური ცხოვრება თითქმის იმავე საფუძველზე იყო აგებული, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. განსხვავება ის იყო, რომ მათი „პროფესია“ წვრილი ვაჭრობა უფრო მკვეთრად იყო გამოხატული, ვიდრე სხვა მხარეებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ანტისემიტიზმს არასოდეს ჰქონია გასაქანი, ებრაელთა კულტურული განვითარება მინც დაბალ დონეზე იდგა. ასეთ ვითარებას გარკვეულად ხელს უწყობდა ებრაელთა კარჩაკეტილობა, „საკუთარი“ რაიონები და სხვ. [22, 30-31].

ებრაელთა ძირითად საქმიანობას ვაცვლა და ვაჭრობა წარმოადგენდა. საქმიანობის ამ გზას ისინი დაადგნენ ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რამაც განსაზღვრა მათი დასახლება უმთავრესად სავაჭრო პუნქტებში.

ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმეს ჯერ კიდევ ჩვენმა სამოციანელებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის აკ. წერეთელი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც იმთავითვე ახლო მეზობლურ-მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ებრაელობასთან, კერძოდ საჩხერესა და ქუთაისში მცხოვრებ ჯამაათთან. ზედმინევნით იცოდა მათი ყოფის ნიუანსებიც კი. და თუ პოეტი ზოგჯერ „დაუნდობლად“ ამხელდა მათ მიერ ჩადენილ არასაკადრის საქციელს, გამონეწეული იყო არა სიძულვილით, არამედ გულწრფელი პატივისცემისა და სიყვარულის გამო. როგორც იტყვიან, კარგ მთქმელს კარგი გამგონი სჭირდებოდა, რათა ნათლად დაენახა, ამ სიძულვილში მართლაც რაოდენი სიყვარული იყო ჩადებული [23, 13].

ებრაელთა დასახლების ცენტრში თავიდანვე გაჩნდა მათი „ბაზრობები“, სადაც წვრილ ვაჭრებს საკუთარი ნაწარმი გაჰქონდათ, იქვე იქნდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდ ნაწილს. ებრაელთა მცირე ნაწილს ჰქონდა საკუთარი სავაჭრო კაპიტალი, დანარჩენი დიდი უმრავლესობა კი მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სულ მცირე, უმნიშვნელო რაოდენობა იყო დასაქმებული სანარმოებსა და სოფლის მეურნეობაში, რასაც მათთვის მხოლოდ დამხმარე მეურნეობის სახე ჰქონდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა ეროვნებებისაგან განსხვავებით ებრაელ მოსახლეობას არ ჰქონდა სოფლის მეურნეობაში გამოუმუშავებული შრომითი ჩვევები [24, ფურც. 56]. მხოლოდ 1922 წლის შემოდგომიდან იწყება ებრაელთა სტიქიური გადასვლა მიწათმოქმედებაზე. ყოველგვარი დახმარების გარეშე ყალიბდებოდნენ ებრაელთა მიწათმოქმედების კოლექტივები, ჩნდებოდნენ ერთეული მიწის მუშები და მრავალი ღარიბი მიდიოდა სოფლებში მოჯამაგირედ [22, 29].

1927 წლის 5 მარტს თბილისში იქმნება მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედების საზოგადოება – მემსი, რომელსაც უნდა უზრუნველყო ებრაელების სოფლის მეურნეობაში ჩაბმა. ხოლო ებრაელთა სანარმოო შრომაში ჩაბმის მიზნით საქართველოს კპ ცკ-ის 1928

ნლის 10 ივლისის ბრძანებით იქმნება ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი – ღარებკომი.

უკვე 1928 წელს სოფლის მეურნეობის წარმოებაზე გადასვლის სურვილი განაცხადა ებრაელთა 383 კომლმა – სულ 2022 კაცი. მათთვის გამოიყო მიწები სიღნაღის მაზრაში – წითელი გორა, ტყე, რომელიც აქ იყო, გაჭრეს და გაასუფთავეს ებრაელმა ახალმოსულებმა და შექმნეს საქართველოში თავიანთი პირველი კოლმეურნეობა „პირველი დასაწყისი“. 1929 წლის დამდეგისათვის საქართველოში ებრაელთა რვა კოლმეურნეობა მოქმედებდა [25, 81, 83].

კულაში ებრაელთა კოლმეურნეობა 1930 წელს შეიქმნა, ყოფილი მენვრილმანები, რომლებმაც არშინი ისტორიის არქივს ჩააბარეს იძულებული გახდნენ საკოლმეურნეო შრომამი ჩაბმულიყვნენ. კულაშელი რაბინი კოლმეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით ქადაგებდა: „ქაზ ელიომ შელომ იაყასე“ („ღმერთის ძალა მაინც თავისას იზამს“). მართალია გვიან, მაგრამ მაინც ახდა ებრაელი წინასწარმეტყველის სიტყვები [15].

ამავე პერიოდში თბილისში, ებრაელთ უბანში გაიხსნა კოოპერატივი (მუშკოოპის ერთ-ერთი მაღაზიის სახით). ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება სანიტარული კომისიის საშუალებით ებრაელებს უფასო სამედიცინო დახმარებას უწევდა. ეწყობოდა ებრაელ უმუშევართა ნაწილის ტირიფონის ველზე გადასახლება [27, ფურც. 187].

1937 წლის მონაცემებით საქართველოში 16 ებრაული კოლმეურნეობა ფუნქციონირებდა [28, 28]. რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მრეწველობაში დასასაქმებლად გადადგმულ პირველ ნაბიჯს ებრაელთა არტელების შექმნის ცდა წარმოადგენდა [28, 29].

საქართველოს სახკომსაბჭოს 1930 წლის 25 მარტის დადგენილებით, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ებრაელებისათვის შეიქმნა ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, სადურგლო, მღებავთა და მღესავთა არტელები [28, 31].

ცხინვალში მცხოვრებ 69 ებრაელის ოჯახს ჰქონდა ხეხილის ბაღი, მაგრამ არ გააჩნდათ არავითარი მატერიალური შესაძლებლობები ბაღების კულტივირებისათვის. აქ მცხოვრები უღარიბესი და საშუალო შეძლების ებრაელ მებაღეებისათვის შესაძლებელი იყო სესხის გაცემა ცხინვალის საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით, იმ თანხებიდან, რომლებსაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი აწვდიდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“ არსებული ეკონომიკური პროცენტის თანახმად. ამდენად, საჭირო იყო ებრაელ მებაღეთა საკრედიტო ამხანაგობაში შეკავშირება [28, ფურც. 12].

ცხინვალელ ებრაელთა ხელოსან-კუსტარების რაოდენობა 45 კაცს შეადგენდა [29, ფურც. 5]. ადგილობრივი ხელისუფლების თქმით ებრაელები შრომისმოყვარე ხალხი იყო, შეეძლოთ სისტემატურად და ენერგიულად ეშრომათ მათთვის სასურველ სფეროში, მაგრამ არ ცდილობდნენ ახალი პროფესიების დაუფლებას. 7-8 წლის ებრაელი ბიჭი მთელი კვირის მანძილზე დადიოდა ცხინვალთან გორში ფეხსაცმელების მწმენდავად 1 ან 2 მანეთი რომ ეშოვა [29, ფურც. 6].

ქალაქის რაიონში 164 კომლი (665) ებრაელი ცხოვრობდა, მათგან შრომისუნარიანი იყო 165 სული. ე. ი. თითო კოლმზე საშუალოდ მოდიოდა თითო შრომისუნარიანი.

164 ოჯახიდან საშუალო შეძლების ოჯახად ითვლებოდა 18 ოჯახი. საინტერესოა ვის თვლიდა საშუალო შეძლების ოჯახად მამინდელი საბჭოური ხელისუფლება? საშუალო შეძლების ოჯახად ითვლებოდა ვისაც ჰქონდა პატარა ორ ოთახიანი „ჩიკატორიანი“ ისია „დამპალი“ სახლი და ჰყავდა ერთი ძროხა. უმრავლესობას საქონელი საცხოვრებელ ოთახში ყავდა.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ცხოვრობდნენ გორისა და სურამის ებრაელები [30, ფურც. 27].

20-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევები მონიშნენ ებრაელთა უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობას. მაგალითად, ცხინვალის, სურამის, კულაშის და მთელი რიგი რაიონების ებრაელთა საცხოვრებელი სახლების უმეტესი ნაწილი ნახევრად დანგრეულ, ნოტიო, ბნელ, უსინათლო და უჰაერო, წვიმისაგან დაუცველ მიწურებს წარმოადგენდა. ასეთი საცხოვრებელი ფართობიც კი ისეთი მცირე იყო, რომ თითო სულზე თითო კვადრატული მეტრი ძლივს მოდიოდა. აქ, უბრალო ელემენტარული კეთილმოწყობაც კი არ იყო. წყალსადენი და კანალიზაცია საერთოდ არ არსებობდა [24, 57].

ახალციხეში მცხოვრები ებრაელების სახლები მოგვაგონებდნენ XVII-XVIII საუკუნეების ტიპიურ თურქულ სახლებს. უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა ყველა სახლი ნახევრადმიწური იყო. სახლებს ფანჯრები ძალიან პატარა ჰქონდათ. გვხვდებოდა ისეთი ბინებიც, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ ფანჯარა და ჭერიდან ხდებოდა განათება [31, ფურც. 7].

თბილისში, ინვალიდთა ყოფილ სახლში, ებრაელთა თემმა 1922 წელს მოაწყო დავრდომილთა თავშესაფარი ათი ადამიანისათვის. ჯამრთელობის კომისარიატმა თავშესაფარს გადასცა ორ-ორი წყვილი ტანსაცმელი თითო დავრდომილზე. ამასთანავე, მოეწყო აფთიაქი და უფასო საექიმო დახმარება [32].

საუკუნეებით ერთად ცხოვრებამ ერთმანეთს დაუკავშირა და დაუახლოვა ქართველ და ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლო-

რი, რაც კარგად ვლინდება ებრაელთა დალოცვაში, ანდაზებში, „დაცდილობაში“, „ასოთსამღერელში“. ქართველი ებრაელები ქართულად უმღეროდნენ შვილს იავნანას, აცხოვდნენ ხაჭაპურს, „ლუბუნას“, თამაშობდნენ „ბურთობიას“, „ფერხულს“, ცეკვავდნენ „ბაღდადურს“, მღეროდნენ „ქალი მოგვყავს ლამაზი“ და ა. შ.

ებრაელი დედა ქართულად ზრდიდა შვილს, იმოსებოდა ქართული ტანსაცმლით, აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა საქორწინო, მიცვალებულთა გაპატიოსნების და რიტუალური სადღესასწაულო სუფრის მომზადებაში და თავისი ყოველდღიური ყოფით დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა ქართულ ტრადიციებთან.

საუკუნეების სვლასთან ერთად ქართველ ებრაელთა ბევრმა ადათ-წესმა დაჰკარგა თავისი პირვანდელი ფორმა და სიმბოლური სახე მიიღო, ფეხი აუწყო რა ახალი ცხოვრების დინებას [13, 16-17].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საუკუნეების წინათ მოსული ებრაელები საქართველოში გაუსაძლის პირობებში არასოდეს ყოფილან. ისინი ჩვენთან ერთად იზიარებდნენ ჭირ-ვარამს. რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ და მათი დიდმპყრობელური ნება-სურვილების განხორციელებამ ქართველებთან და აქ მცხოვრებელ სხვა ეთნოსებთან ერთად ებრაელობაც შეჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ინარჩუნებდნენ ეროვნულ თვითმყოფადობას.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თ. ხოხობაშვილი, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები და ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს (იბერიის) ეთნოლოგიური ასპექტები, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2005.
2. ჟ. ერიაშვილი, საქართველოს – მინა-წყალზე „უცხო“ მიღება-დასახლების მექანიზმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, „კლიო“, 30, 2006.
3. ხ. გვარამაძე, „მცხეთელი მამასახლისის“ საკითხისათვის ლეონტი მროველის თხზულებაში – „მეფეთა ცხოვრება“, „კლიო“, 14, 2002.
4. მ. ლორია, ებრაული დიასპორა შავიზღვისპირეთში: აჭარა (ეთნოკულტურული პროცესები და ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005.
5. Реймонд П. Шейндлин, Летописи еврейского народа, пер. с английского, М., 1997.

6. Норман Кон, Благословение на геноцид, Миф о всемирном заговоре евреев и „Протоколах сионских мудрецов“, Пер. с английского, М., 1990.
7. მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდე ზანაში, თბ., 1968.
8. მ. მაგლობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები ახალციხის შესახებ, „ანალები“, №2, 2002.
9. ჟაკ ფრანსუ გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მაგლობლიშვილმა, თბ., 1987.
10. შ. კაკური, თბილისის მოსახლეობა 1803-1970, თბ., 1979
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. 284, ანან. 1, საქ. 207.
12. აბრეკ ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991
13. ქ. აბულაძე, ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წწ., საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2000.
14. საქართველოს პრეზიდენტის არქივი ფ. 14, ანან. 4, საქმე №206
15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 284, ანან. 1, საქმე № 73.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №600, ანან. 1, საქმე № 5647.
17. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 1880, ანან. 4, საქმე №10.
18. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 600, ანან. 17, საქმე № 392.
19. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 1880, ანან. 4, საქმე №12.
20. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 1880, ანან. 1, საქმე №23.
21. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 600, ანან. 16, საქმე №262.
22. გერცელ ბააზოვი, ეროვნულ უმცირესობათა შორის, ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა“, №6, 1929.
23. გ. საითიძე, აკაკი და ქართველ ებრაელთა საკითხი, გაზ. „კალმასობა“, 2004, №7.
24. შ. ნოზაძე, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბ., 1987.

25. ა. ციციაშვილი, საქართველოს კპ მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის (1921-1929 წწ.), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1968.
26. კომუნისტი, 1939, 11 მარტი.
27. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 284, ანან. 1, საქმე №488.
28. შ. ვადაჭკორია, ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940), თბ., 2005.
29. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 284, ანან. 1, საქმე №1079.
30. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284, ანან. 1, საქმე № 1773.
31. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 284, ანან. 1, საქმე №2243.
32. გაზეთი „ტრიბუნა“, 1922, 20 ივნისი.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical Sciences, the Javakhisvili Institute of History and Ethnology, head of the Department of Modern and Contemporary History

Religion and Every-day Life of Georgian Jews

Summary

It is acknowledged that the diaspora of Jews were founded in Georgia in 586 B.C. The Jews' later intensions to arrive and live in Georgia was determined by a certain condition. Mainly there was not an anti-Semitism in Georgia. Georgian Jews as well as Ashkenazic Jews (European Jews) were compactly living in different regions of Georgia and freely confessed Judaism.

At the beginning of the 20th century there were fifteen synagogues in Georgia. Centuries long co-existences determined the closeness of every-day life and folklore of Georgians and Georgian Jews.

ელდარ ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

იმერეთის ეპარქია ეპარქოსობის პერიოდში

XV საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოს პოლიტიკური და-ქუცმაცებულობის შედეგად, მცხეთის საპატრიარქოს გამოეყო და-სავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც „ლიხთ-იმერეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოდ“ იწოდებოდა [1, 220]. თავდაპირველად აფხაზეთის კათოლიკოსის რეზიდენცია იყო ბიჭვინთაში, ანდრია პირველწოდებულის ტაძარში. XVI საუკუნის მეორე ნახევარში შინა-ფეოდალური ომებისა და ჩრდილო-კავკასიელი მომთაბარე ტომების თავდასხმების გამო მისი რეზიდენცია გადმოდის ქუთაისში (გელათში). XV-XVII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა იმერეთის სამეფოსა და მის მფლობელობაში მყოფი სამეგრელოს ანუ ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების ტერიტორიაზე არსებული ბიჭვინთის, ბედიის, დრანდის, მოქვის, ჭყონდიდის, ცაიშის, გელათის, ქუთაისის, ცაგერის, ნიკორწმინდის, ხონის, ჯუმათისა და შემოქმედის ეპარქიები. მისი იურისდიქციის საზღვრები აგრეთვე ვრცელდებოდა აჭარის, შავშეთისა და კლარჯეთის ტერიტორიაზეც. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში თურქთა აგრესიის შედეგად მისი საზღვრები საგრძობლად შეიზღუდა. მას ჩამოშორდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი. ოსმალთა მიერ აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ სამთავროში შესუსტდა ქრისტიანობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა. XVII საუკუნის ბოლოს ნახევრად გაუქმდა მოქვის, დრანდის, ბედიის საეპისკოპოსოები [2, 528; 3, 173]. XVIII საუკუნეში გართულებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. 1795 წელს კიევში გარდაიცვალა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის (აფხაზეთის საკათალიკოსო) უკანასკნელი მწყემსმთავარი მაქსიმე II აბაშიძე (1776-1795). უმწყემსოდ დარჩენილი კათოლიკოსის მოვალეობას ასრულებდა ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (ნერეთელი).

XIX საუკუნის პირველ ათეულში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ, იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მყოფმა სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებმა რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარეს, რასაც მალე, 1810 წელს იმერეთის

სამეფოს გაუქმება მოჰყვა. 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ დღის წესრიგში დადგა დასავლეთ საქართველოში არსებული საკათალიკოსოს გაუქმების საკითხიც, მაგრამ იმერეთში მოსახლეობის მასობრივი გამოსვლის გამო, ამ ეტაპზე ხელისუფლებამ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. მოგვიანებით, მშვიდობიან ვითარებაში, 1814 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით გაუქმდა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს დამოუკიდებლობა და იგი ეგზარქოსს დაექვემდებარა, რომელიც „საქართველო-იმერეთის ეგზარქოსად“ იწოდებოდა. ამავე გადაწყვეტილებით საქართველოს საეგზარქოსოსთან დაფუძნდა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა.“ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია. ამ მიზნით განზრახული იყო ქუთაისში სასულიერო დიკასტერიის დაარსება [4, 435; 5, 9]. ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის, დიკასტერიის გახსნის განზრახვისა და „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ დაარსების გამო იმერეთის სამღვდელთაგან თავისი პროტესტი გამოხატა, რის გამოც ხელისუფლებამ ნაწილობრივ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. 1814 წლის 17 ოქტომბერს ქუთაისში სასულიერო დიკასტერიის ნაცვლად შეიქმნა იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, რომელიც რუსეთის იმპერატორმა 1821 წლის 19 ნოემბერს დაამტკიცა [6, 233]. აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ ადმინისტრაციულ სტრუქტურაში. კანტორის შემადგენლობაში მყოფი სამი არქიმანდრიტიდან ორი აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი იყო, ხოლო ერთი – დასავლეთ საქართველოსი [7, 1].

თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარება დაევალა ეგზარქოს ვარლამ ერისთავს (1811-1817). პირველ რიგში მას სურდა საეკლესიო ქონების აღწერა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობისა და სამღვდელთაგან ნინაალმდეგობის გამო თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რის გამოც იგი ეგზარქოსობიდან გადააყენეს. ახლადდანიშნულმა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821) 1818 წლის 28 დეკემბერს იმპერატორის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად დაიწყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია.

საეკლესიო რეფორმამდე იმერეთში არსებობდა ოთხი ეპარქია: ქუთაისისა და გელათის სამიტროპოლიტო; ხონისა და რაჭის საეპისკოპოსო. რეფორმა მიზნად ისახავდა იმერეთის საეკლესიო ქონების აღწერას, საეპისკოპოსოებისა და სამღვდელთაგან რიცხვის შემცირებას. 1819 წლის ივნისში იმერეთში დაწყებული საეკლესიო

რეფორმას მოსახლეობამ აჯანყებით უპასუხა. მართალია ხელისუფლებამ „საეკლესიო ბუნტი“ სისხლში ჩაახშო, აჯანყების ხელმძღვანელი მღვდელმთავრები დააპატიმრეს (მიტროპოლიტი დოსითეოს (წერეთელი) ქუთათელი დაპატიმრების შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო მიტროპოლიტი ეფთვიმე (მარვაშიძე) გაენათელი შორეულ სვირის მონასტერში გადაასახლეს), მაგრამ დარწმუნდნენ, რომ რეფორმის გატარების დროს აუცილებელი იყო სიფრთხილის გამოჩენა.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რაჭის ეპარქიის მმართველს, მთავარეპისკოპოს სოფრომს (წულუკიძე) დაევალა იმერეთის საეპისკოპოსოების აღწერა. შეკრებილი ცნობებით დადგინდა, რომ 1821 წლისათვის იმერეთში არსებობდა ათი მონასტერი: გელათის, გელათის წმ. გიორგის, მონამეთას, გოგნის უდაბნო, ჭალატყის, სოხასტერის, ჭელიშის, ველტყევის, სორისჯვარის და კაცხის; ორი ტაძარი, 618 სამრევლო ეკლესია, 1808 საეკლესიო ყმა-გლეხი, სულ 7022 სული. საეკლესიო მამულებიდან შემოსული თანხა წლიურად შეადგენდა 11482 მანეთს ვერცხლით [8, 47-49].

1821 წლის 19 ნოემბერის გადაწყვეტილებით იმერეთში გაუქმდა ოთხი ეპარქია და მის ნაცვლად დაწესდა ერთ – იმერეთის ეპარქია. იმერეთის ეპარქიის მმართველად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი სოფრომი (წულუკიძე), საკათედრო ტაძრად გამოცხადდა ქუთაისის სოფრომი (წულუკიძე), საკათედრო ტაძრად გამოცხადდა ქუთაისის მიძინების ეკლესია, ხოლო ეპარქიის მმართველის რეზიდენცია მდებარეობდა არქიელის გორაზე. იმერეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრები. 1829 წლიდან, ახალციხის შემოერთების შემდეგ ამ ოლქში არსებული ეკლესიები იმერეთის ეპარქიას დაექვემდებარა. სხვადასხვა დროს იმერეთის ეპარქიას ექვემდებარებოდა რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი ეპარქიები. 1833 წლიდან 1844 წლის პირველ აპრილამდე გურიის ეკლესიებს იმერეთის ეპარქია მართავდა. 1869 წლის 30 მაისიდან 1885 წლის 12 ივლისამდე აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიის შემადგენლობაში იყო, ხოლო 1874 წლის 16 მაისიდან 1885 წლის 12 ივლისამდე სამეგრელოს ეპარქია სავიკარიოს სახელით იმერეთის ეპარქიის იურისდიქციაში შედიოდა.

ეგზარქოსობის პერიოდში იმერეთის ეპარქიას მართავდნენ ქართველი მღვდელმთავრები: 1. მთავარეპისკოპოსი სოფრომ წულუკიძე (1821 წლის 19 ნოემბრიდან – 1843 წლამდე); 2. მიტროპოლიტი დავით წერეთელი (1843-1853 წლის 14 თებერვალი); 3. ეპისკოპოსი ეფთვიმე წულუკიძე (1853 წლის 14 თებერვალიდან 1856 წლის 4 აპრილი); 4. ეპისკოპოსი გერმანე გოგოლაშვილი (1856 წლის აპრილიდან 1860 წლის 2 ივლისამდე); 5. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე (1860 წლის 2 ივლისიდან 1896 წლის 26 იანვრამდე); 6. 1896

წლის 15 ივნისიდან გაბრიელ ქიქოძის ავადმყოფობის გამო დროებით ეპარქიას განაგებდა ალავერდის ვიკარებისკოპოსი ბესარიოს დადიანი. შემდგომ იგი 1898 წლის 6 ივლისიდან 1900 წლის 4 აგვისტომდე იმერეთის ეპარქიის მმართველია. 7. ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე (1900 წლის 12 აგვისტოდან 1908 წლის 1 თებერვლამდე); 8. ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი (1908 წლის 1 თებერვლიდან 1917 წლის 17 სექტემბრამდე) [9, 71-72; 10, 5].

იმერეთის ეპარქიის რეორგანიზაციის მიზნით საქართველოს საეგზარქოსო მნიშვნელოვანი გარდაქმნები გაატარა. საგრძობლად შემცირდა სამრევლო ეკლესიების, მონასტრებისა და სამღვდლოების რაოდენობა. რეფორმამდე არსებული ათი მონასტრის ნაცვლად იმერეთის ეპარქიაში თავისი არსებობის მანძილზე იყო ექვსი მონასტერი: გელათის, ჯრუჭის, მონამეთას, კაცხის, ჭელიშის და მღვიმის დედათა მონასტერი. ამავე პერიოდში არსებობდა ორი საარქიმანდრიტო: კიკოს მონასტრის არქიმანდრიტი, რომელიც ზემო იმერეთის ვარძიის ღვთისშობლის ეკლესიას განაგებდა და ქუთაისის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი [11, 650].

ჩამოთვლილი მონასტრებიდან მხოლოდ გელათი იქნა მიჩნეული პირველი კლასის მონასტრად. გელათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ითვლებოდა, სადაც ჯერ კიდევ, XI საუკუნეში დავით აღმაშენებელმა დაარსა აკადემია. ქათველ მეფეთა მზრუნველობით გელათის მონასტერში არსებობდა მრავალი სინმინდე. ეგზარქოსობის პერიოდში გელათის მონასტერი არაერთხელ გაიქურდა. უკვალოდ გაქრა იქ დაცული წმინდა ნაწილები [12, 143-153].

ეგზარქოსობის პერიოდში იმერეთის ეპარქიაში რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი მოუვლელობის გამო ფიზიკურად ნადგურდებოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოქმედი ეკლესია-მონასტრებიც. სიძველის გამო ნგრევის პირას მისულ მოქმედ ეკლესია-მონასტრებს ადგილობრივი სამღვდლოება პატრონობდა, რადგან ხელისუფლებას სათანადო თანხები არ გააჩნდა მათ განსახლებლად. XIX საუკუნის შუა ხანებში ხაზინის ხარჯზე მხოლოდ გელათის სამონასტრო კომპლექსი შეეკეთა.

იმერეთის ეპარქია დაყოფილი იყო სამ საბლალოჩინო ოლქად, რომელიც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრინციპით იყო ჩამოყალიბებული. თითოეულ ოლქში რამდენიმე ბლალოჩინი მოღვაწეობდა. XIX საუკუნის ბოლოს ქუთაისის მაზრაში იყო ქუთაისის, ვანის, კულაშის, სვირის, ოკრიბის და სიმონეთის გამგებელი ბლალოჩინი; შორაპნის მაზრაში: შორაპნის, საჩხერის, ხარაგაულის, სვერის

და ჩხარის; ხოლო რაჭის მაზრაში: ონის, ბარის, სადმელის და ნიკორწმინდის [13, 184].

1826 წელს ეგზარქოს იონა ვასილევსკის (1821-1832) დროს შემოიღეს მონასტერთა ბლალოჩინის თანამდებობა, რომელიც კონტროლს მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებას უწევდა. იმერეთის ეპარქიაში საბლალოჩინო მონასტრად ითვლებოდა გელათისა და ჭელიშის მონასტრები [14, 1; 15, 70].

იმერეთის ეპარქიის ეკლესიები იყოფოდა სამრევლოებად. ზუსტი სტატისტიკური მონაცემები სამრევლოების რაოდენობის შესახებ არ გაგვაჩნია, სამღვდლოების ერთ ნაწილი შტატიან მოსამსახურედ ითვლებოდა და ხაზინიდან ჯამაგირს იღებდა, ხოლო მეორე ნაწილი - უშტატოდ, რომლებიც მხოლოდ შემოწირულობების ხარჯზე იმყოფებოდნენ. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რეფორმის შედეგად გათავისუფლებულ სასულიერო პირების მატერიალურ უზრუნველყოფაზე სახელმწიფოს უნდა ეზრუნვა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული მითითების შესრულება.

რეფორმის შემადგენელი ნაწილი იყო დაბალი სამღვდლოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეგზარქოს იონას უშუალო ჩარევით და მის მიერ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მთავარმართებელ პასკევიჩის (1827-1832) 1829 წლის განკარგულებით იმერეთის დაბალი სამღვდლოება და მათი შვილები, რომლებიც 1810 წლის შემდეგ იყვნენ დაბადებულები, ყმობიდან გათავისუფლდნენ [16, 4].

ეპარქიის ჩამყალიბებისთანავე საქართველოს საეგზარქოსო საეკლესიო ქონების აღრიცხვისა და შემოსავლების დადგენის მიზნით აქტიური მუშაობა გასწია. 1823 წლის მონაცემების მიხედვით იმერეთის ეპარქიის წლიური შემოსავალი შეადგენდა 9650 მანეთს ვერცხლით [8, 49]. აღნიშნულ თანხას უნდა დამატებოდა შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც საეკლესიო გლეხები ნატურის სახით ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდნენ. ხელისუფლებამ საეკლესიო გადასახადების კომუტაციის განხორციელების მიზნით, ჯერ კიდევ, XIX საუკუნის 20-იან წლებში იმერეთის ეპარქიის მმართველს სოფრომს დაავალა ნატურალური გადასახადი ფულადი თანხით შეეცვალა. გლესს თუ ამის შესაძლებლობა არ ექნებოდა, მაშინ ეპარქიას უნდა ეზრუნა ნატურალური გადასახადი ფულად ექცია [6, 251]. XIX საუკუნის 40-იან წლებში საეკლესიო კომუტაციის განხორციელების შემდეგ იმერეთის ეპარქიის შემოსავლები საგრძობლად გაიზარდა. 1871 წელს იმერეთის ეპარქიის საეკლესიო ქონება და შემოსავლები სახელმწიფო ხაზინას გადაეცა გამგებლობაში [17; 18, 15]. საეკლესიო შემოსავლის ნაწილი ხმარდებოდა ეპარქიის ადმინისტრაციის

შენახვას, ნაწილი ეპარქიაში არსებულ სასულიერო სასწავლებლებს აქედან გაიცემოდა შტატიან სამღვდლო პირთა ხელფასი. ნაწილი თანხისა ყოველწლიურად ირიცხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდში. დარჩენილ თანხას სახელმწიფო თავის სურვილისამებრ განკარგავდა.

ეპარქიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ახალი მმართველობის დროს ეკლესია-მონასტრებისადმი დამტკიცებული სახნავ-სათესი მიწები და სხვა.

მნიშვნელოვანი გარდაქმნები განხორციელდა სასულიერო განათლების სფეროშიც. 1814 წელს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა ეკლესიამონასტრებთან არსებულმა სკოლებმა. იმერეთის ეპარქიის დაარსებისთანავე ახალმა მმართველობამ დაიწყო ახალი ტიპის სასულიერო სასწავლებლების გახსნა. საეგზარქოსოს ინიციატივით, 1822 წელს ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც იყო ერთკლასიანი, ორი წლის კურსით და ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. ამ სასწავლებელთან არსებობდა რაჭის განყოფილება, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მართავდა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელმაც 1917 წლის სექტემბრამდე იარსება, ძირითადად სასულიერო პირთა შვილები სახელმწიფოს სარჯზე ლებულობდნენ განათლებას. სასწავლებელთან არსებობდა პანსიონი. სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სასულიერო საგნების გარდა ასწავლიდნენ ართმეტიკას, რუსულ და ქართული ენის გრამატიკას. რუსეთში არსებული სასწავლო დებულების მიხედვით მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულს შეეძლო სწავლა სასულიერო სემინარიაში გაეგრძელებინა.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იმერეთის ეპარქიაში აღდგა სამრევლო-საეკლესიო სკოლები, რომლებიც იყო ერთკლასიანი, სადაც მოსწავლეები 2-3 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე ლებულობდნენ პირველდანიებით განათლებას. აღნიშნულ სასწავლებლებში ყოველგვარი გასამჯელოს გარეშე სასულიერო პირები შეგირდებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რუსულ ენას, საღმრთო რჯულს, ართმეტიკას და სხვა. ასეთი ტიპის სასწავლებლები ფუნქციონირებდა როგორც ქალაქად ისე სოფლად. მათი რიცხვი თანდათან ფართოვდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს იმერეთის ეპარქიაში იყო 90-მდე საეკლესიო-სამრევლო სკოლა [19, 94].

1892 წლის იანვარში იმერეთის ეპარქიის მმართველის გაბრიელის (ქიქოძე) ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელსაც ქართველი საზოგადოებისა და სამღვდლოების მოთხოვნით გაბრიელ ეპისკოპოსის იმერეთის ეპარქი-

აში 30 წლის მოღვაწეობის გამო, მისი სახელი ეწოდა. გაბრიელის სასწავლოების ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი მართალია სასულიერო პირთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ აქ განათლებას სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც ლებულობდნენ. აღნიშნული სასწავლებელი პედაგოგიურ კადრებს ამზადებდა კერძო და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის [19, 147].

გაბრიელის სახელობის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სასწავლებელში ისწავლებოდა: ქართული ენა და ლიტერატურა, საღმრთო რჯული, ართმეტიკა მეთოდიკით, ფრანგული ენა, გეოგრაფია, რუსული ენის მეთოდიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა, ხელსაქმე --- ქრა-კერვა, ქსოვა და სხვა [19, 148]. სასწავლებელთან არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა და პანსიონი. სასწავლებელი დაიხურა 1921 წლის აგვისტოში. მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ქუთაისის მე-9 შრომის სკოლა. თავისი არსებობის მანძილზე სასწავლებელში განათლება მიიღო 1260-ზე მეტმა ქალიშვილმა [19, 156-157].

იმერეთის ეპარქიისათვის სასულიერო კადრებს ამზადებდა თბილისის სასულიერო სემინარია. ყოველწლიურად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებულები სწავლის გასაგრძელებლად იგზავნებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ადგილობრივი სამღვდლოების სიღარიბის, ტერიტორიული სიმორისა და განსხვავებული კლიმატური პირობების გამო, თბილისში სწავლას იმერეთის ეპარქიიდან მოსწავლეთა მცირე ნაწილი აგრძელებდა. აღნიშნული მიზეზების გამო იმერეთის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა XIX საუკუნის 70-იან წლებში უზენაესი ხელისუფლების წინაშე არაერთხელ დასვა საკითხი ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ. 1894 წლის სექტემბერში რუსეთის უწმინდესი სინოდის გადამწყვეტილებით ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომელიც არამართო იმერეთის ეპარქიისათვის, არამედ დასავლეთ საქართველოში არსებული სხვა ეპარქიებისთვისაც (გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიები) ამზადებდა სასულიერო კადრებს. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იგი ძირითადად დაკომპლექტებული იყო რუსეთიდან ჩამოყვანილი კადრებით. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში არ ისწავლებოდა ეროვნული საგნები, რაც ქართველი საზოგადოებისა და სამღვდლოების უკმაყოფილებას იწვევდა. 1904 წლის მაისში მოსწავლეთა არეულობის გამო ქუთაისის სასულიერო სემინარია დაიხურა [20, 92].

იმერეთის ეპარქია საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. შესაბამისად ეპარქიის მღვდელმთავარი დამოუკიდებლად ვერ მართავდა თავის სამწყსოს. იგი ეგზარქოსისა და

„საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ ინსტრუქციებით წარმართავდა თავის საქმიანობას. ეპარქიის მღვდელმთავარი ყოველწლიურად განეული მუშაობის შესახებ ვრცელ ანგარიშს წარუდგენდა საქართველოს ეგზარქოსს.

რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, 1867 წლიდან წელიწადში ერთხელ ან ორჯერ იმერეთის ეპარქიაში იმართებოდა ეპარქიის საეკლესიო კრება, რომელშიც დეპუტატების სახით წარმოდგენილი იყვნენ წდობით აღჭურვილი სასულიერო პირები. საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხები, კრების ჩატარების დრო და ადგილი შეთანხმებული იყო საქართველოს ეგზარქოსთან. კრების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა ეპარქიის მღვდელმთავარი. კრებაზე ძირითადად იხილავდნენ ეპარქიის სასულიერო სასწავლებელთა მდგომარეობას, სასულიერო პირთა მატერიალურ უზრუნველყოფას და სხვა. იმერეთის ეპარქიაში საეკლესიო კრების თავშეყრის ადგილი იყო ქუთაისი [21, 1-2].

დაბალი ხელფასისა და მცირე შემოწირულობების გამო იმერეთის ეპარქიის სამღვდლოება სიღარიბეში ცხოვრობდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მათი ხელფასი რამდენჯერმე ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდლოების ჯამაგირს. მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ მათი ანაზღაურება გაუთანაბრდა ქართლ-კახეთის სამღვდლოების ჯამაგირს, მაგრამ ისინი ისევ სიღარიბეში ცხოვრობდნენ, რადგან მათი წლიური შემოსავალი 300 მანეთს არ აღემატებოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში უკიდურესად გაჭირვებული სამღვდლოების დახმარების მიზნით ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ დაარსა „დამხმარე საღარო.“

იმერეთის ეპარქიის აღორძინებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეპისკოპოსმა გაბრიელმა, რომელიც 30 წელზე მეტი ხნის (1860-1896) განმავლობაში მართავდა ეპარქიას. მისი მოღვაწეობის დროს ეპარქიაში მომრავლდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, ეპისკოპოს გაბრიელის ხელმძღვანელობით 1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია, ხოლო 1892 წლიდან მისივე ინიციატივით აგრეთვე ფუნქციონირებდა მისი სახელობის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი. 1891 წელს ქუთაისის სამაზრო სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დახმარების მიზნით გაბრიელ ეპისკოპოსმა დააფუძნა „წმ. დავით აღმაშენებლის ძმობა“ [22, 33-4].

იმერეთის ეპარქიას, რუსეთში არსებული ეპარქიებისაგან განსხვავებით, საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდა. 1883-1910 წლებში შორაპნის მაზრის ბლავოჩინი, დეკანოზი დავით ლამბაშიძე საკუთარი ხარჯით სცემდა ყოველკვირეულ რელიგიური ხასიათის

ურნალს „მწყემს“, რომელშიც მთავრობის განკარგულებების გარდა იბეჭდებოდა სარწმუნოებრივი თემატიკისადმი მიძღვნილი საკითხები. მისივე რედაქტორობით, 1886-1902 წლებში რუსულ ენაზე გამოდიოდა ყურნალი „Пастырь“, [23, 47]. 1908-1915 წლებში ქუთაისში კერძო დაფინანსებით მღვდელი სიმონ მჭედლიძე გამოსცემდა ყოველკვირეულ გაზეთს „შინაური საქმეები“, რომელიც აშუქებდა საეკლესიო და ზოგად ეკლესიურ საკითხებს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში იმერეთის ეპარქიის სამღვდლოება აქტიურად ჩაერთო. 1905 წლის 16-22 მარტს ქუთაისში გამართულმა იმერეთის სამღვდლოების 45-ე კრებამ მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამღვდლოების მოთხოვნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ (1900-1908) სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის უწმინდეს სინოდში გაგზავნილ იმ პეტიციას, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მოითხოვდა. 1906 წელს ეპისკოპოსმა ლეონიდე მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით პეტერბურგში რუსეთის უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომებში.

იმერეთის ეპარქიის უკანასკნელი მმართველის, ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის (1908-1917) მოღვაწეობის დროს ეპარქიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წლის 12 მარტი) შემდეგ იმერეთის ეპარქია კვლავ აგრძელებდა ფუნქციონირებას. ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ იგი საეგზარქოსოს ნაცვლად ახლადშექმნილ დროებით საეკლესიო მმართველობას ექვემდებარებოდა. 1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის პირველმა საეკლესიო კრებამ იმერეთის ეპარქია გააუქმა და მისი იურისდიქციის საზღვრებში შეიქმნა სამი ეპარქია: ქუთაისის სამიტროპოლიტო, გაენათისა და ნიკორწმინდის ეპარქიები.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
2. Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, под ред. Ад. Берже, Т. II, Тифлис, 1868.
3. ბ, ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, თბ., 1996.
4. Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, под ред. Ад. Берже, Т. V, Тифлис, 1873.

5. გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810- 1840), ქუთაისი, 1999.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 489, ანან. 1, საქმე №781.
7. История Грузинской Иерархии, М. 1826.
8. Кирион, краткий очерк история Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф. 1901.
9. ჟურნალი „მწყემსი“, 1896, №4.
10. Кавказский календарь на 1855 год, Тиф. 1854.
11. მ. კეზევაძე, გელათი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006.
12. საქართველოს კალენდარი 1891 წლის, ტფ. 1890.
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 489, ანან. 1, საქმე №2014.
14. Кавказский календарь на 1886 год, Тиф. 1885.
15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 489, ანან. 1, საქმე №780.
16. გაზეთი „დროება“, 1880, №164.
17. მ. თადემაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1993.
18. ი. ბასილაძე, ქ. ძონენიძე, ს. კუპრაშვილი, სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006.
19. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. კელენჯერიძის პირადი ფონდი, №33, საქმე №102.
20. გაზეთი „დროება“, 1886, №31.
21. გაზეთი „დროება“, 1891, №71.
22. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რელიგია, 2003, №4.

Eldar Bubulashvili

Doctor of Historical Sciences, senior scientific researcher of the department of modern and contemporary history of the Ivane Javakhishvili institute of History and Ethnology

Imereti Eparchy during the Period of Exarchs

Summary

In the scientific work on the bases of written sources and corresponding historiographical work Imereti Eparchy during the times of Exarchs is studied. As it is noted in the work, in 1814 after abolishment of the Catholicosate of Eastern Georgia four Bishoprics existing in Imereti were abolished and instead of them only one diocese, Imereti Eparchy, was established, which was under the submission of the Exarchs of Georgia. In order to rule over Imereti Eparchy „Synodal Bureau of Georgia-Imereti“ was established.

Reforms were carried out by Russian officials in Imereti Eparchy: the number of churches, monasteries and clergymen were decreased, property of churches and monasteries was declared as the state property.

In the work activity of bishops of Imereti Eparchy is presented. Special attention is paid to the activity of Bishop Gabriel Kikodze.

In the work theological schools' activity of Imereti Eparchy is studied.

In the work it is noted that in the beginning of 20th century in Georgia in the current political processes clergymen of Imereti Eparchy were actively involved. They supported the idea of restoration of the Georgian Church autocephaly.

After restoration of autocephaly of the Georgian Church (1917, 12 March) Imereti Eparchy, instead of the Exarchs, was under submission of recently formed temporarily church ruling. In 1917, 17 September Imereti Eparchy was abolished by the first Church Council and under its jurisdiction three eparchies were established: Kutaisi, Gaenati and Nikortsinda Eparchies.

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

მისიონერი იგნატევი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ

რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგი) ნომრით 17.155.1.6 დაცულია მისიონერ ფ. ვ. იგნატევის ხელნაწერი [1], რომლის გარეკანზე მითითებულია 7 სათაური: «Автокефалия Грузии», «Гигиена и история физических упражнений», «Баштизм», «Владивостокский бунтъ», «Русско-японская война», «Церковное торжество», «Св. Крестъ». მითითებულთაგან ხელნაწერში არ არის დაცული თხზულება «Русско-японская война», რის შესახებაც ბოლო გვერდზე აღნიშნულია: «Об Японской войне и армии лекция автора во дворце Наместника 8 февр. 1908 г. См. Конецъ».

გარეკანზე აღნიშნულთა გარდა ხელნაწერში შესულია კიდევ 3 თხზულება: «Пасхальные земные поклоны и причащения», «Кто революционеръ? Еврей или Христос?», «Приветъ встреча» და 4 ლექსი საერთო სათაურით: «Из Японской войны».

თხზულებები პატარა ზომისაა. ყოველი მათგანის შემდეგ მოთავსებულია ფ. ვ. იგნატევის ავტოგრაფი, დაწერის თარიღები სათითაოდ მითითებული არაა. როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ისინი სხვადასხვა დროსაა შექმნილი და გაერთიანებულია ხელნაწერში, რომელიც ჩვენი აზრით, 1917 წლით თარიღდება. ხელნაწერში შესული პირველი თხზულება სწორედ 1917 წლის მოვლენებს ასახავს და თარიღიც ავტორის მიერაა მითითებული.

ჩამოთვლილთაგან საქართველოს ეხება: «Автокефалия Грузии» (ხელნაწერში სათაური ოდნავ შეცვლილი სახითაა – «Гр. Автокефалия»), «Церковное торжество», «Приветъ встреча», რომლებსაც ქვემოთ ფართოდ განვიხილავთ.

დანარჩენ თხზულებათაგან: «Пасхальные земные поклоны и причащения», «Св. Крестъ», «Кто революционеръ? Еврей или Христос?», «Баштизмъ» რელიგიური ხასიათისაა.

სანამ უშუალოდ თხზულებათა განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით შევხებით ფ. ვ. იგნატევის მოღვაწეობას საქარ-

თველოში*. გარდა მისიონერული საქმიანობისა, ის როგორც საგაზეთო პუბლიკაციებიდან ჩანს, საკმაოდ მრავალმხრივი კორესპონდენტი ყოფილა. მისი სტატიები შეეხება რელიგიური საკითხებს, ქართველ წმიდანებს, საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობას, ახალი წლის დღესასწაულს, მოსკოვის უნივერსიტეტის იუბილეს და სხვა [2, 2-3; 3, 2; 4, 1].

თხზულებაში «Пасхальные земные поклоны и причащения» იგნატევი ნიკეისა (I) და კონსტანტინოპოლის (VI) საეკლესიო კრებათა დადგენილებების საფუძველზე განმარტავს, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მარხვის, ზიარებისა და მუხლმოყრის ბოლო დღე უნდა იყოს დიდი შაბათი (აღდგომის წინა დღე) და შემდეგ ყოველივე ეს უნდა განახლდეს სამების დღეს (სულთმოფენობას – ი. ა.); მისიონერი მიუთითებს, რომ ხდება აღნიშნულ საეკლესიო კანონთა იგნორირება, რაც დანაშაულს წარმოადგენს და ერეტიკოსებს მართლმადიდებლობისადმი ბრალდების საბაბს აძლევს.

თხზულება «Св. Крестъ», როგორც იგნატევი ტექსტის ბოლოს შენიშვნის სახით მიუთითებს, არის გაზეთ «Голос Кавказа»-ს №1930-ში მოთავსებული სტატიის «Крестное знамя»-ს დამატება. მასში განმარტებულია ქრისტიანული ჯვრის აგებულება.

«Кто революционеръ? Еврей или Христос?» – აღნიშნული კითხვის პასუხად გამოტანილია დასკვნა, რომ ებრაელებმა იესო ქრისტეს ღვთისმგმობის განაჩენი გამოუტანეს და ჯვარს აცვეს როგორც რევოლუციის მტერი. ებრაელების სისასტიკე მესიის სამფლობელოში კოსმოპოლიტიზმის საფრთხემ განაპირობა. ქრისტე ებრაელთა რევოლუციური ოცნების მსხვერპლი გახდა.

რეფერატი «Баштизмъ»-ი, როგორც იგნატევი მიუთითებს, წარმოადგენს მის მიერ 1916 წ. 6 ოქტომბერს წაკითხულ ლექციას. მასში საუბარია ბაპტიზმის წარმოშობის, მისი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების, მართლმადიდებლობისაგან მისი ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის შესახებ.

ისტორიული ჟანრის თხზულებაში «Владивостокский бунтъ» (წარწერით – «Секретно») მოთხრობილია ქ. ვლადივოსტოკის 1905 წლის ამბოხის შესახებ. აღნიშნულია, რომ ქალაქში სამხედროთა და მოქალაქეთა შორის პროკლამაციებით ვრცელდებოდა სიცრუე რუსეთის რევოლუციის წარმატების შესახებ. მემამბოხეთა მიერ ქალაქში არეულობის მოწყობა სამხედრო ნაწილების მეთაურთა დაბნეუ-

* მისიონერ იგნატევის ბიოგრაფიული ცნებების მოპოვება ჯერ-ჯერობით ვერ მოვახერხეთ.

ლობისა და ურთიერთშორის შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად და მიჩნეული.

სათაურით «Из Японской войны» ნარმოდგენილ ლექსებში გადმოცემულია რუსეთის არმიისა და ფლოტის, გენერლების საქმეთა ქება, ომში გამარჯვების იმედი. ლექსების ბოლოს მოთავსებულია იგნატევის ბეჭედი და ავტოგრაფი: «Армеецъ. — Ф.В. Игнатьевъ. Сие стихи — плодъ досуга боевыхъ офицеровъ на позицихъ».

თხზულებაში «Гигиена и история физическихъ упражненій» იგნატევი ხაზს უსვამს ფიზკულტურის როლს არმიის მომზადების საქმეში და ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით მისი მნიშვნელობის შესახებ მიუთითებს.

მსგავსი ნაშრომები რუსეთში მრავლად ჩნდება XIX ს. ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში. ცარიზმი შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებამ აიძულა ყურადღება მიექცია არმიელთა ფიზმომზადებისათვის. ამ საკითხს ძირითადად ეხებოდნენ ექიმები, სამხედრო მოღვაწენი, ფიზიკური აღზრდის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. «Гигиена и история физическихъ упражненій» იგნატევი 1899 წ. გამოუცია კიდეც [5].

თხზულებათაგან, რომლებიც საქართველოს ეხება, «Гр. Автокефалия» მოცულობით ყველაზე დიდია — შეადგენს ხელნაწერის 3 გვერდს და 2 ნაწილისაგან შედგება. ავტორის მითითებით იგი დაწერილია თბილისში 1917 წელს. თხზულებაში აღწერილი მოვლენების მიხედვით აღნიშნული თარიღი შეიძლება 25 მაისიდან (ამიერკავკასიის საეკლესიო კრების მოწვევა) სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრებამდე (1917 წლის სექტემბერი) პერიოდით განისაზღვროს; ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს რუსეთში მომხდარი ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებისა, რადგან ავტორი ამ უკანასკნელ მოვლენათა შესახებ არაფერს ამბობს, ამიერკავკასიის საეკლესიო კრებაზე (გაიხსნა თბილისში 1917 წლის 25 მაისს) ქართველთა დასწრების შესახებ კი მიუთითებს.

თხზულების I ნაწილის დასაწყისში აღნიშნულია:

„თანამედროვე სახელმწიფო გადატრიალებამ რუსეთში (1917 წლის 1 მარტი) ნარმოშვა ახალი სახელმწიფოებრივი წყობა. სხვადასხვა ეროვნებათა, ფენათა, კორპორაციათა შორის აღძრა მისწრაფება ავტონომიის და განსაკუთრებულ უფლებათა მიღებისა საყოფაცხოვრებო მდგომარეობასა და ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით. ქართველებმა არ დააყოვნეს ოფიციალურად გამოცხადებინათ თავიანთი ავტოკეფალიის, საკათოლიკოსოს შესახებ (1917 წლის 12 მარტი — ი. ა.). არ დაკმაყოფილდნენ რა ვინრო სასულიერო-საეკლესიოთი, წამოაყენეს მოთხოვნა ტერიტორიული ავტოკეფალიისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სეპარატისტული თავისუფლები-

სა. ხელყვეს საქართველოს რუსული საეგზარქოსოს ხელისუფლების პერეოგატივები, მართლმადიდებელი რუსი სამღვდლოება, საეკლესიო შემოსავლები, ქონება და სხვა. იგნორირება გაუკეთეს ეგზარქოს მთავარეპისკოპოს პლატონს. აუკრძალეს ქართველ სამღვდლოებას მასთან და რუს სამღვდლოებასთან ურთიერთობა. უბრძანეს ყველა ქართულ ეკლესიაში ყველა ღვთისმსახურების ქართულად შესრულება და სხვა“ [1, 1].

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოტანილი მონაკვეთიდან მკვეთრად არ ჩანს, ქართველებმა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, საუკუნეზე მეტი ხნის წინ ძალმომრეობით გაუქმებული უფლების დაბრუნება რომ გამოაცხადეს. თუმცა, ეს შეიძლება კიდეც იგულისხმებოდეს წინადადებაში: ავტონომიის და განსაკუთრებულ უფლებათა მიღების მისწრაფება დამყარებული იყო საყოფაცხოვრებო მდგომარეობასა და ისტორიულ წარსულზე-ო. საერთოდ ნიშანდობლივია, რომ რუსებს სურდათ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტი რევოლუციით მინიჭებულ უფლებებზე დამყარებულად წარმოეჩინათ [6, 128].

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსული საეკლესიო და საერო ხელისუფლება დევნიდა ქართულ ენასა და წეს-ჩვეულებებს, ძარცვავდა ეკლესიებსა და საეკლესიო ქონებას. ქართველთა მხრიდან პროტესტი წარმატებას ვერ აღწევდა. ერისა და ბერის ერთობიდან პროტესტი აღსრულება — ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი. დამოუკიდებელი ეკლესიის ძირეულ უფლებათა ცხოვრებაში განხორციელების მცდელობა ქართველთა მხრიდან პირველ რიგში, ყოფილი ეგზარქოსის სახლის, საეგზარქოსო კანცელარიის, ეკლესიათა შენობებისა და სასწავლებლების ნაციონალიზაციის მოთხოვნაში გამოიხატა. ყოველივე ის, რის დაბრუნებასაც ქართველი ავტოკეფალისტები ითხოვდნენ, ქართველი სამღვდლოების თანხებით იყო შექმნილი. თუმცა, არაქართველთა უფლებების საკითხს ისინი მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ. ეს ჩანს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებიდან და სხვა დოკუმენტებიდან. მაგ. თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ნაციონალიზაციასთან (1917 წლის სექტემბერი) დაკავშირებით, სადაც (დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 25 ივლისს დამტკიცებული დებულებების თანახმად) სწავლება ქართულ ენაზე უნდა განხორციელებულიყო, სასწავლებლის საბჭომ არაქართველი მოსწავლეების მშობლებს სთხოვა, მიეღოთ ზომები შვილების სხვა სასწავლებლებში გადასაყვანად. ამავე დროს შეატყობინა მათ, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის კომისარიატის წინაშე აღძრული იყო შუამდგომლობა, გიმნაზიაში არაქართველთა უგამოცდოდ და გათვა-

ლისწინებულზე მეტი რაოდენობით მიღების შესახებ [7, 49-51, 91-92, 281-283, 301-302; 8, 132].

რუსეთის უმღლესი სასულიერო წოდებისაგან თავისი მრეკლისათვის ქართულ ეკლესიებში შესვლისა და ქართველ მღვდლებთან ურთიერთობის აკრძალვის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე, 1932-1952) აღნიშნავს: სინოდი განყრა, უარყო კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჩვენთან. დაიწყო პროპაგანდა რუს მორწმუნეებს შორის: არ მოინვიოთ ქართველი მღვდლები, არ მიიღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შეხვიდეთ ქართულ ეკლესიებში, თორემ უეჭველად ჯოჯოხეთში მოხვდებითო. ეს გარემოება თესდა მძულვარებას ჩვენსა და რუსებს შორის. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1943 წლამდე [9, 6], ე.ი. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ლოცვითი და ვეჟარისტული კავშირის აღდგენამდე.

იმის დადასტურებას, რომ ქართველ სასულიერო წოდებას რუს სამღვდელოებასთან ურთიერთობა არავისთვის აუკრძალავს, წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ შემუშავებული „ძირითადი დებულებანი საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში“, რომელიც 1917 წ. აპრილში გაეგზავნა დროებით მთავრობას. აღნიშნული დებულებების § 2-ში აღნიშნულია: „ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთად ცხოვრებისა გამო საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურნი მოვალენი არიან დააკმაყოფილონ სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი სხვა, არაქართველ, მართლმადიდებელ ეროვნებათა წარმომადგენლებისა, რომელნიც საჭიროების დროს მათ მოჰმართავენ; აგრეთვე ამ ეროვნებათა მღვდელმსახურნიც მოვალენი არიან დააკმაყოფილონ ქართველთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი. მაგრამ ეს შემთხვევანი არც ერთს ეკლესიას არ აძლევს საბუთს თავის წევრებად ჩასთვალონ ის პირნი, რომელნიც მათ საჭიროებისა გამო მიმართავენ“ [7, 82].

არც ყველა ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულად შესრულების ბრძანება გაცემულა. 14 მარტს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით თბილისში გამართულმა სამღვდელოთა კრებამ დაადგინა სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ყოველთვის ქართულ ენაზე შესრულებულიყო [10, 2]. მაგრამ ეს მხოლოდ სიონის ტაძარს ეხებოდა და ყველა ქართულ ეკლესიაზე არ ვრცელდებოდა.

საქართველოს ეკლესიის დროებითა მმართველობამ 1917 წლის 17 მარტის სხდომაზე არ გაიზიარა დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის მიერ 16 მარტს ქალთა საეპარქიო სასწავლებელში გამოთქმული პირადი აზრი, რომლის თანახმადაც „ქართულ ეკლესიებში“ (ეკლე-

სიები, რომლებიც მრევლის შემადგენლობით და ისტორიულადაც ქართველ ერს ეკუთვნოდნენ) წირვა-ლოცვა დაუყოვნებლივ მშობლიურ ენაზე უნდა შესრულებულიყო. მმართველობის გადაწყვეტილებით, ეკლესიებში არსებული წესი დროებით უცვლელი უნდა დარჩენილიყო, რათა ამ ნიადაგზე მღვდლარება თავიდან აეცილებინათ; სავალდებულოდ გამოცხადდა მმართველობის წევრთა ურთიერთშეთანხმებით მოქმედება და წარმოთქმულ აზრებში სოლიდარობა [7, 12].

საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულების განკარგულების გაცემა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომის“) ერთ-ერთ წევრს – პაპაჯანოვს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომისიისათვის თვითონვე შეუთავაზებია. მაგრამ ქართულმა მხარემ იმ ეტაპზე ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიუღებლად ჩათვალა [7, 27-28].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი მმართველობის მხრიდან ყველა ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულად შესრულების ბრძანებას ადგილი არ ჰქონია. როგორც აღნიშნეთ, დროებითი მმართველობის 17 მარტის სხდომამ თავის წევრებს ამის შესახებ კერძო აზრის გამოთქმაც კი აუკრძალა. ქართველი ავტოკეფალისტები რუს-ქართველთა შორის საეკლესიო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით მოთმინებით ელოდნენ დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული საქართველოს საეკლესიო საქმეთა გამამწყვეტი კომისრის – ვლადიმერ ბენეშევიჩის კომისიის მუშაობის შედეგებს. თუმცა, მათი მოლოდინი არ გამართლდა და 1917 წლის 25 ივლისს დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული „ძირითადი დებულებების“ მიხედვითაც კი საეკლესიო ქონების გაყოფა მომავლისათვის გაიდო. ეს საკითხი მოუგვარებელი იყო რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების, რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენისა და რუსულ-ქართულ ეკლესიებს შორის ლოცვითი კავშირის განწყვეტის დროისთვისაც, რაც ასევე 1917 წელს მოხდა.

მიუხრუნდეთ განსახილველ თხზულებას. იგნატეცს არ მონს დროებითი მთავრობისა და ეგზარქოსისადმი ქართველი ავტოკეფალისტების მიმართვის ტექსტი. ის აღნიშნავს: „ცდილობდნენ შეექმნათ საქართველოს ეკლესიისა და ნაციის უწინდელი დამოუკიდებლობა, ძველი დიდება და მნიშვნელობა. ამის დადასტურებას წარმოადგენს ოფიციალური განცხადებები დროებითი მთავრობისადმი ამავე წლის (1917 წ. – ი. ა.) 12 მარტის დეპეშაში: „საქართველოს ეკლესია არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტობრივადაც ავტოკეფალურია... ჩვენ შევუდექით მისი ავტოკეფალური უფლებების ფაქტობრივად განხორციელებას“; და მთავარეპისკოპოს პლა-

ტონისადმი 14 მარტის მიმართვა: „საქართველოს ეკლესიამ 12 მარტს აღიდგინა თავისი კანონიერი წყობა. ამიტომ ამ დღიდან თქვენ იურიდიულად და ფაქტობრივად აღარ ხართ საქართველოს ეგზარქოსი, მოკლებული ხართ უფლებას მასზე, ხელისუფლებას მის სამღვდელთაზე და სხვა“ [1, 1-2].

ამავე თხზულების («Гр. Автокефалия») II ნაწილში მისიონერი ქედმაღლობას უწოდებს ეპისკოპოს ლეონიდის განცხადებას («12 მარტიდან საქართველოს ეგზარქოსი აღარ არსებობს, მას აღარ აქვს საქართველოს საკათოლიკოსოს საზღვრებში საეგზარქოსოს დაწესებულებებისა და კრედიტების განკარგვის უფლება») და მთავარეპისკოპოს პლატონისადმი ქართული მხარის მიერ წაყენებულ მოთხოვნას – სასწრაფოდ გადმოეცა საეგზარქოსო თავისი დაწესებულებებითა და კრედიტებით.

იგნატევი ქართველ ავტოკეფალისტთა მხრიდან სეპარატიზმის გამოვლინებად და დროებითი მთავრობისადმი დაუმორჩილებლობად მიიჩნევს ეპისკოპოს ლეონიდის მიმართვას მთავარეპისკოპოს პლატონისადმი: „როგორი პასუხიც უნდა მიიღოთ დროებითი მთავრობისაგან, ეს ჩვენ არანაირად არ შეგვეხება“.

იგნატევი საკითხისადმი სუბიექტურ მიდგომას იჩენს და არაფერს ამბობს საეკლესიო კანონებით განმტკიცებული სამართლიანობის შესახებ, რაც აღნიშნული იყო მთავარეპისკოპოს პლატონისათვის ეპისკოპოს ლეონიდის მიერ 14 მარტს წარდგენილი განცხადების დასაწყისში: „უხსოვარი დროიდან ავტოკეფალური საქართველოს ეკლესიის მმართველობა ეკლესიის თანხმობის გარეშე XIX ს-ის დასაწყისში ხელში ჩაიგდო რუსეთის უწმინდესმა სინოდმა. თვლიდა რა ამ აქტს ანტიკანონიკურად და საქართველოს ეკლესიისათვის მომაკვდინებლად, ამ უკანასკნელმა 1906 წლიდან აღძრა ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენის საკითხი. მაგრამ იგი ბოლო დრომდე გადაუჭრელი რჩებოდა. რუსეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალი წყობის დამყარების შედეგად, რომელმაც გამოაცხადა სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლება, საქართველოს ეკლესიამ თავისი იერარქების, კრებულისა და საეროთა წარმომადგენლების სახით, 12 მარტს მცხეთაში საღვთო ლიტურგიისა და ახალი რუსული მთავრობის გაძლიერებისათვის ღვთისადმი სამადლობელი პარაკლისის გადახდის შემდეგ აღიდგინა კანონიკური წყობა“. მიმართვაში მხოლოდ ამის შემდეგ მოდის სიტყვები: „ამიტომ ამ დღიდან თქვენ იურიდიულად და ფაქტობრივად წყვეტთ საქართველოს ეგზარქოსობას, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსობას და მოკლებული ხართ უფლებას განკარგოთ საეგზარქოსოს ქართული ეპარქიები და სამრევლოები, საქართველოს საკათოლიკოსოს საზღვრებში არსებული სასულიერო-სასწავლო და საეკლესიო და-

წესებულებები, აგრეთვე საქართველოს ეკლესიის შესანახად გამოყოფილი კრედიტები...“ [7, 4-5].

თხზულებაში იგრძნობა ავტორის სურვილი ქართველ ავტოკეფალისტთა ნაბიჯები ყველა უწყებასთან და თვით ქართველი ხალხის სურვილთანაც კი დაპირისპირებაში წარმოაჩინოს. მაგრამ ისტორიული წყაროები სხვას მეტყველებენ. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საქმეს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სანყის ეტაპზე მაინც სრული გაგებითა და თანადგომით შეხვდა. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრესთან – ეპისკოპოს ლეონიდთან და ყოვლადსამღვდლო ანტონთან (გიორგაძე) საუბარში „ოზაკომის“ თავმჯდომარემ ვასილ ხარლამოვმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენასთან დაკავშირებით განაცხადა: „ამ ნაბიჯს დიდის სიამოვნებით მივეგებებით და საჭირო დახმარებასაც აღმოგიჩენთ, თუკი თქვენი მოქმედება საეკლესიო კანონებს არ ეწინააღმდეგება“. დროებითა მმართველობამ გადანყვიტა, გამოეყო კომისია, რომელიც ადგილობრივ საერო ხელისუფლებას 12 მარტს მომხდარი მოვლენის შესახებ დეკლარაციას წარუდგენდა და დაწვრილებით განუმარტავდა, რომ საეკლესიო კანონების სანაწილადმდეგო არაფერი მომხდარა [7, 15].

„ოზაკომმა“ 24 მარტს დროებითი მმართველობის კომისიას დეკლარაციის ყოველი მუხლის დაკმაყოფილება და საეგზარქოსოსთვის განზრახული კრედიტების საქართველოს ეკლესიისათვის გადაცემაც კი აღუთქვა [7, 31].

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის დამოკიდებულება საეკლესიო საკითხისადმი დროებითი მთავრობის 1917 წ. 27 მარტის დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ შეიცვალა. ქართველ ავტოკეფალისტთა მოქმედებით დროებითი მთავრობის უკმაყოფილების გამო „ოზაკომის“ მონაწილეობა ავტოკეფალის საკითხში დაუშვებელი აღმოჩნდა.

ქართველებმა დროებითი მთავრობის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისადმი წინააღმდეგობა მთავარეპისკოპოს პლატონის ჩარევის შედეგად ჩათვალეს, ამიტომ მისი საქართველოდან მოშორება აუცილებლად მიიჩნიეს. დროებითი მმართველობის სხდომაზე გამოტანილი განჩინებით ფართო საზოგადოებისათვის ეკლესიის მოთხოვნათა გასაცნობად მმართველობის ყველა გადანყვეტილება გაზეთებში უნდა დაბეჭდილიყო. გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ა/კავკასიის კომიტეტისათვის საქმის ვითარება ყოველთვის წერილობით უნდა აეხსნათ და მისგანაც პასუხი წერილობით მოეთხოვათ [7, 36]. ასე, რომ საქართველოს ეკლესიის დრო-

თითებს იგნატევი [1, 2], მაშინ მათ არ ექნებოდათ მისწრაფება ავტოკეფალიისა და სეპარატიზმისაკენ, რაც შეიძლებოდა გაენელებინა დროებითი მთავრობისა და სასულიერო კომისრის „კანონიერ“ მითითებებს [1, 2, 3].

იგნატევი ქართველებს თავიანთი წმიდანებისადმი უპატივცემლობაშიც ადანაშაულებს. ის აღნიშნავს: „ქართველებს ავინყდებათ თავიანთ წმიდანთა თაყვანისცემა, წმ. თამარისაც კი – არ არსებობს მისი ცხოვრება, არ არის აღწერილი ისტორია სასწაულთმოქმედი ხატებისა და სხვათა“ [1, 3].

თხზულებაში „საეკლესიო დღესასწაული“ კი მიუთითებს „ქართველებმა დაივიწყეს წმ. ნინოს ანდერძი და „ოქროს საუკუნე“ წმ. თამარისა, იტანჯებოდნენ ურწმუნოებით. 1915 წ. 1 მაისს დიდუბის ტაძარში პირველად ჩატარდა საზეიმოდ წმ. თამარობის დღესასწაული, მიძღვნილი XII ს-ის საქართველოს მეფისადმი. საღვთო ლიტურგიას ასრულებდა მთავარეპისკოპოსი პიტირიმი (ოკნოვი – ი. ა.), საქართველოს ეგზარქოსი (1914-1915 – ი. ა.), ეპისკოპოს ლეონტისა (ვიძმფენი, ერევნის ეპისკოპოსი – ი. ა.) და ანტონის, 4 არქიმანდრიტის და სამღვდელოების მასის თანამსახურებით. მთავარეპისკოპოსმა პიტირიმმა მთელი სამღვდელოებისა და ხალხის თანდასწრებით მისიონერ იგნატევს ასე მიმართა: „გილოცავთ დღესასწაულს, ის დავალებულია თქვენი შრომისადმი. თქვენ გაიმარჯვეთ და გაფანტეთ გაუგებრობანი, თქვენ ჩვენი ცენზორი და გულმოდგინე მოღვაწე ხართ საღვთო ასპარეზზე, ღმერთმა გაკურთხოთ“. „დაასრულეთ თქვენი შრომა და ძიებანი დიდუბის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის ისტორიის შედგენით“. „თქვენ დაინტერესებული ხართ ღვთისმშობლის სხვა სასწაულთმოქმედი ხატითაც ტყავის ქარხნებში («в кожевных заводах»), მიაქციეთ ჩემი ყურადღება მის ადგილს, მის ისტორიას, მის მიერ ქმნილ სასწაულებს... ჩემი გულითადი მადლიერება ყველაფრისათვის და ჩემი კურთხევა თქვენს საქმეებს“ [1, 4; 17].

იგნატევი 1914 წელს დაწერილ საგაზეთო სტატიაში «Святой Юбилей» აღნიშნავს, რომ მთელმა მართლმადიდებელმა საქართველომ თავისი ეკლესიის მეთაურობით დიადი, საზეიმო ღვთისმსახურებით უნდა აღნიშნოს წმ. ნინოს ხსოვნის 1579-ე წლისთავი და მასთან ერთად თავისი გაქრისტიანების 1596 წლისთავი. «ჭეშმარიტი ქრისტიანი ქართველები ღირსეულ პატივს მიაგებენ 14 იანვარს, ადამიანური მტრობისა და ღვარძლის უკუგდებით და იმის გახსენებით, რომ ისინი არიან ერთი ეკლესიისა და რუსეთის ერთი მეფის შვილები“ [18, 3].

იგნატევის აღნიშნული საგაზეთო სტატიის გარდა წმ. ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით ქართველი სასულიერო პირების

მიერ საზეიმო წირვა-ლოცვის აღსრულების შესახებ იმდროინდელ პრესაში არაერთი ცნობა მოიპოვება [19, 2; 20, 2], რაც მიუთითებს, რომ დღესასწაული ქართველების მიერ დავიწყებული არ ყოფილა.

ასეთივე „ობიექტურობას“ იჩენს მისიონერი იგნატევი ქართველების მიერ წმ. თამარის ხსოვნასთან დაკავშირებითაც.

1911 წელს გაზეთ «Кавказ»-ში გამოქვეყნებულ ფელეტონში «Царица Тамара. Историческая справка» ის აღნიშნავს: დღეს, 25 ივნისს საქართველოს ეგზარქოსის მთავარეპისკოპოს ინოკენტის (ბელიაევი, საქართველოს ეგზარქოსი 1909-1913 წწ. – ი. ა.) კურთხევით მოენწყობა ლიტანია თბილისიდან ბეთანიისაკენ, თამარ მეფის დროს აშენებული და ახლა აღდგენილი ძეგლისაკენ. ეს მსვლელობა მონაშობს, რომ ძველის ხსოვნა დავიწყებული არ არის, რომ ხალხში ცოცხლობს სულიერი მოთხოვნილება, აღადგინოს თავისი ისტორიის მივიწყებული უნათლესი ფურცლები... თუმცა, ავტორი იქვე უმატებს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში მუდმივი არაფერია და მეფე თამარის ხსოვნა უკვე ქართველებშიც ქრება. მისი თაყვანისცემის დღეები 18 იანვარი და 1 მაისი (ძვ. სტ. – ი. ა.) ეძლევიან დავიწყებას, არაა საზეიმო ღვთისმსახურება, აღარ ეწყობა სახალხო სეირნობა როგორც ადრე [21, 2].

1914 წელს მისიონერი იგნატევი ფელეტონში «Тамара» აღნიშნავს, რომ მეფე თამარი 1300 წელს შეირაცხა წმინდანად, შემდეგ ეს ფაქტი დაადასტურა ერეკლე II-ემ და ალექსანდრე I-ის, ალექსანდრე II-ისა და ნიკოლოზ II-ის დროინდელმა სინოდებმა. მისიონერი ქართველებს ღვთისმოსავეებს უწოდებს თუმცა, მიუთითებს: წმ. თამარის ცხოვრება დაწერილი არაა და, ალბათ, სწორედ ამან შეუშალა ხელი მისი 700 წლის იუბილეს აღნიშვნას [22, 2].

იგნატევი აქ შეიძლება გულისხმობდეს წმ. თამარის საეკლესიო ცხოვრებას, მაგრამ დასაშვებია ისიც, რომ მას არ ჰქონოდა ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიკოსის თხზულებათა შესახებ.

ქართველ წმინდანთა მოღვაწეობის წინ წამოწევა, მათთან დაკავშირებულ დღესასწაულთა შესაფერი აღნიშვნა ერს სულიერ ძლიერებას რომ მატებდა, ეს კარგად იყო ცნობილი საქართველოში ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელთათვის, ამიტომ ისინი შეეცადნენ ქართველთა მესხიერებიდან ამოეშანათთ ადგილობრივი წმიდანების სახელები, მათი მონამეობისა და ცხოვრების ხსოვნა. მთავარეპისკოპოს პალადის (რაევი) ეგზარქოსობისას (1887-1892) აიკრძალა ქართველ წმინდანთა ხსენების დღეების აღნიშვნა. კალისტრატე ცინცაძე თავის მოგონებებში მოგვითხრობს: ეგზარქოსმა მოიკითხა ქართველ წმინდანთა წმიდანებად შერაცხვის აქტები. პასუხად მიიღო, რომ ისინი არ შემონახულან. მაგრამ ის, რომ სახელები: თამარი,

რუსუდანი, მირიანი, ვახტანგი და სხვა, საქართველოს ეკლესიაში საუკუნეთა განმავლობაში მოიხსენიებიან, მრავლისმეტყველიაო. ეს საფუძველი ეგზარქოსს არადაამაკმაყოფილებლად ერგვნა. მან სინოდის სახელით გამოსცა განკარგულება, ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით შეეცვალათ და დაეჯარიმებინათ ის მღვდლები, რომლებიც მონათლულებს სახელებს ქართველი წმიდანების პატივსაცემად დაარქმევდნენ [23, 46-47].

ქართველი საზოგადოება ამ აკრძალვას მტკივნეულად განიცდიდა. ეს ჩანს იქედან, რომ XX ს. დასაწყისში უწ. სინოდმა ალავერდის ეპისკოპოს დიმიტრისა (აბაშიძე) და მღვდელ მარკოზ ტყემალაძეს მიანდო ქართველთა იმ წმიდანების სიის შედგენა, რომლებსაც საქართველოს ეკლესია პირველი საუკუნეებიდანვე აღიარებდა. 1902 წლის 27 ივნისისათვის კომისიას სიის შედგენა დამთავრებული ჰქონდა. მასში 80-მდე ქართველი წმიდანის სახელი შედიოდა. კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოთი ქართველი სასულიერო წოდების უკმაყოფილება 1916 წ. დასტურდება. ამ წელს იმერეთის ეპარქიის კრებამ და სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა მიმართვა სინოდის კანტორისადმი, რომელშიც წარმოდგენილი იყო საქართველოში ოდითგან გავრცელებული სახელების სია და თხოვნა - დაერთოთ ნება ამ სახელებით მონათვლისა (სია, როგორც შემდგენლები აღნიშნავდნენ, ამჯერადაც არასრული იყო, თუმცა, მასში ორივე სქესის წარმომადგენელთა დაახლოებით 343 სახელი იყო მოთავსებული). სინოდის კანტორამ არსებული სიის გავრცობა 1916 წელსაც კი შეუძლებლად ჩათვალა [24, 1-9];

ქართველთა წმიდანებისა და სინმიდეებისადმი ცარიზმის მოხელეთა მხრიდან ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად ქართველმა ხალხმა ეროვნული სულის შენარჩუნება შეძლო. სამშობლოსა და ეკლესიის მონობას ის არასოდეს შეგუებია და როცა ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ საშუალება მისცა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრძოლით შემზადებული ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა.

წმ. მეფე თამარის ხსენების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მემუარებში წერს, რომ მან 1 მაისის დღესასწაულობა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრობისას, 1912 წელს, აღადგინა სოსიკო მერკვილაძესთან და მიხეილ ლალიძესთან ერთად, ლალიძის ქარხნის მუშების დახმარებით. დღესასწაულის აღდგენა, როგორც დეკანოზი მიუთითებს, დაკავშირებული იყო თამარ მეფის გარდაცვალების 700 წლისთავთან, რომელიც 1913 წ. სრულდებოდა [25, 43, 161, 164].

თამარ მეფის სახელი რომ საქართველოში ყოველთვის ახსოვდათ, რომ მისი ხსენების დღე ქართველთათვის დავინწყებული არასო-

დეს ყოფილა, ეპისკოპოს ლეონიდის ქადაგებიდანაც ჩანს. ქადაგება მოთავსებულია 1914 წელს გამოცემულ წიგნში: „განა თამარის სახე ოდესმე ნაშლილა ქართველი ერის მეხსიერებაში; განა ყოფილა ოდესმე ნამი, რომ თამარის სიყვარულს ფართო ალაგი არა სჭეროდეს ქართველი ერის გულში; თამარის ქება, თამარზე მღერა მცირე ხანს მაინც შეწყვეტილიყოს ჩვენს ქვეყანაში? მიბრძანდით, თუ გნებავთ ფშავში, გაცვანით ხალხური კალენდრის შინაარსს, და დარწმუნდებით, რომ ერს უმთავრეს და უბრწყინვალეს დღეობად თამარობა აქვს მიღებული; რომ მთელი თემი დღესაც თამარს ადიდებს, თამარს უგალობს, თამარს ლოცულობს და უსასტიკეს წყევა-კრულვას უთვლის მას, ვინც თამარობას ერში მოშლის, თამარის ქებას დაავინყებს, თამარის ქებას გააქრობს“ [26, 101].

ავტოკეფალია აღდგენილ ეკლესიაში ქართველი წმიდანებისა და ეროვნულ სახელწოდებათა სიის შესადგენად კომისიის შექმნა ერთ-ერთი პირველი საზრუნავი გახდა. ეს ქართველი სამღვდლოების მხრიდან საკითხისადმი გულშემატკივრობით აიხსნება [27, 11; 28, 9].

იგნატევი აღნიშნავს: „სამწუხაროდ, მხოლოდ გარეგნული მხარე ვერ აღადგენს საქართველოს „ოქროს საუკუნეს“ თუ ის შინაგანად შერყეულია ხალხის ისტორიული და სასულიერო-ყოფითი ცხოვრების პირობებით, რომელიც ახლა დაავადებულია რელიგიური ინდიფერენტიზმით, ათეიზმით და ზნეობრივი იდიოტიზმით. რაც ადრეც ვლინდებოდა, რამაც საუკუნეების განმავლობაში გამოიწვია რელიგიის მსხვერველა და ტაძართა გაპარტახება. რაც გაძლიერდა პოლიტიკანობის, ქართველთა ინდივიდუალური ცხოვრებისა და შეხედულებათა განსაკუთრებულობის გავლენით. ავტორიტეტული ისტორიული დოკუმენტები და თანამედროვე ფაქტები უდაოდ ამხილებენ თანამედროვე მოთხოვნების სიცრუეს, უსაფუძვლობას და საქართველოს სამწუხარო მდგომარეობას“ [1, 2].

საქართველოს ეკლესიის მძიმე მდგომარეობას არც ქართველები და საქართველოს ეკლესიის არაქართველი გულშემატკივარნი უარყოფდნენ, მაგრამ მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს ადგილობრივი მიზეზებით არ იყო გამოწვეული. ვლადიმერ დურნოვოვ 1901 წ. ქართული ისტორიული ძეგლების მძიმე მდგომარეობის შესახებ ვერემჩაგინის სტატიის (დაიბეჭდა «Русские Ведомости»-ს 1901 წ. 6.09, №246-ში) ნაკითხვის შემდეგ სვამდა კითხვას: „რას მივანეროთ, ამ მამაცმა ერმა (ქართველებმა), რომელმაც 1500 წ. განმავლობაში მტკიცედ და შეურყევლად დაიცვა თავისი ენა, სარწმუნოება და ტერიტორია, და მიიტანა ყოველივე ეს შეუბღალავად მე XIX საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენს დროში ასე დაკინდა, და დაძაბუნდა, და თავის ძველ ნაშთებსაც ველარ უვლის?“ [29, 4].

ცარიზმის მხრიდან ქართველთა ეროვნული და ამასთან ერთად სარწმუნოებრივი დევნის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი 1920 წელს აღნიშნავდა: „ყველამ ვიცით და კარგად გვახსოვს ჩვენი ეკლესიის მონობის დროს როგორ ვიდევნებოდით და ვიჩაგრებოდით ქალი და კაცი სარწმუნოებრივად. ჩვენს დედა ეკლესიაში – სვეტი ცხოველში თვით ტაძრის დღეობას საღმრთო მსახურება სრულდებოდა მორწმუნე ქართველობისათვის გაუგებარ ენაზე და ისიც არა სვეტიცხოვლობის დღესასწაულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ დღეს რუსის ეკლესიაში დადებული იყო ჩვენთვის უცხო და ჩვენს ეკლესიაში არცნობილი დღესასწაულობა. ყველამ ვიცით, და ცოცხლად გვახსოვს, რომ სიონის ტაძარში სრულებით არ გაისმოდა ქართული მოძღვრება და მღვდელმსახურება, ქართველ ადამიანს დიდად ერიდებოდა წინ ნადგომა და გულდამშვიდებით ლოცვა, იძულებული იყო მიყუყულებულიყო სადმე კუთხეში, რომ თვალში არ სჩხირებოდა იმ დროის გაბატონებული ერის წარმომადგენელს, რომელიც ბოდიშს არ ხდილობდა ქართველი ადამიანის გულში ხელის ფათურისა და წმიდათა-წმიდას უხეშად შელახვის გამო“ [15, 7].

ასევე ობიექტურად აფასებს საქართველოს ეკლესიასა და ქართველებზე ცარიზმის პოლიტიკის გავლენას კ. სკურატი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში. ის მიუთითებს, რომ საქართველოს საეკლესიო სულიერი განვითარება შემოფარგლული იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდალური მმართველობით. რასაც ემატებოდა საერო ხელისუფალთაგან ბიუროკრატიული მეურვეობა, საეკლესიო ცხოვრებაში მათი პირდაპირი ჩარევა, მისწრაფება, გადაექციათ ეკლესია სახელმწიფოებრივი მმართველობის ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად, ყველაფერი ეს იყო სამწუხარო სინამდვილე და რეალური დაბრკოლება ეკლესიის ნორმალური მოღვაწეობისათვის. მეფის ჩინოვნიკთა ბიუროკრატიზმი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობასაც შეეხო, რთულდებოდა იმპერიისათვის საჭირობო ნაციონალური საკითხით [30, 51].

ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) თავის „განსაკუთრებულ აზრებში“, რომელსაც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომის ოქმებს უწ. სინოდისათვის წარსადგენად ურთავდა ხოლმე, საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავდა: „ჩვენ არასოდეს გვექონია განზრახვა უარი გვეთქვა ჩვენს ავტოკეფალიაზე. დარწმუნებული ვართ, საეკლესიო ცხოვრება ამაღლდება მხოლოდ ავტოკეფალიის პირობებში. დაჟინებით გვსურს საკათოლიკოსოს აღდგენა და ეს ჩვენი კანონიერი მოთხოვნა არ უნდა იქნეს გაგებული უმადუ-

რობად, სეპარატიზმად... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ „ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიას ემუქრება სასიკვდილო შედეგებით“, ... რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილებამდე ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისათვის მომაკვდინებელი არ ყოფილა. XVIII საუკუნეშიც კი ეკლესიური ცხოვრება უფრო მაღლა იდგა, ვიდრე დღეს. მართალია, სამოთხეს ვერ გავამეფებთ საქართველოში, მაგრამ რუსეთშიც ხომ არაა წესრიგი? რუსი იერარქები ვერ იქნებიან... ქართველთა მოყვარული მამები, ისევე, როგორც ბერძენი იერარქები ვერ შეცვლიან რუსებს რუსეთის ეკლესიისათვის თავიანთი უცხო წარმომავლობის გამო [31, 4-6].

მისიონერი იგნატევი ქართველ ეპისკოპოსებსა და თავადებს „სეპარატისტული ავტონომიისაკენ მისწრაფებისას“ იმპერატორ იუსტინიანე დიდის (542 წ.) სიტყვების: „გიყვარდეს ღმერთი და ახლობელი შენს საქმიანობაში“ – უგულვებელყოფაში ადანაშაულებდა [1, 3]. ეს მაშინ, როცა რუსები საქართველოში შემოსვლიდანვე ერთმორწმუნეობაზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდნენ შეერთებული ქვეყნის სრული გარუსებისათვის მიეღწიათ.

იგნატევი ეხება ქართველთა დამოკიდებულებას ა/კავკასიის საეკლესიო კრებისადმი. ის წერს: „ამა წლის 27 მარტის აქტით დროებითმა მთავრობამ მიუთითა, რომ საქართველოს ეკლესიის თვითგამორკვევა უნდა მოხდეს რუსულ ეკლესიასთან ეკლესიური მშვიდობისა და სიყვარულის ატმოსფეროში და დაამტკიცოს დამფუძნებელმა კრებამ. კანონიერებისა და მშვიდობის დამყარებისათვის გადაწყდა, დაარსებულიყო [რუსი სამღვდლოებისა და საეროთა] დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც გაურკვევლობებს განიხილავდა. 25 მაისს კი მოიწვიეს ა/კავკასიის საეკლესიო კრება ეპისკოპოს გრიგოლ ბაქოელის თავმჯდომარეობით. კრებას ქართველებიც ესწრებოდნენ ეპისკოპოს ანტონის თავმჯდომარეობით. სულის სიამაყე მინელდა და მან განაცხადა: „საქართველოს ეკლესია აღსავსეა სიყვარულით და მშვიდობით რუსული [ეკლესია]სადმი და ამ ეკლესიებს შორის კეთილი ურთიერთობები არ გახუნდება არასოდეს და არავისგან“ [1, 4].

აქვეა მითითებული აღნიშნულ კრებაზე გამოტანილი დადგენილება: ცნობილი ყოფილიყო „სამხედრო ტაძართა ჩაუთვლელად სუფთა რუსულ ეკლესიად – 4, რუსულ-ქართულად – 4, ქართულ-რუსულად – 2, სუფთა ქართულად, ქართულ ტაძართა ჩაუთვლელად – 5. საკითხების შემდგომი გარკვევა მომხდარიყო კრების სხდომებზე. კრების შემდგენლობაში უნდა შესულიყვნენ სასულიერო და საერო პირები“ [1, 4].

რუსი სამღვდელოებისა და საერო პირთა აღმასკომს თავისი წარმომადგენლები წარგზავნილი ჰყავდა რუს-ქართველთა შემთანხმებელ კომისიაში, რომელიც ა/კავკასიის საეკლესიო კრების დანაშაულებამდე და მის პარალელურადაც მუშაობდა (1917 წ.) სწორედ ეკლესია-მონასტრების კუთვნილების საკითხის გადაჭრაზე, მაგრამ თავისი მოღვაწეობა წარუმატებლად დაამთავრა [16].

იგნატევი თითქოს ნიშნის მოგებით აღნიშნავს 28 მაისს თბილისში აფხაზეთის სასულიერო და საერო პირთაგან მოსული ცნობის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ისინი აყალიბებდნენ დამოუკიდებელ ეკლესიას ეპისკოპოსის მეთაურობით.

ასეთი ცნობა საქართველოს საეგზარქოსოს სახელზე 28 მაისს მართლაც მოვიდა. ცნობაში აღნიშნული იყო: მრავალჭირგანაზღაურება აფხაზმა ხალხმა ჩამოაყალიბა სრულიად დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესია. მას სათავეში უდგას აფხაზი ხალხისაგან არჩეული ეპისკოპოსი, რომელსაც მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესიის მეთაურის ყველა უფლება და გააჩნია მისთვის საჭირო ყველა ორგანიზაცია ქ. სოხუმში [32, 9].

როგორც საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებიდან და ნიკიტა თალაქვაძის მოგონებებიდან ვგებულობთ, აღნიშნულ დეპეშას წინ უძღვოდა სოხუმში 24-26 მაისის კრებებზე საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ გაგზავნილი დელეგაციის (პართენ გოთუა, გენერალი ვასილ დავითის ძე გაბაშვილი, ეროვნულ-დემოკრატი მალვა ქარუმიძე, იასონ აფაქიძე, დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მეთაური დავით ოტიას ძე ნიჟარაძე. აფხაზეთში მათ შეუერთდა მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე) მოლაპარაკება აფხაზეთთან. სწორედ ამ მოლაპარაკების შედეგად შეცვალეს აფხაზეთში თავიანთი გადაწყვეტილება შეერთებოდნენ რუსეთის ეკლესიას (იმავე, 24 მაისის კრებაზე, თბილისიდან გაგზავნილი დელეგაციის მისვლამდე მიღებული) და დაასკვნეს, უარეყოთ რუსეთის სინოდი, შეექმნათ კომისია, რომელიც გამოარკვევდა, შეეძლოთ მათ ავტონომიური ეკლესიის შენახვა თუ არა. უკანასკნელ შემთხვევაში რა სახის დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო მათსა და ქართულ ეკლესიას შორის [7, 150-151].

ამრიგად, 28 მაისს თბილისში მოსული დეპეშა აფხაზეთის მიერ საქართველოს ეკლესიისაკენ გადმოდგმულ შუალედურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავისენოთ ა. გ. შერვაშიძის მეთაურობით აფხაზეთა დელეგაციის 1916 წლის 30 მაისის ვიზიტი საქართველოს ეგზარქოს პლატონთან. დელეგაცია მაშინ წინ აღუდგა საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის

ეპარქიის არაქართულ სამრევლოთა გამოყოფასა და შავიზღვისპირეთის ეპარქიაში მათ გაერთიანებას. აფხაზეთმა ეგზარქოსს სთხოვეს, გამოეყენებინა თავისი გავლენა და ავტორიტეტი, რათა სოხუმის ეპარქიის მოსახლეობა არ ჩამოეცილებინათ სისხლხორცეულად დაკავშირებული ქართული კულტურისაგან; აფხაზეთის ეკლესიებში საღვთისმეტყველო ენად ქართული დანერგილიყო [33, 80].

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი ნამდვილად აღარაა, რომ 1918 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იურისდიქციის აღდგენასთან ერთად საქართველოს ეკლესიის უფლებებიც აღდგა [33, 152]. თუმცა, ეს მოვლენა განსახილველი საკითხის ჩარჩოებს სცილდება.

მისიონერი იგნატევი თხზულებაში – „Привет встреча“, მთავარეპისკოპოს ალექსის საქართველოში მწყემსმთავრად ჩამოსვლის დღეს ულოცავს. მისალმების ტექსტი ასეთია: „მთავარეპისკოპოს ალექსის. საქართველო.“

იმპერატორის ძღვევამოსილი ნება-სურვილით და უწმინდესი სინოდის ლოცვა-კურთხევით თქვენ არჩეული ხართ ძველი ივერიის, საქართველოს წმ. კათედრაზე. სადაც ქრისტეს სწავლების პირველი მანათობლები იყვნენ წმ. მოციქული ანდრია (54 წ.), წმ. ნინო (318 წ.), რომელთა საქმიანობასაც გულმოდგინედ აგრძელებდა წმ. თამარი, საქართველოს ცნობილი მეფე (1156-1213). ახლა თქვენ ჩამოხვედით საქართველოს დედაქალაქ თბილისში და პირველყოვლისა შეხვედით სიონის ძველ ტაძარში, რომელიც ინახავს წმ. ნინოს თმებით შეკრულ ჯვარს. აქ მოგესალმათ მთელი სამღვდელოება ეპისკოპოსების მეთაურობით, როგორც მოკლულ მღვდელმთავარ ნიკონის და უდროოდ გარდაცვლილ მთავარეპისკოპოს ინოკენტის ღირსეულ მემკვიდრეს ანთებული სანთლებით, ... გალობით და მრავალჟამიერით. სიონის ტაძრიდან თქვენ საზეიმო განწყობით, ჯვრის წინამძღვრობით და სასულიერო პირთა თანხლებით გამართეთ ეგზარქოსის სახლისაკენ, სადაც მოგესალმნენ სამხედრო ხელმძღვანელები, ქალაქის მეთაურები, მოქალაქეები და სამღვდელოება. მე, როგორც ძველ მებრძოლს, ღვთის ეკლესიის ქომაგს და მისიონერს მქონდა გაბედულება წარგდგომოდით თქვენ. ახლა გთხოვთ, მიიღოთ ჩემი შვილობრივი მგზნებარე სალაპი და ჩემი თხზულებანი საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ. თქვენს ლოცვებს მონდობილი და სხვა და სხვა“.

საქართველოს ეგზარქოსთაგან მთავარეპისკოპოსი ალექსი II (მოლჩანოვი) მღვდელმთავრობდა 1913-1914 წწ. სწორედ ის იყო 1908 წ. მოკლული ეგზარქოს ნიკონისა და 1913 წ. გარდაცვლილი ეგზარქოს ინოკენტის მემკვიდრე. მოკითხვის ტექსტი 1913 წელს უნდა

იყოს დანერვილი (თვითონ მთავარეპისკოპოსი ალექსი II 1914 წ. გარდაიცვალა).

მისიონერ იგნატიევის თხზულებათა განხილვისას მივდივართ დასკვნამდე, რომ ის, ძირითადად, სიზუსტით აღწერს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტებს. მაგრამ მათი განხილვისას სუბიექტურობას იჩენს და ყველა მოვლენის ანალიზს რუსული თვითმპყრობელობის ინტერესებიდან გამომდინარე აწვდის მკითხველს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან სამისიონერო საქმიანობის დროს სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად მისიონერი ვალდებული იყო, ადგილზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკა გაეცარებინა [34, 257].

ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში ზაქარია მთისპირელი (დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე) აღნიშნავს: საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის – მთავარეპისკოპოს პლატონის მიერ ორგანიზებულმა შავრამზელებმა სცადეს რუსული რევოლუციური არმიის წარმართვა საქართველოს რევოლუციონერთა წინააღმდეგ, არ ეყოთ ძალა და ვაჟკაცობა რევოლუციას აშკარად აღდგომოდნენ წინ [35, 2]. ეს სიტყვები ჩვენს მიერ განხილულ თხზულებათა ავტორსაც მიემართება.

ზაქარია მთისპირელი იქვე მიუთითებს, რომ 1917 წ. 12 მარტს საქართველოს ეკლესია გამოვიდა სინოდის აგრესიული ეგზარქოსებისა და „მისიონერთა“ მჭიდროდ შემოსალტული ჯაჭვიდან [35, 2].

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Ф.В. Игнатъев, «Автокефалия Грузии», рукопись, Российская Национальная библиотека (СП).
2. გაზეთი «Курьер-Копейка», 1914, 1.01., №1.
3. გაზეთი «Курьер-Копейка», 1914, 12.01., №9.
4. გაზეთი «Курьер-Копейка», 1914, 18.01., № 14.
5. <http://revolution.allbest.ru/sport/00014828-0.html>
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102.
7. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №6421.
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 2080, აღწ. 1, საქმე №149.
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №113.
10. ეპისკოპოსი ლეონიდე, ქართველი წმინდანების დღეები, ქადაგებანი, (ექვთიმე კოჭლამაზაშვილის წინასიტყვაობით).

11. გაზეთი «საქართველო», 1917, 2.07., №142.
12. გაზეთი «Петроградские Ведомости» 1917, №92.
13. გაზეთი «საქართველო», 1917, 8.04., №76.
14. გაზეთი «საქართველო», 1917, 9.04., №77.
15. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №6506.
16. ი. არაბიძე, საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტი კომისიის პროფესორ ბენეშევიჩის მოღვაწეობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1917 წ.), კრებული – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, 1 (3).
17. ტყავის ქარხნებში არსებული სასწაულთმოქმედი ხატის შესახებ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით არაფერია ცნობილი.
18. გაზეთი «Курьер-Копейка», 1914, 14.01., №10.
19. გაზეთი «ცნობის ფურცელი», 1902, 14.01., №1697.
20. გაზეთი «ცნობის ფურცელი», 1902, 18.01., №1700.
21. გაზეთი «Кавказ», 1911, 25.06., № 140.
22. გაზეთი «Курьер-Копейка», 1914, 19.01., №15.
23. კ. ცინცაძე, «ჩემი მოგონებებიდან», შურ. «საღვთისმეტყველო კრებული», 1987, №3.
24. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწ. 1, ს. 59442.
25. ლიტერატურის მუზეუმი, ნიკიტა თალაქვაძის ფონდი, მემუარები, რვ. 1.
26. ეპისკოპოსი ლეონიდე, ქადაგებანი და მოძღვრებანი, წ. 1, ქართველი წმინდანების დღეები, ფოთი, 1914.
27. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №482.
28. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №481.
29. გაზეთი «ცნობის ფურცელი», 1901, 19.09., №1586.
30. К. Скурат, История поместных православных церквей, изд. «Русские огни», М. 1994.
31. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №664.
32. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე №23248.
33. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ. 2000.
34. ე. ბუბულაშვილი, «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების» მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებული – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, 1 (3).
35. გაზეთი «Возрождение», 1917, 21.05., №34.

Missionary Ignatiev about the Autocephaly of Georgian Church

Summary

In the public library of Saint-Petersburg manuscript of the missionary F. V. Ignatiev „Autocephaly of Georgia“ is preserved. It consists of 9 small works: „Georgian Autocephaly“, „Hygiene and History of the Physical Exercises“, „Baptism“, „Revolt in Vladivostok“, „Russian-Japanese War“, „Church Celebration“, „Holy Cross“, „Easter Bows and Communion“, „Who is a Revolutionary? Jew or Christ?“, „Hello Meeting“ and four poems under one title: „From the Japanese War“.

From the above mentioned works only: „Georgian Autocephaly“, „Church Celebration“ and „Hello Meeting“ are dedicated to Georgia.

As for other works, „Easter Bows and Communion“, „Holy Cross“, „Who is a Revolutionary? Jew or Christ?“ and „Baptism“ are of religious character and are connected with missionary activity.

According to the events described in „Georgian Autocephaly“, the work may be written from 1917, May 25 (the date when the church council of the Caucasus was summoned) till the first church council of all Georgia (1917, September). At list it should have been written not later than October coup d'etat in 1917 that took place in Russia. Studying the above mentioned works of missionary Ignatiev we came to a conclusion that the author describes the events concerning the restoration of the autocephaly of the Church of Georgia (1917, March 12) with accuracy, but the evaluation of these events are subjective. The author offers reader their analysis from the position and political interests of the Russian autocracy. It is no wonder, as the missionary work, besides spreading faith, obliged missionaries to carry on the Russian empire policy.

In the press publications missionary Ignatiev deals with the issues of religion and culture, Georgian saints, the activity of the exarches of Georgia.

მზია მგალობლიშვილი

ლელა მიქიაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქაკ ფრანსუა გამბა ჭარ-ბელაქელი ლეკებისა და ინგილოების შესახებ

კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის – ჭარ-ბელაქნის (საინგილოს resp. კაკ-ელისენის) ისტორიის შესწავლა კვლავინდებურად აქტუალურია. XVI-XVII სს-თა მანძილზე დაღესტნელთა გამუდმებული თავდასხმებისა და ირან-ოსმალეთის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით საქართველომ თანდათანობით დაკარგა თავისი ძირძველი ტერიტორია, რომელიც დროთა განმავლობაში (XVIII ს-დან) საიმედო დასაყრდენად იქცა ერთი მხრივ – ირან-ოსმალეთის, მეორე მხრივ კი – ლეკთა მარბიელი რაზმების მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე კავკასიის რეგიონით აქტიურად ინტერესდება რუსეთის ხელისუფლებაც, რომელმაც ამ მიმართულებით ჯერ კიდევ XVIII ს. დასაწყისში შეიმუშავა ფართომასშტაბიანი სამოქმედო გეგმა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გეგმის თანახმად, ჭარ-ბელაქნის დამორჩილება კავკასიის დაპყრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად იყო მიჩნეული. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხებს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა [1]; მათში საფუძვლიანად არის შესწავლილი და გაანალიზებული როგორც საკუთრივ ჭარ-ბელაქნის ისტორია, ისე მისი როლი და მნიშვნელობა ირანის, ოსმალეთისა თუ რუსეთის მიერ კავკასიის დასაპყრობად წარმოებულ ბრძოლაში. ამავე საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალას შეიცავს ფრანგი მოგზაურისა და კომერსანტის ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833 წწ.) ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში“ [2]. გამბას მოგზაურობის პერიოდში (1820-1824 წწ.), XIX ს. 20-იანი წლებისათვის, ჭარ-ბელაქანს უკვე ოფიციალურად ჰქონდა მიღებული რუსეთის ქვეშევრდომობა (1803 წლიდან), მოგვიანებით კი – 1830 წლი-

დან – მის შემადგენლობაში შევიდა ჭარ-ბელაქნის ოლქის სახელწოდებით.

ევროპელ მოგზაურთა უმრავლესობის მსგავსად, გამბაც გამოირჩევა რუსეთისადმი ლოიალური განწყობილებით, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მოვლენის გადმოცემისას იგი ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური, რაც უდავოდ ზრდის მისი ნაშრომის მნიშვნელობას. ვფიქრობთ, ფრანგი მოგზაურის მიერ გადმოცემული ჭარ-ბელაქნის მოსახლეობის სოციალური ყოფის ამსახველი მასალა დააინტერესებს ამ კუთხის ისტორიის შემსწავლელ სპეციალისტებს.

ქვეყანას, რომელიც ლეკებს უჭირავთ (რომელთაც ასევე, ჩვეულებრივ, „ლეზინებს“ უწოდებენ ხოლმე), აღმოსავლეთით ესაზღვრება დაღესტანი, სამხრეთით – ნუხა [3], ჩრდილოეთით იგი კავკასიის მაღალი მთების მიმართულებითაა გადაჭიმული, ხოლო კახეთისაგან მას მდინარე ალაზანი ჰყოფს, რომელიც მინგეჩაურიდან ოდნავ ზემოთ ერთვის მტკვარს.

ეს მხარე ყურადღებას იქცევს მთების, ხეობებისა და დაბლობების ხელსაყრელი მონაცვლეობით, დიდრონი ხეებით, რომლებითაც მოფენილია იგი, მეტისმეტად ნაყოფიერი მიწებით, ხილის უხვი მოსავლით და უამრავი წყაროებით. აქაური ჰაერი ძალიან ჯანსაღია, მაგრამ, მიუხედავად ამ უპირატესობისა, ეს მხარე მაინც ღარიბია, რადგან აქ არც ვაჭრობა სწარმოებს და არც ადგილობრივი პროდუქციის გასაღების ბაზარი არსებობს.

გარეგნულად ლეკი უფრო დაბალი ტანისა და ნაკლებად ლამაზია, ვიდრე ქართველი, თუმცა სახე საკმაოდ სიმეტრიული აქვს, ცხვირი სწორი და წვეტიანი, თვალები შავი და გამოხედვა – მკაცრი. ბუნებით თავშეკავებული და ზარმაცია, იგი ყაჩაღობითა და მიწების დამუშავებით ცხოვრობს. თუ ლეკებს ევროპის რომელიმე ხალხს შევადარებთ, მსგავსებას კორსიკის, უფრო ზუსტად კი – სარდინიის მთიელებთან ვიპოვიოთ.

მტკვრის მარცხნივ მდებარე მთელი ეს მხარე უწინ ლეკების სათარეშო ასპარეზო იყო, დღეს კი ამას იშვიათად აქვს ადგილი ნუხასა და კახეთში.

ლეკები უკვე ისე ხშირად აღარ იტაცებენ რუს სამხედროებს, რომლებიც თავის მხრივ, ერიდებიან დასახლებულ პუნქტებთან დაბანაკებას, მაგრამ ეს იმდენად რუსების მიერ შთაგონებული შიშის გამო კი არ ხდება, რამდენადაც იმის გამო, რომ ლეკები მათგან ვერავითარ გამოსასყიდს ვერ იღებენ. ერთი ქართველის ან სომხის გა-

მოსასყიდი, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მერყეობს 400-დან 1 200 მანეთამდე ვერცხლით (1 600-დან 2 400 ფრანკამდე). ამრიგად, ეს ავაზაკობა, რომელიც ლეკებისათვის ღირსების საქმე და თანამომძმეთა შორის პატივისცემის დამსახურების საშუალებაა, ამავე დროს მეტად შემოსავლიანიც არის.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსხვავებაა კავკასიის ორ ხალხს – ჩერქეზებსა და ლეკებს – შორის, თანაბრად რომ არიან გატაცებული ავაზაკობით, ვიტყვი, რომ თუ ჩერქეზს ტყვეების მოხელთების შემდეგ უკან დაედევნებიან და მათი წაყვანის საშუალება არ მისცემენ, იგი ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე მიატოვებს თავის ნადავლს; ლეკი კი თავის ტყვეებს ისე არ შეეღებება, თუ მარჯვენა ხელს არ მოჰკვეთს, რომელსაც თავის სოფელში წაიღებს და, როგორც ნადავლს, საკუთარი სახლის კარზე ჩამოკიდებს.

თუ ლეკს ბრძოლაში მოკლავს რუსი ან ქართველი და თუ მკვლელის ვინაობა გაირკვევა, მაშინ მოკლულის ნათესავი ან მეგობარი ფიცს დებს, რომ შურს იძიებს მკვლელზე. სისხლის მაძიებელი ლეკი ტოვებს ოჯახს, სოფელს და მტერს ჩაუსაფრდება იმ გზაზე, სადაც ამ უკანასკნელმა ადრე თუ გვიან უნდა გამოიაროს. ლეკს პატარა ჩანთით თან მიაქვს ფქვილი და ცხვრის სამი-ოთხი დუმა. ამ სანოვაგითა და თავისი ნაბდით, რომელიც დასაწოლად სჭირდება, იგი თავის სამალავს არ ტოვებს, სანამ სურსათი არ შემოეღებება. შემდეგ იგი სასწრაფოდ ბრუნდება სოფელში სურსათის მარაგის შესავსებად და კვლავ უბრუნდება თავის პოსტს იმ დრომდე, ვიდრე შურს არ იძიებს, ან ვიდრე არ დარწმუნდება, რომ მისი მოსისხლე გადაიხვეწა ქვეყნიდან.

ლეკები სათარეშოდ ყოველთვის მხოლოდ რამდენიმე კაცის შემადგენლობით როდი მიდიოდნენ: ხშირად მთელი ბრბო ესხმოდა ხოლმე საქართველოსა თუ სპარსეთის ქალაქებს გასაძარცვად. გასულ საუკუნეში ამ მთიელებმა არაერთხელ ააოხრეს შემახა და არდებილი [4].

ლეკების ამგვარი ბუნების გამო მეზობლები ყოველთვის ცდილობდნენ, მათთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონოდათ: ისინი ხომ სიამოვნებით მიდიან დაქირავებულ მებრძოლებად და სულაც არ ანუხებთ, ქრისტიანის სამსახურში იქნებიან თუ მუსლიმისა. სხვადასხვა დროს ლეკები შედიოდნენ თურქების, სპარსელებისა და ქართველების ჯარების შემადგენლობაში. ხანდაზმულ ერეკლეს თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ყოველთვის ჰყავდა ლეკები თავის სამსახურში: რადგანაც მეფე ხშირად ვერ ახერხებდა მათთვის კუთვნილი გასამრჯელოს მიცემას, ხოლო თავადები უარს აცხადებდნენ მეფის მიერ ამ მიზნით დანესებული გადასახადების გადახდაზე, მეფე მათთან აგზავნიდა გარკვეული რაოდენობის ლეკებს,

რომლებიც ამ თავადებთან რჩებოდნენ მანამდე, ვიდრე ისინი ამ გადასახადს არ გადაიხდიდნენ. ეს საკმაოდ უცნაური ფაქტი გვიჩვენებს, რომ გადასახადის იძულებით ამოღების ეს ფორმა ახალი გამოწონაგონი როდია და რომ ყველა ქვეყნის მმართველობაში არსებობს გადასახადის აკრეფის ამგვარივე მეთოდები და შედეგებიც იგივეა.

ლეკების შესახებ ცნობების შესავსებად მიზანშეწონილად მიმაჩნია აქვე მოვიტანო ერთი სწავლულის სტატია, რომელიც კარგად იცნობდა ამ ხალხით დასახლებულ მხარეს:

ალაზნის (ძველად – ალაქსონ ველ ლებას Alaxon vel Lebas), თათრულად – ყანისუს მარცხენა ნაპირზე ჩამოვიტოვეთ კახეთი, ჩავეყვით ამ მდინარეს და ბოლო ქართული სოფელი, რომელიც შემოგვხვდა, იყო გავაზი; აქედან მოყოლებული, დაახლოებით სამოცი ვერსის მანძილზე მიტოვებულ მხარეში მივდიოდით, სადაც ჯერ კიდევ ჩანდა ძველი ნასახლარები. მართლაც ეს ოდესღაც მშვენიერი მხარე ქართველებით ყოფილა დასახლებული, მაგრამ ლეკების თარეშის შედეგად განადგურებულა. დღეს დიდოეთისა და გონზუქურის (Conzoukoory) [5] ლეკებს აქ თავიანთი ფარა მოჰყავთ ზამთრობით, როცა მთები თოვლით იფარება. ზაფხულში კი ეს ავაზაკების თავშეყრის ადგილია, სადაც ისინი კახეთში, უფრო კი – ქიზიყში სათარეშოდ ნასახლელად იკრიბებიან.

მთებისაკენ სხვადასხვა ბილიკი მიემართება. ლეკების პირველი სოფლის – ბელაქნის გზაზე ძველი ქართული ნასოფლარებია შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველი – ყარსუბანი, თექვსმეტი ვერსი;

მეორე – ლაგოდები, თორმეტი ვერსი;

მესამე – ჭიაური, ათი ვერსი;

მეოთხე – მეზემი ანუ ფერიყალა, შვიდი ვერსი;

დაბოლოს – ბელაქანი, თხუთმეტი ვერსი.

ბელაქნიდან მდინარე ყაფი-ჩაიმდე, რომელიც ელისუს სასულთნოს [6] საზღვარია, კავკასიის მთებსა და მდინარე ალაზნის შორის მდებარე დაბლობი ლეკებს ეკუთვნის. მათი მთავარი სოფლებია: ბელაქანი, ნაბლოვანი, კატეხი, ყაფისდარა, ყარაჯალი, მანეხი, გოგამი, ჭარი ზაქათალასთან ერთად, თალა, მუხახი, ჩარდახი, საპუნჩი, ალიასკარი, მამრეხი, ჯინიხი და ა.შ.

ამ სოფლების ერთი ნაწილი მთების მიერ შექმნილ ხეობებშია განლაგებული, მეორე კი – დაბლობზე. საკუთრივ ლეკები მთებში ცხოვრობენ, ხოლო ალაზნისთან ახლოს თათრები ცხოვრობენ, რომლებიც გამუსლიმებული ქართველების მსგავსად, ლეკების ქვეშევრდომნი არიან. ამ ქართველებს ინგილოებს ანუ ახლებს, ე. ი – ცოტახნის წინათ რჯულშეცვლილთ უწოდებენ.

თათრები [7] ბორჩალოს, ყარაბაქისა და შამშადილის ხიზნები არიან, რომლებიც რუსებისადმი სიძულვილს თუ ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელ სასჯელს გამოეცხენ, ლეკებთან შეაფარეს თავი და მათ ყმებად გაუხდნენ. დღეს მთავრობას მეტი ძლიერება აქვს, ასე რომ იგი ალბათ აუკრძალავს ლეკებს ხიზნების შეფარებას.

მმართველობის შესახებ

ლეკები ჭეშმარიტად თავისუფალნი არიან: მათ არ ჰყავთ არც ბეგები (bechks), არც მთავრები. მართალია, ისინი თავს რუსეთის ქვაშევრდომებად აღიარებენ, იხდიან მსუბუქ გადასახადს აბრეშუმითა და ფულით, მაგრამ მმართველობისათვის საკუთარ კანონებს იყენებენ. თითოეული სოფელი ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეულ კაცს ირჩევს, ზოგჯერ კი, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, ერთზე მეტსაც ირჩევენ. მას ქევხას (Kemchki) [8] უწოდებენ და მის მოვალეობაში შედის მმართველობასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება. ეს მაგისტრები ყოველ წელს ინიშნებიან საერთო თავყრილობაზე, რომელსაც „ჯამაათი“ [9] ეწოდება. თუკი ისინი თავიანთი უმნიშვნლო საქმიანობით, უფრო ხშირად კი – ეშმაკობით, ხალხის სიყვარულს დაიმსახურებენ, მაშინ ამ თანამდებობაზე რჩებიან არა მარტო მთელი სიცოცხლის განმავლობაში, არამედ – მემკვიდრეობითაც ინარჩუნებენ მას თავიანთ საგვარეულოში. სიმდიდრეს, მრავარიცხოვან ოჯახს, კავშირებს, ხანდაზმულობასა და სიმამაცეს დიდი წონა აქვს ჯამაათში.

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ დღეისათვის რუსეთის მთავრობა ზემოქმედებას ახდენს ამ არჩევანზე და იმ შემთხვევაში, თუ ხალხის რჩეული ნაკლებად ამულავნებს ერთგულებას რუსეთის ხელისუფლებისადმი, ეს უკანასკნელი აიძულებს ხალხს, შეცვალოს თავისი რჩეული და მიანიშნებს იმ პიროვნებაზე, ვინც მისი ადგილი უნდა დაიკავოს. ასე მაგალითად, გენერალ-მაიორმა, თავადმა ერისთავმა ბელაქნის ქევხი შეცვალა და ხალხის ნების გარეშე თავად დანიშნა ახალი. ქევხი და რამდენიმე საპატიო უხუცესი ყოველდღიურად იკრიბებიან მეჩეთთან ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არსებული სადავო საკითხების განსასჯელად, რუსებისაგან მიღებული დოკუმენტების გასაცნობად და ა.შ. მიღებული გადაწყვეტილებების ტექსტს ადგენს და ბეჭდით ამონიშნებს მწერალი, რომელსაც „დიბირია“ ეწოდება. პატარა სოფლებში ამ მოვალეობას „მოლა“ ასრულებს. თუ საქმე დიდმნიშვნელოვანია, ელოდებიან პარასკევ დღეს და მთელი თემის წინაშე განიხილავენ მას. ხშირად პატარა სოფლები თავიანთ სადავო საკითხებს უფრო დიდი და მდიდარი სოფლების ჯამაათებს წარუდგენენ ხოლმე განსახილველად და

მათ გადაწყვეტილებებს ემორჩილებიან: ასეთი პატივით ყველაზე მეტად ჭარი სარგებლობს.

როცა განსახილველი საკითხი ყველა თემს შეეხება, მაშინ ტარდება ყველა ქევხისა და სხვა რჩეულ პირთა საერთო შეკრება მუხახსა და ჩარდახს შორის მდებარე ადგილას, რომელსაც ალდამი ეწოდება. აქ იხილება ომის, მშვიდობისა და ფინანსების საკითხები. ამავე დროს, ზოგჯერ აქ იკრიბებიან იმისათვისაც, რომ მოაგვარონ თემებს შორის არსებული სადავო საკითხები, ან ალკვეთონ სოფლებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება.

ყაჩაღობასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი უნდა წარსდგეს თავისი სოფლის ჯამაათის წინაშე, სადაც მის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე ან გაამართლებენ, ან სასჯელს მიუსჯიან. ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად, სასჯელი ითვალისწინებს ჯარიმას ან სიკვდილით დასჯას. თუ მკვლელობაში მხილებული ლეკი ჯამაათის წინაშე არ წარსდგება და გაიქცევა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მაშინ მას დაუსწრებლად ასამართლებენ: სიკვდილს მიუსჯიან, სახლს დაუნგრევენ ან ბალებს გაუნადგურებენ.

შურისძიება მოვალეობაა, სისხლი სისხლის წილ უნდა იქნეს აღებული. ამ პრინციპის საფუძველზე, კაცი, რომელიც ნათესავის ან მეგობრის (ყონალის – konal) მოკვლის საპასუხოდ, სისხლის აღების მიზნით ჩაიდენს მკვლელობას, უდანაშაულოა. საზოგადოების მიერ ისჯება მხოლოდ ის მკვლელი, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენდა სისხლის აღება.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი დაუსჯელობიდან გამომდინარე, მკვლელობის შემთხვევები ხშირი უნდა ყოფილიყო; მაგრამ, საშუალოდ, იგი ისევე იშვიათია, როგორც ჩვენთან, ცივილიზებულ ქვეყნებში. შიში იმისა, რომ მტრად გადაიკიდებენ მოკლულის მთელ ნათესავებსა და მეგობრებს, ამასთანავე – რწმენაც, რომ ადრე თუ გვიან მაინც ვერ გაექცევიან მათ ხრიკებს (რადგანაც სისხლის ასაღებად ყველანაირი საშუალება გამოიყენება), ისეთივე ლაგამის როლს ასრულებს, როგორც ჩვენი კანონმდებლობის სიმკაცრე.

ასეთივე სიმკაცრით ისჯება მრუშობაც. ქმარს, რომელიც ცოლს დანაშაულის ადგილზე წაასწრებს, უფლება აქვს, ადგილზევე მოკლას ცოლიც და მისი საყვარელიც. ხოლო თუკი ქმარი საჩივრით წარსდგება ჯამაათის წინაშე, მხილებულ ცოლს ქვებით ჩაქოლავენ, საყვარელს კი თოფით მოკლავენ.

უხუცესნი თუ ქევხები, რომლებიც ჯამაათში შედიან, საქმის გარჩევის დროს ფეხმორთხმით სხდებიან და ადგილის დაკავებისას მკაცრად იცავენ ეტიკეტს. ახალგაზრდები, რომელთაც აგრეთვე

აქვთ აქ დასწრების უფლება, მათ უკან ფეხზე დგანან და ეყრდნობიან თავიანთ თოფებს ან კიდეც ხის დიდ ჯოხებს, რომლებიც მუდმივად ხელთ აქვთ, როცა შეიარაღებულნი არ არიან. უხუცესი, ანუ ის, ვისაც საკითხი განსახილველად გამოაქვს, ჯამაათს აცნობს საქმის ვითარებას. თუ საკითხი შეეხება რუსეთის მთავრობის რომელიმე მოთხოვნას, უხუცესი აუწყებს ჯამაათს ამის თაობაზე და თან საბუთს წარუდგენს. უფროსობის რანგის მიხედვით, თითოეული სიტყვით გამოდის და თავის აზრს გამოთქვამს. გასაგებია, რომ ასეთ წესრიგს დიდხანს ვერ დაიცავენ: სულ მალე იწყება აყალმაყალი, ხმაური და ყვირილი თანდათან შემზარავი ხდება. ახალგაზრდები, რომლებიც მოჭარბებული აგზნებულობით გამოირჩევიან, ბრახდებიან მოხუცთა მიერ გამოჩენილი სიფრთხილის გამო: ხშირად ტყდება ჩხუბი, ხან სისხლიც კი იღვრება. ის, ვინც თავს დამნაშავედ გრძნობს, განსაკუთრებით კი – ის, ვისაც რუსეთის მთავრობა ეჭვით უყურებს, ყველანაირი საშუალების გამოყენებით ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომხრე გაიჩინოს ახალგაზრდებს შორის. საჭიროების შემთხვევაში ისინი მას ჯამაათის სამართლისაგან დაიცავენ. სწორედ ასეთი რამ მოხდა 1822 წელს [10], რასაც შედეგად მოჰყვა კატეხის, ყაფისდარასა და სხვათა განადგურება: რუსეთის მთავრობამ მოითხოვა დასასჯელად გადაეცათ გენერალ ერისთავის წარგზავნილთა შეურაცხყოფელნი. შეკრებილმა ჯამაათმა გადანყვიტა ამ ბრძანების შესრულება, მაგრამ ახალგაზრდობა ამას არ დაეთანხმა: „როგორ ჩავუგდოთ ხელში ურწმუნოებს კეთილი მუსლიმები? როგორ შევირცხვინოთ თავი ამ ზომამდე?“ – ცხარობდნენ ისინი. მათ გააუქმეს ჯამაათის გადანყვიტილება და რუსები იძულებულნი გახდნენ, იარაღის ძალით შეეპყროთ დამნაშავენი.

ისინი კორესპონდენციას არაბულ ენაზე აწარმოებენ, ჯამაათთან სასაუბროდ კი იყენებენ თათრულ ენას, რომელსაც „თურქულს“ უწოდებენ, თუმცა სინამდვილეში ეს ამ ენის სხვადასხვა და თავისებური დიალექტების ნაზავია.

შემოსავალი, ვაჭრობა და ა. შ.

ქვეყანა ძალზე ნაყოფიერია. აქ უხვად მოდის ყველანაირი ჯიშის ხილი, რომელსაც ლეკები საზამთროდ ინახავენ. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ყურძენიც, მაგრამ ღვინოს არ აყენებენ, რამდენადაც ეს სასმელი მათთვის აკრძალულია. სამაგიეროდ, აკეთებენ „ბუზას“ (буза – მოხარშული ღვინის სახეობა), რომელიც დასალევად მეტისმეტად მაგარია. ბუზასაგან იღებენ კარგ ძმარს.

აქ უხვად მოდის ყველანაირი ჯიშის მარცვლეული, ბრინჯი, ზოგიერთ ოლქში კი – ბამბაც. დიდ ყურადღებას აქცევენ თუთის ხის

მოშენებას და კარგადაც უვლიან მას. ვინაიდან აბრეშუმის ქია არ მოითხოვს ისეთ დიდ გარჯას, როგორც მარცვლეულის კულტურა და თანაც გაცილებით მეტ მოგებასაც იძლევა, ამიტომ ეს არის მათი სიზარმაცისა და, ამავე დროს – სიმდიდრის წყარო. აბრეშუმს, ძირითადად, სომხები ყიდულობენ, რომლებიც მის შესაძენად ადგილზევე მოდიან. მარცვლეული და ბრინჯი კი თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოჰყავთ, თუმცა მცირე რაოდენობით მაინც გააქვთ მთებში მოსახლე სხვა ლეკებთან. თბილისში და საქართველოს სხვა მაზრებში დიდი რაოდენობით იგზავნება ხილი: ვაშლი, მსხალი, ნაბლი, კაკალი და სხ.

მოუსავლიანობისა და რუსეთის მთავრობის მიერ მარცვლეულის მოულოდნელად მოთხოვნის შემთხვევაში (როგორც ეს 1821 წელს მოხდა), ლეკები თავიანთ ქვეშევრდომ ინგილოებს მიმართავენ, რომელთა გალატაკებაც მათ სრულებითაც არ ენალვლებათ.

ლეკები მისდევენ აგრეთვე პირუტყვის მოშენებასაც. უპირატესობას ანიჭებენ ცხვრებს, შემდეგ კი – კამეჩებს. ხარები აქ თითქმის არ არის, ან ძალზე ცოტაა.

ყველაფერი, რაც ლეკებს ჩასაცმელად ესაჭიროებათ, ნუხადან ან საქართველოდან შემოაქვთ. ზოგჯერ ისინი თავად მიემგზავრებიან შესაძენად, უფრო ხშირად კი სომხებს ჩამოაქვთ. ისინი აწარმოებენ უხემ მაუდს, რომელიც საქართველოში ლეკური მაუდის სახელით არის ცნობილი. მას ადგილობრივი ცხვრის მატყლისაგან ამზადებენ. ამ სამუშაოს ქალები ასრულებენ შემოდგომასა და ზამთარში; ისინი აგრეთვე ქსოვენ ხალიჩებს, რომლებსაც სახლის მოსართავადაც იყენებენ და ყიდიან კიდეც. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მთებში მოქსოვილი ხალიჩები გამოირჩევიან ფერთა მბზინვარებითა და სიიფით, სხვა მხრივ კი ისინი სავსებით მოკლებულნი არიან გემოვნებას.

მათი ცხოვრების წესის შესახებ

უქმად ყოფნა ლეკისათვის უდიდესი ბედნიერებაა. თუკი მას უშრომლად შეუძლია ცხოვრება, იგი ბედნიერი კაცია და სულ ამით მოაქვს თავი. მათი ცოლები კი პირიქით, მეტისმეტად შრომისმოყვარენი არიან და სახლშიც ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებენ. სპარსელი ქალებისაგან განსხვავებით, ისინი არც სახეს იფარავენ პირბადით და არც უცხოელებს ემალებიან.

როდესაც ქმარი მგზავრობიდან ბრუნდება, ცოლის მოვალეობაა, ჩამოართვას მას ცხენი, შეიყვანოს თავლაში, შემდეგ დაეხმაროს ქმარს ტანსაცმლის გახდაში: იგი მის მიმართ უფრო მსახურის მოვალეობას ასრულებს, ვიდრე ცოლისას.

თუ ლეკთან უცხო სტუმრები მოდიან, მათაც მისმა ცოლმა უნდა ჩამოართვას ცხენები და მოუაროს. ასევე ჩამოართმევს იგი იარაღსაც, რაც იმის ნიშანია, რომ უცხოელს ამ სახლში არავითარი საშრობა არ ელის და რომ მას სტუმართმოყვარეობის ადათი იცავს. ამ დროიდან სახლის პატრონი და ყველა მისი ახლობელი მზად არის, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ვინმეს მხრიდან სტუმრის ოდნავი შეურაცხყოფაც კი არ დაუშვას. როცა სტუმარი წასვლას დააპირებს, სახლის პატრონი ან მისი ერთ-ერთი ნათესავი უახლოეს სოფლამდე მიაცილებს ხოლმე მას.

ლეკების სახლები ქვით არის ნაშენი, გადახურულია მაღალი ისლის სახურავით, სადაც აბრეშუმის ჭიები ჰყავთ დაბინავებული. ზოგიერთები ცხოვრობენ ძალზე მაღალ კოშკებში, სადაც მშვენიერად იცავენ თავს მტრებისაგან. იატაკზე აგებენ ხალიჩებს. კედლებში გაკეთებული ნიშები გამოტენილია ბალიშებით, ლეიბებითა და საბნებით. მდიდრების საცხოვრებელი ზოგჯერ ქაშანურისა და მინის ჭურჭლით არის მორთული, მაგრამ მათ არ გააჩნიათ არც სკამი და არც მაგიდა, საჭმელად სხდებიან იატაკზე.

ლეკებს ფანჯრებში არა აქვთ მინები, რის გამოც უამინდობისას, დღისით მათ დარაბების დახურვა და ცეცხლის დანთება უხდებათ. ამასთანავე, არც დარაბები და არც კარები კარგად არ იხურება. საჭმელი ძალზე უბრალოა, მაგრამ უხვად აქვთ, ჩანგლებსა და კოვზებს კი არ ხმარობენ, ჭამენ ხელით. მათი ჩვეულებრივი სადილია ფლავი, შემწვარი ხორცი, დამამხული ცხვრის ხორცი, წვნიანი, ერბო-კვერცხი და ძმარში დამწნილებული სხვადასხვა ბოსტნეული. ჭამას იწყებენ ხილით; წყალი და ბუზა (ანუ მოხარშული, გაღვივებული ღვინო) ერთადერთი სასმელია, რომელიც სუფრაზე გამოაქვთ.

ლეკები მუსლიმები არიან, სუნასა (Sunnis) და ომარის (Omar) [11] სექტის მიმდევრები. მათ მოლებს წყვილთა დაქორწინების უფლება აქვთ და ერთადერთი, რასაც მათგან მოითხოვენ, ეს არაბული ენის ცოდნა გახლავთ. მექაში მოგზაურობა, რაც ყველა მუსლიმის სანუკვარი სურვილია, აქაც წესად აქვთ მოხუც ლეკებს. ბევრ მათგანს კიდევ მოუნახულებია ეს ქალაქი. ასეთ მოხუცებს განასხვავებენ ქუდზე შემოხვეული თეთრი სახვევით, მათ ჰადჯის (hadgy) [12] ეძახიან და დიდი პატივით ეპყრობიან.

მოსახლეობის, სამხედრო ძალებისა და იმ გადასახადების შესახებ, რომელთაც ისინი რუსებს უხდიან

მოსახლეობის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა ძნელია, ვინაიდან ეს ლეკებმა თავადაც არ იციან. ზემოთ დასახელებულ სოფლებში საკუთრივ ლეკურ ოჯახს ხუთი ათას ხუთასიდან ხუთი ათას

ექვსასამდე ანგარიშობენ, რაც, ჩემი გამოთვლებით, ოცდაშვიდი ათას ხუთას ან ოცდარვა ათას სულს შეადგენს. საჭიროების შემთხვევაში საომრად გამოსვლა შეუძლია არა უმეტეს ექვს ათას კაცს (გარდა ინგილოებისა, რადგან მათი ერთგულების იმედი არ აქვთ). ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი და დღემდე მამაცობის დიდი რეპუტაციით სარგებლობენ.

მთელი მათი გადასახადი ათ ბათმან [13] აბრეშუმს შეადგენს (ბათმანი ეკვივალენტურია ექვსი ოყისა, რაც უდრის რუსეთის თვრამეტ გირვანქას). მაგრამ გენერალი ერისთავი, რომელსაც არ უნდოდა აბრეშუმის ბეგარის ალებით შეენუხებინა თავი, თანაც რუსეთის სახელმწიფოსათვის სარგებლობა რომ მოეტანა, დღეს ლეკებს ამ გადასახადს ფულადი სახით ახდევინებს, რაც შეადგენს წელიწადში 8 400 მანეთს ვერცხლით.

ინგილოების შესახებ

ინგილოები ის ბედკრული ქართველები არიან, რომელთაც არ მოისურვებს თავიანთი სახლ-კარის მიტოვება, როცა ამ ქვეყანას ლეკები დაეპატრონენ. ინგილოები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ შემდგომში მათ იძულებით მიაღებინეს მაჰმადიანობა. ისინი დღესაც მუსლიმებად დარჩნენ და იმავე სექტას მიეკუთვნებიან, რომლის მიმდევრებიც მათი ბატონები არიან. მაგრამ ძველი წეს-ჩვეულებები ასე ადვილად არ ქრება და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ინგილოები ლეკების ქვეშევრდომნი არიან, ტრადიციამ მათ მაინც შეუნარჩუნა მეხსიერებაში ძველი სარწმუნოება, რომლის ზოგიერთ წესსაც ისინი საიდუმლოდ ასრულებენ. საუბრობენ ქართულად და როგორც მარწმუნებდნენ, დღესაც კი ბევრი მათგანი მაღულად მიდის კახეთში ბავშვების მოსანათლად და საზიარებლად. ვაი იმას, ვინც ამგვარ ბოროტმოქმედებაში იქნება მხილებული! მთელი მისი ქონება და მრავალი წლის ნაოფლარ-ნაჯაფი არ ეყოფა ფანატიზმით შეპყრობილი ბარბაროსი ბატონის გაუმაძღრობას. ლეკებმა იციან, რომ ინგილოები ჯერ კიდევ მისდევენ ძველ წეს-ჩვეულებებს, ამიტომაც მუდმივად უდარაჯებენ მათ და სულ მცირეოდენი გადაცდომისათვის დიდი ჯარიმით სჯიან. ზედმეტი იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ სავალალოა ინგილოების მდგომარეობა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ისინი მორჩილებით იტანენ ამ ბარბაროსთა ჭირვეულობას.

ლეკები, რომლებიც თავიანთ თავს მინების ერთადერთ მესაკუთრედ მიიჩნევენ, ინგილოებისაგან მოსავლის მესამედს ითხოვენ. ბატონის ნებართვის გარეშე ინგილოს არ შეუძლია თავისი ვაჟის ან ასულის დაქორწინება. როცა ნებართვა მიღებულია, საცოლისა და

საქმროს ოჯახები ვალდებულნი არიან თავიანთი ქონების შესაბამისი გადასახადი გადაიხადონ, რომელიც ზოგჯერ 50 დუკატსაც აღემატება. არსებობს, აგრეთვე, ასეთივე სახის სხვა მრავალი ვალდებულებაც, მაგრამ ყველაზე სამძიმო და საშინელია, როცა მათი ბატონი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და მსახურთა თანხლებით მათთან მოზრდანდება: ინგილოები ვალდებულნი არიან გამოკვებონ და მზამზარულზე აცხოვრონ ბატონი და მისი თანმხლები პირები, ბატონი იმდენ ხანს რჩება, რამდენიც მოესურვება, ნასვლისას კი სახლიდან მიაქვს ყველაფერი, რაც მოენონება.

გადასახადები, განსაკუთრებით კი ხორბალი, რომელსაც რუსები ლეკებისაგან მოითხოვენ, ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვია ამ საცოდავებსაც და ლეკების ქვეშევრდომ თათრებსაც, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრე. ჯამაათებმა ეს გადასახადი გადაინაწილეს და მისი ნატურით ასაკრეფად ინგილოებთან იასაულეს აგ ზაენიან. ეს უკანასკნელი კი მათ ყოველნაირად ავინროვებენ. საცოდავი ინგილოები ველარ უძლებენ ამდენ ტანჯვას, ზოგჯერ ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს და თავს აფარებენ ელისუს სასულთნოს, თუმცა აქაც იგივე ხვედრი ელით.

თუკი ოდესმე რუსეთის მთავრობა მტკიცედ მოიკიდებს ფეხს ამ ადგილებში, ეჭვს გარეშეა, ლეკებს ჩამოართმევს ინგილოებზე ბატონობის უფლებას და მაშინ განთავისუფლებული ინგილოები სიხარულით დაუბრუნდებიან ქრისტიანობას.

ამის შედეგად ინგილოები გახდებიან ნაყოფიერი მიწების მფლობელები, აღარ იქნებიან დაჩაგრულნი და ბევრად უფრო შრომისმოყვარენი გახდებიან, ვიდრე სხვა ქართველები. ისინი მდიდრულად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უზრუნველყოფილად მაინც იცხოვრებენ. ყოველივე ამის შედეგად კი ამ მხარეში დაგროვდება დიდძალი რესურსი საქართველოში განლაგებული ჯარის გამოსაკვებად.

ინგილოების მთავარი სოფლებია:

ალიაბადი, მოსული, ვერხვიანი, ჰენგიანი და თანალო.

ამ სოფლების უდიდესი ნაწილი, თუ ყველა არა, ჭარს ეკუთვნის, მაგრამ ლეკებს ამ სოფლების ცალ-ცალკე გაყიდვის უფლება არა აქვთ. მათ შეუძლიათ ადამიანების გაყიდვა მხოლოდ იმ მიწასთან ერთად, რომელსაც ისინი ამუშავებენ, რადგან მათი ქვეშევრდომები არ არიან მიწის მესაკუთრენი, ხოლო ლეკებმა, დაპყრობის უფლებით, მხოლოდ მიწა მიისაკუთრეს.

კომენტარები, დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მსკი, 1944, ნაკვ. 1. მ. დუმბაძე, აღმოსავლეთი კახეთის (საინგი-

ლოს) ისტორიიდან, თბ., 1953. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთი კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966. თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1972. თ. პაპუაშვილი, საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008 და სხ.

2. ჟაკ ფრანსუა გამბასა და მისი ნაშრომის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენივე პუბლიკაციები: კრებულში „ქართული წყაროთმცოდნეობა, X, 2004 და XI, 2007; აგრეთვე კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, №1, და №2, თბ., 2007.
3. ნუხის ანუ შაქის სახანო – ფეოდალური სახელმწიფო აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილში XVIII ს. შუა ხანებიდან XIX ს. დასაწყისამდე (1805 წ. ხელშეკრულებით რუსეთს შეუერთდა).
4. შემახა – ერთ-ერთი უძველესი ქალაქი აზერბაიჯანში, შემახის სახანოს ცენტრი XVIII ს. შუა ხანებში. არდებილი (არდაველი) – უძველესი ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ირანის აზერბაიჯანში), მდ. ყარა-სუს ნაპირზე, არდებილის პროვინციაში.
5. დიდოეთი – ისტორიული მხარე დაღესტანში, მდ. ანდის ყოისუს ზემო დინებაზე. XII-XIII სს-ში საქართველოს ყმადნაფიცი იყო, XV ს. მეორე ნახევრიდან კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია, XVIII ს. მეორე ნახევრიდან საბოლოოდ გამოეყო საქართველოს. გონზუკური – სავარაუდოდ იგულისხმება ოსოქოლო (ოსოქოლო || ოსოკური) ლეკეთის მხარე (იხ. გიულდენ-შტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი გ. გელაშვილისა, ტ. II, თბ., 1964. ტერმინის დაზუსტებაში დაგვეხმარა ბ. ნი. გ. გელაშვილი, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ).
6. ელისუს სასულთნო – ძვ. ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი მდ. ყანი-ყობასა და ყაფუ-ჩაის შორის. XVII ს. დასაწყისში ეს ტერიტორია შაჰ-აბასმა კახთა მეფე კონსტანტინეს გამოსთხოვა და გადასცა ნახურელ ალი-ბეგს, რომელსაც სულთნობაც უწყალობა (სხვა ვერსიის თანახმად კი – გამაჰმადიანებულ თავად ვახვახიშვილს გადასცა).
7. სავარაუდოდ, „თათრებში“ იგულისხმებიან მულალები – მონღოლურ-თურქმანული წარმოშობის ხალხი, რომლებიც XVIII-XIX სს. საკმაო რაოდენობით ჩასახლდნენ საინგილოში და ისეთივე ჩაგვრას განიცდიდნენ ლეკთა მხრიდან, როგორც ინგილოები.

8. ქვევა||ქემხა – (ირან. ქეთხოდა), მამასახლისი გვიანფეოდალურ აღმ. საქართველოში (სპარსული მასალების მიხედვით – სოფლის მამასახლისი, გვარის მეთაური და ა.შ.).
9. ჯამაათი – კრება, ყრილობა, გაბატონებული თემების უმაღლესი ორგანო. სოფლის საკრებულოსაგან განსხვავებით, ჯამაათზე განიხილებოდა პოლიტიკური საკითხები, წყდებოდა საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები.
10. იგულისხმება რუსეთის სანინალმდეგო მღელვარება ქარ-ბელაქანში 1822 წელს. ამბოხებულთა დასამორჩილებლად გაგზავნილ იქნა სამხედრო ექსპედიცია თავად გიორგი ერისთავის სარდლობით. ამ ექსპედიციის შემადგენლობაში იყო ნიჟეგოროდელთა დივიზიონიც, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე მეთაურობდა (იხ. მ. დუმბაძის დასახ. ნაშრ., გვ. 152).
11. სუნა – (ირან. თავდაპირველი მნიშვნელობით – გზა, მიმართულება, რომლითაც საჭიროა სიარული; გადატანითი მნიშვნელობით – ადამიანი, ჩვეულება) გადმოცემებით შემონახული და მუსლიმთათვის სახელმძღვანელოდ მიღებული მოციქულ მუჰამადის ქცევა და სიტყვები. სუნიზმი (შიიზმთან და ხარიჯიზმთან ერთად) ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობაა. ომარი – ომარ I (უმარ იბნ ალ-ხატაბი, დაახლ. 585-644 წწ.), მეორე მართლმორწმუნე ხალიფა, მოციქულ მუჰამადის მიმდევარი. სუნიტური ტრადიცია ომარს იდეალურ გამგებლად და ღვთისმოსავ ასკეტად წარმოადგენს (იხ. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 158, 175).
12. ჰაჯი – პილიგრიმობა მექაში, მუსლიმის ხუთი ძირითადი მოვალეობიდან ანუ – ისლამის ხუთი ბურჯიდან ერთ-ერთი. ჰაჯი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, სავალდებულოა ყველა მუსლიმი-სათვის. მუსლიმთა მოგზაურობა მექაში სახიფათო იყო და ბევრი მათგანი სამშობლოში ვეღარ ბრუნდებოდა, შესაბამისად, შინ მშვიდობით დაბრუნებული მომლოცველი ბედნიერ ადამიანად ითვლებოდა და მას „ჰაჯის“ (ანუ წმინდანს) ეძახდნენ (ისლამი ..., დასახ. გამოც., გვ. 233).
13. ბათმანი – ამ სახელით თავრიზული „მანი“ აღინიშნებოდა, რომელიც წონით ქართულ ლიტრას უახლოვდება. აღნიშნულ პერიოდში ირანული ბათმანი დაახლ. 3 კგ-ს უტოლდებოდა, ოსმალური კი – დაახლ. 7,3 კგ-ს. საგულისხმოა, რომ XIX საუკუნის საქართველოში ბათმანის წონა ცვალებადი იყო. ოყა – ოსმალური წონის ერთეული (1, 28 კგ). გირვანქა – ტერმინი რუსული „გრივენკადან“ მომდინარეობს, რომელიც სავაჭრო ურთიერთობების შედეგად გავრცელებულია სპარსეთში, სადაც მიიღო „გირვანქის“ ფორმა და ამ სახით

დამკვიდრდა საქართველოში და ზოგადად მთელ კავკასიაში, შეადგენდა დაახლოებით 409,5 გრამს (იხ. მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, მეტროლოგიურ ერთეულთა სისტემა XIX ს. I ნახევრის საქართველოში ჟაკ ფრანსუა გამბას მასალების მიხედვით, კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, I, 2007, გვ. 340-341).

Mzia Mgaloblishvili

Lela Mikiashvili

Doctor of history, chief scientific researcher, the Department of Modern and Contemporary History, The Ivane Javakhsishvili Institute of History and Ethnology

Jaques Francois Gamba About Leks and Ingilos of Char-Belakani

Summary

One of the most important foreign sources for studying the history of Georgia and its neighboring countries is „Travel in the Caucasus“ by 19th century French traveler and merchant Jaques Francois Gamba (1763-1833). Gamba's data about the social life of Char-Belakani Leks and Ingilos in the first quarter of the 19th century are discussed in the given article. As far as the study of the history of Char-Belakani (Saingilo resp. Kak-Eliseni) - historical north-east part of Kakheti kingdom - is still a matter of topical interest, the material preserved in mentioned French traveler's work in our opinion will be a subject of great interest for those specialists who study the history of the region.

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილე-
ბის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ჰაქსტჰაუზენის ცნობები ოსების შესახებ

აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი* (1792.3.II, ბოეკენდორფი – 1866.31.XII ჰანოვერი) იყო სახალხო სიმღერების შემკრები და აგრარული ურთიერთობების ცნობილი მკვლევარი. 1808 წლიდან შეისწავლიდა გეოლოგიასა და მინერალოგიას ქ.კლაუსტალში. 1811 წლის აგვისტოში ბოეკენდორფში გაიცნო ვილჰელმ გრიმი. შემდგომი წლის მიმართა წერა ძმებ გრიმებთან მოწმობს ჰაქსტჰაუზენის, მისი და-ძმებისა და ბიძაშვილების ცხოველ თანადგომას გრიმების ზღაპრების შეგროვებაში. ჰაქსტჰაუზენს ინტერესი უფრო მეტად ლეგენდებისადმი ჰქონდა**. 1813 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო გვიანი შემოდგომის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჰოლშტინიაში. 1815 წლის ზამთრის სემესტრიდან სწავლა გააგრძელა გიოტინგენში, ოლონდ ამჯობინა სამართალმცოდნეობა...

იგი იცვამდა ძველგერმანულ მოდაზე; ტანსაცმელს იკერავდა ლუდვიგ ემილ გრიმის ნახატების მიხედვით... რომანტიული სამეგობროს მიერ გამოცემულ ჟურნალში – „ჯადოსნური კვერთხი“ (Wünschelruthe – 1818 წლის იანვარ-ივლისი) ჰაქსტჰაუზენმა ბოეკენდორფის საარქივო აქტებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა „ალჟირელი მონის ისტორია“, რომელიც საფუძვლად დაედო ა. ფონ დროსტეს ნოველას – „ებრაული წიგნი“.

ჯერ კიდევ ადრე (ალტაცებულმა „ბიჭის ჯადოსნური საყვირით“) დაიწყო ხალხური სიმღერების შეგროვება. მან უპირატესობა მიანიჭა მელოდიებს, ასევე მოისურვა მის დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი ხალხური სიმღერების გამოქვეყნება. ძმებმა გრიმებმა კი აღუთქვეს ისტორიული გამოკვლევა. ჰაქსტჰაუზენმა შეიტყო, რომ მსგავს შრომას ამზადებდა ა.კრეჩმერი (Kretzschmer), მაგრამ ამაოდ შესთავაზა თანამშრომლობა. მისი შემდგომი მცდელობა გამოქვეყნებისა ჩაშალეს კარლ სიმროკმა თუ ჰოფმანმა ფალერსლებენიდან.

* სრული სახელია – აუგუსტ ფრანც ლუდვიგ მარია, ფონ (ბარონი).

** ამის მაგალითია მისი შრომის XI თავი და სხვადასხვა თავებში გაბნეული გამოცემები – გ.გ. [1].

ამდენად მის სიცოცხლეში ანონიმურად გამოქვეყნდა „სასულიერო ხალხური სიმღერები“ 1850 წელს. 1879 წელს ა.რაიფერშაიდმა ჰაქსტჰაუზენის დანატოვარის მიხედვით გამოსცა „ვესტფალური ხალხური სიმღერები“. მისი კოლექციის უდიდესი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა.

1819 წელს ბოეკენდორფში ჰაქსტჰაუზენი შეუდგა მამისეული ქონების მართვას. მის ინტერესს ამიერიდან წარმოადგენდა კონსტიტუციური სამართლის, განსაკუთრებით აგრარული ისტორიის კვლევა, რაც დაუკავშირა ხალხთმცოდნეობის (ეთნოლოგიის) შესწავლას. 1820 წლიდან პაულ ვიგანდთან ერთად დააარსა „ვესტფალიის ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის არქივი“.

1830-37 წლებში ტახტის მემკვიდრის ფრიდრიხ ვილჰელმის დავალებით ჰაქსტჰაუზენმა მოიარა პრუსიული პროვინციები, რათა გამოეკვლია აგრარული წყობა მთელ სახალხო ცხოვრებასთან (ყოფასთან) კავშირში და მონოგრაფიულად წარმოედგინა სოფლის (აგრარული) ისტორია. ჰაქსტჰაუზენმა მოასწრო აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიის შესწავლა, რასაც უძღვნა სპეციალური ნაშრომი – „სასოფლო წყობა აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიაში (= სასოფლო წყობა პრუსიის მონარქიის ცალკეულ პროვინციებში) I, 1839. ამ კვლევისას ჰაქსტჰაუზენმა ნახა, რომ გერმანიაში მცხოვრები სლავური ხალხები თავისი ცხოვრების წესითა და წყობით განსხვავდებოდნენ გერმანულისგან.

ამიტომ გადაწყვიტა რუსეთს გამგზავრება, რომ შეესწავლა „სლავური ტომების აკვანი“. 1842 წელს რუსეთის მთავრობას სთხოვეს, დაერთოთ მისთვის რუსეთში შესვლის ნება. ნიკოლოზ I-მა არათუ თანხმობა, 1500 მანეთიც კი გაუჩინა ჯამაგირად. 1843 წლის გაზაფხულზე ჰაქსტჰაუზენი უკვე პეტერბურგშია. მას გააცნეს საბუთები და ცნობები, რომლებიც ასახავდნენ საბატონო გლეხთა მდგომარეობის ზოგად სურათს და სახელმწიფო გლეხთა უფლებებს. მათი წინასწარ გაცნობის შემდეგ ექვსი თვის ვადა მიეცა სამოგზაუროდ. მისი მოგზაურობის განაპირა პუნქტები იყო: აღმოსავლეთში სარატოვი, სამხრეთში ერევანი, სამხრეთ-დასავლეთში ოდესა და კიევი. იგი 1843 წლის 28 აპრილს გაემგზავრა პეტერბურგადან და დაბრუნდა 28 ოქტომბერს. 1844 წელს უკვე გერმანიაშია, სადაც 1847 წელს გამოსცა ორტომეული – „გამოკვლევები რუსეთის ხალხთა ცხოვრების საშინაო მდგომარეობის და განსაკუთრებით სასოფლო მოწყობის (დანესებულებათა) შესახებ“, მესამე ტომი კი ბერლინში გამოიცა ფრანგულად 1852 წელს. ამ ნაშრომში დახასიათებულია რუსული თემი („მირ“-ი), მისი პატრიარქალური ხასიათით, რასაც ის ძველ სლავურ სასოფლო საზოგადოებად თვლის. რუსულ თემში ის ხედავდა ბატონყმობის განმტკიცების საფუძველს,

სოფლის მცხოვრებთა დაცვას გაპროლეტარებისგან. ბატონყმობის გაუქმებას ის უყურებდა როგორც თანდათანობით პროცესს, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ შეზღუდვებით, ყმასა და ბატონს შორის ურთიერთობის მონესრიგებით. ამავე დროს რუსეთში მას დაეუფლა აზრი რუსული ორთოდოქსული და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების. (ამ აზრის დასაბუთებას შემდგომში მრავალჯერ ცდილობდა - გ.გ.). ჰაქსტჰაუზენის დასკვნებს აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი. გერცენი და ჩერნიშევსკი მას უწოდებდნენ იეზუიტსა და პატრიარქალურ ბარონს, მონარქისტს, რომელიც ამართლებდა ნიკოლოზის დესპოტიზმს. მაგრამ ფაქტია, რომ ჰაქსტჰაუზენის ნაშრომის შემდეგ დაიწყო რუსულ ლიტერატურაში მსჯელობა გლეხთა საკითხებზე.

გარდა აგრარულ ურთიერთობათა კვლევა-მიმოხილვისა, ჰაქსტჰაუზენმა დაგვიტოვა აგრეთვე სამოგზაურო აღწერილობანი. კერძოდ, 1856 წელს ლაიფციგში გამოაქვეყნა ორნაწილიანი წიგნი - „ამიერკავკასია. შენიშვნები შავ და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრები ზოგიერთი ხალხების ოჯახური და თემური (საზოგადოებრივი) ცხოვრების, ასევე სოციალურ ურთიერთობათა შესახებ“ (Transkaukasien. Andeutungen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meere).

ამ ორტომეულიდან საქართველოს შესახებ მასალა მოცემულია პირველი წიგნის I-V თავებში, ასევე ნაწილობრივ მეორე წიგნის XII-XIII თავებში და ზოგიერთ დამატებაში. მოგზაური საქართველოში იმყოფებოდა 1843 წლის 3 აგვისტოდან 22 აგვისტომდე და 30 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე. ჰაქსტჰაუზენის ცნობები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი ეხებიან ცხოვრების ყოველ მხარეს. იგი ახასიათებს მოსახლეობას (ეროვნებებს), მათ საცხოვრებლის ტიპებს, სოციალურ ფენებს. გადმოგვცემს საამქრო წყობის სურათს, რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას, გვაცნობს ისტორიულ პიროვნებებს. იგი არ კმაყოფილდება ფაქტების უბრალო გადმოცემით; გვთავაზობს თავის დასკვნებს და სურვილებსაც გამოთქვამს. ესენი, მართალია, ყოველთვის არაა გასაზიარებელი, მაგრამ ნაშრომის ღირებულებას არ ამცირებენ. ჰაქსტჰაუზენის ცნობათა სანდოობა შეგვიძლია გადავამოწმოთ იმავე პერიოდის გერმანელთა მონაცემებით, როგორებიც იყვნენ **მორიც ვაგნერი**, ან **მორიც კოცებუ**, რომლებსაც ის შეხვდა საქართველოში და რომლებმაც ასევე ვრცელი აღწერილობები დაგვიტოვეს საქართველოს შესახებ.

ჰაქსტჰაუზენის ცნობები საინტერესოა როგორც ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფებისთვის, ასევე ბუნებისმეტყველთათვის.

ჩვენ ვთარგმნეთ ჰაქსტჰაუზენის ცნობები საქართველოს შესახებ და ვაპირებთ ახლო მომავალში მათ გამოცემას.

ამჯერად ჩვენ მოგანვდით ჰაქსტჰაუზენის იმ ცნობათა თარგმანს, რაც ეხება ოსებს, მათი ცხოვრებისა და ურთიერთობების, მათი ტრადიციების აღწერას. ეს ცნობები დაცულია ნაშრომის XII თავში. საინტერესოა ის მეთოდი, რომლითაც ჰაქსტჰაუზენი იკვლევს ამა თუ იმ ხალხის ყოფას. ამის გასარკვევად ჩვენ დავესესებთ თვით ავტორს: „როცა მსურს მოვინახულო ესა თუ ის ქვეყანა, მე მას წინასწარ არ შევისწავლი. არ მინდა ჩემზე გავლენა მოახდინოს უცხო აზრებმა და შეხედულებებმა, რათა წინასწარ შეგონებულმა არ შევხედო საგნებსა და მოვლენებს. ამას აქვს თავისი კარგი და უარყოფითი მხარეც! მე ვუყურებ მოვლენებს მიუკერძოებლად, დარწმუნებით; ჩემი ხედვები არის სუბიექტურად განსაკუთრებული და ჭეშმარიტი. მაგრამ ალბათ ბევრი რამ მრჩება უნახავი და გამოუკვლევი; აგრეთვე ჩემს მიერ წარმოდგენილს აკლია კრიტიკა და სრულყოფილება. სახლში დაბრუნებისთანავე ვიწერ ყველაფერს, სანამ შთაბეჭდილება და აზრები ცოცხალია. მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ ქვეყნისა და ხალხის შესწავლას და ვკითხულობ, რაც სხვებს უნახავთ, უკვლევიათ, შეუგროვებიათ. ჩემს ხელნაწერებს შეძლებისდაგვარად ვუმატებ საჭირო შენიშვნებსა და ამონარიდებს, თუკი დრო მყოფნის“ [2].

„ასე მოვიქეცი ოსების შესახებ წინამდებარე ნარკვევის ნარმოდგენისას. ის ისე დავწერე, რომ არაფერი წამეკითხა ამ ხალხის შესახებ. ეს ნარკვევი ასეთივე სახით გამოქვეყნდა ინგლისში. მას მერე შევისწავლე კავკასიის მხარე, მისი მოსახლეობა და კერძოდ ოსები... ბოლოს ხელში ჩამივარდა დიუბუა დე მონპერეს დიდი ნაშრომი კავკასიის შესახებ... ამ წიგნის მეორე ტომის 32-34 თავებში ვნახე ნარკვევი ოსების შესახებ... ბევრი რამ ჩემს გამოკვლევებსა და დაკვირვებებს ადასტურებდა და ავსებდა... ზოგიც ჩემს მონაცემებს აშკარად ეწინააღმდეგებოდა.“ ამას ჰაქსტჰაუზენი ხსნის ორივე მოგზაურის ოსებთან ყოფნის მოკლე ვადით, კრიტიკული კვლევისათვის დროის სიმცირისა და წყართა სხვადასხვაობის გამო, რადგან დიუბუამ უმეტესწილად ჩრდილოელი ოსები მოინახულა, ამან კი „სამხრეთელი, ან ტრანსკავკასიელი ოსები“. (42-43 გვ.)

დიუბუას ცნობების თარგმანს, რაც ჰაქსტჰაუზენს დართული აქვს თავისი ნაშრომისთვის, ჩვენ მოვიტანთ სქოლიოებში ჰაქსტჰაუზენის ცნობებთან შესადარებლად [3].

ტფილისში ჩასვლა. — დრ. საბალოვთან ერთად ოსებისკენ გამგზავრება. — ახალგაზრდა თავადი ერისთავი. — ერისთავის საგვარეულო. ერისთავმა დაიმსახურა თავისი მსახურის შურისძიება (სისხლის აღება). — ოსური სოფლებისა და კარმიდამოების განლაგება და შენების წესი. — საშინაო წყობა; ავეჯი, ჭურჭელი. — ლული. — სუფრული სიმღერა. — სახნავი იარაღი. — ეკლესიის ნანგრევები, მისი ფარული განძი. — სოფელი ინარიშ-უბანი(?). — გამასპინძლება. — გერმანულ ყოფასთან მსგავსება. — ვახშამი. სუფი და ხაჭომცხვარი. — ოსების სახელწოდება, გადასახლება, ისტორია. — მათი ქრისტიანობა, წმინდა ჭალა, მსხვერპლშენიერვა. — ელია წინასწარმეტყველის გამოქვაბული, ოსური ლიტანია, ცრუმორწმუნეობა. — წინაპართა საფლავები. — საქორწილო ტრადიციები. — მონოგამია. — ქალთა მდგომარეობა (უფლებები). — ექვსწლიანი ვაჟის ქორწინება; ზნობრივი დაცემა. — ქორწინების წესები; მისი მოჩვენებითი გაგრძელება ქმრის გარდაცვალების შემდეგ; ქვრივები, გაყრა. — ქალთა შრომის მოყვარეობა. — კაცთა სრულწლოვანება. — მემკვიდრეობის კანონი. — გვარისა და წარმომავლობის (მოდგმათა) საოჯახო კავშირი. — ხალხის დაყოფა; წარჩინებულები, თავისუფალნი, მონები. — სისხლის აღების ცალკეული შემთხვევები; სამედიცინო სასამართლო სასჯელი; ჭრილობის გაზომვა ქერის მარცვლით. — ძროხა ფულის ერთეული. — მეთვრამეტედის სისტემა. — ღვთის სამსჯავრო. — ჩემი და შენის (საკუთრების — გ.გ.) განსჯა. — სტუმართმოყვარეობა. — მინათმოქმედება. — მესაქონლეობა. — ხალხის გარეგნობა, აღნაგობა. — მსგავსება გერმანელებთან. — კვება. — ჩაცმულობა. — მოხუცთა და წინაპართა ღრმა პატივისცემა. — საურთიერთობო ენა. — სახმო აპარატის მსგავსება ჩრდილო გერმანულთან. — ოსური სიმღერა. — ცდა, გამოინახოს კავშირი გერმანელებთან, უფრო უკეთ გოთურ მიგრაციასთან. — ოსური და ქართული ზღაპრები. — დამატება: კავკასიის შესახებ დიუბუა დე მონპერეს ნაშრომიდან შესადარებლად ნაწყვეტის მოტანა ოსების შესახებ.

29 აგვისტოს წამოვედი ერევნიდან და 30-ში ვიყავი ტფილისში. მაშინვე მოვემზადე პატარა ექსკურსიისთვის ოსებისკენ წასასვლელად. მმართველმა გენერალმა გამატანა სათანადო ბრძანებები ოსების მეზობლად მყოფ რუს მოხელეებთან, რათა დავეცავით და დამხმარებოდნენ. ჩემთვის მთავარი იყო ის, რომ ვნახე თანამგზავრი, რომელიც დიდად გამომადგა; ეს იყო ადრე ნახსენები დრ. საბა-

* ალბათ, ნაიდპარდტი იგულისხმება — გ.გ. [4].

ლოვი ტფილისიდან. დაბადებით იყო კათოლიკე სომეხი, უსწავლია ლაიფციგში, ლაპარაკობდა საუკეთესო გერმანულით, იყო განათლებული და ჩემი კვლევით დაინტერესებული. მას იცნობდნენ ოსებში, უყვარდათ და პატივს სცემდნენ როგორც ექიმს. მან იცოდა ცოტა ოსური და ახლდა ოსი მსახური იმ სოფლიდან, რომელიც ჩვენ მოგვიანებით მოვიწახლეთ.

1 სექტემბერს ძალიან ადრე ჩვენ ოთხნი — დრ. საბალოვი, პეტერ ნოი, ოსი და მე ჩავსხედით ჩემი გერმანელი კოლონისტის ეტლში, რომლითაც ადრე კახეთში გახლდით, და გაუფდექით რუსულ სამხედრო გზას, კავკასიონზე გადამავალს. 10 საათისთვის მივედით დუშეთში; ესაა მნიშვნელოვანი სამხედრო პოსტი სამხედრო ჰოსპიტალით და ა.შ. აქ ჩვენ წარუდგექით მხარის მმართველს, რომელმაც გაგვაცოლა თავისი თანაშემწე, ახალგაზრდა თავადი ერისთავი. იგი საკმაოდ კარგად იყო გარკვეული ოსების ურთიერთობებში და ჩემს კითხვებზე სავსებით ამომწურავად მპასუხობდა. თავისი გვარის შესახებ მიაჩნო, რომ ძველთაგან საქართველოში იყო დამკვიდრებული, მიუხედავად იმისა, რომ დასაბამიდან ჩერქეზეთიდან გადმოსულან. სახელწოდება ერისთავი საერთოდ არის ქართული სამოხელეო ტიტული და ნიშნავს „ხალხის მეთაურს (თავს)“. ქართველმა მეფეებმა ოსების ერთი ნაწილი აიძულეს ეცნოთ მათი ბატონობა და დაუმორჩილეს ერისთავებს და მაჩაბლებს (Madjebellos).

ოსთა ერთი პატარა ნაწილი გადაეცა აგრეთვე თავად ყაზბეგს. მაგრამ მფლობელობა ძალიან სუსტი იყო, რადგან ოსები მანამ ემორჩილებოდნენ, სანამ სურდათ და სამსახურსა და გადასახადებს მხოლოდ მაშინ იხდიდნენ, როცა შიში აიძულებდათ. რუსული მფლობელობისას ცოტა მეტი წესრიგი დამყარდა მორჩილების თვალსაზრისით. იქ, სადაც რუსი ჯარისკაცები ან კაზაკები გამოჩნდებოდნენ, ოსური სოფლები იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს, რაც თითო კომლზე შეადგენდა 2 კოდ ხორბალს, 1 კოდ ქერს, ხოლო პოლიციის, ფოსტის, ხიდის და ა.შ. — 8 აბაზს (= 1 მან. და 60 კაბ.). სოფლები მთელი ამ ოდენობისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს. მაგრამ ქვეყნის შიგნით, უგზო მთებში, ე.წ. სახაზინო გლეხები სი-

* ქართული ქრონიკების მიხედვით იმპერატორმა იუსტინიანემ (მან 574 წელს პირველი ბაგრატიდი გვარამი დასვა ქართლის ტახტზე) ოსი — სახელად როსტომი დაადგინა ქსნის ერისთავად; სახელდობრ, მისცა ქსანზე მდებარე 39 სოფელი, რადგან მაშინ საქართველო და ოსების ეს მხარე (სამხრეთით მცხოვრები ოსები) ემორჩილებოდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიას. იუსტინიანემ მას უბოძა საკუთარი ღერბი და მრავალი პატივი. სამოხელეო ტიტული შემდგომ იქცა გვარად. ერისთავის გვარი ქართველ წარჩინებულთა შორის ძალიან გავრცელებულია. ყველა ისინი წარმომდგარია ადრეული მსგავსი სამოხელეო ტიტულებიდან. [5].

ნამდვილეში არაფერს იხდიან. ხანდახან სოფლიდან მიჰყავდათ ცხვარი რუსული ბატონობის ალიარების მიზნით, რათა შემთხვევით მტრულად არ მოქცეოდნენ. ერისთავის ოჯახი ნაწილობრივ ოსებში ცხოვრობს (სახელდობრ, მისი ნათესავები), სადაც უყვართ, ცოტაც ეშინიათ. მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის წინ მოკლეს ოსებმა ერთი ერისთავი. კერძოდ, ამ ერისთავს ჰყავდა ოსი მსახური, რომლის ძმა ცნობილი და საშიში ყაჩაღი იყო. ერთხელ ეს ერისთავი შეეყარა ამ ყაჩაღს და ისე მოკლა, რომ ამ უკანასკნელს მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მსახურმა მაშინვე მიატოვა ბატონი და თავისიანებს (ოსებს) განუმარტა, რომ ბატონს ნება ჰქონდა ჩამოეხრჩო ან მოეკვლევინებინა მისი ძმა როგორც ყაჩაღი, მაგრამ ეს მან ჩაიდინა საკუთარი ხელით, ყოველგვარი თავდასხმის გარეშე და მოითხოვა სისხლი! ამის შემდეგ მან უხელთა ერისთავს და მოკლა; შემდეგ ჩერქეზებთან გაიქცა, რომლებმაც ის დააბრუნეს; იგი დასაჯეს.

დღეშეთიდან კაზაკთა კარგი ცხენებით გავემართეთ ხუთნი (დრ.საბალოვი, ერისთავი, პეტერ ნოი, ოსი და მე) უგზოო, მაგრამ რომანტიულად მშვენიერი ტყიანი მთით. ჩვენ გავიარეთ სოფლები, რომლის მოსახლეობას შეადგენდნენ როგორც ქართველები, ისე ოსები. სახლების მშენებლობის განსხვავებული ტიპი გვამცნობდა მოსახლეობის სხვაობას. შემდეგ შემოგვხვდა ოსური სოფლები, რომლებიც მთების კალთებზე მდებარეობდნენ. რაც უფრო ეშვებით ქართლის ვაკისკენ, მით უფრო დიდია ოსური სოფელი; ზემოთ მთებში პატარაა და შეიცავენ 20-30 კომლს. უფრო მაღლა კი მხოლოდ 5-6 ეზო-კარი ქმნის სოფელს. მთლად მწვერვალზე კი ცალკეული, გარეგნულად ციხის მსგავსი საცხოვრებელი (გალავანშემოვლებული დიდი კოშკი) თუ დგას. შუა ქედებზე პატარა სოფლებს ქმნიან მთლად ერთმანეთზე მიჯრილი სახლები, რომლებიც ამფითეატრისებურად არიან კალთებზე შეფენილი. ყველა გამაგრებულია შუაში ძლიერი კოშკით, ანდა ყოველ ეზოში მთავარი შენობა აღმართულია მაღალ, ქვის უფანჯრო ზეძირკველზე; ან კიდევ მთელ სოფელს ირგვლივ არტყია გალავანი პატარა კოშკით. საკარმიდამოს მთავარი შენობა მიყრდნობილია ფერდზე და შედგება სამი-ოთხი სართულისგან. ქვემოთ არის დიდი დარბაზი, თავლა და საქონლის სადგომი. გარედან კიბეს აყვავართ მეორე სართულზე, მერე მესამე და მეოთხე სართულებზე, რომელთაც წინ ყოველთვის აქვთ პატარა ღია მოედანი, მოთავსებული ქვედა წინგამონეულ სართულზე, ხოლო გვერდით კი პატარა ეზო, რასაც ქმნის ფერდის დახრილობა. ზოგჯერ ყველა სართულზე გაცილებით მაღლა, შუაში აღმართულია მტკიცე ქვის კოშკი. ქვედა მხარეებში ყოველი კარმიდამო შედგება ორსართულიანი შენობისა და ეზოებისგან. ქვედა სართული, ანუ, უფრო უკეთ, ქვემო შენობა წარმოადგენს საქონლის სადგომს

(თავლას). უკანა მხარით ის შეჭრილია მთაში; მის უკანა და გვერდითა კედლების ერთ ნაწილს მთის ქანები შეადგენენ. საკმაოდ ვრცელი ჩაკეტილი ეზო, ამ სადგომთა წინ რომაა, შეიცავს ნაკელის დასაყრელ ადგილს; აქვე აწყვია გუთანი (სახნისი), მარხილი. ურმები აქ არ იციან. აქედან კიბით ავდივართ მეორე ანუ უკანა მინაშენში (ხაზარ), რომელიც ცოტა ღრმადაა შენეული; მისი უკანა მხარე, თუკი ასევე ღრმად არაა მთაში შემჯდარი, ყოველ შემთხვევაში მასშია ამოყვანილი, ისე რომ მხოლოდ მთა ქმნის მის კედელს. ეს უკანასკნელი მეტწილად წარმოადგენს სახლის კედლის ნახევარს. მეორე როგორც სახლის დანარჩენი სამი კედელი. ყველა სახლი ძელურია, ე.ი. ერთმანეთზე დადებული, ოთხივე კუთხეში ერთმანეთში გაყრილი ძელებითაა ნაგები. ამ მეორე სართულს, ანუ მთავარ საცხოვრებელ შენობას ასევე აქვს ეზო, მაგრამ არა წინ, სადაც მხოლოდ ვინრო ფართია, არამედ გვერდით. ამ ეზოში დგანან სხვადასხვა ნაგებობები; ზოგი მოსავლის შესანახია, ზოგიც ცალკე საკნებია სხვადასხვა წყვილთათვის. თითო წყვილს, რომელთა რიცხვი ხანდახან 6-ია და ერთ ეზოში ცხოვრობენ, საკუთარი ოთახი გააჩნია. ყოველი ასეთი ოთახი ნესტისგან რომ იქნას დაცული, დგას მიწიდან 4-6 ფუტი სიმაღლის ოთხ საყრდენზე. არცერთ ნაგებობას არ აქვს სახურავი; ყველანი გადახურულია ძელებით, რაც ზემოდან კორდითაა გადაფარული. მთავარ შენობას ძირითადი შესასვლელი კარი აქვს წინიდან, ხოლო გვერდით ყოველთვის დატანებულია ეზოში გამავალი კარები. ყველა კარი, რომლებიც კი აქაურ სოფლებში ვნახე, ერთი და იგივე ფორმისაა და აქვთ საკმაოდ ოსტატურად ნახელავი ხის საკეტი (ურდული). მთავარი შენობის წყობა ყველგან ერთნაირი რიღია: გარედან შედიხარ ჯერ ერთგვარ ღია დარბაზში; აქვეა გვერდით კალო, სადაც ხარები მარცვალს თელავენ, ოღონდ ისე კი არა, როგორც ქართველებთანაა მიღებული - საღენით. ოსებს რომ კალო სახლში აქვთ, ერთგვარად გერმანულს გვაგონებს. სხვა კავკასიელ ხალხებთან კალო მხოლოდ თავისუფალ ადგილას ვნახე სოფლებში და მათ გარეთ. დარბაზიდან შედიხარ ჩვეულებრივ საცხოვრებელში (გოზარ). ესაა დიდი სათავსი, რომელსაც ზემოთ აქვს ერთგვარი ხის საკვამური ოთხკუთხა ღია ჭრილით გამავალი სახურავში. ამ ჭრილის ქვეშ, ორ დიდ ქვას (კონა) შორის სწორ მინაზე მოთავსებულია

* დრ.საბალოვის ოსი მსახური იყო გვარიდან, რომელიც აერთიანებდა 45 სულს; ისინი ცხოვრობდნენ კომლად და ჰქონდათ საერთო ქონება. მათ მე-თაურობდა ჯერაც ცოცხალი დიდებულნი...

კერია* (არსისტ), რომელზეც ზემოთ გადებული ძელიდან (ვალარ დიგატტა) ჩამოშვებულ რკინის კაუჭზე (რახის) მუდმივად ჰკიდია ქვაბი. (მთლად ისეთივე ფორმის, როგორც ვესტფალიისა და ქვემო საქსონიის გლეხთა სახლებში). საცხოვრებლის ორივე მხარეს მოთავსებულია მენველი საქონლის სადგომები (სკატს), რომელიც დასახლისს შეუძლია დაინახოს კერიადან, როგორც ვესტფალიაში ფანჯრები არსადაა, მხოლოდ პატარა ოთხკუთხა ჭრილებია. კერია ასთან ზემოთ ყოველთვის დგას ოჯახის უფროსის ხის სავარძელი (ვოლატკირ). ამ სავარძელს აქვს ან სამი ფეხი და ლამაზად მოჩუქურთმებული ხის მომრგვალებული ზურგი (კალატკინ), ანდა ოთხი ფეხი, განივი საყრდენებით შეკრული საზურგე და სახელურები. სახლში ასევე დგას დაახლოებით 5 ფუტი სიგრძის დივანის მსგავსი მერხი საზურგეთი და სახელურებით (დარსბანდონ), დამზადებული მშვენიერი მოჩუქურთმებული ხისგან. კედლებთან დგანან უბრალო სკამები (ბანდონ), ყველა სამფეხა, რომლებიც კერიასთან პაპის სავარძელთანაა მიწყობილი და მხოლოდ კაცებისთვისაა განკუთვნილი. ქალები, თვით დიასახლისიც კი მეტწილად მიწაზე სხდებიან, ოსი ფეხმორთხებით არასდროს ჯდება აღმოსავლელების მსგავსად, არამედ ჩამოშვებული ფეხებით მხოლოდ სკამებზე, მერხზე, კუნძზე და ა.შ. შემხვდა აგრეთვე ხის სამფეხები, როგორსაც ვესტფალიელი ქალიშვილები ხმარობენ წველისას. იდგა ასევე დაბალი სამფეხა (ფიონა) მაგიდები (კახკინ), როგორიც სხვა კავკასიელებთან არ მიიწახავს, მათთან ჭამის დროსაც მხოლოდ ნოხს აგებენ. კერიაზე იდო რკინის საცეცხლე ნიჩაბი [აქანდაზი - გ.გ.] (ასლან) და მაშა (არცისკან). შამფურს ჰქონდა ოთხი გრძელი წვერი, რომელსაც ატრიალებდნენ სამფეხა საყრდენზე. ერთ მხარეს სკამზე იდგა ამოფულრული ხის ტანისგან დამზადებული გობი (არინგ), ისეთი, ჩრდილო გერმანელ გლეხებს რომ აქვთ; შემდეგ იდგა კარაქის სადღვეები კასრი, ასევე ჩრდილო გერმანულის ნაირი. კარაქის დასამზადებლად მას ათავსებენ დაკიდულად მოქანავე ხეზე და იმდენ ხანს არხევენ, სანამ კარაქი არ დამზადდება. ნალებისგან (შმანდ) რწევით და ქნევით დამზადებული კარაქი სხვა კავკასიელმა ხალხებმა არ იციან; ასევე რუსებმაც, რომელთა კარაქი წარმოადგენს მხოლოდ ნალებიდან გამოსხილ (ამოდულეზულ) ქონს. პატარა ბავშვებისთვის განკუთვნილ ადგილას ვნახე აკვანი, განსხვავებული სხვა კავკასიურისგან და ევროპულს მიახლოებული. მთლად ევროპულად გამოიყურება ოსების ხის საწოლები, რომლებშიც ქვეშაგები, ბუმბულის ლეიბი (ბალიში) და ნოხები ევროპულად აგია. ეს საწოლები ხშირად კედლის შეღრმავებაში დგანან. უბრალო რუსებმაც აღარ იციან საწოლები; ისინი წვებიან ლუმელებზე, მერხებზე, მიწაზე, რომელზეც აგებენ ქვეშაგებს და საბნებს. თვით შიდა რუსეთშიც კი შეძლებულთა სახლებში არ აქვთ საწოლები... რამდენიც თვით ვნახე და სხვისგან გავიგე, ოსებს გარდა, არცერთი კავკასიელი ხალხი ასეთ საწოლს არ ხმარობს. კედელზე კერიის გვერდით მიმაგრებული იყო თაროები, რომლებზეც იდგა ყოველგვარი სამზარეულო ჭურჭელი სპილენძის, რკინის, ხის, მინის, თუ ტფილისში ნაყიდი ფაიფურისა*. ყოველივე სუფთად დარეცხილი (ბზინავდა), რაც მაჩვენებელია დიასახლისის ფუსფუსის; მთლად როგორც გერმანიაში! ოსები ლუდს გერმანელეზებით ხდიან ქერისგან და უწოდებენ ასევე „ბირ“-ს. სხვა კავკასიელებმა თითქმის არ იციან ლუდი. ასევე ველიკორუსებსაც აქვთ მხოლოდ კვასი (ბურახი), ლუდისგან განსხვავებული სასმელი. სასმისად იყენებენ ყანნებს, როგორებიც ქართველებთან ვნახე. ჩემდა გასაოცრად, ისინი ხმარობენ მშვენიერ ხის ლუდის კათხებს (ასეთები ყველგან აქვთ ჩვენ ჩრდილო გერმანელ გლეხებს). აქვთ აგრეთვე სადღესასწაულო ლუდის ხის ბოკალები, როგორსაც ძველთაგანვე ხმარობენ გერმანიაში. ქეიფის ჩვევებიც გერმანული ხასიათისაა. ლუდის სასმისი ხელახლა შევსებული ჩამოივლის წრეში - მეზობელს გადასცემს მეზობელს მას შემდეგ, რაც შესვამს და ეტყვის: „დაზარანბონ დანაზა“, ე.ი. „თქვენი დღეგრძელობისას შევესვამ“. როცა ერთი სვამს, სხვები მღერიან ძველ სუფრულ სიმღერას და უკრავენ ტაშს, სანამ მსმელი თავის სასმისს დაცლიდეს:

* თერგის ხეობის ოსურ სოფლებში ასევე აქვთ ამოშენებული კერია (= ბუხარი - გ.გ.)

ბანას! ნა კუხტა ფურესტი, (თარგმანი) დალიე! ხელები მტკივა,
 დენოასონ ფამესტი, გადმოდის სასმისიდან (ყანნიდან!)
 ბანას! ბანას! ბანას! ... დალიე! დალიე! დალიე! და ა.შ.

სამინათმოქმედო იარაღიდან ჩემი ყურადღება მიიქცია გუთან-მა (სიბირ), რომელიც სულ სხვაგვარადაა ნაკეთები ვიდრე სხვა კავკასიელი ხალხებისა. იგი წააგავს მეკლენბურგულ სახვნელს (კავს). აქ შემხვდა ასევე ჩვენებური გერმანული ფოცხიცი; ესეც არ აქვთ სხვა კავკასიელებს (? - გ.გ.).

მე ცოტა დრო მქონდა, რომ ოსური კარმიდამოს გარეგანი სახე, ანდა მთელი ოსური სოფელი ჩამეხატა. ჩემი თანამგზავრი თავადი პაულ ლივენი კი, რომელიც ვლადიკავკაზზე გავლით ქერჩში შემომიერთდა, მოგვიანებით იყო ჩრდილოეთის ოსების ბევრ სოფელში და საკმაოდ ღრმად მათ ქვეყანაში, ნაწილობრივ თერგის ხეობაში

* დიუბუა წერს: სუფრასთან ხმარობენ ხის ან რკინისგან თავისი ხელით დამზადებულ დანებს, ჩანგლებს და თეფშებს.

(მე მხოლოდ განაპირები მოვინახულე) და წამომიღო დამახასიათებელი ჩანახატები ცალკეული პუნქტებისა და კარმიდამოების. მათზე ჩანან შუა საუკუნეების კოშკები და ციხეები, რომლებიც ოსი ხალხის ძალასა და სარაინდო ხანაზე უნდა მიუთითებდეს, რომელთა შესახებაც ამჟამად ისტორია დუმს.

უმაღლესი მთების მხარეში კარმიდამოები ახლაც წარმოადგენენ ნამდვილ ციხეებს. სამხრეთის ხეობებში სახლებს ხისას აშენებენ, მთაში ქვისას. მათ გარს არტყია გალავანი; შუაში აღმართულია კოშკის მსგავსი სამ სართულიანი შენობა. ქვედა სართულზე საქონელია თავშეფარებული; შუაში, რომელზეც ასვლა გარედან კიბით შეიძლება, ცხოვრობს ოჯახი. ზედა სართულზე კი ინახება მთელი სურსათ-სანოვაგე. [კოშკის] ნევრზე ყოველთვის დგას დარაჯი მზვერავი, რომელიც ყოველი უცხოის შესახებ, მტერია თუ მოყვარე, ატყობინებს. ამ შენობის კედლები არაჩვეულებრივ მტკიცეა და ერთმანეთში შეკავშირებული კირისა და ხსნარის გარეშე. ეზოში კიდევ რამდენიმე შენობა დგას; ამათგან ერთი ყოველთვის სტუმრებისთვისაა.

მას შემდეგ რაც გავიარეთ რამდენიმე სოფელი და ვნახეთ კარმიდამოები, ავედით მაღალ შიშველ მთაზე, რომელსაც უნაგირის ფორმა აქვს. ამ მთის მაღალ შევრილზე იყო მონასტრისა და ერთი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები. ესენი ამჟამადაც წარმოადგენენ ძალზე განთქმულ მოსალოც ადგილს ყველა ქრისტიანი ოსისთვის. ეკლესია, რომელიც წმინდა სამების სახელობისაა, ერთერთი ფრონტონის მხარეს ღიაა,

სახურავი დამწვარია, ხოლო თაღები კარგადაა შემონახული; შიგნით მოუხატავია და არავითარი მორთულობა არ გააჩნია. საიდუმლო გზა, რომლის შესასვლელიც საკურთხევლის გვერდით ნათ-

* ოსეთში საკმაოაა ქვის ეკლესიები გაბნეული, ოღონდ მეტწილად ნანგრევებია. თითქმის ყველა განმარტოებით დგას. თვით სოფლებში არსად გვხვდებიან. მათი შენება მიენერება თამარ მეფეს, რომელსაც ოსებში ქრისტიანობა უნდა შეეტანა 1171-1198 წლებს შორის [6]. ქრისტიანი მღვდლები მხოლოდ საქართველოს საზღვრებთან გვხვდება, ხოლო დაბადებით ქრისტიანი ოსი მღვდლები არ არსებობენ. აღნიშნულ ნანგრევებს ხალხი ყველგან დიდ პატივს სცემს (მიდიან მოსალოცად), ასევე ყველა გამველ-გამომვლელი. ამ ძველ ეკლესიებს ოსები ეძახიან „ჭუარ“-ს, რაც ქართულ ჯვარს ნიშნავს. ხელით პირჯვრის გამოსახვა, რაც სლავებთან ასე მნიშვნელოვანი ლოცვის წესია, ოსებმა არ იციან (ეს ქართველებსა და სომხებთანაც იშვიათია). ოსები ხანდახან გამოსახავენ პირჯვარს წარმართული ცერემონიებისას. როცა ისინი ახალ მთვარეს ხედავენ, ხანჯლით ჰეარში ჯვარს მოხაზავენ. ვარდნილ ვარსკვლავს რაღაც წმინდად მიიჩნევენ და უწოდებენ „ჯვარატაქტი“-ს, ე.ი. მფრინავ ჯვარს.

ლად ჩანს, მიდის უცნობ სიღრმეში და ალბათ უცნობ გამოსასვლელზე.

ეკლესიის ირგვლივ ბერებს თავიანთი ქვის პატარა საკნები ჰქონიათ, მაგრამ ყველა ნანგრევებადაა ქცეული. ნადირ-შაჰის შემოსევისას სპარსელებს დაურბევიათ და დაუქცევიათ მონასტერი. მათ ეგონათ, რომ მონასტერსა და ეკლესიაში დიდ განძს ნახავდნენ, მაგრამ მათი შემოჭრისას ყველაფერი გაქრა; ვერავითარმა წამებამ ვერ ათქმევინა სანყალ ბერებს, თუ სად ინახებოდა განძი. 500 ბერი, რომელთაც მაშინ უცხოვრიათ მონასტერში, ყველა დახოცეს. საიდუმლო ალბათ რომელიმე ოსურ საგვარეულოშია დაცული, მაგრამ რუსების ყველა ცდაც დღემდე უშედეგოდ დასრულდა. ფაქტია, რომ სადღესასწაულო დღეს საკურთხეველი მორთულია უძვირფასესი ოქროს და ვერცხლის ჭურჭლით, შანდლებით, ოქრომკედით ნაქარგი ნოხებით, რიზებით (საეკლესიო სამოსით) და ა.შ., ხოლო ღვთისმსახურების შემდეგ ყოველივე უმაღლესო უგზოუკვლოდ ქრება.

უკვე საღამო იყო, როცა ჩვენ ნანგრევებიდან დავეშვიტეთ. გადავწყვიტეთ გაგვეთენებინა მთის ძირას მდებარე სოფელ **ინარიშ-უბანში** (ჯვრის მეზობლობა). ერთ დიდ სახლში მიგვიღეს სტუმართმოყვრულად. სახლის პატრონი გარდაცვლილიყო, ცოლი კი უძლევებოდა მეურნეობას. პატრონს რქმევია ჯულოიფერტი. ჩვენ წარმოგვიდგინეს მისი მთელი წარმომავლობა და გენეალოგია: ის იყო ვაჟი ბედოიფერტის; ეს - ბურიფერტისა; ეს - ჯუყოიფერტისა; ეს თავის მხრივ - ბედოიფერტისა; ეს კი - ტაბოიფერტის. (ოსებთან წარმომავლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ). დაბოლოება **ფერტი** და **ტი** ან **ტო** ოსურად ნიშნავს ძეს ან წარმომავლობას. ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზიდან მარცხნივ ძალზე გავრცელებულია დაბოლოება **მან**: გვხვდება გვარები და სახელები - ასმან, ლემან.

სახელები საერთოდ საოცრად გერმანულად ჟღერენ. სახელი ფრანც-იც კი საკმაოდ ხშირია.

ჩვენ მიგვიყვანეს კერიასთან, სადაც ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა. მე დამითმეს საპატიო ადგილი ოჯახის უფროსის ზემოთ აღწერილ სავარძელში. ცოლი, ქალიშვილები და კიდევ სხვა ქალები დაკავებული იყვნენ საჭმლის მომზადებით. ჩვენს ირგვლივ თანდათან თავი მოიყარეს სოფლის კაცებმა და დავიწყე შეკითხვების მიცემა, რომელზეც სწრაფად გარკვეულ პასუხებს ვიღებდი. ხან ერთი მპასუხობდა, ხან მეორე იმის მიხედვით, თუ ვინ უკეთ იყო ჩახედული ამ საკითხში. არავინ არ ჩანდა მორიდებული.

დრ. საბალოვი თარჯიმნობდა. საერთო სანახაობა იყო გროტესკულ-რომანტიული; აგიზგიზებული ცეცხლი ისე ანათებდა დიდ დარბაზს, რომ სინათლე იძლეოდა საშუალებას მკრთალად შეგვე-

ნიშნა ძელები, კედლის საყრდენები და ყოველი, რაც იქ იდგა. ამას ემატებოდა ჩვენს ირგვლივ მყოფი თავისებური ფიგურები უცხო სამოსში, სხვადასხვა მდგომარეობაში – ზოგი მერხზე ჩამომჯდარი, ზოგი ფეხზე მდგომი, ზოგი კერიასთან მოკალათებული, ზოგიც აქეთ-იქით მოსიარულე; ასევე კერიასთან ბეჯითად დასაქმებული ქალები და უცნაური სიჩუმე; არავითარი ხმაური, გარდა ცეცხლისა, ცეცხლისა და შრიადი, რაც გვაუწყებდა კერძების დამზადებას. მხოლოდ ერთი ლაპარაკობდა, რომელიც მპასუხობდა ჩემს კითხვებზე, დანარჩენები კი ჩუმად ისხდნენ; ამასთან პასუხობდნენ არც ყვირილით, უხეშად, არამედ ნუნარად და ხმადაბლა. მე ყოველივეს გაფაციცებით ვინერდი ფანქრით ჩემს უბის წიგნაკში. ეს მათ არ ეხამუშებოდათ. პირიქით, როცა მე პაუზას ვაკეთებდი, მეკითხებოდნენ, სწორად გავუგე, თუ არა. რაც მე მათგან შევიტყე, პატიოსნად გთავაზობთ. მე არ მეეჭვება მათი სანდოობა, მაგრამ ვერ დავიჩემებ, რომ ისინი მთელი ოსური მოსახლეობისთვის საერთო იყოს.

– ადრეც შეუნიშნავთ მოგზაურებს დიდი მსგავსება ოსებისა და გერმანელების ჩვევებში.

აქ მოტანილი ჩემი ცნობები, ცხადია, ასეთი შეხედულების ქემ-მარიტებაში არცთუ მიუღებელი არ იქნება. ერთი გერმანელი, ბ-ნი შლატერი შევიცარიიდან, წლების მანძილზე ცხოვრობდა ნოლაელთათრებში; მათთან მსახურადაც კი იდგა, რომ ამ თათართა საგვარეულო ცხოვრების უმცირესი დეტალებიც კი შეესწავლა! ეს იყო მართლაც ბრწყინვალე მოგზაური! მისი წიგნი [წინაყვეტები სამხრეთ რუსეთში 1822-1828 წლებში წარმოებული მოგზაურობიდან, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აზოვის ზღვასთან მცხოვრებ ნოლაელთათრებს, სტ.გალენი, 1830] ნამდვილი ნიმუშია ხალხის ისტორიის მონოგრაფიისა. ასევე რომელიმე ახალგაზრდა გერმანელი ორიოდე წლით რომ დასახლდებოდეს ოსებში, უაღრესად საინტერესო შედეგები და დასკვნები გააკეთებოდა თვით გერმანული ისტორიისა და ძველი ისტორიის კვლევაშიც!

როგორც კი ვახშამი მომზადდა, ჩვენ წინ დაგვიდგეს დაბალი მაგიდა, გადააფარეს ცისფერყვავილებიანი სუფრა. პირველად შემოგთავაზეს ხის ჯამში ცხვრის ხორცის წვენი შიგ [ჩაყრილი] ხორცი; დაგვირიგეს ხის კოვზები, სუფრის დანები და მოგვართვას ძალიან გემრიელი ნამცხვარი (ჭალვა), დამზადებული ყველისგან, კარაქისგან, პურის ცომისა და ხახვისგან. (მოგზაური კოხი [7] ასეთ „ყველის ნამცხვარს“, ანდა მის მსგავსს, ადარებს ტიურინგიის გლეხის ოჯახში დამზადებულ საჭმელს). ანათებდა კედელში შერჭობილი ნაძვის კვარი, ჯამში ინვოდა ქონი, რომელშიც ჩაშვებული იყო ფითილი. ნამცხვარი გამოცხვა ნაცარში. ყოველივეს იმდენი საერთო ჰქონდა გერმანულთან, თუ ევროპულთან, რომ დაბადებით კავ-

კასიელ დრ. საბალოვსაც კი, რომელიც ოთხი წელი გერმანიაში იმყოფებოდა, ნამეტნავად მოხვდა თვალში. მაგიდები, ცისფერყვავილიანი სუფრები, ხორცის წვენი, ყველის ნამცხვარი, ხის ჯამები და კოვზები, სუფრის დანები, ქონის სანათი – ყველაფერი ეს სხვა კავკასიელ ხალხებს არ აქვთ!

ოსები თავის თავს უწოდებენ ირ-ს და ირონ-ს, ქვეყანას კი ირონისტენ-ს. ჩერქეზები მათ უწოდებენ კაშპა-ს, თათრები ოს-ს, ასევე ტაული-ს; ლეკები – ოც, ოცე-ს; ქართველები – ოსი და ოვსი-ს; მიცჯეგური ხალხები კი ეძახიან ილჭერი-ს. ოსი ხალხის წარმომავლობის, მიგრაციისა და ისტორიის შესახებ იმ ოსებში, ვინც მე ვნახე, ძალზე მწირი ცნობები მივიღე. მითხრეს, რომ ოსებს ადრე სხვა ადგილსამყოფელი ჰქონდათ; რომ ისინი ჩრდილოეთიდან მთებით გადმოვიდნენ; რომ თავდაპირველად ჩერქეზების ამჟამინდელ ქვეყანაში უცხოვრიათ, ხოლო სხვა ხალხების მონოლის შედეგად დღევანდელ სამოსახლოში (ოსეთში ?-გ-გ.) გადმოვიდნენ. ამ არასანდო და ბნელ გადმოცემას, რა თქმა უნდა, აქვს ისტორიული გამოძახილი. ქართული ანალებიც ამბობენ, რომ ოსები გადმოსახლებულან დონის მიდამოებიდან. ჯერ კიდევ პტოლემეაიოსი იცნობდა დონის შესართავებთან ოსილიებს. მათ უნდა აეშენებინათ აზოვი. ოსურად დონი ნიშნავს წყალს ან მდინარეს; მათი უამრავი მდინარე და ნაკადული ატარებს ამ სახელს: ფანაგი-დონ, კიზელ-დონ, არედონ, ურს-დონ, ბელაგი-დონ, დუგურ-დონ, ხორგსარი-დონ, ჩერეკ-დონ და ა.შ. საინტერესოა, რომ ბიზანტიელები არ იცნობენ ოსების სახელწოდებას: იმ ხალხს, სადაც ყველგან ოსები სახლობენ, ეძახიან ალანი-ს. კონსტანტინე პორფიროგენეტი ალანებს თვლის სვანების მეზობლებად. შეეჭველია, ალანები და ოსები ერთი და იგივე ხალხია. ბერი რუბრუკვისი მე-13 საუკუნეში ალანებს და ასებს ერთი და იგივე ხალხად მიიჩნევდა. ოსებს კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე და ზეგნებზე უნდა ეცხოვრათ დიდ და მცირე ყაბარდოში და საკუთარი მეფეც ჰყოლიათ; მაგრამ ბათო ყაენმა ისინი იქიდან გააძევა მე-14 საუკუნეში [8] და შემოეკედლნენ კავკასიის ქედს. მაგრამ მათ ძველადაც უნდა ეცხოვრათ დღევანდელ მათ სამყოფელში, რადგან ქართული ანალები ოსებს ქართველთა მეზობლებად მიიჩნევენ უკვე ალექსანდრე დიდის დროიდან [9]. ხომ არ ეხმაურება ეს გადმოცემა ოსთა გადმოსახლების შესახებ გერმანელ დამპყრობთა მიგრაციას, რომლებიც უძველეს ოსებთან იყვნენ შერეული. ჩემთან მყოფმა ოსებმა მხოლოდ ერთი ისტორიული გადმოცემა იცოდნენ: ქართველი მეფის ვახტანგ გორგ-ასლანის დროს ოსებს ჰყოლიათ მეფე ბა-

ლათარი*, რომელიც მასთან ომში მცხეთამდე შემოიჭრა, სადაც მტკვარზე ცხენით გასვლისას, ვახტანგმა ისრით განგმირა [10].

ოსთა დიდი ნაწილი ნომინალურად ქრისტიანია და ერთგვარად ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას. ჩერქეზთა საზღვრებთან მცხოვრები დამოუკიდებელი ოსები მაჰმადიანებად თვლიან თავს; მაგრამ არცერთი ამ რელიგიათაგანი ღრმად არაა გამეფდარი. საერთოდ ისინი ნახევრად წარმართები არიან; პატარა ნაწილი კი მართლაც ნომინალურად არც ქრისტიანია, არც მაჰმადიანი**, არამედ ნამდვილი წარმართები. ამათ აქვთ წმინდა ჭალები, სადაც სამსხვერპლოზე პურსა და საკლავს სწირავენ. ვლადიკავკაზისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, ბურსაჭირის მთაზე არის ორი ასეთი ჭალა. მაგრამ ყველაზე განთქმული და წმინდა უნდა იყოს შიდა ოსეთში სოფელ ლამადონის ახლოს მდებარე ჭალა, რომელიც უნდა წარმოსდგებოდეს გამქრალი გვარისგან (შტოსგან) – ნარდს-ისგან. ნარდსები ებრაელები (?) ყოფილან. იქ კლდეში არის წინასწარმეტყველი ელიას გამოქვაბული (ას-ილია-ლეგეტ), რომელიც ოსთა მფარველადაა აღიარებული. მის ირგვლივ სუფევს ღრმა სიმშვიდე; საქონელი მშვიდად ძოვს; არავითარი შფოთი და ბრძოლა, ან ყაჩაღობა არ არღვევს ამ სიმშვიდეს წმინდა ადგილის არემარეში.

გადმოცემის მიხედვით, ერთხელ ერთი წმინდანი დაატყვევეს და უცხო ქვეყანაში გადაიყვანეს. ერთმა არწივმა მალალ მთებზე და

შორეულ ზღვებზე გადმოატარა ის და აქ დასვა. მან თავისი სიცოცხლე უძღვნა გამოქვაბულში წმ. ელიასადმი მსახურებას. ეს სამსახური გადაეცა მის შთამომავლებს. მათგან უფროსი წელიწადში ერთხელ თავისი ხელით მოქსოვილ სამოსში (კაბაში) ადის კლდეზე, შედის გამოქვაბულში, რათა შეასრულოს მისტიკური მსხვერპლშენიწვა. სხვა, ვინც მოისურვებდა კლდეზე ასვლას, ბრმად ედებოდა; ხოლო ვინც გამოქვაბულში შევიდოდა, უმაღლეს კვდებოდა. გამოქვაბული შიგნით თითქოს ზურმუხტისაა; შუაში ქვის სამსხვერპლოა (საკურთხეველი), რომელზეც დგას ლუდით სავსე ოქროს თასი. მასში შესული მღვდელი მომდევნო წლისთვის იღებს წინასწარმეტყველების წყალობას. თუ ლუდი გაქანდება და გადმოვა თასიდან, ეს გულისხმობს მშვიდობასა და კარგ მოსავალს; თუკი ლუდი არ გაინძრევა – ომსა და შიმშილს. მეორე დღეს სოფელ ლამადონში იმართება დიდი ლხინი, რომელზეც თითოეულს მიმდებარე მხარეებიდან წილი შეაქვს და წმ. ელიას მღვდელი წლის მომავალს გამოუცხადებს. ასევე ქრისტიანი ოსებიც მრავალჯერ სწირავენ გამოქვაბულებში და წმინდა ჭალებში უძველეს სამსხვერპლოებზე* და მალალ, ხელოვნურად აღმართულ ქვაყრილებზე**. აქ სწირავენ, როცა სურთ დახმარება, როცა რაიმეს შესრულება უნდათ; ანდა მიაქვთ სამადლობელი, როცა საქმე გამოუდით – უმეტესად ხორცი (საკლავი), თევზი და პური. ელიას გამოქვაბულების წინ, რომლებიც საკმაოდაა ზემოდასახელებული უმთავრესის გარდა, კლავენ თხებს, ხოლო მათ ტყავს ჰკიდებენ მალლა ხეებზე. ნახევრად ქრისტიანი ოსები მკაცრად იცავენ დიდ ქრისტიანულ მარხვებს და ასრულებენ მსხვერპლშენიწვას უმთავრესად აღდგომისას. თუკი ლეგენდას (ებრაული) ნარდების შესახებ ნამდვილი საფუძველი აქვს, მაშინ ეს შენიღვები ებრაულიდან მომდინარე ჩანს, რადგან მისი შესრულების წესი (იკვლება ცხვარი, უხუცესი ლოცვით ირგვლივ ჩამოურიგებს ხორცს, ძვლებს და ტყავს წვავენ და ა.შ.), რა თქმა უნდა, ებრაული ხასიათისაა. აგრეთვე ის, რომ ისინი მეშვიდე დღეს (შაბათს) შაბათეს უწოდებენ და ამ და კვირადღესაც თავსაბურავს არ ატარებენ, ამასთან

* ბოგათარ, ბაგათარ? ციმბირული გადმოცემით ეს ბოგატორები იყვნენ მითური გოლიათები. ასევე თათრებთანაც გვხვდება მითური სახელი ბაპატორი. (იხ. შტუდიები რუსეთის შესახებ; ტ. II, გვ. 254). ფაქტი სავსებით ისტორიულია. ქართველი მოხელეები ამბობენ: ქართლის მეფე ვახტანგმა (446-499) დაამარცხა ოსები და საკუთარი ხელით ორთაბრძოლაში დახოცა მათი ორივე სახელგანთქმული მეთაური ჩალათარი და ბალათარი. დიუბუა (ტ. II, გვ. 362) გვთავაზობს ეკლესიის უაღრესად ყურადსაღებ წარწერას მუცალა-დან (დაბეჭდილი უფრო აზიოტიკ-ში, 1830 წ. ოქტომბერი), რომელიც ადასტურებს ამ ამბავს: „ჩვენ ვიყავით ცხრა ძმა ჩარჯუიძე-ჯარხილანის გვარიდან: ოს-ბალათარი, დავით-სოსლანი (რომლებმაც აწარმოეს ომები ოთხ სახელმწიფოსთან), ფიდაროსი, ჯადაროსი, საკური და გიორგი (რომლებმაც მტერს რისხვი დაატეხეს). სამი ძმა იყო ბერები და ქრისტეს კარგი მსახურები. ჩვენ ვართ ბატონები ვინრო გზებისა, რომლებითაც ოთხი მხრიდან მოდიან. ლასარაში გვაქვს ციხე და საბაჟო და გვიკავია ხიდის თავი. (თუ იქით მხარეს კარგად მოიქცევი, აქეთაც კარგად გაივლი). ოქროს და ვერცხლის მტვერი წყალივით გვაქვს. მე დავიმორჩილე კავკასიის ხალხები და დავიპყარი სამი სამეფო. ჩემი ჩვეულების თანახმად, მოვიტაცე ქართლის მეფის და; მან მე ფიცით მომატყუა და ჩემ ცოდვაში ჩადგა. ბალათარი წყალში ჩააგდეს, ხოლო ოსების ჯარი დახოცეს. ვინც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, დამლოცოს“.

** ოსთა უმცირესი ნაწილია მონათლული. ვინც ღორის ხორცს ჭამს, ქრისტიანებად თვლიან, ვინც არა – მაჰმადიანებად.

* ქართველები და სომხები ჯერაც სწირავენ საქონელს ეკლესიაში. მათმა უმაღლესმა სასულიერო პირებმა ვერ შეძლეს ამის მთლიანად აკრძალვა. როცა წმ. ნინომ, რომელმაც 423 წელს [11] ქართლში ქრისტიანობა შემოიტანა, იქ დახვდა ადამიანთა მსხვერპლშენიწვა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მან ბევრჯერ უშედეგოდ სცადა ყოველგვარი მსხვერპლშენიწვის გაუქმება, მაგრამ მხოლოდ ადამიანთა მსხვერპლშენიწვის შეწყვეტით შემოიფარგლა.

** ეს ცხადად გვახსენებს ე.წ. ქვის წრეებს, გიგანტთა ბეჭდებს – სადაც სამ ან ხუთ ქვაზე ძვეს სამსხვერპლო ქვა, როგორც ეს ჩრდილო გერმანიასა და სკანდინავიაშია.

ამ ორივე დღეს არ ასრულებენ კურთხევას ან ზეიმობენ, მიუთითებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის შერევაზე. აღსანიშნავია, რომ ყოველ დიდ დღესასწაულს განსხვავებული შესანიერი ეკუთვნის. ახალ წელს კლავენ ღორს, აღდგომას – ცხვარს ან ბატკანს, [მთავარანგელოზ] მიხეილობას – ხარს, შობას – თხას. განსაკუთრებით პატივს სცემენ ოთხ წმინდანს – წინასწარმეტყველ ელიას, მთავარანგელოზ მიქაელს, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზს*. მათ აქვე შეიძლება ქრისტიანული კვირა. კვირას უწოდებენ „ხატავიზონ“-ს, ე.ი. ღმერთის დღე. ორშაბათს და პარასკევს ახალი საქმიანობა არ უნდა წამოიწყონ – ცრურწმენა, რომელიც ასევე წშირია ევროპაში.

რამდენადაც გაუგებარია და განუვითარებელი ქრისტიანობა ხალხებში, მით მეტად წარმოჩნდება ცრუმორწმუნეობა. ოსები ძალ-

* ტფილისში მე ვიპოვე კოლ-ის „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში“ (ლაიფციგი, 1841), რომლის I ნაწილში, 292-ე გვერდზე გვანვდის ძალზე საინტერესო ცნობას ოსებზე და იქვეა მოცემული მეტად საყურადღებო მათი ლოცვა. მე ის ნაწუკითხე ერთ ოსს, რომელმაც ის კარგად იცოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ოსური სიტყვების მართლწერაში დაშვებული იყო ბევრი შეცდომა. მე ვერ შევძელი მათი გასწორება ნაწილობრივ დროის სიმცირის, ნაწილობრივ მათი ხორხისმიერი და შიშინა ბგერების ჩვენი ასოებით გადმოცემის შეუძლებლობის გამო. ამ საოცარ ლოცვას მე აქ მოვიტანე, რადგან ის უნდა იყოს ოსების ერთადერთი ლიტურგიული დოკუმენტი. (ჩვენ გამოვტოვებთ ლოცვის ოსურ ტექსტს და მოვიტანთ მის თარგმანს -გ.გ.):

1. ღმერთო, გთხოვთ თქვენს წყალობას. შეგვიწყალო ჩვენ!
 2. წმინდაო გიორგი! გთხოვთ, დაგვეხმარეთ. შეგვიწყალო ჩვენ!
 3. დედაო ღვთისავ! გთხოვთ, შეგვიწყალო ჩვენ!
 4. მიქელ გაბრიელ! გთხოვთ, შეგვიწყალო ჩვენ!
 5. თქვენო მთის ეკლესიებო! შეგვიწყალო ჩვენ!
 6. ნარის წმინდა გიორგი! შეგვიწყალო ჩვენ!
 7. ბრუტსაბძელო (მაღალი მთები ოსეთში) და მასზე მსხდომო მოციქულებო და ანგელოზებო! მოგესალმებით და გთხოვთ, შეგვიწყალოთ ისინი, ვინც თქვენ გესალმებიან და გეძიებენ!
 8. ქართული ეკლესიებო! შეგვიწყალო ჩვენ და ყველა ხალხები, თქვენს გარშემო მცხოვრებნი!
 9. ქრისტე! შეგვიწყალო ჩვენ!
 10. მონყალო ღმერთო! გვიშველე ჩვენ შენი სამართლით!
- კოლ-ი ამასთან შენიშნავს, რომ წმ. სამება არ ჩანს. ოსებს არ აქვთ ნათელი წარმოდგენა მის შესახებ, მაგრამ რომ იციან, ამაზე მიუთითებს ზემოთ აღწერილი მოსალოცავი ადგილები **სამების ეკლესიის** ნანგრევებთან. საოცარია, რომ ამ ლოცვების ფორმა მთლიანად ემთხვევა ცნობილ კათოლიკურ ლიტანიას. მეექვსე პუნქტის შესახებ კოლ-ი შენიშნავს: „ნარა უნდა იყოს ხეობა“, სადაც ძველად წმ. გიორგის ეკლესია იდგა. ეს შეიძლება მიუთითებდეს ნარდ-ის ამჟამად გამქრალ (ებრაულ) მოსახლეობაზე, რომელთაც ანაც ალბათ მხარემ მიიღო სახელი.

ზე ცრუმორწმუნეები არიან: მათ ჰყავთ წინასწარმეტყველები, ჯადოსნები, კუდიანები, რომლებიც მათ უწინასწარმეტყველებენ; აქვთ ჩვენები და ესაუბრებიან გარდაცვლილებსა და წმინდანებს, რასაც შემდეგ გარშემო მყოფებს აცნობებენ. თუ ოსს რაიმეს ფარულად მოპარავენ (ამჟამად ყაჩაღობა არ ითვლება ქურდობად), იგი მოძებნის ჯადოქარს, ბრძენ კაცს (**კურისმეტოკ**) და ძღვენის საფასურად თხოვს დახმარებას. ეს უკანასკნელი მიჰყვება მას იმ პიროვნების სახლთან, ვიზუდაც აქვს ეჭვი. ბრძენს ხელში ჰყავს კატა და ყვირის: „თუკი ეს შენ წაიღე და პატრონს არ დაუბრუნებ, მაშინ ეს კატა შენი წინაპრების სულებს გატანჯავს!“ დარწმუნებული იყავით, რომ ქურდი ნაპარს დააბრუნებს. თუკი დაზარალებულს არ აქვს ეჭვი გარკვეულ პირზე, მაშინ ისინი დადიან კარდაკარ და ქურდი თვითონ გამოცხადდება.

კატა, ძალი და ვირი ითვლებიან ჯადოსნურ (სასწაულებრივ) ცხოველებად. თუკი ვინმეს სხვის მიმართ აქვს რაიმე პრეტენზია, ან ნაწყენია და არ აქვს სათანადო ძალა, რომ სამართალი ნახოს, ან მიიღოს დაკმაყოფილება და ანაზღაურება, მაშინ ის შეურაცხყოფელის წინაპრის საფლავეზე კლავს კატას, ძალს ან ვირს და თან აყოლებს სიტყვებს: „ამის და ამის სულისთვის და ა. შ.“ ამით დასახელებულთა სულს ემოქრებათ ამ ცხოველებად გადაქცევა, თუკი მათი მემკვიდრე არ დააკმაყოფილებს დაზარალებულს. ეს არის ისეთი აუტანელი შეურაცხყოფა და საფრთხე, რომ შთამომავალი დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს დაზარალებულს (განაწყენებულს).

ოსები დიდ პატივს სცემენ წინაპართა საფლავეებს. ბევრ ოსურ გვარს აქვს საკუთარი მემკვიდრეობითი საფლავეები და საერთო საგვარეულო აკლდამები. მიცვალებულს პირით დასაველეთისკენ ასაფლავებენ. ცალკეულ საფლავეებზე აწყობენ დიდ ქეებს, ხოლო თავთან დგამენ ოთხკუთხა, 6-8 ფუტი სიმაღლის ქვას. დასაფლავება დიდი ამბით მიმდინარეობს. დასაფლავებისას სამარესთან მოჰყავთ გარდაცვლილის ცხენი და ცოლი იმის ნიშნად, რომ ისინი იყვნენ გარდაცვლილის ნამდვილი საკუთრება, რომლებიც არავის გადაეცემოდნენ. ორივეს სამჯერ შემოატარებენ საფლავს. ცხენზე ველარავინ შეჯდება, ცოლი კი ველარ გათხოვდება. მეხით მოკლული ითვლება წმინდანად; მას მიიტანენ მეხის დაცემის ადგილას საყოველთაო ღვინითა და შეძახილებით: „ო, ელია, კლდიანი მთების მბრძანებლო!“ და მარხავენ, რადგან წინასწარმეტყველი ელია უშუალოდ თავისთან წაიყვანს. მისი ადგილი ხდება მოსალოცი ადგილი. აქ ჰკიდებენ შავი თხის ტყავს, როგორც ელიას გამოქვაბულებთან:

რაც შეეხება საქორწინო წესებს, მე შემდეგი მითხრეს. სასიძოს მამა, ან, თუ ეს უკანასკნელი გარდაცვლილია, უფროსი ნათესავი მიდის ქალის მშობლებთან და განუცხადებს სურვილს;

თუკი ისინი დათანხმდებიან, შემდეგ შეეკითხებიან ქალიშვილს, რომლის უარის შემთხვევაში საქმე ჩაიშლება. ქალიშვილის თანხმობისას სასიძო მამასთან ერთად გამოცხადდება და მაშინვე მოხდება ნიშნობა; ამასთან ათანხმებენ გამოსასყიდს – მეტნილად საქონლის და იარაღის სახით, რაც გადაეცემა სარძლოს მამას ან ძმას*. ქორწილის დღეს სასიძო თავის ნათესავებისა და მეგობრების ამალით მიდის პატარძლის სახლში, სადაც იშლება სუფრა. მეორე დღეს იგივე მეორდება ახლო მეზობელთან და ასე გადადის მთელ სოფელში სახლიდან სახლში. ამის შემდეგ სიძეს მიჰყავს პატარძალი თავის სახლში. კარებთან სოფლის ყველა ბიჭია შეკრებილი; ისინი ხელს კრავენ, ჩქმეტენ პატარძალს, რომელმაც წინააღმდეგობა პრ უნდა გაუნიოს და ხმა არ ამოიღოს. ნათესავებს შეჰყავთ პატარძალი, სიძე კი წინაურდება და ხვდება ანთებული ჩირაღდნით (ცეცხლმოკიდებული ნაძვის კვართი).

პატარძალს სამჯერ შემოატარებენ კერიის ირგვლივ და სვამენ კერიის წინ ამაღლებულ ადგილას კუთხეში (კომ). ამის შემდეგ იკრიბება სოფლის ყველა ქალი, დგებიან პატარძლის წინ და მთელი ღამე მამლის ყვილამდე რიგრიგობით უმღერიან. (რა სახისაა ეს სიმღერები, ვერ დავადგინე დროის სიმცირის გამო). მთელი ამ ხნის მანძილზე პატარძალი ხმაგაკმენდილი ზის. მამლის პირველ დაყვილებაზე შემოდის საგანგებოდ მოწვეული ვაჟი, უახლოვდება პატარძალს, მოადრობს ფატას (თავსაბურავს), შუაზე ხევს მას, ორივე ნაწილს ააფრიალებს ცაცხვის ჯოხით, რომელიც ხელში უჭირავს და შეუძახებს: „ცხრა ვაჟი და ერთი ქალი!“ ამის შემდეგ პატარძალი ცხადდება ოჯახის დიასახლისად და იწყება მისი საქმიანობა. ოჯახი და სტუმრები სუფრას მიუსხდებიან, ის კი ემსახურება მათ. თუკი მოშივდება, მას შეუძლია ფარულად გვერდით ოთახში დაიკმაყოფილოს სურვილი. როცა პატარძალს მოხდინა ვუალს (თავსაფარს), კავკასიური წესების მიხედვით, მას გამოუჩნდება თვალებამდე დაფარული სახე.

ყველა ეს წესი, სახელდობრ, კერიას შემოტარება, დაჯდომა შემალლებულ ადგილას, ქალების სიმღერა, ფატას მოხსნა და ა.შ., მთელი თავისი ხასიათით, სიმბოლიკით, დიასახლისის მოვალეობების და უფლებების თვალთახედვით, შეიცავს რაღაც გერმანულს და შეიძლება წარმოიგდინო, რომ იმყოფები გერმანიის რომელიღაც კუთხეში!

როგორც წესი, ოსებს ჰყავთ ერთი ცოლი. თუმცა თითო-ოროლა მდიდარს ორიც. აქ იგრძნობა მაჰმადიანური ჩვეულებების გავ-

* დიუბუა, გვ.53: ოსები ყიდულობენ ცოლებს. ყველაზე დაბალი ფასია 12 ძროხა; ეს რაოდენობა იზრდება 140 ძროხამდე, ან 7 ცხენამდე. ქვრივი ნახევარ ფასად ღირს.

ლენა, რადგან ხალხის ხასიათი და სხვა წეს-ჩვეულებები მიუთითებენ ევროპული სახის საოჯახო ცხოვრებაზე – მონოგამიაზე. ქალთა ყიდვის აზიური წესი არ მიუთითებს მათ მონობაზე – ამას თუნდაც ქალიშვილის ქორწინებაზე თანხმობისას თავისუფალი არჩევანიც გვიჩვენებს. თითქმის ყველა კავკასიელი ხალხების საწინააღმდეგოდ, ოსებთან ურთიერთობა ორივე სქესს შორის თავისუფალია და ბუნებრივი (დაუძალებელი). ქალიშვილი გათხოვებამდე უბინობას არ არღვევს; სხვა ვითარებაა ქალებთან. პირველ ხანებში და სანამ ბავშვს გააჩენს, წესები მკაცრად მოითხოვენ მისგან მორიდებულობას (თავშეკავებულობას). სომხების მსგავსად, ახალგაზრდა ქალი, გარდა ქმრისა, არავის უნდა ელაპარაკოს; თვით მშობლებსა და დამძებს ესაუბრება პანტომიმის ენით. როგორც კი ბავშვს გააჩენს, ან უშვილოდ რჩება, ოთხი წლის გავლის მერე ის მთლიანად ემანსიპირებულია. ოსი ქალების შესახებ ერთგულების მხრივ ბევრ ცუდს ამბობენ! წესია, თუ უფრო უწესობა, რაც შეიჭრა მათში, რაც ოჯახურ თუ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას საფუძველში ანგრევს და ხრწნის: სახელდობრ, მამა თავის 6-8 წლის ვაჟისთვის ყიდულობს 14-16 წლის ცოლს. (ყოველივე ზემოთქმული – ქალიშვილის თავისუფალი განწყობის და პირადი სურვილის, მკაცრი მოკრძალებულობის და დუმილის და ა. შ. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ილუზორულ სახეს იღებს!). მამა, რომელიც შემდგომ ალბათ და ნამდვილად მამაც აღარ არის, ცხოვრობს ეგრეთნოდებულ რძალთან, ალბათ იყოლიებს მისგან ვაჟს, რომლისთვისაც ნომინალური მამა კვლავ ექვსი წლის შესრულებისთანავე ცოლს იყიდის, რომელთანაც ისევ იცხოვრებს და ა.შ.!* ამასთან ოსებს აქვთ მკაცრი და შემზღუდავი შეხედულებები ქორწინების წესების შესახებ. ყოველი ბავშვი დაბადებული ქორწინებით, მიუხედავად სისხლის აღრევისა და ლალატისა, ითვლება კანონიერ მოსახელედ და მემკვიდრედ. ცოლს, რომელმაც ქორწინებაში გააჩინა შვილები, ქმრის გარდაცვალების შემდეგ არ შეუძლია ხელახლა გათხოვება ოჯახის გარეთ, რადგან არის ნაყიდი და ითვლება ოჯახის საკუთრებად! ის შეუძლია შეირთოს გარდაცვლილის მამამ ან ძმამ. ეს ითვლება მოვალეობად, საპატიო საქმედ. ოსების სამართლებრივი ვაგებით, ეს ითვლება პირველი და ერთადერთი მუდმივი ქორწინების გაგრძელებად და ახალი შეუღლების ბავშვები

* რუსეთში რომ ორი თაობის წინ მთლად ასეთივე უწესობა სუფევდა, გვამცნობს ერნსტ ვიხელჰაუზენი თავის „მოსკოვის აღწერაში“ 1803 წელს.

** თუკი ეს წესები არ ეფუძნებიან საერთო სპარსულ-მიდიურ და იუდაურ რელიგიურ შეხედულებებს, მაშინ ისინი გადაღებული უნდა ჰქონდეთ ებრაელებისგან. ცნობილია მოსეს კანონებით, რომ ძმა მოვალეა ძმის ქვრივი შეირთოს.

ითვლებიან პირველი ქორწინების ბავშვებად და სარგებლობენ იმავე სახელით და ქონებით, როგორც პირველი ქორწინების ნამდვილი შვილები. მაგრამ ეს შეხედულება უფრო გავრცელებულია! თუ გარდაცვლილ ქმარს არ ჰყავს მამა და ძმა და ამდენად ქვრივი შეიძლება გაუთხოვარი დარჩეს, მაშინ ამ უკანასკნელს არაფერი უშლის ხელს სხვა კაცთან იცხოვროს. ამ ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები ასევე ითვლებიან კანონიერ შვილებად სიკვდილის შედეგად დარღვეული ქორწინებისა! ამის მაგალითი თვალწინ გვქონდა ჩვენი დიასახლისი იყო ქვრივი. გარდაცვლილ ქმართან მას ჰყავდა სამი ქალიშვილი და არცერთი ვაჟი. ქმარი ხუთი წლის წინ გარდაცვლოდა, მაგრამ ახლა ხელთ ეჭირა ვაჟი — არც კი ერთი წლის ძუძუთა ბავშვი! ეს ბიჭი იყო ერთადერთი მემკვიდრე კარმიდამოსი; ის ატარებდა გარდაცვლილის გვარს, ხოლო ნამდვილმა კანონიერმა ქალიშვილებმა არაფერი მიიღეს. ისინი უნდა გაყიდულიყვნენ ამ უკანონოს სასარგებლოდ! ეს დაემართა 13 წლის უფროს ქალიშვილს, რომლის საქმრომ უდიდესი გულბრყვილობით და სისრულით განმიმარტა ურთიერთობები!

თუ ქვრივი უშვილოა და სურს ხელმეორედ გათხოვება, ახალმა ქმარმა მისი სყიდვის ნახევარი საფასური უნდა გადაუხადოს ოჯახს, საიდანაც იმჟამად ის გამოდის. ბავშვი, რომელიც მისი ქმრის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში გაჩნდება, ეკუთვნის მის ოჯახს (ეს გამოიყურება როგორც ევროპული იურისპრუდენციის გამოძახილი!). თუკი სხვა ნაგვრის ცოლს, რაც ხანდახან ხდება, ხოლო ქმარს არ შესწევს ძალა მის დასაბრუნებლად, მაშინ მეორე ქმარი პირველს აძლევს გადახდილ თანხას. აქა-იქ, თუმცა იშვიათად, კაცი ეყრება ცოლს, ალბათ ქალის მხრივ ჩადენილი ღალატის გამო. ამ შემთხვევაში ქმარი უბრუნებს ქალს მის ოჯახს და იბრუნებს გადახდილი საფასურის ნახევარს, რადგან მან ჩაიბარა ქალწული და დააბრუნა ქალად. თუ კაცი უმიზეზოდ გააგდებს ცოლს, მაშინ ის არაფერს მიიღებს.

სიყვარულობანას დიდი ადგილი უკავია ოსების საზოგადო ცხოვრებაში. რაც მეტი მთხოვნელი ჰყავს ქალიშვილს, მით მეტ პატივშია და მეტად ფასობს. თუ ქალიშვილს ერთი მთხოვნელიც არ ჰყავს, როგორც ქვრივს, რომელსაც აღარ ჰყავს პატივისმცემელი შეყვარებული, ისე მოიძულელებენ, რომ საჯაროდ აფურთხებენ.

ოსებში, როგორც წესი, ქალი ბატონობს სახლში; კარგი ქმრები დაჯაბნებული ჰყავთ, სამაგიეროდ ძალზე შრომისმოყვარენი არი-

* თუკი მართალია, რომ ოსები არიან ძველი სავრომატების თუ სარმატების, სახელდობრ, ამაზონების შთამომავალნი, რომლებიც სკვითების ერთ შტოს შეუერთდნენ და ჰეროდოტეს მიხედვით ახალი ხალხი წარმოიქმნა, მაშინ ქა-

ან. ქალები მკიან თივას და პურეულს, მიაქვთ მარცვალი წისქვილში, ზურგით მოაქვთ შემა ტყიდან სახლში; ზოგიერთი კი ხნავს და ენევა მინდვრის მთელ სამუშაოს. როცა ქმარი კვდება, ქვრივის ხელში გადადის ქონება და სახლის გამგებლობა, სანამ ვაჟი არ გახდება სრულწლოვანი (არ გაიზრდება); ამის შემდეგ ორივე მას გადაეცემა და მოვალეა წესიერად იზრუნოს მათზე. თუ ქვრივს არ ჰყავს შვილები და ხელმეორედ არ გათხოვდება, ის სიკვდილამდე ფლობს ქმრის ქონებას. ქვრივის გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი უბრუნდება მამრობითი ხაზით ქმრის სანათესაოს. ეს ყოველივე გვახსენებს გერმანულ კანონებს სავარეულო ქონების, სამუდამო პენსიის და ა.შ. შესახებ.

ვაჟი სრულწლოვნად ითვლება და გადაეცემა სახლის მეურნეობა, როგორც კი შეძლებს ბალახის ცელვას. ძმები უმთავრესად ერთად რჩებიან ერთ საკარმიდამო მეურნეობაში, ხშირად ქონებრივ ერთობაში. მემკვიდრეობის განაწილებისას უფროსი ვაჟი იღებს ცხენს ან ძროხას, ან სხვებზე ათი ცხვრით მეტს და ასევე მამისეულ სახლს. უმცროსს ვაჟს ეკუთვნის ზოგი იარაღი და პირუტყვი, რათა შეეძლოს ცოლის ყიდვა, თუკი მამის გარდაცვალებამდე ცოლი არ მოუყვანია. სხვა დანარჩენი თანაბრად ნაწილდება ყველა ძმას შორის. ქალიშვილებს არაფერი ეძლევათ; უკეთეს შემთხვევაში გაიყიდებიან.

ნამდვილი და ყველაზე მყარი საფუძველი ოსების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა არის არა ხალხისა და სუსტი საზოგადოებრივი კავშირები, არამედ უმთავრესად გაბატონებული ოჯახური კავშირი. ეს ემყარება მხოლოდ მამაკაცთა ხაზს და იმავე გვარს. ნათესაობა დედის ხაზით არ არის პოლიტიკურად აღიარებული. ჩემი ნათესავი მეასე ხარისხის, რომელიც ჩემი გვარისაა, ჩემი ახლობელი ნათესავია და საჭიროების შემთხვევაში მოვალე ვარ სისხლი ავილო, ან მოვითხოვო მისი მაგიერი. მაგრამ ჩემი დედის ძმა არაა ჩემი ნათესავი: მისი მოკვლისთვის მე არ მოვითხოვ საზღაურს. ერთი გვარის მეთაურისგან წარმომავალი, იმავე სახელის მატარებელი გვარი ყოველთვის საყოველთაოდ დაცულია სისხლით; ესაა ერთეულთა ერთადერთი პოლიტიკური დაცვა და მისი დამოუკიდებლობის გარანტია. მამას შეუძლია შეირთოს რძალი, ძმას თავისი შული, ვაჟს — დეიდა. ეს ყოველივე დაშვებულია და არ ეწინააღმდეგება წეს-ჩვეულებებს. მაგრამ რომ შეირთო იმავე გვარის ქალი, რაც არ უნდა შორეული ნათესავი იყოს, ოსებში ითვლება სისხლის აღრევად.

ლების ეს ძალაუფლება სავსებით ასახსნელია. თუმცა არაა სავალდებულო იყო ამაზონი, რომ მამაკაცები დაიმორჩილო.

* აღსანიშნავია, რომ მთლად იგივე წესები და შეხედულებები სავარეულო ურთიერთობების შესახებ გავრცელებულია ოსტიაკებში. მათ არასდროს

ამ ხალხის ფენებად დაყოფის შესახებ მხოლოდ არაქრულყოფილი ცნობები მივიღე. მაგრამ, უეჭველია, რომ ის იყოფა ორ ფენად აზნაურებად (წარჩინებულებად) და თავისუფალ ხალხად*. ჩანს, რომ წარჩინებულები დიდი პატივით სარგებლობენ, მაგრამ არ აქვთ პოლიტიკური ძალაუფლება ან სამამულო ბატონობის უფლება, არც სხვა რეალური უპირატესობანი. ქართული მატინანეები ასახელებენ შვიდ წარჩინებულ გვარს, რომელთა მიხედვითაც ოსებმა დაარქვეს თავის ახალ კლდოვან ხეობებს, მას შემდეგ, რაც დაბლობებიდან მთებისკენ შეავიწროვეს. ამ შვიდი გვარიდან ამჟამად ყველაზე პატივი სიღუმონი-ს გვარი. დამისახელებს ოთხი ძლიერი და მრავალრიცხოვანი წარჩინებულთა გვარი: სიღუმონი, ალგუზონი, კუსაგონი, სიმეთი. ჩრდილოეთ ოსეთში უნდა იყოს განსაკუთრებით წარჩინებული გვარი, რომელიც შედგება თორმეტი მრავალრიცხოვანი ოჯახისგან, რომელთაც უწოდებენ თაგაურელ-ებს. ისინი თითქოს წარმოსდგებიან სომეხი თავადის თაგაორ-ისგან (გვირგვინოსანი [?]). მათ ამ ჩრდილოეთ მხარეების ყველა სოფელში მემკვიდრეობით უკავიათ სოფლის მამასახლისის თანამდებობა, რაც ესმიათ სომხურს.

წარმართ ოსებს უნდა ჰყავდეთ რამდენიმე სასულიერო (ქურუმთა) გვარი, რომელთაც ევალებათ ზოგი წარმართული საკერპეს ზედამხედველობა. მაგრამ მათ შესახებ ვერაფერი შევიტყვე.

ოსი წარჩინებულები ძალიან მკაცრად იცავენ სისხლის სინმინდეს. რომელი მათგანიც შეირთავს მეორე ფენის – თავისუფლების ქალიშვილს, მისი შვილები გადადიან მესამე წოდებაში; ეს ნიშნავს, რომ ხდებიან მონები. თაგაურელთა ოჯახები ჩრდილო ოსეთში ყველა მაჰმადიანია და ქორწინდებიან უმეტესწილად ჩერქეზ თავადურ გვარებზე (უზდენი).

ოსებს ჰყავთ მონები, რომლებსაც ექცევიან როგორც ოჯახის წევრებს. მთავარს (წარჩინებულს) ჰყავს მოარენდე გლეხები (რომლებიც არიან თავისუფლები), ასევე დაქირავებული მოჯამაგირეები და მოახლეები. ტფილისშიც ვნახე ოსი მოახლეები, მაშინ როცა ქართველ ქალებს არ ქირაობენ. მაჰმადიანებს ჰყავთ მონა-ქალები, მაგ-

მოჰყავთ ქალი მამის ხაზით ნათესავთაგან, რომლებიც იგივე გვარს ატარებენ. მაგრამ ხშირად ქორწინდებიან დედინაცვალზე, გერზე, დედინაცვლის შვილზე (ამათზე განსაკუთრებული სიამოვნებით!). მიუღერი, „უგრული მოდგმა“, I ნაწ. გვ. 308.

* დიუბუა, გვ. 47. „რუსულ ადმინისტრაციასთან მიმართებაში ოსები იყოფიან: 1. თავისუფალი, დამოუკიდებელი 2. უშუალოდ სახელმწიფოს ქვეშევრდომები 3. თავად-აზნაურთა (ერისთავთა და ა.შ.) ქვეშევრდომნი. პირველები ოჯახის გარდა არავენ ძალაუფლებას, არავითარ სასამართლოს არ ცნობენ. ვინც ატარებს თოფს, მთლიანად დამოუკიდებელია“.

რამ არა დაქირავებული მხევლები, რაც ეწინააღმდეგება რელიგიურსა და ხალხთა წეს-ჩვეულებებს.

ოსი წარჩინებულის სისხლი დიდად ფასობს. სისხლის აღებისას მას უფლება აქვს ორმაგი გამოსასყიდი და ჯარიმა მოითხოვოს, ვიდრე უბრალო ოსმა.

სისხლის აღების ჩვეულება და კანონი გვხვდება წარჩინებულ და თავისუფალ ოსებში ისევე, როგორც ყველა აღმოსავლურ და ძველ ჩრდილო-ევროპულ ხალხებში*. ასევე ძალზე ყურადსაღებია და საფუძვლიანი შესწავლის ღირსია ის, რომ ოსების მომრიგებელი და სამედიატორო სასამართლო წესი ჰგავს გერმანული ხალხებისას. სამწუხაროდ, ჩემი ხანმოკლე სტუმრობისას ეს ვერ მოვახერხე.

თუ ერთი ვინმე მეორეს მოკლავს, მოკლულის გვარის ყოველი წევრი უფლებამოსილია და ვალდებული აიღოს სისხლი, ე.ი. თვით მკვლელი მოკლას. თუ შურისძიება შედგა, ის მიდის თავისი მოკლული ნათესავის საფლავთან და ჩაჰყვირებს: „მე სისხლი ავიღე და შენი მკვლელი მოკვალა!“

ხშირად პიროვნება, რომელმაც მოკლა დიდი, ძლიერი გვარის წევრი, წლობით არ გამოდის სახლიდან., სადაც თავს უსაფრთხოდ გრძობს, რადგან სახლი კანონით დაცულია. ვისაც არ აქვს საკუთარი ოჯახი, რომელიც მას დაიცავდა, ის თავშესაფარს ეძებს რომელიმე ძლიერ (ცნობილ) გვართან, ვისთანაც რამდენიმე წლით მსახურად დგება.

მე მოვისმინე, რომ უხსოვარი დროიდან ორ ოსურ ოჯახს (გვარს) შორის არსებობდა სისხლის აღება. ორივე გვარი თითქმის მთლიანად ამოწყდა. ბოლოს ურთიერთშეთან-ხმებით, თითო გვარადან თითო ობოლი ბიჭი ერთობლივად დაკლეს წარმართულ სამსხვერპლოზე და სამუდამოდ შერიგდნენ!

მკვლელობისა და უნებლიე მკვლელობისას არავინაა იძულებული გადაიხადოს ჯარიმა, ან მიიღოს სამომრიგებლო სასამართლოს მინვევა. მას (დაზარალებულს) შეუძლია მოითხოვოს სისხლის აღება. ახალ დროებაში ხშირია, როცა დაზარალებული და მიხედვით გარდაცვლილის ჭრილობები ორმაგად ფასდება, ვიდრე ცოცხლად დარჩენილისა. უწინ ხშირად წესად იყო, რომ მკვლელი დაზარალებულის ოჯახს გარკვეული დროის განმავლობაში, მაგ., ერთი წლის მანძილზე, საფასს გადაუხდოდა; თუმცა დროის ამ მონაკვეთში სისხლის აღება შეჩერებული იყო და არ სრულდებოდა.

* დიუბუა, გვ. 50. „სისხლის აღება გაბატონებულია როგორც ჩერქეზებთან და აფხაზებთან. ვინც შურს არ იძიებს, მას სამუდამო სირცხვილი ემუქრება“.

ღია ჭრილობები და არასასიკვდილო დაშავება სახალხო და ჩვეულებითი ოსური სამართლით ფასდება ამისთვის განსაზღვრული გადასახადით. ამ ჯარიმას აწესებს არჩეული სამედიცინო სამართლო. მე ვერაფერს გეტყვით დაწვრილებით ამ სასამართლოს ორგანიზებისა და ფორმის შესახებ. ჩემს მიერ გამოკითხულმა ოსებმა მითხრეს, რომ თითოეული მხარე ირჩევს სამი ოჯახის უფროსს, რომლებიც ამ მხარეებს არ ენათესავებიან; ეს ექვსი შემდგომ ირჩევს მეშვიდეს – უფროსს. შემდეგ სასამართლო ორივე მხარეს საზეიმოდ აღიარებინებს, რომ ისინი დაემორჩილებიან განაჩენს; ამასთან თითოეული მხარე გამოყოფს სამ თავდებას. სასამართლო არაჭობს მიწაში სარს როგორც სიმბოლოს, რომ მხარეები მკაცრად დაიცავენ დაპირებას და დაწყევლიან იმას, ვინც არ შეასრულებს განაჩენს. ამის შემდეგ მხარეები წარმოადგენენ თავის ჩვენებებს და სასამართლო შეუდგება თათბირს (მეტწილად ამისთვის გამოყოფილ განსაკუთრებულ ადგილას ტყეებში). როცა მოსამართლეები შეთანხმდებიან, განაჩენი ეცნობება მხარეებს.

ყოველ ოსს სასამართლოსთვის აქვს გარკვეული წონა (ფასი), რაც, როგორც მე შეჩვენა, განსაზღვრულია საზოგადო აზრით: ოჯახის მამას მეტი წონა აქვს, ვიდრე უცოლშვილოს; ხოლო წარჩინებული ორჯერ მეტად ფასობს, ვიდრე თავისუფალი. (მე ვერ შევიტყე გადაწყვეტილების – შეფასების პრინციპები). ასეთივე წესით ფასდება ტანის ყველა ნაწილი – მკლავი, ფეხი და ა.შ. ღია ჭრილობებს ზომავს ხორბლის მარცვლებით და ამბობენ, რომ ჭრილობა არის 10-12 ხორბლის მარცვლის სიგრძის და ა.შ. მაგრამ თითო მარცვალი ღირს ერთი ძროხა, რაც უნდა გადაიხადონ ჯარიმის სახით. ეს გახლავთ ყველაზე მაღალი გადასახადი. თუკი ჭრილობა არ არის სახიფათო და მცირე სიღრმისაა, სამედიცინო სამართლო გაცილებით ნაკლები რაოდენობის მარცვლებს უჩვენებს, ვიდრე სინამდვილეში ეტევა.

ძროხა წარმოადგენს გადახდის ერთეულს ყოველი საფასისთვის; ის ოდითგანვე ოსებისთვის იყო ფული, როგორც რომაელებში და გერმანელებში. ამიტომ ამბობენ: საგანი ღირს ორი, სამი, ოთხი ძროხა, ან მხოლოდ 1/10, 1/100 ძროხის წონა. ხარი ამ შემთხვევაში უდრის ორ ძროხას. ოსებმა ასევე უკვე დიდი ხანია იციან მოჭრილი მონეტებიც. ქართლის (საქართველოს) მოსაზღვრე ოსურ მხარეებში ამბობენ, რომ ორი-სამი ძროხა გარკვეული მონეტის კურსს შეესა-

ბამება. მაგრამ მე ვერ დავიდგინე ზუსტად. ზოგმა მითხრა, რომ ერთი ძროხა უდრიდა 1 მანეთს, სხვებმა თქვეს, რომ ძროხა 5 მანეთს ფასობდა. ალბათ პირველი ფასი არის სასამართლოსეული შეფასებით, მეორე კი საჯარო (საბაზრო) ფასი. სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმისას ხშირად ძროხის ფასს ადარებენ სხვა საგნებისას, რომლითაც ბრალდებულს შეუძლია გადაიხადოს ჯარიმა; მაგ., ხმალი, თოფი და ა.შ. ამასთან ეს საგნები ძალზე ძვირად ფასდება: ხშირად ორ-სამჯერ მეტად მათ ნამდვილ ფასზე.

როცა სასამართლოს გამოაქვს განაჩენი მკვლელობისას, მან უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება და ისე დაანესოს ჯარიმა. ამ ჯარიმის მაქსიმუმი ძველთაგანვეა დადგენილი (არ იციან მეფის ბრძანებით, თუ სახალხო გადაწყვეტილებით); სახელდობრ, თავისუფალი ადამიანის მოკვლისათვის, რომელიც ჯერ არაა ოჯახის მამა, დაწესებულია ცხრაჯერ ცხრა ძროხა, ხოლო დიდი გვარის უფროსის მოკვლისათვის 18-ჯერ 18 ძროხა*. გარემოებათა შესაბამისად სასამართლოს შეუძლია ამ საფასურის შემცირება.

დაშავების ან უმნიშვნელო ჭრილობების მიღებისას, ყოველი ოსი ვალდებულია არჩეული სასამართლოს განაჩენს დაემორჩილოს. ბოლოს, როცა საქმე ეხება ხალხური ჩვეულებების ან სახალხო უფლებების ცნობას, და არავითარი პოზიტიური აუცილებლობა და არავითარი აღმასრულებელი ხელისუფლება არ არსებობს, მაშინ ხანდახან ჯიუტი და ძლიერი ოსი არ ემორჩილება, ან უარს ამბობს უკვე დადგენილი ჯარიმის გადახდაზე. მაშინ დაზარალებულს არაფერი რჩება, გარდა თვითნებობისა და ეძებს მოწინააღმდეგეს დასაჭრელად. თუ მიყენებული ჭრილობა იგივე ზომისაა, როგორც თავისი, მაშინ საქმე მოთავებულია. მაგრამ, თუ ჭრილობა უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, მაშინ ბრძოლას განაახლებს უკვე ეს მხარე.

* კოლ-ი ამბობს, რომ ოსები ითვლიან და ანგარიშობენ ოქტოდეციმალური სისტემით, ე.ი. 18-მდე, როგორც ჩვენ 10-მდე; შემდეგ აერთებენ 18-ს, როგორც ჩვენ 10-ს; შემდეგ 18-ჯერ და არა 10-ჯერ, როგორც ჩვენ ასეულს და ა.შ. ალბათ ეს ხდებოდა ძველ დროში; ამჟამად ქართულ საზღვრებთან ითვლიან ჩვეულებრივი დეციმალური (ათობითი) სისტემით (ეს მათ ქართველეთიდან უნდა გადმოეღოთ). მე დამისახელეს მათი რიცხვების სახელები, რომლებიც ჩვენს დეციმალურ სისტემას შეესაბამებიან. ესენია: 1-ინ, 2-დუა, 3-ლუბა, 4-სუპპარ, 5-ფუნც, 6-ახზაც, 7-აფტ, 8-ასტ, 9-ფარასტ, 10-დასს, 11-ივანდასს, 12-დუსდასს, 13-ასტენდასს, 14-სუპპარდასს, 15-ფუნტასს, 16-ახზარდასს, 17-აფტდასს, 18-ასტდასს, 19-ნუდასს, 20-ზაც, 21-ივანმაზაც, 22-დუზამაზაც, 30-დაზამაზაც, 40-დუიზაც, 50-დაზამადუიზაც, 60-არტიზაც, 70-დაზამატიზაც, 80-სუპპარზაც, 90-დაზამასუპპარზაც, 100-ფუნზაც, 1000-დასფუნზაც. საოცრად გამოსთქვამენ ოსები 80-ს, როგორც ფრანგები – ოთხჯერ ოცი.

* შდრ. ქართველი მეფის ვახტანგის კანონთა კრებული. [12] დიუბუა, გვ. 51. „ჭრილობისათვის დადგენილი ჯარიმა თანდათან იზრდება 1 ცხვარიდან 3-ჯერ 18 ძროხამდე. სახის დაზიანება გაცილებით უფრო ძვირად ფასობს – ცხვირის 100 ძროხა; ხელის, თვალის ან ფეხის – ტოლფასია მოკვლის“.

მკვლევლობისთვის არსებობს კიდევ სხვა დაკმაყოფილება, განსაკუთრებით თუ მკვლელი ღარიბია. ეს არის ორდალია (ღმერთის სამსჯავრო), ან დუელი (ორთაბრძოლა). დაზარალებული ოჯახი მოითხოვს, რომ მკვლელი გამოვიდეს და თავი ტყვიას შეუშვიროს. სამედიცინო სასამართლო ადგენს, თუ ვინ უნდა ისროლოს – კენჭს უყრის ოჯახის ყველა წევრს ბიჭების ჩათვლით, რათა ოჯახის საუკეთესო მსროლელს არ ერგოს ის; შემდეგ ადგენს დროს, ადგილს და დაშორების მანძილს ნაბიჯებით სროლის შესასრულებლად. საქმე წყდება ერთი გასროლით – მოკვდება, დაიჭრება მძიმედ თუ მსუბუქად, ან საერთოდ ასცდება – ამით ყველაფერი მოთავდება.

არჩეული სამედიცინო სასამართლო საკუთრების უფლებებსაც განიხილავს. სოფლის გარეთ ჩადენილი აშკარა ქურდობისას, რაც მაშინვე გაიგება, მოპარული საგანი ან დაბრუნდება, ან მისი შესაბამისი საფასური უნდა იქნას გადახდილი. ფარული ქურდობისას ხუთმაგი ფასია გადასახდელი. ყაჩაღობა და ქურდობა კანონით მუდმივად დაცულ სოფლის შიგნით, უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე მის გარეთ ჩადენილი. ერთი ასეთი სამართლებრივი გამოთქმაა: „რასაც შარაგზაზე ვიპოვით, ეს ღმერთის გზავნილია!“ ამ სიტყვებში, რა თქმა უნდა, გულიანობა გზაზე ძარცვასაც. თავისთავად ეს არ ითვლება დანაშაულებად და მხოლოდ მაშინ უნდა ანაზღაურდეს, როცა გაძარცვული ამოიცნობს ყაჩაღს. როცა სასამართლო განაჩენს გამოიტანს, სანამ გამოაცხადებდეს, მოითხოვს ორივე მხარისგან ცაცხვის სარზე ნაჭდევის გაკეთებას. ეს სიმბოლურად ნიშნავს განაჩენისადმი მორჩილებას.

როცა განაჩენი გამოცხადდება და ჯარიმას გადაიხდიან, დამნაშავემ დაზარალებულს და მის ოჯახს სუფრა უნდა გაუშალოს. ეს იქნება საბუთი, რომ დაზარალებულმა ჯარიმა ხელახლა არ მოითხოვოს.

მოსამართლეები განეული შრომისათვის ორივე მხარისგან იღებენ საჩუქარს; ამასთან ფასს ზოგჯერ თვითონ აწესებენ – მეტწილად სადავო საგნის 1/20-ს.

სტუმარ-მასპინძლობის წესს ოსები ისევე მკაცრად იცავენ, როგორც კავკასიის სხვა ხალხები. მასპინძელი (კუნაგ, კონაჯ – რო-

* დიუბუა, გვ. 50. „ჯარიმის სიდიდე სხვადასხვაა. მაღალი გვარის უფროსის სისხლი შეფასებულია 18-ჯერ 18 ძროხით და სახნავით, რომლის ფასიცაა ორჯერ 18 ძროხა; (გამოთვლისას ოსები 18-ს არ სცილდებიან. ეს რიცხვი მათთან ამოსავალია დიდი რიცხვებისას. ასე ითვლიან ისინი: 2-ჯერ 18, 6-ჯერ 18, 18-ჯერ 18, 2-ჯერ 18-ჯერ 18 და ა.შ.) თუ დამნაშავეს არ გააჩნია სათანადო რაოდენობის ძროხები ან სახნავი, მაშინ ჯარიმას იხდის ცხვრით, თოფით, საოჯახო ინვენტარით და თვით ბავშვებითაც. ამასთან ვაჟი ღირს 36 ძროხა, გოგო ასაკისა და სილამაზის მიხედვით 18-დან 30 ძროხამდე. მოკლული ქალი კაცის ნახევრად ფასდება!“

გორც მას ყველა კავკასიელებიც უწოდებენ) თავისი ქონებითა და სისხლითაა პასუხისმგებელი სტუმარზე. მისი მოკვლა ან დაჭრა იგივე დანაშაულად ითვლება, როგორც ნათესავისა, და ითხოვს სისხლის აღებას. სტუმარ-მასპინძლობის წესი იმდენად წმინდაა, რომ, მაგ., როცა ოსი იღებს უცნობ სტუმარს და იგებს, რომ ის ყოფილა მისი მოსახლე მტერი, რომლის სისხლიც მას უნდა აეღო, მაინც მეგობრულად უმასპინძლებს, ხოლო სოფლიდან გასვლის წინ, გამომწვივობისას ეტყვის: „ამიერიდან მიფრთხილდი, მე შენი მტერი ვარ!“

დაბლობში მცხოვრები ოსების არსებობის ძირითადი წყაროა მინათმოქმედება. აქ მე შევნიშნე სამინდვრიანობა – პირველ წელს ხდება მინის განოყიერება და თესენ ხორბალს, მეორე წელს – ქერს, მესამე წელს კი ასვენებენ. ჭვავს ნაკლებად თესენ, შვრიას თითქმის არა; ხანდახან თესენ კავკასიურ წვრილ ფეტვს, რასაც აქ უწოდებენ გალმა-ს.

სიმინდი, კიტრი, ცერცვი და ლობიო მოჰყავთ ბალ-ბოსტნებში. პურს ჭრიან პატარა ნამგლით, ბალახს ცელით. მთებში მინათმოქმედება ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი, იქ გავრცელებულია მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა. ასევე მრავლად ჰყავთ რქოსანი მსხვილფეხა პირუტყვი და თხები. ჰყავთ ჩერქეზული ჯიშის კარგი ცხენები.

მაშინ როცა ქართველებმა თივა თითქმის არ იციან [13], ოსებისთვის თივის მოპოვება უმნიშვნელოვანესი საქმიანობაა. თითქმის მინდვრის ყველა სამუშაოს, გარდა ბალახის თივისა, ქალები ასრულებენ. კაცები უმთავრესად ყაჩაღობენ, ნადირობენ ან სასიყვარულო თავგადასავლებით ერთობიან. სახლში ისინი ამზადებენ ყოველგვარ ტყავის ნივთებს, ცხენის აკაზმულობას, უნაგირებს, ფეხსაცმელებს; თითქმის ყველამ იცის დურგლობა, კალატოზობა, კერვა.

ოსების გარეგნობა, აღნაგობა და მთლიანი შესახედაობა (ჰაბიტუსი) სავსებით განსხვავებულია ირგვლივ მცხოვრები სხვა კავკასიელებისაგან; განსაკუთრებით ქართველებისგან, რომლებიც კავ-

* დიუბუა, გვ. 49. „მინის დამუშავება მძიმე საქმეა, რადგან მინდვრები განლაგებულია ტერასებზე, დამრეც ფერდობებზე და გაფანტულად. გუთანი მსუბუქია. მაღალ ხეობებში თესენ ზამთრისა და ზაფხულის ხორბალს, ექვსნახნაგა (?) ქერს და ცოტა შვრიას. (ქერი მთელ აღმოსავლეთში ცხენების მთავარი საკვებია). დაბლობში მრავლად მოჰყავთ ღომი და ფეტვის სხვადასხვა სახეობა. მსხვილფეხა საქონელს ნაკლებ აშენებენ თივის ნაკლებობის გამო; მით უფრო ბევრი ცხვარი ჰყავთ. ცხენები პატარა ტანისაა, მაგრამ ძლიერი“.

დიუბუა, გვ. 47. „ოსები არ იყოფიან ცალკე ტომებად, ყველას ერთი ჩვეულება და კანონები აქვთ. ყველა მისდევს მინათმოქმედებას და არა ხელოსნობასა და ვაჭრობას. მინდვრის კულტურების, საქონლის მოვლას უმეტესად ქალები მისდევენ“.

კასიონზე გადამავალი გზის გასწვრივ სახლობენ ყაზბეგამდე – და ვინრო სოლივით არიან შეჭრილი ოსების სამფლობელოში. მაშის, როცა ქართველები არიან ახოვანი, ტანადი, ამაყი და დიდებული შე-სახედაობის, ლამაზი, სახის სწორი ნაკვეთებით, შავი თვალებით, არ-ნივისებური ცხვირით, თხელი ტუჩებით, შავგვრემანები, შავი თმე-ბით და აქვთ ულამაზესი ადამიანური ფორმები; ოსები საპირისპი-როდ არიან ჩაფსკენილი, ჯშუხი; სიმაღლით თითქმის არასდროს აღემატებიან ხუთ ფუტსა და 4 დიუიმს; აქვთ განიერი, გამხდარი პი-რი-სახე, თითქმის არასდროს შავი თვალები და შავი თმა, არამედ ცისფერი თვალები, ქერა, ბაცი ყავისფერი, ხშირად ნითური თმა. ქა-ლები არიან დაბლები, იშვიათად ლამაზები; აქვთ ბრტყელი ცხვირი, ხორციანი ტანი. კოლ-ის სიტყვით ოსებს, განსაკუთრებით ქალებს ჰქონდათ პატარა, ლამაზი ფეხები. მე ამას ვერც უარეყოფ და ვერც დავემონმები, რადგან ნვიმიანი ამინდისა და მძიმე, ჭუჭყიანი ფეხსა-მოსის გამო დასკვნის გაკეთება არ შემეძლო. ქალები და ქალიშვი-ლები საკმაოდ ფეხმარდები არიან, მამაკაცები კი დადიან მძიმედ, მოხრილი, ბაჯბაჯით (რწევით), როგორც ჩვენი გერმანელი გლეხე-ბი. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მომხვდა თვალში, როცა ჩემი კე-თილი პეტერ ნოი მათ გვერდით მიმავალი დავინახე – ისინი ნამ-დვილ შვაბ გლეხებსა და თანამემამულეებს ჰგავდნენ!

ოსების საკვებს შეადგენს ხორბლის ან ქერის დაუმჟავებელი პუ-რი გამომცხვარი ნაცარში. ისინი ხორცს ხარშავენ წყალში. ამასთან მათ აქვთ წვენები (სუფები), რაც ქართველებმა არ იციან. როგორც მითხრეს, ოსები არასდროს წვავენ საქონლის, ცხვრის ან თხის ხორცს, არამედ მიირთმევენ ნანადირევს და ფრინველს. ქართველები კი ყო-ველგვარ ხორცს წვავენ ხის შამფურებზე. ზოგიერთი კერძის გერმა-ნულად დამზადების შესახებ ოსებთან, მე ზემოთ მოგახსენეთ.

* დიუბუას (გვ.47) მიხედვით „ოსები არიან საშუალო სიმაღლის, მკვრივები და გულფიცხები, ხორციანები და მოუქნელები. აქვთ მრგვალი პირისახე, ქერა თმა, ცისფერი თვალები; იშვიათად არიან შავგვრემანი; ნაკვეთები უმეტესელო და ხშირად ველური გამომეტყველების. ქალები არიან დაბლები და ულამაზო, მეტწილად ბრტყელი ცხვირებით. თავანუს (თავაურის -?) მხარეში ისინი უფ-რო ლამაზები არიან, ალბათ იქ ქართველებთან შერევის გამო.“

** დიუბუა, გვ.49. „ოსების ძირითადი საკვებია პური და მოხარშული ხორცი, სიამოვნებით მიირთმევენ ჭვავის ბურღულის სუფს. ქერის პურს აცხობენ ნაცარში უმარილოდ, თხელი კვერის სახით. ღარიბები ჭამენ ღორის ხორცს, საქონლისა და ცხვრის ხორცი მხოლოდ მდიდრებისაა. დღესასწაულებზე აცხობენ ხორბლის პურს, სხვა საჭმელი ჩვეულებრივია, ოღონდ ლუდია და არაყი დიდი ოდენობით“.

კავკასიის მთელ ხალხებში გავრცელებულია ჩაცმულობის ორი ტიპი (სახე) – ჩერქეზული და სპარსული. ხალხებმა ერთი ან მეორე გადაიღეს. ოსებმა მიიღეს ჩერქეზული, მაგრამ ის მათ ტანზე არაა ისე ელეგანტური და ლამაზი (ის ეარ უხდებათ), როგორც კოხტა (გრაციოზულ) ჩერქეზებზე. ოსები საკმაოდ სუფთები უნდა იყვნენ. ისინი ატარებენ მოკლედ და მრგვალად შემოკრეჭილ თმას, იპარსა-ვენ წვერს, ზოგიერთი კი უშვებს უღვაშებს.

დიდ მზრუნველობას იჩენენ ოსები თავიანთი იარაღის მიმართ. ამათგან ზოგი ძალზე ძველია. ბევრი ხმალი და თოფების ლულა აშ-კარად იმ დროისაა, როცა გენუელები ბატონობდნენ შავ ზღვაზე. ამას მიგვანიშნებენ ამოტვიფრული ლათინური წარწერები, ვენზე-ლები (ასოები) და ღერბები.

ოსებს ძალიან უყვართ და პატივს სცემენ მშობლებს, საერთოდ უფროსებს და თავიანთ წინაპრებს. უყოყმანოდ აღიარებენ სახლის უფროსის, პაპის, ნამდვილი მამის, მამინაცვლის, ბიძის ან უფროსი ძმის პირველობას. ახალგაზრდა კაცი მათი ყოფნისას არასოდეს დაჯდება, ხმამაღლა არ დაილაპარაკებს და არ შეეპასუხება. საინ-ტერესოა ერთი, მთლად ევროპული ჩვევა, რაც კავკასიის არც ერთ ხალხს არ ახასიათებს: პატივისცემის ნიშნად ოსი იხდის ქუდს, ან უახლოვდება და ხელზე ეამბორობა მამას ან პატივცემულ პიროვნე-ბას და ა.შ. (ასეთ დროს ქალები მხოლოდ წამოდგებიან, თუ სხე-დან). მამისმკვლელს ელოდება უმკაცრესი სახალხო რისხვა; მთე-ლი ქონებით ამწყვდევენ სახლში და წვავენ. წინაპრებისადმი პატი-ვისცემა განსაკუთრებულია: მათ არ აქვთ უფრო ძლიერი და წმინდა ფიცი, ვიდრე წინაპრების საფლავებით. როცა დამნაშავე ვერაფრით შეძლებს დაზარალებულის დაკმაყოფილებას და გამოსასყიდის მი-ცემას, როგორც წესი, მას აიძულებენ. კერძოდ, დაზარალებული და-ემუქრება, რომ შეუნუხებს წინაპრებს საფლავებში.

თითოეულ სოფელს, კაუ-ს (გაუ?) სათავეში უდგას არჩეული ან მემკვიდრეობითი ელდარი (მამასახლისი), რომელსაც ხალხით

* ოსებში შემორჩენილია გადმოცემა, რომ ფრანკებმა ხილაკ-გუტიათეს მხარეში გახსნეს მალაროები, რომელთა კვალი დღესაც ჩანს. ოსები თვითო-ნაც მისდევენ ზოგიერთ მემთამადნეობას, იღებენ ტყვიას და ამზადებენ საბრძოლო მასალას, საფანტს და დენოს. ლეკებს კი აქვთ სპილენძის ტყვი-ები (საფანტი).

** დიუბუა, გვ.55. „როცა ვინმე შევა სახლში, ქალები ისევე წამოდგებიან, რო-გორც კაცები; ესენი იხდიან ქუდს (რომელსაც ისევე იხურავენ), მოიხრებიან (ევროპელებივით); სხვა კავკასიელებს მისალმების ეს ფორმა არ აქვთ, ხელს მიიღებენ შუბლზე; თუკი შემოსული პიროვნებისთვის განსაკუთრებული პა-ტივისცემა სურთ, ართმევენ ხელს და მიიღებენ პირთან და შუბლთან“.

ემორჩილებიან. ისაა მოსამართლე და მომრიგებელი მცირე დავისას, ხოლო მეთაური მტრობისა და ომიანობისას.

ოსური ენა, როგორც გამოჩენილმა ენათმეცნიერმა შიორნმა მითხრა პეტერბურგში* მიეკუთვნება ინდოგერმანულ ენათა ჯგუფს, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელია (თვითმყოფია). ის უფრო ახლოსაა სპარსულთან, ვიდრე გერმანულთან. როგორც ფინურ ენებს, მასაც ახასიათებს პოსტპოზიციები და არა წინდებულები.

საჭიროა თავის შეკავება, რათა მხოლოდ სიტყვების ჟღერადობით არ დაასკვნან ენების ნათესაობა. ხომ არსებობენ სიტყვები საყოველთაო ადამიანური მნიშვნელობის, როგორც მაგ., დედა, მამა, რიცხვითი სახელები და ა.შ.; აგრეთვე ეროვნული მნიშვნელობის, მაგ., საოჯახო ნივთების, სახნავ-სამინათმოქმედო, რომლებშიც გარეგნული ჟღერადობა შიდა ნათესაობაზე გვაფიქრებინებს, რადგან მსგავსი იარაღი (ინვენტარი) ხშირად საერთო ძველი სამშობლოდანაა გადმოტანილი. მსგავსი სიტყვები უკვე მოვიტანე სხვადასხვა ადგილას; აქ კი ზოგიერთ ოსურ სიტყვას წარმოგიდგინთ ყოველგვარი დასკვნის გამოტანის გარეშე:

| ქართული | ოსური | ქართული | ოსური |
|-----------------|------------------|---------------|-----------|
| მამა | ვეტტ | ყანა | ხუგენტ |
| დედა | მადდე | მდელობი | უგარდენ |
| ძე | ლაპპა | ბალი, ბოსტანი | საგგარდონ |
| ასული | ჯისკ | ტყე | კად |
| ძმა | ეტიმარ | სახლი | ხაზარ |
| და | ხო | ეზო | კანდ |
| ბიძა | ვიდეფსიმარ | გუთანი | სიბბირ |
| ბიძაშვილი ვაჟი | ვიდეფსიმარ-ლაპპა | ფარცხი | ადდაგ |
| ბიძაშვილი ქალი | ვიდეფსიმარ-ჯისკ | ურემი | ორდონ |
| შვილიშვილი | ლაპპაჟილაპპა | მე | ისს |
| მაზლი, სიძე | უზეფსიმარ | შენ | დე |
| ცოლისძმა | | ის | უეი |
| მამაკაცი, ქმარი | ლაგგე | ჩვენ | მაგ |
| ქალი, ცოლი | უს | თქვენ | სმაგ |
| ბავშვი | სივალლონ | ისინი | უტაონ |
| გოგო | ჯისკ | ჩემი | მანუ |
| ქალწული | ანაზიტ ჯისკ | შენი | დაუ |
| | | მისი | უიუ |

* აკადემიკოსმა შიორნმა პეტერბურგში ოსური ენის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა „პეტერბურგის აკადემიის წერილებში“, რომლის მოპოვება ვერ შეეძელი.

მინის ფართობის საზომი ერთეული, მორგენი*, ოსურად ბონგანი. კერძოდ ბონ ნიშნავს დღეს, ჯანი (განი) – თოკს ან ძაფს.

თუმცა ოსური ენა გერმანულთან ახლოს არ დგას (არ ჰგავს), მაგრამ ხალხის მთელი ფიზიონომია გერმანელებისას ძალზე ნააგავს და ენათესავენ. ნელი საუბარი (განსხვავებული სხვა კავკასიელთა ლაპარაკის მანერისგან), ხმოვანება (ტონი) და ხმის ინტონაცია, სიტყვების ჟღერადობა (ცალკე სიტყვები არა!), ყოველივე ამას აქვს რალაც გერმანულის; კერძოდ, ჩრდილო გერმანულის და არა სამხრეთ გერმანულის. ასე რომ შორიდან შეიძლება იფიქრო, რომ ერთმანეთს ელაპარაკებიან ქვემოსაქსონელი გლეხები. ოღონდ შორიდან სიტყვებს ვერ გაიგებ!

ასევე ოსურ სიმღერებსაც, რამდენადაც მოვისმინე, აქვს რალაც ევროპული. ქართველებისა და სომხების სიმღერა, კავკასიის ხალხთაგან ყველაზე კულტურული ხალხებისა, უმთავრესად ბგერებისგან შედგება, რომლებსაც ჩვენი ნოტები ვერ გადმოსცემენ; ისინი შეიძლება მხოლოდ ვიოლინომ გაიმეოროს, რადგან ისინი ჩვენს გამშებს არ ემთხვევიან; მოკლედ ჩვენი გრძნობისა და სმენისთვის დისჰარმონიული და მცდარი ჩანს. სხვა ოსური სიმღერა. ჩემს მიერ მოსმენილს აქვთ გარკვეული მელოდია და ჟღერადობა ჩვეულებრივი ჩვენი გამშისა. ოსური სიმღერები იყო ანტიფონური. ერთ მომღერალს მიჰყავს მელოდია, ხოლო მეორე იჭერს ძირითად ტონს, რაც არ ჟღერს ცუდად და არაჰარმონიულად; შემდეგ მეორე მღერის სიმღერას (ლექსს), ხოლო პირველი იჭერს მთავარ ტონს (ტონიკას).

როგორც ჩემამდე ზოგ მოგზაურს, ისე მეც შემექმნა შთაბეჭდილება (დამებადა აზრი), რომ უნდა არსებულიყო უძველესი, ჯერაც თვალსაჩინო ნათესაობა და მრავალფეროვანი ურთიერთ გავლენა ოსებსა და გერმანელებს შორის. მაგრამ თანამედროვე დაკვირვება გეთავაზობს მხოლოდ გამოცანას; ისტორია დუმს, არ გვაძლევს პასუხს. წმინდა გადმოცემა ბუნდოვნად გვეუბნება, რომ ევროპელი ხალხები წარმომავლობენ შავსა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული მხარეებიდან, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ. სკანდინავიელი გერმანელების მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით აზების (Asen) მოდგმა აქედან ჩრდილოეთით გადმოსახლდა**. ისტო-

* ესაა გერმანული მინის საზომი ერთეული, უდრის 0,25 ჰა-ს – გ.გ.

** ბატონი ფონ ჰალბერგი თავის მოგზაურობისას გვაცნობს საოცარ ლეგენდას (გადმოცემას). ვლადიკავკაზსა და მოსტოვ-ს შორის, გზის გასწვრივ დაახლოებით 100 მილის მანძილზე, აღმართულია ყორღანები (მაღალი ბორცვები იშვიათი ამოუცნობი ქვის გამოსახულებებით). მათ შესახებ ხალხი ამბობს, რომ ისინი გერმანელებმა დატოვეს ჩრდილოეთში გადასახლები-

რიული ფაქტები გვამცნობენ, რომ ხალხთა გადასახლებისას გერმანული ტომები, კერძოდ გოთები, გადავიდნენ და დასახლდნენ ჩრდილოეთით ზედ კავკასიონამდე და შექმნეს ძლიერი სამფლობელო. შემდგომ ის გაანადგურეს აღმოსავლელმა ხალხებმა (ჰუნებმა) და იმ გერმანული ტომების დიდმა ნაწილმა დასავლეთისკენ გადაინაცვლა. ერთი ნაწილი კი ამ მხარეებში დარჩა. მრავალმა გოთმა მიაპურა თავრიდის ნახევარკუნძულის (ყირიმში) მთებს; მათი ნაშთები მოგვიანო ხანებშიც ჩანდნენ იქ და შესაძლოა, რომ კვალს ახლაც მივაგნოთ! ამდენად არაა გამორიცხული, და უფრო უეჭველია, რომ იმ გერმანული ტომების ნაწილი ასევე შეეფარა კავკასიის მთებს.

ურთიერთკავშირის სამი ხაზიდან, რომლით შეიძლება დადგენილიყო ოსების გერმანელებთან წყობის მსგავსება და სისხლით ნათესაობა? არიან ოსები უძველესი დროიდან იქ მოსახლე ხალხი, რომელთაც ერთ დროს გერმანელები გამოეყვნენ? ამ შემთხვევაში ამ ორი ხალხის ენა უნდა დიდად ენათესავებოდეს ერთმანეთს. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ; ოსური უფრო მეტად სპარსულისკენ იხრება. შეიძლება მხოლოდ დაასკვნა, რომ გერმანული, სპარსული და ოსური ახლობელი ენები (Schwestersprachen) არიან, რომელთა ფესვებიც ინდო-გერმანულია და იმავე დროს მისი დასავლეთის განშტოებებად იქცნენ.

მეორე შესაძლო, ზემოაღნიშნული დამაკავშირებელი ხაზი — აზების და მათი ხალხის გადაადგილება — საკმაოდ მისტიკურია და ბნელი, ისტორიულად ძნელად ასახსნელი. ამდენად ვერ გამოდგება რაიმეს დასადგენად. შემთხვევითი მსგავსება სახელების: ოსები, ასები, რომელთაც თითქოს ააგეს აზოვი მეოტიზზე, ჩრდილოელ აზებთან არაფერს ამტკიცებს. ამასთან ოსები თავის თავს მეტწილად უწოდებენ ირ-ს და ირონ-ს; სახელი ოსები, ოსეთები მათ სხვა ხალხებმა შეარქვეს.

რჩება მესამე შეხედულება, რომ ოსები წარმოსდგებიან ჰუნების მიერ კავკასიისკენ გამოყრილი გოთების ან სხვა, ამათთან დაკავშირებული გერმანული ტომებისგან. ამ შემთხვევაშიც ჩანს სრული სხვაობა ენებში, რათა გამოვიტანოთ დასკვნები. თუმცა გადმოსახლებული გერმანელებისთვის განმასხვავებელია, რომ მათ თავის ახალ ქვეყანაში, ახალ სამშობლოში ერთგულად და მყარად შემოინახეს წეს-ჩვეულებები, საოჯახო წესები, ცხოვრებასა და ბუნებაზე თავისი შეხედულებები; რომ მათ ყოველივე ეს დაპყრობილი მხარეების დამორჩილებულ ხალხებს გადასცეს, ან დაუდგინეს; რომ ისინი მათ შეერივნენ და იქცნენ ერთ ხალხად, რომელთაც შეინარჩუნეს საოჯახო, სამართლებრივი და ცხოვრებისეული წესებისადმი გერ-

მანული ხასიათი. ამასთან დამპყრობლებმა მთლიანად დაივიწყეს თავისი და შეითვისეს დაპყრობილთა ენა, ოღონდ შეინარჩუნეს ზოგი განახლებული გერმანული წყობა და ზოგიერთი გერმანული სიტყვა. განა იგივე არ დაემართათ ფრანკებსა და ბურგუნდიელებს გალიაში, გოთებსა და ვანდალებს ესპანეთში, ლომბარდებს იტალიაში, ნორმანებს გალიასა და იტალიაში? ამდენად შესაძლებელია, რომ კავკასიაში შემოხვენილმა გოთების ტომებმა დაიპყრეს და დაიმორჩილეს კავკასიის უძველესი ხალხი ოსები ან ალანები, შემდეგ მთლიანად შეერწყნენ და შექმნეს ახალი ხალხი, რომელთაც დამპყრობელთა ენა შთანთქმეს, მაგრამ სისხლი, გარეგნობა, ხასიათი, კანონ-წესები, ჩვეულებები, საოჯახო ჩვევები ისეთი ოდენობით შეითვისეს, რომ ევროპელ მოგზაურს თვალში ეცემა გერმანული ტიპი ...

ვისაც სურს საფუძვლიანად გაეცნოს ამ ხალხის ურთიერთობებს, მან უსათუოდ უნდა ნაიკითხოს **დიუბუა დე მონპერეს** შრომა. ჩემი მკითხველისთვის ამ ნაშრომიდან მოვიტან მოკლე ცნობებს, რაც ჩემ გამოკვლევებსა და შეხედულებებს ავსებენ; ასევე, რათა მათ გაეფუძვიო ინტერესი დიუბუას ნაშრომის მიმართ.

დიუბუა ოსებ-ში თუ ოსეთებ-ში ხედავს მსოფლიო ისტორიის საოცარ გამოვლინებას. იგი ამბობს, რომ ამ ხალხს არავითარი ნათესაობა არ გააჩნია ირგვლივ მცხოვრებ კავკასიელებთან, რომ ის უნდა ქმნიდეს შუალედურ რგოლს აზიის ინდოევროპულ ხალხებსა და ევროპის ინდოგერმანელებს შორის...

ოსები სახლობენ უშუალოდ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში: სამხრეთით საქართველოს (ქართლის) მთისწინეთებამდე, ჩრდილოეთით კავკასიონის ფერდობებზე და თერგისა და მისი შენაკადების მალალმთიან ხეობებში, ქვემოთ ყაბარდოს დაბლობებამდე. ეს მემდიური თუ ინდოგერმანული ხალხი სოლივიტაა შეჭრილი მარცხნივ ჩერქეზებსა და მარჯვნივ ლეკებს შორის, რომელთაგან პირველნი ნამდვილად, ხოლო მეორენი ალბათობით მიეკუთვნებიან ფინურ ჯგუფს. ძველად ეს ხალხი უფრო ჩრდილოეთითაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული ...

* აქ ჩვენ ვტოვებთ ზღაპარს, რომელიც ჰაქსტაუზენს უამბო მასპინძელმა გვიან სალამოს (გვ.40-41 - გ.გ.). სამაგიეროდ შემოკლებით მოვიტანთ ჰაქსტაუზენის მიერ დიუბუა დე მონპერესგან დასესხებულ ზოგ ცნობათა თარგმანს, რაც აღნიშნულ საკითხს ეხება - გ.გ.

** შემდეგ მოყვანილია ცნობები პლანო კარპინის, რუბრუკვისის, ამიანე მარცელინეს, შეროდოტეს, ტაციტუსის, მითების, რომელთა მიხედვით აკავშირებს ოს-ს ას-თან, აზოვთან, აზიასთან, მცირე აზიასთან, კავკასია-სთან (=აზიის მთებს). გვ.44. - გ.გ.

სას, როგორც ნიშანი, რათა ოდესმე შესძლებოდათ დაბრუნებისას მათი პოვნა. არის ეს ლეგენდის ნაშთი აზების გადასახლების შესახებ?

... სახელწოდებასა და ხალხში ოს-ები გვხვდება საკვანძო პუნქტი უძველესი გადასახლებებისა და მითებისათვის!*

კავკასიონის შუაში მდებარე დიდი გასასვლელი არის კარი, რომლითაც ინდოგერმანული ტომები(ხალხები) გავიდნენ ევროპაში. ოს-ების, ოსეთ-ების ქვეყანა იყო შეჩერების პუნქტი, ხოლო ოსები არიან ამ მიგრანტების ადგილზე დარჩენილი ძმები....

მათ არ აქვთ საკუთარი დამწერლობა, არამედ მიიღეს ქართული, რომელიც თავის მხრივ ქრისტიანობის შემოსვლისას გაჩნდა. ამ ენაზე დაიწერა და დაიბეჭდა მხოლოდ ზოგი ქრისტიანული რელიგიური ტექსტის ფრაგმენტი. არ აქვთ მატრიანები. ხელშეკრულებებს საჭდეზე (ჩხირზე) აღნიშნავენ [ე.ი. ზეპირია, სინდისზეა დამოკიდებული]. ისტორიული მოვლენები ზეპირი გადმოცემებით შემოენახება შთამომავლობას; ასევე სალოცავებსა და სახლებზე დამოკიდებული ცხოველების თავები და რქები მათ მოსაგონრად.

ა. ფონ ჰუმპოლტისადმი 1839 წლის 23 სექტემბერს გაგზავნილ წერილში დიუბუა აღნიშნავს, რომ ოსების ენა არის სპარსულის შტო და ევროპულისგან ყველაზე ახლოა ლეტიური მოდგმის ხალხებთან – ლეტებთან, ლატვიელებთან, ლივებთან, კურებთან, რომლებიც წარმოადგენენ შუამავალს გერმანულ და სლავურ ენებს შორის**....

3 სექტემბერს სალამოს ჩვენ დავბრუნდით ტფილისში. უკან გზაზე შევეყარეთ ჩერქეზების ჯგუფს, რომლებიც ცხენების დიდ ჯოგს მოერეკებოდნენ გასაყიდად ტფილისისკენ. ჩემი მეეტლე შეჩერდა, შეევაჭრა და იყიდა ორი ცხენი. ჩერქეზები ძალზე თბილად და მეგობრულად გვეპყრობიან ჩვენ, გერმანელებს.

მოკლე კომენტარები:

[1] გვ. 368. ზღაპრების შეგროვება და ლეგენდებისადმი ინტერესი, როგორც სქოლიოში ავლნიშნეთ, განსაკუთრებით მისი შრომის XI თავში ჩანს. ეს თავი მთლიანად ეძღვნება თქმულებებსა და ზღაპრებს (წიგნის 318-339 გვერდები).

* განხილულია ადგილთა, მთების და მდინარეების სახელები და მათი დაბოლოებები, რაც საერთოა მთელი ევროპისა და აზიისთვისაც: დონ, შტადტ, დორფ, ბურგ, კერტ, გარტ, გორდ, გრად, გოროდ, კანდ, კანდა, კენტ და ა.შ. გვ. 45-46. – გ.გ.

** შემდგომ მოდის დიუბუასეული აღწერა ოსების, მათი ცხოვრების წესების, გარეგნობისა და ა.შ., რაც ზემოთ სქოლიოებში სათანადო ადგილებში მიუთითოთ – გ.გ.

[2] გვ. 371. თუ დავუჯერებთ ავტორს, იგი, ჩვენი აზრით, პირველია მოგზაურთა შორის, რომელიც ამბობს, რომ ჯერ მოივლის უცხო ქვეყანას და მხოლოდ შემდეგ ეცნობა ამ ქვეყნის ისტორიასა და მის შესახებ სხვათა ცნობებსა და გამოკვლევებს, რათა არ მოექცეს მათი აზრების გავლენის ქვეშ.

[3] გვ. 371. როდესაც XIII საუკუნეში ჩრდილო კავკასიის მონღოლები შემოესივნენ და დაიკავეს მთისწინა ველები, ოსები იძულებული გახდნენ შეფარებოდნენ ცენტრალური კავკასიონის მთებს. ისინი სახლდებოდნენ მდინარეთა ხეობებში, რაც მათ თავის რჩენის საშუალებას არ აძლევდა. ამან გამოიწვია მათი გასვლა კავკასიონის ქედის სამხრეთითაც. მათი ბინადრობის ხაზი მალე გადიოდა. ბარისკენ გადმოსახლება კი ხდებოდა თანდათან სამხრეთისკენ ჩამონევით; ძირითადად მდინარეების – დიდი ლიახვის, ქსნის, არაგვის ხეობების გასწვრივ, შიდა ქართლის ვაკისკენ. ეს პროცესი გრძელდებოდა XVIII-XIX საუკუნეებშიც. მათი დამკვიდრება ქართლში ხდებოდა ფეოდალის ყმობითა და მის მამულში დასახლებით, მამულის წყალობით, ნასყიდობით, თავნასყიდობით და ა.შ.

დიუბუა დე მონპერე, რომელსაც ჰაქსტჰაუზენი ხშირად ასვენებს და იმონმებს, იყო ცნობილი ფრანგი სწავლული-მოგზაური. ამიერკავკასიაში იყო 1831-34 წლებში ბარონ როზენის მთავარმართებლობისას.

როგორც ტექსტიდან ჩანს, ჰაქსტჰაუზენი ოსების წეს-ჩვეულებებში, გარეგნობაში, სამედიატორი სასამართლოსა და მემკვიდრეობის წესის შესრულებაში, საოჯახო ინვენტარში, სამინათმოქმედო იარაღში, ვახშმობისა და ქორწინების ზოგ წესში, ოსების სახელებშიც კი ხედავს მსგავსებას გერმანულთან. ამიტომ იგი ცდილობს ერთგვარად გამოიკვლიოს ამ ორი ხალხის „საერთო“ წარმომავლობისა და მიგრაციის საკითხები.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ავტორი არ ასახელებს ნანახი სოფლებისა და ეკლესიების სახელებს და მხოლოდ მათი გარეგნული თუ შიდა სურათის აღწერით კმაყოფილდება.

[4] გვ. 372. კავკასიის მთავარმართებელი და გენერალ-გუბერნატორი მოგზაურის აქ ყოფნისას იყო ალექსანდრე ივანეს ძე ნაიდჰარდტი (1842-1844 წწ.)

[5] გვ. 373. საერისთავო იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული და „ერისთავობის დაწესება“ ქართული ქრონიკებით ფარნავაზის სახელთანაა დაკავშირებული. ასევე ქართული ქრონიკების მიხედვით გვარამი ქართლის ტახტზე დასვა იუსტინე II-მ (565-578) და არა იუსტინიანემ (527-565). [ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა“...ქართლის ცხოვრება, თბ. 1955, ჯუანშერი, გვ. 218; ან იქვე, სუმბატ დავითის ძე, გვ. 374].

რაც შეეხება როსტომის დადგენას ქსნის ერისთავად, ეს ცნობა ავგაროზ ბანდაის ძის მიერ 1348-1400 წწ. შორის შედგენილ „ძველი ერისთავთა“-დან მომდინარეობს: იგი შეეხება როსტომ ბიბილურის მოსვლას და დასახლებას ოვსეთიდან ჯერ დვალეთში, შემდეგ ლარგვისში; რომ მას იუსტინიანემ უბოძა ცხრა ზმის ერისთავობა და ყველა რეგალიები („ძველი ერისთავთა“, შოთა მესხიას გამოცემა, თბ. 1954, მასალები, ნაკვ. 30; გვ. 344-346).

[6] გვ. 378. ოსებში ქრისტიანობა თამარს უნდა შეეტანა 1171-98 წლებს შორის. ჯერ ერთი, თამარის მეფობა იწყება 1184 წლიდან; მეორეც – როგორც „ქართლის ცხოვრება“ (ჯუანშერი გვ. 232) გვეუბნება – ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში ოვსეთი შედიოდა ქართლის კათალიკოსის სამწყსოში.

აქვე ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ ქართველებში იშვიათია ხელით პირჯერის გამოსახვა.

[7] გვ. 380. კარლ კოხი (1809-1879) ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაური კავკასიაში იყო ორჯერ: 1836 (ბარონ როზენის დროს) და 1843-44 წლებში.

[8] გვ. 381. ბათო ყაენი, რომელიც მე-13-ე საუკუნეშია ყაენად, რომელთანაც პლანო კარპინი 1242 წელს იმყოფებოდა, მე-14-ე საუკუნეში ვერ გააძევებდა ოსებს [ბათოს „ჰქონდა ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი...“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, ჟამთააღმწერელი, გვ. 196, 234)].

[9] გვ. 381. ოსებს ქართული ანალები უკვე ალექსანდრე დიდის დროიდან მიიჩნევენ ქართველთა მეზობლებად. შდრ. „ქართლის ცხოვრება“, I, ლეონტი მროველი გვ. 23 – „აზონის წინააღმდეგ ფარნავაზმა დაიხმარა ოსები.“ ეს აზონი ხომ ალექსანდრე დიდის დასმულია.

[10] გვ. 382. რაც შეეხება ისტორიულ გადმოცემას ვახტანგ გორგასლისა და ოს ბაყათარს შორის ურთიერთობის შესახებ, შდრ. ჯუანშერის ცნობა: როცა ვახტანგი 10 წლის იყო, ოსებმა ილაშქრეს ქართლზე და ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტი. 16 წლის ვახტანგმა ილაშქრა ოსთა წინააღმდეგ, ჯერ მოკლა ოსების დამხმარე თარხან ხაზარი, შემდეგ ბაყათარ ოსი და დაიმორჩილა ოსეთი, ჯიქეთი... (ქართლის ცხოვრება, I, გვერდები: 145, 153, 155).

[11] გვ. 383. ნინომ ქრისტიანობა ქართლში შემოიტანა არა 423 წელს, არამედ IV საუკუნის დასაწყისში.

[12] გვ. 392. ჰაქსტაუზენი საუბრობს რა სასჯელ-ჯარიმებზე პიროვნების მოკვლისა და დაჭრის შემთხვევაში, სქოლიოში მიუთითებს ვახტანგის სამართალზე, რაც მას პეტერბურგიდან მიუღია და გასცნობია (მისი II ნიგნი, გვ. 278-283). მართლაც ამ სამართლის ორი კარის – „თეთრის გარიგებისა“ და „ქურდობისა და სამართალი მი-

სი“-ს მუხლები ამ საკითხს ეხება (ვახტანგ VI სამართლის ნიგნი, თინა ენუქიძის გამოცემა, თბ. 1955, გვ. 53-64; 87-89).

[13] გვ. 395. ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ „ქართველებმა თივა თითქმის არ იციანო“.

Gia Gelashvili

Doctor of History, head scientist researcher of the Ivane Javakhishvili institute of History and Ethnology.

HAXTHAUSEN ABOUT OSSEN

Summary

August Haxthausen (1792-1866) was a well-known German researcher of agrarian questions, lawyer, ethnologist, collector of folk-songs and legends. In 1843 during six months he traveled in Russia and investigated the life of peasantry, to what he dedicated special work. In August-September of the same year he visited Georgia. In 1856 in Leipzig Haxthausen published two-volume work: „Transcaucasia“, where the I-V chapters wholly describe Georgia; XII chapter is about Ossen.

In the following article there is given the Georgian translation and comments to the Haxthausen's material about so-called „south Ossen“. He describes everything he saw himself and felt personally – social-economic situation, everyday life of the population, their relations with each other, national traditions, their judicature and origin of Ossen, their „proximity“ or „relativity“ with Germans.

თველი სამედიცინოებისა და უნივერსიტეტის მიერ განაკეთონ
წარადგინა ეთიკური ქართული ენის უფლებების დაცვის
ხლიდან კი, ატრუ-ლური განდა საქართველოს ეკლესიის და
დებლობის (ავტორიტეტის) აღდგენის მოთხოვნა.

მოხსენება ტომოკუს უნივერსიტეტის დამაარსებელმა
სტუდენტებმა დიდი ანტირუსული მოძრაობის დამსახურებით
ხვდა. კონფერენციის ორგანიზატორებმა მოხსენების ავტორს
მადლობა მოახსენეს და მომავალ წელს უფრო დიდი ფორმატის
შართულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს.
მოხსენებმა სტუდენტთა დათვალადიერებინა უნივერსიტეტის
ვერც დირექტორისგან და მოხლოდა. კონფერენციის

განხილვა საქონფერენციის
დარბაზში ინტერნეტის და უნივერსიტეტის
ინტერნეტის და

ინტერნეტის და უნივერსიტეტის
ინტერნეტის და

ინტერნეტის და უნივერსიტეტის
ინტერნეტის და
23.02.2009

აღსანიშნავია ისიც, რომ მოუღი ხარჯი, რაც დაკავშირებული
იყო პროფ. ე. კენაბის ე. სენდთან ტომოკუს უნივერსიტეტში ენის
თქვირთან სტუდენტებისთან, მაშინდელმა მხარეებმა გააღი.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

N^o 611

Gut für 10 Pstr.

zehn Piaster



Georgische Legion
Kriegsgeldbes. D. Post.

Samsun 1916.

Georgische Legion

Gut für 10. P.

zehn P.

Georgische Legion